

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY

სამეცნიერო შრომათა კრებული
COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS

XLII

თბილისი **2008** TBILISI

მთავარი რედაქტორი - პროფ. გიორგი მენაბდე

სარედაქციო კოლეგია:

- ზ. ბერიშვილი
- ი. კვაჭაძე
- გ. ლობჯანიძე
- რ. რუხაძე
- ვ. სააკაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
- ი. ფავლენიშვილი
- მ. ქავთარაძე
- რ.შენგელია
- თ. ჩიქოვანი
- დ. ჭავჭავანიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)

Editor in Chief - Prof. Giorgi Menabde

Editorial Board:

- Z.Berishvili
- I.Kvachadze
- G.Lobjanidze
- R.Rukhadze
- V.Saakadze (Scientific Secretary)
- I.Pavlenishvili
- M.Kavtaradze
- R.Shengelia
- T.Chikovani
- D.Chavchanidze (Vice Editor in Chief)

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას 33
ტელ. 39 41 29
www.tsmu.edu

Tbilisi State Medical University
33, Vazha-Pshavela Ave., Tbilisi 0177, Georgia
(+995 32) 94 25 19
www.tsmu.edu

თამარ დეკანოსიძის

ხსოვნას



ქალბატონმა თამარ დეკანოსიძემ გაიელვა საქართველოს ცისკიდეზე უძველესი ეროვნული გენოფონდის გამორჩეული ფენომენის სახით, დაუფინყარი კვალი დატოვა ჩვენს კულტურაში, დაგვიტოვა მისეული მუდმივი თანამგზავრი რეფრენის სახით: „გახსოვდეთ, ვისი გორისანი ბრძანდებით!“.

მას ეს ყოველთვის ახსოვდა: ბობოქარი ერისშვილი, დახვენილი ინტელიგენტი, გამორჩეული პროფესიონალი, შემკობილი განულებელი ენერგიით, მჩქეფარე შრომისმოყვარეობითა და შრომისუნარიანობით, დახვენილი მჭერმეტყველებით, სხარტი კლინიკური აზროვნებით, საოცარი პედაგოგიური ხელოვნებით, შესაშური თავდამლობით და კეთილშობილებით, განუზომელი კეთილმოსურნეობით, უდრეკი მეცნიერული პრინციპულობით, უშიშარი პატრიოტიზმით, სულიერი სიმტკიცითა და სიცოცხლესავსეობით - ქალბატონი თამარი ეპოქალურ პიროვნებად მოგვევლინა და მისეული ეპოქა შექმნა. სიცოცხლის ბოლო წუთამდე რუდუნებით ეფერებოდა თითოეულ ეროვნულ განძეულს და ქართული სემისიალოგიის კეთილ ფერიად გვევლინებოდა.

განუმეორებელ ქალბატონ თამარს არც ერთი წუთით არ დავიწყებია „ვისი გორის ბრძანდებოდა“. ამ გრძნობით უსაზღვროდ ბედნიერმა დატოვა აქაურობა და მის მიერ შექმნილი აურით დაგვიტოვა ქართული თვითმყოფადობის უსაზღვრო სიამაყისა და საოცრად განუზომელი სიყვარულის გრძნობა.

ვადიმ სააკაძე

თსსუ-ის გამომცემლობის სწავლული მდივანი

აბაშიძე ნ.ო., ივერიელი მ.ბ., ცინცაძე თ.ო.,
გოგიშვილი ხ.ბ., ჯაში ლ.მ.

**ახალი თაობის ანტივირუსული
პრეპარატების გამოყენება პირადად
სტომატიტის მკურნალობის კომპლექსში**

**თსუ-ის თერაპიული სტომატოლოგიის
დაეარტამენტი; ქართულ-გერმანული დენტალური
ინსტიტუტის ცენტრი „HBI-dent“**

ჰერპესული ინფექცია დღესდღეობით წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ ინფექციას, როგორც ბავშვთა, ასევე მოზრდილ მოსახლეობას შორის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, ვირუსულ დაავადებებს შორის ჰერპეს ვირუსით გამოწვეული დაავადებები იკავებენ მეორე ადგილს გრიპის ვირუსის შემდეგ, ხოლო სხვა ნოზოლოგიებს შორის პირველობას უთმობენ მხოლოდ გულსისხლძარღვთა სისტემის და ონკოლოგიურ დაავადებებს (3, 4, 5).

ჰერპესული ინფექციით გამოწვეული ზოგადი ავადობა მერყეობს 50,0-დან 100%-მდე, რის გამოც ჰერპესულ დაავადებებს განიხილავენ, როგორც სოციალური მნიშვნელობის დაავადებებს (1, 6).

მწვავე და ქრონიკული მორეციდივე ჰერპესული სტომატიტების მკურნალობის კომპლექსში გამოყენებული პრეპარატების რიცხვი ძალიან დიდია, მაგრამ მათი უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს იმ ძირითად მოთხოვნებს, როგორც არის - პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ტუჩის წითელი ყაეთნის და მიმდებარე ეპითელიუმის სწრაფი, უმტკივნეულო და ეფექტური ეპითელიზაცია (2, 5, 7).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ჩვენს კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქრონიკული მორეციდივე ჰერპესული სტომატიტის მკურნალობის კომპლექსში ახალი თაობის ადგილობრივი და ზოგადი მოქმედების ანტივირუსული პრეპარატების პანავირის (დამცავი გელი, სუბსტანცია - ინტრავენური ინექციისათვის) და Super Lizin+-ის (მალამო, აბები) მოქმედების ეფექტურობის კლინიკური შეფასება.

დასახული მიზნის რეალიზაციისათვის ჩვენს მიერ გამოკვლევა და მკურნალობა ჩატარდა 16-დან 55 წლის ასაკის 140 პაციენტს. მათ შორის ქალი იყო 76 (54,28±2,7%), ხოლო მამაკაცი - 64 (45,72±2,7%). აღნიშნული პირები აღრიცხვაზე იმყოფებიან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრასა და ქართულ-გერმანული დენტალური ინსტიტუტის ცენტრში HBI-dent.

გამოკვლეული პირები დაეყავით სამ ჯგუფად. ყველა მათგანს მკურნალობა უტარდებოდა დღემდე არსებული მეთოდებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვხმარობდით სხვადასხვა ანტივირუსულ პრეპარატს. I ჯგუფში გავერთიანეთ ქრონიკული მორეციდივე ჰერპესული სტომატიტის მქონე 30 პაციენტი

(21,42±1,76%). ადგილობრივად აპლიკაციების სახის ვიყენებდით ანტივირუსულ პრეპარატებს - ზოვირაქსს. II ჯგუფში გაერთიანებული იქნა 60 პაციენტი (42,84±2,78%), რომელთაც მკურნალობის ტრადიციულ მეთოდებთან ერთად ანტივირუსულ თერაპიას ვუტარებდით პრეპარატ პანავირით (დამცავი გელი, სუბსტანცია ინტრავენური ინექციისათვის). III ჯგუფში გავერთიანეთ 50 პაციენტი (35,74±2,72%). მათ მკურნალობის კომპლექსში ადგილობრივად ვუნიშნავდით ახალი თაობის ანტივირუსულ იმუნომასტიმულირებელ პრეპარატს Super Lizin+ (ტუჩის მალამო, აბები).

პაციენტების კლინიკო-ლაბორატორიულ გამოკვლევის შემდეგ ხდებოდა დიაგნოზის დასმა და დგებოდა მკურნალობის გეგმა. ყველა ავადმყოფს უტარდებოდა კომპლექსური და ინდივიდუალური მკურნალობა.

ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობას ვაფასებდით შემდეგი კრიტერიუმებით: მნიშვნელოვანი გაუმჯობესება - რეციდივის ხანგრძლივობის შემცირება და რემისიის შეუალედის გაზრდა 2-ჯერ და მეტად. გაუმჯობესება - რეციდივის ხანგრძლივობის შემცირება და რემისიის შეუალედის გაზრდა 1-1,5-ჯერ. ეფექტურობის არარსებობა - ადგილობრივი და ზოგადი მოვლენების არსებობა და დაავადების მიმდინარეობის შეცვლა.

მკურნალობას ვთვლიდით ეფექტურად მნიშვნელოვანი გაუმჯობესების და გაუმჯობესების შემთხვევაში, განსაკუთრებით დაავადების საშუალო და მძიმე ფორმების დროს.

ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ქ.მ.პ.ს-ის მქონე პაციენტები რეციდივის განვითარებას უკავშირებდნენ ამა თუ იმ პათოლოგიურ მდგომარეობას. მათ შორის: გადაციებას - 31,9±2,69%, ემოციურ სტრესს - 20,8±2,31%, რესპირატორულ ინფექციებს - 24,7±2,49%, მზის სხივების ზედმეტ ინსოლაციას - 11,1±1,1%, ზოგადი სომატური დაავადებების გამწვავებას - 7,6±1,53% და სტომატოლოგიურ ჩარევას - 3,9±1,1%.

I ჯგუფის პაციენტების კლინიკური გამოჯანმრთელება ხდებოდა დაახლოებით მე-7 დღეს, საშუალო ფორმის მიმდინარეობის ხანგრძლივობა იყო დაახლოებით 7-10 დღე, მძიმე ფორმის კი - 11 და მეტი. ანტივირუსულ პრეპარატ პანავირით მკურნალობის დროს - II ჯგუფის პაციენტებში - მსუბუქი ფორმის ხანგრძლივობა იყო დაახლოებით 5,1 დღე, საშუალო ფორმის - 5,9 დღე, მძიმე ფორმის კი - 6,8 დღე. გარდა ამისა, ჩვენმა დაკვირვებამ ცხადდყო, რომ პრეპარატი პანავირი ახდენს სუბიექტური ჩივილების მოხსნას, როგორცაა: წვა, ქავილი, დაჭიმულობისა და დისკომფორტის შეგრძნება თერაპიული მკურნალობის დაწყებიდან 1-2 ვიზიტზე, ხოლო მტკივნეულობის სიმპტომის - 2-3 ვიზიტზე.

II ჯგუფის 60 პაციენტიდან პანავირით მკურნალობის შედეგად მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მივიღეთ 51 (85±2,06%) პაციენტთან, ხოლო 9 (15±2,06%) - პაციენტთან კი გაუმჯობესება, რაც შეეხება ეფექტურობის არარსებობას არც ერთ პირთან არ დაფიქსირებულა.

როგორც კლინიკურმა დაკვირვებამ გვიჩვენა, პაციენტებს, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ პანავირით, რეციდივის ხანგრძლივობა შეუმცირდათ 2-ჯერ, განსაკუთრებით დაავადების მიმდინარეობის საშუალო და მძიმე ფორმის მქონე პაციენტების შემთხვევაში, რომელთაც რეციდივის ხანგრძლივობა პანავირით მკურნალობამდე 7 დღეზე მეტი ჰქონდათ. მკურნალობის შედეგების მონაცემების თანახმად, პაციენტებს, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ პანავირით, რემისიის შუალედის ხანგრძლივობა გაეზარდათ 1,5-2-ჯერ.

III ჯგუფის პაციენტებში 50 პაციენტიდან სუპერლიზინ+-ით მკურნალობის შედეგად მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მივიღეთ 46 (92±1,56%) პაციენტთან, ხოლო გაუმჯობესება - 4 (8±1,56%) პაციენტთან, რაც შეეხება ეფექტურობის არარსებობას, არც ერთ პაციენტთან არ დაფიქსირებულა. რეციდივის ხანგრძლივობა შემცირდა 4-5 დღემდე. განსაკუთრებით საშუალო და მძიმე ფორმის მქონე პაციენტებს, მკურნალობის შედეგების მონაცემების თანახმად პაციენტებს, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ სუპერლიზინ+-ით რემისიის შუალედის ხანგრძლივობა გაიზარდა 2-ჯერ.

ქ.მ.ჰ.ს-ის მსუბუქი ფორმის დროს აღინიშნებოდა რეპარაციულ-რეგენერაციული პროცესების მნიშვნელოვანი დაჩქარება და რეციდივის ხანგრძლივობა იყო 4,9 დღე, საშუალო სიმძიმის - 5,1 დღე, მძიმე ფორმის კი - 5,9 დღე.

ჩატარებულმა კლინიკურმა ანალიზმა გვიჩვენა ახალი თაობის ანტივირუსული და იმუნომასტიმულირებელი პრეპარატების პანავირის (დამცავი გელი, სუბსტანცია ინტრავენური ინექციისათვის) და სუპერლიზინ+-ის (მაღაზო აბები) მაღალი თერაპიული ეფექტურობა - ეპითელიზაციის ვადის შემცირება, კარგი ანალგეზიური ეფექტი და საუკეთესო ადპეზიური თვისებები. ვთვლით, რომ მათი გამოყენება წარმატებით შეიძლება ჰერპესული სტომატიტების მკურნალობის კომპლექსში.

ლიტერატურა:

1. Васильева А.Н. Герпес: профилактика и эффективное лечение // Санкт-Петербург.: Невский проспект.- 2004, с. 16-22, 47-57, 81-93.
2. Вирусные заболевания слизистой оболочки полости рта (метод. рекомендация под ред. Г.В. Банченко) // Москва - 1996, 13 с.
3. Данилевский Н.Ф., Леонтьев В.К., Несин А.Ф., Рахний Ж.И. Заболевания слизистой оболочки полости рта // Москва.- 2001, с.17-41, 76-123.
4. Елизарова В.М., Дработько Л.Н., Страхова С.Ю. Клиника, диагностика и лечение острого герпетического стоматита у детей (Методические рекомендации) // Москва.- 2001, с. 3-19.
5. Рабинович О.Ф., Рабинович И.М., Разживина Н.В. Сочетанное применение лейкоферона с полиоксидонием при лечении рецидивирующего герпетического стоматита // Клиническая стоматология.- 2003.-№4.- с. 54-58.
6. Favoreel HW., Nauwynck HJ., Pensaert MB. Immunological hid-

ing of herpesvirus-infected cells // Archives of Virology, 2000, 145(7), p. 1269-1290.

7. Hirayama J., Abe H., Kamo N., Ikebuchi K., Ikeda H. Comparison of the effects of different antiviral treatments on the antioxidant systems of stroma-free hemoglobin // Photochemistry & Photobiology, 2001 Sep., 74(3), p. 461-464.

Abashidze N.O.; Iverieli M.B.; Tsintsadze T.O.; Gogishvili Kh.B.; Jashi L.M.;

THE USAGE OF NEW GENERATION ANTIVIRAL MEDICATIONS IN THE COMPLEX TREATMENT OF THE HERPETIC STOMATITIS

Georgian-German Center of Dental Implantation "HBI-dent"

The aim of our study was to evaluate the clinical effect of the new generation antiviral medications "PANAVIRE" (protecting gel, substance for intravenous injection) and "SUPERLYSINE+" (ointment, pills), which has a local, as well as general therapeutic effect in the complex treatment of chronic, relapsing herpetic stomatitis.

140 patients, aged 16-55, of whom 76 female (54,28%±2,7%) and 64 male (45,72%±2,7%), were observed and treated during the study.

The patients were divided into three groups and treated with traditional methods. 30 patients (21,42%±1,76%) with relapsing herpetic stomatitis, belonged to the first group, were cured with medication "ZOVIRAX", while 60 patients (42,84±2,78%) from the second group were treated with "PANAVIRE" and in the third group, included 50 patients (35,74%±2,72%) the medicine "SUPERLYSINE+" was used.

Our study has revealed, that in the II group, out of 60, 51 patients' (85%±2,06%) health condition has remarkable improved, while other 9 of them (15%±2,06%) received only regeneration. Out of 50 patients belonged to III group, in 46 cases (92%±1,56%) important therapeutic effect was revealed, while in 4 cases (8%±1,56%) only regeneration was defined.

The clinical study has shown high therapeutic effect of new generation antiviral and immunostimulative medicines "PANAVIRE" (protecting gel, substance for intravenous injection) and "SUPERLYSINE+" (ointment, pills) on the reduction of epithelisation time. These medications have also high analgetic and adhesive effect.

We think, that the medicines, mentioned above, can be successfully used in the complex treatment of herpetic stomatitis.

აბულაძე თ., გოგიაშვილი ლ., ტურიაშვილი ნ.,
კვაშილავა ჯ., ჩაჩანიძე ნ., კუკულავა ნ.

სკრინინგის პრიორიტეტები კოლორექტული პათოლოგიის აღრულებელ დიაგნოსტიკაში

თსსუ ძირუბილი დეპარტამენტი, პრობრაჟული
მიმართულება პროქტოლოგია; რ.იაშვილის
თბილისის პროქტოლოგიური ცენტრი, სპ.
მაცნეარაგათა აკადემიის ალ.ნათიშვილის
სახ.მედიკალინური მორფოლოგიის ინსტიტუტი,
ახალგაზრდა მედიკოსთა, რეზიდენტთა და თსსუ-ის
სტუდენტთა ჯგუფი.

საქართველოში, მსგავსად მსოფლიოს მრავალი ქვეყნისა, კოლოპროქტოლოგიურ დაავადებათა გავრცელების მაჩვენებელი მეტად მაღალია და ჯერჯერობით, კვების ნიშნები არ აღინიშნება. მნიშვნელოვნად იმატა ნაწლავური სიმსივნების, არასპეციფიკური კოლიტების, დივერტიკულური დაავადების, მეგაკოლონის, პოლიპების და პოლიპოზის, ჰემოროიდული დაავადების, ანალური ნაპრალის (ნახეთქის), რექტული პროლაფსის და სხვა შემთხვევებმა. საგრძობლად მოიმატა ფუნქციურმა კოლოპათიებმა — გალიზიანებული ნაწლავის სინდრომმა, დისბაქტერიოზმა, ქრ.ყაბზობამ, ფუნქციურმა დიარეამ. ხშირია შერწყმული ანთებითი, არასიმსივნური და სიმსივნური დაზიანებები, რომელთა უმრავლესობა პათოგენეტიკურად კავშირშია ერთმანეთთან.

მსგავსი მდგომარეობა გამოიკვეთა ჩვენი მონაცემებითაც (თსსუ კოლოპროქტოლოგიური კლინიკა) 2004-2007 წ. კლინიკური მკურნალობის კურსი გაიარა 1648 კოლოპროქტოლოგიურმა პაციენტმა — ნლების მიხედვით მზარდი პროცენტით (შესაბამისად 28, 34, 38, 40%) მათგან მხოლოდ 3% ჩაუტარდა მედიკამენტური (კონსერვატიული) მკურნალობა, დანარჩენს (97%) - სხვადასხვა სახის ქირურგიული კორექცია.

მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა სამართლიანად მიიჩნევს, რომ კოლორექტული კიბო ძირითადად წინასიმსივნური პროცესებისაგან, (სინ. precancer) კეთილთვისებიან პოლიპებისგან (ადენომებისგან), ოჯახურ დიფუზურ პოლიპოზიდან, სხვადასხვა გენეტიკურ - ტიურკოს, გარდნერის, პეიც-ეგერსის სინდრომებისგან წარმოიშობება (T. Imperiale et al, 2000, D. Liberman et al, 2000).

მეორეს მხრივ, კიბოს განვითარება ასევე შესაძლებელია ხანგრძლივად მიმდინარე ქრონიკული პროცესების ფონზე - არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტის (ანკ) და კრონის დაავადების შედეგად (Marion J.F., et al. 2000, Veress B., et al, 1995).

Butt J.H., et al (1980) მონაცემებით ორი ათეული წლის მანძილზე ქრონიკულად მიმდინარე წყლულოვანი კოლიტით დაავადებულებს კოლორექტული კიბო, შემთხვევათა 3%-ში უვითარდება ხოლო 30 წლის მატარებელ პაციენტებში 30%-ს უახლოვდება.

აღნიშნულიდან ნათელია კოლოპროქტოლოგიურ პაციენტთათვის კვალიფიციური დახმარების სისტემის სრულყოფის აუცილებლობა.

სიმსივნურ და არასიმსივნური პათოლოგიის ადრეული დიაგნოსტიკის უნიფიცირებული ალგორითმი და, რაც მთავარია, სკრინინგი დღესაც განსაკუთრებით აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, მასიური პროფილაქტიკური გასინჯვები, ერთადერთი ქმედითი გზა მსხვილი ნაწლავის დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკისათვის.

სკრინინგი მიმართულია დაავადების წარმოშობის საწინააღმდეგოდ, მისი წარმოება მიზანშეწონილია მანამდე სანამ გაჩნდება ავადმყოფობა. იგი გამოიყენება რისკ-ჯგუფებში როგორც მეორედი პროფილაქტიკური მეთოდი დაავადების აღმოსაჩენად, ადრეულ, ჯერ კიდევ უსიმპტომო, სტადიაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკრინინგის ორგანიზირებას სირთულეები გააჩნია. უპირველესად ეს დაკავშირებულია პროგრამის მონიტორინგის ძვირადღირებულებასთან (ფინანსური მხარეები), სახელმწიფო პროგრამების დაუზვევებლობასთან, მოსახლეობისათვის (სკრინინგის თაობაზე) ინფორმაციის მიწოდების სიმწირესთან, თვით სკრინინგული პროგრამის ტექნოლოგიების უქონლობასთან, ექიმ-სპეციალისტების სიმწირესთან და სხვა.

ამიტომ, გამომდინარე სიტუაციიდან უნდა განხორციელდეს სთანადო რისკ-ჯგუფების ჩამოყალიბება და შესაბამისი მონიტორინგის წარმოება. მხოლოდ ასეთ ვითარებაში შესაძლებელი იქნება სრულყოფილი სკრინინგის წარმართვა.

კვლევის მიზანია: რეალურად შეფასდეს სხვადასხვა სკრინინგული ტესტების გამოყენების ეფექტურობა კოლორექტული პათოლოგიის ადრეულ დიაგნოსტიკაში, რისკ-ჯგუფების ჩამოყალიბების და სწორად არჩეული სადიაგნოსტიკო ალგორითმის საფუძველზე.

სკრინინგის იდეალური მეთოდიკა უნდა გამოირჩეოდეს მაღალი მგრძობელობით და სპეციფიურობით, იგი უნდა იყოს ფართეთ მისაწვდომი და იაფფასიანი.

სკრინინგული პროგრამის ალგორითმის საწყისი ღონისძიება (ანკეტური მონაცემების შემდეგ) არის იდენტიფიკაციური ტესტი ფარულ სისხლდენაზე, რომელიც ძალზე პოპულარულია მთელს მსოფლიოში. იგი ჩასატარებლად მარტივი და იაფია, ეფექტურია ფონური და კიბოსწინა პროცესების და კოლორექტული კიბოს საწყისი ფორმების აღმოსაჩენად.

Marks R.D., et al. 1997. Maudel Z. et al, 1993; Winower S. et al, 1997. და სხვათა მონაცემებით რეგულარული ტესტირება ფარულ სისხლდენაზე (ნელინადმი ორჯერ) ამცირებს კოლორექტული კიბოთი სიკვდილიანობის მაჩვენებელს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი მეთოდი თავის სპეციფიკურობით დაბალია სხვა ტესტებთან შედარებით და ხშირად იძლევა ცრუ დადებით შედეგებს. მაგრამ თავისი მასიურობით და მოხმარების სიმარტივით იგი უცვლელია კოლორექტული პათოლოგიის სკრინინგში.

ჩვენმა კლინიკამ 2004 წელს გერმანელი კოლეგები-სგან უსასყიდლოდ მიიღო ფირმა „Beckman Coulter“ - ის მიერ წარმოებული ჰემოკულტესტის (ტესტი ფარულ სისხლდენაზე) ნიმუშები რომლებიც შემდგომ გამოყენებულ იქნა მეცნიერული კვლევებისათვის.

გარდა ფარული სისხლდენის ტესტირებისა გამოყენებული იქნა თანამედროვე სკრინინგის სხვა მეთოდებიც: 1. სპეციალური ანკეტური გამოკითხვა, ცხოვრების ხარისხის შეფასება. 2. თითო რევიზია და სიგმოიდოსკოპია. 3. მსხვილი ნაწლავის ენდოსკოპიური გამოკვლევა - კოლონოსკოპია ენდობიოპტატების ჰისტოპათოლოგია. 4. ირიგოსკოპია (ირიგოგრაფია). 5. ბაქტერიოლოგიური გამოკვლევები - მიკროფლორის დადგენა. 6. სხვადასხვა არაინვაზიური გამოკვლევები: ულტრაბგერითი სონოგრაფია (უს), კომპიუტერული ტომოგრაფია (კტ), ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია (ბმრტ).

სკრინინგის კომპლექსური მეთოდების შეფასებისას (ძირითადად მგრძნობელობა) ვსარგებლობდით ცნობილი ფორმულით — მგრძნობელობა (სენ) ასახვს ჭეშმარიტად დადებით შედეგების გამოვლენის უნარს და გამოითვლება ფორმულით:

$Sen = A : (A+C) \times 100\%$, სადაც A - ჭეშმარიტად დადებითი შედეგია, C - ცრუ უარყოფითი.

ანკეტური გამოკითხვის დროს ყურადღება ექცოდა ცხოვრების ხარისხის შესწავლას, სადაც ფასდებოდა ემოციური სფერო და ფსიქიური ჯანმრთელობა, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ფუნქციური კოლოპათიების დიაგნოსტიკის დროს. ვსარგებლობთ Thompson W. 1999 მიერ მოწოდებული უნივერსალური კითხვარით.

თსუ ახალგაზრდა კურსდამთავრებულმა ექიმებმა, რეზიდენტებმა და სტუდენტებმა 2004-2007 წლებში ჩვენი პროექტის მიხედვით ჰემოკულტესტის გამოყენებით აწარმოეს გამოკვლევა 370 პიროვნებაზე, რომლებიც გადანაწილებულია კვლევის სხვადასხვა ჯგუფში.

მსხვილი ნაწლავის ენდოსკოპიური გამოკვლევა (სიგმოიდოსკოპია, კოლონოსკოპია) სკრინინგული პროგრამის ძირითადი ნაწყვანი ტესტია. იგი შესაძლებლობას იძლევა რეალურ ვიზუალიზაციას მსხვილი ნაწლავის ნებისმიერი ადგილიდან ჰისტოპათოლოგიური კვლევისათვის ბიოპტატის აღებას, ასევე მცირეინვაზიური პროცედურების ჩატარებას დაწყებული გაფართოებული ბიოფსიით დამტავრებული სხვადასხვა ზომების ახლწარმონაქმნების ელექტროექსციზიით. მასალა იღებოდა ჰემატოქსილინით და ეოზინით. ელექტრონული მიკროსკოპისათვის, ფიქსაცია ხდებოდა 2,5% გლუტარალდეჰიდის და 1% ოსმიუმის ოთხჟანგის ხსნარებში (p-7,34). ულტრაბგერითი ანათლების შესწავლა ხდებოდა ელექტრონული მიკროსკოპით - TESLA BS-500 ამაჩქარებელი ძაბვის 70-90 კვტ პირობებში.

ძალზედ მნიშვნელოვანია მსხვილი ნაწლავის რეტროგრაფული კონტრასტირება ბარიუმით - ირიგოსკოპია, განსაკუთრებით მაშინ როდესაც შეფერხებულია ან დაუშვებელია კოლონოსკოპია და საჭიროა

დამატებითი ინფორმაცია. დიაგნოსტიკურ ალგორით-ში ირიგოსკოპიას ორმაგი კონტრასტირებით ჩვენ ვიყენებდით ენდოსკოპიის წარმოების ან მისი უკუჩვენების შედეგად.

მთლიანად ჩვენი მასალა მოიცავს 572 დაკვირვებას იმ პირებზე, რომლებიც სხვადასხვა მონაცემების მიხედვით დაყოფილი იყვნენ 3 ჯგუფად.

I ჯგუფი - 118 დაკვირვების ობიექტი იყო 50 წელს გადაშორებული პიროვნებები ძირითადად (მოხალისეები) ე.წ. „უსიმპტომო“ კონტიგენტი, მამაკაცი იყო - 29, ქალი - 89.

II ჯგუფი 251 დაკვირვება, 50-წელს გადაცილებული პირები (მამაკაცი-112, ქალი 139) კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მხრივ სხვადასხვა ჩივილებით (ტკივილი, მეტეორიზმი, ქრ. ყაბზობა, დიარეა, გამონადენი სწორი ნაწლავიდან) ძირითადად თერაპიულ და გასტროენტეროლოგიური სტაციონარების, ასევე ამბულატორიული პაციენტები. წარმოდგენილი კონტიგენტი საშუალო რისკ-ჯგუფს მიეკუთვნება.

III ჯგუფი 203 დაკვირვება (მამაკაცი-132. ქალი-71), რომელთაგანაც ოჯახურ ანამნეზში აღენიშნებოდა: მსხვილი ნაწლავის, პოლიპი და პოლიპოზი 98 (48,3%), კოლორექტული კიბო - 28 (13,7%)-ს, ეროზიულ-ნულულოვანი პროცესები 46 (24,1%)-ს, ხოლო 31 პირს (28,6%)-ს გადატანილი ჰქონდათ სხვადასხვა კოლოპროქტოლოგიური ოპერაციები (მსხვილი ნაწლავის რეზექცია, ჰემოროიდექტომია, ფისტულექტომია, პოლიპების და კონდილომების ექსციზია). ეს ჯგუფი მომატებული და მაღალი რისკ-ფაქტორების კონტიგენტს მიეკუთვნება.

I ჯგუფში ანკეტური გამოკითხვა, თითო ინსპექცია და ტესტი ფარულ სისხლდენაზე ჩატარდა ყველა გამოკვლეულს (n=118), სიგმოიდოსკოპია 29-ს, ტოტალური კოლონოსკოპია - 49 შემთხვევაში, ირიგოსკოპია 8-ჯერ, ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევა გაკეთდა მხოლოდ 7-ჯერ (25 ენდობიოპტატი) ჩვენებების მიხედვით.

მიღებულია ჰემოკულტ-ტესტის 12 დადებითი პასუხი. შემდგომი ენდოსკოპიური გამოკვლევით აღმოჩნდა სხვადასხვა ლოკალიზაციის ადენომატოზური პოლიპი - 7 შემთხვევა, (ერთეული - 3, მრავლობითი - 4-ჯერ). 5 - ტესტი მიჩნეულია ცრუ დადებითად, 5 - ცრუ უარყოფითად, მსხვილი ნაწლავის უსიმპტომოდ მიმდინარე დივერტიკულოზი - 6-ჯერ რომელიც დადგინდა ირიგოსკოპიით, 1 - ცრუ უარყოფითი შედეგით. ჰემოკულტესტის მგრძნობელობამ შეადგინა — 53.8%, ენდოსკოპია - 91.6%.

II ჯგუფში ანკეტური გამოკითხვა და თითო რევიზია ჩატარდა ყველა შემთხვევაში (n=251) ჰემოკულტესტი წარმოებულია 102-ჯერ (დადებითი პასუხი დაფიქსირდა 36-ჯერ), სიგმოიდოსკოპია - 46-ს, ტოტალური კოლონოსკოპია 205-ჯერ, ირიგოსკოპია - 45-ჯერ, ულტრასონოგრაფია - 37-ჯერ ენდობიოპტატის ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევა - 29-ჯერ.

ჰემოკულტესტი 6-ჯერ აღმოჩნდა ცრუ დადებითი, 10 - ცრუ უარყოფითი; როგორც შემდგომ დადას-

ტურდა, გამოწვეული, რკინის პრეპარატების და ასკორბინის მუავის მიღებასთან დაკავშირებით.

ენდოსკოპიური კვლევით 23 შემთხვევაში აღმოჩნდა სხვადასხვა ლოკალიზაციის პოლიპი (ერთეული 23, მრავლობითი - 10), სიგმოიდურ კოლინჯის კიბო - 2 შემთხვევა (რომელიც დადასტურებულია მორფოლოგიურად), დივერტიკულოზი და დივერტიკულიტი - 10-ჯერ, ცრუ უარყოფითი 4 შემთხვევა, ყველა შემთხვევაში დადასტურდა ირიგოსკოპიით პროქტოსიგმოიდითი - 46. ჰემოკულტესტის მგრძობელობამ 78.9% შეადგინა, ენდოსკოპიურმა კვლევამ - 88.2%.

III ჯგუფში, ანექტური გამოკითხვა და თითო რევიზია ჩაუტარდა ყველას. ჰემოკულტ-ტესტი გაკეთდა 150-ჯერ. დადებითი პასუხი აღმოჩნდა 58 შემთხვევაში, სიგმოიდოსკოპია გაკეთდა 38 შემთხვევაში, ტოტალური კოლონოსკოპია - 165, ირიგოსკოპია - 81-ჯერ, ბიოპტატების ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევა - 70 შემთხვევაში, მუცლის ღრუს უს - 83, ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა ჩაუტარდა 189 პაციენტს, კტ - 2-ს, ცრუ დადებითი ჰემოკულტესტი აღმოჩნდა 12-ჯერ, ცრუ უარყოფითი - 9-ჯერ.

კოლორექტული კიბოს ოპერაციის შემდგომი რეციდვი აღმოჩენილია 8 შემთხვევაში, ერთეული პოლიპი - 30-ჯერ, ჯგუფური და მრავლობითი პოლიპები - 28-ჯერ. ეროზიულ-წყლულოვანი პროცესები 23-ჯერ, მეგაკოლონი - 10, დივერტიკულოზი - 27, ფუნქციური კოლოპათიები - გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი დიაგნოსტირებულია - 68 შემთხვევაში, პროქტოსიგმოიდითი - 48. ბაქტერიოლოგიური გამოკვლევებით უმრავლეს შემთხვევაში დადასტურდა სხვადასხვა ხარისხის დისბაქტერიოზი. ჰემოკულტესტის მგრძობელობამ ამ ჯგუფში შეადგინა 83.6%, ხოლო ენდოსკოპიურმა კვლევამ - 94%.

გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომის (გნს) დროს აღებული ბიოპტატების ელექტრონულ მიკროსკოპიულმა ანალიზმა გვიჩვენა: ეპითელიური უჯრედების მკვეთრად შეცვლილი ულტრასტრუქტურა, რაც გამოიხატება ბაზალური მემბრანის დეფორმაციით, ეპითელიური უჯრედების ცვლილებათა მოზაიკური სურათით - შეუცვლელი და დეფორმული ბირთვის მქონე გამორეცხილი ენტეროციტების არსებობით.

წყლულოვანი პროცესების გამწვავების დროს ჰისტოლოგიური სურათი წარმოდგენილია სტრომის მკვეთრი ნეიტროფილური და ეოზინოფილური ინფილტრაციით, გრანულოციტების მიგრაციით ეპითელიური საფარის სისქეში ამ უკანასკნელის დისპლაზიური ცვლილებების გარეშე.

ახალწარმონაქმნების პათოჰისტოლოგიური დიაგნოზი და სტრუქტურა განისაზღვრებოდა როგორც ენდობიოპტატების, ასევე ენდოსკოპიური პოლიპექტომიის მასალის შესწავლის შედეგად.

მცირე ზომის პოლიპის 71 შემთხვევიდან მორფოლოგიური ვერიფიკაცია წარმოებულა 58-ჯერ, არცერთ მათგანში დისპლაზია არ იყო აღმოჩენილი.

საშუალო ზომის 22 ახალწარმონაქმნიდან (0,6-2,0სმ) ჰისტოლოგიური სტრუქტურა შესწავლილია 18-შემთხვევაში, სხვადასხვა ხარისხის დისპლაზია

დადგენილია 10-ჯერ, პოლიპის მალიგნიზაცია აღმოჩენილია - 2 შემთხვევაში.

დიდი ზომის წარმონაქმნების (2სმ-ზე მეტი) ყველა 16 შემთხვევის ენდობიოპტატური მასალის შესწავლით დადგინდა: ტუბულურ-ადენომატოზური ფორმა - 10, (დისპლაზიის 6 შემთხვევით), ტუბულურ-ხაოიანი ფორმა თანმხვედრი დისპლაზიით - 4, მალიგნიზირებული პოლიპი - მაღალი დიფერენციაციის ადენოკარცინომა - 2.

ყველა პაციენტს ჩაუტარდა რადიკალური კორექცია სხვადასხვა მეთოდით. მათ შორის, ორ პაციენტს მსხვილი ნაწლავის ადენოკარცინომით - ტრანსაბდომინური ოპერაცია. დანარჩენ 14 პაციენტს - ენდოსკოპიური პოლიპექტომია.

In Situ ინვაზიური ადენოკარცინომის დროს აღინიშნება სიმსივნური ქსოვილის ჩაზრდა პოლიპის ლორწვეშა ფუძეში.

დიდი ზომის ტუბულო-ვილოზური ტიპის პოლიპის შემთხვევებში მალიგნიზაციის რისკის მარკერის - III ხარისხის დისპლაზიის სიხშირე მერყეობდა - შემთხვევათა 58-64% და წარმოდგენილი იყო ეპითელიური უჯრედების ბირთვ-ციტოპლაზმური ურთიერთობის ღრმა ტიპებით, ნუკლეოლების გამოვლენით და ბირთვების ზომის ზრდით.

ჩატარებულმა სკრინინგულმა კვლევებმა წარმოაჩინა მრავალი საინტერესო თავისებურება, როგორც თვით სკრინინგის პრინციპების, ასევე საკუთრივ მეთოდების გამოყენების მხრივ.

მნიშვნელოვანია რამდენიმე მომენტის გათვალისწინება: სახელდობრ, 50 წელს გადაცილებულ პირებში ე.წ. „უსიმპტომო კონტიგენტში“ დეტალური გამოკითხვა (ანექტური სკრინინგი) და აქტიური პროპაგანდა ფარულ სისხლდენაზე ტესტის ჩასატარებლად. ფარული სისხლდენის იდენტიფიკაციის საშუალოდ 3 ჯგუფში ჭეშმარიტად დადებითი პასუხი (დამტკიცებული შემდგომ კოლონოსკოპიით, ბიოფსიით, ირიგოსკოპიით) აღმოჩნდა - 58-ჯერ, მათ შორის ახალწარმონაქმნით 51, დივერტიკულოზი, ეროზიული კოლიტი - 7-ჯერ.

კოლონოსკოპია სკრინინგულ პროგრამაში ყველაზე მგრძობიარე და ინფორმაციული ტესტია, როგორც კიბოსწინა პროცესების, კოლორექტული კიბოს, ფუნქციური კოლოპათიების დიაგნოსტიკაში, ასევე მცირე ინვაზიური ღონისძიებების (ბიოფსია, ექსციზია) წარმოების დროს. მარტო ენდოსკოპიური მეთოდით საშუალებით დადასტურებულია მრავალი ახალწარმონაქმნი, მათ შორის კოლორექტული კიბოს როგორც პირველადი ასევე, რეციდიულ შემთხვევები, ხოლო ფუნქციური კოლოპათიების დროს კოლონოსკოპიის საშუალებით აისახა ამ პროცესის ენდოსემიოტიკაც.

სკრინინგში მნიშვნელოვანი როლი რენტგენოლოგიური გამოკვლევა - ირიგოსკოპიას ენიჭება, ზოგჯერ კოლონოსკოპია ვერ უზრუნველყოფს ვიზუალიზაციას. ისეთი პათოლოგიის დროს, როგორცაა, მაგალითად მეგაკოლონი ან დივერტიკულოზი. ასევე ზოგჯერ, ნაკლებ სარწმუნოა რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა

მცირე ზომის კიბოს და ეროზიების შემთხვევაში. ამიტომ, მნიშვნელოვანია ამ ორი მეთოდის შეთავსება.

დანარჩენი არაინვაზიური მეთოდები - უს, კტ, ბმრტ ნაჩვენებია მხოლოდ განსაკუთრებულ რთული პროცესების ვერიფიკაციისათვის.

მთლიანობაში სკრინინგული პროგრამის ღონისძიებების ძვირადღირებულებამ და მასიური პროფილაქტიკური ღონისძიებების სირთულეებმა განსაზღვრა რისკ-ჯგუფების ჩამოყალიბების აუცილებლობა სამი ძირითადი ფენომენის გათვალისწინებით — ასაკი, კლინიკური ნიშნები, სავარაუდოდ დატვირთული ოჯახური გენეზი და მათი ტესტირება ჩვენების მიხედვით, რაც მოსახლეობისთვის ნაკლებად ღირებული და შედარებით მისაწვდომ ღონისძიებებად იქნება მიჩნეული.

ჩატარებულმა სამუშაოებმა ნათლად დაგვანახა ცალკეული ტესტის ინფორმაციულობა და გამოყენების ადექვატურობა, განსაკუთრებით მასობრივი ტესტირება ფარულ სისხლდენაზე და ენდოსკოპიური სკრინინგი. ამიტომ კიბოს პროფილაქტიკის ძირითად ელემენტს წარმოადგენს სწორედ უსიმპტომოდ მიმდინარე კიბოსწინა და სხვა ქრონიკული პროცესების დადგენა ამ მეთოდების გამოყენებით.

სკრინინგის შედეგების მტკიცებულება აუცილებლად შედარებული უნდა იყოს საკონტროლო მონაცემებთან და დადასტურებული ჰისტოპათოლოგიური კვლევით.

ლიტერატურა:

1. Butt J.H., Lennard-Jones J.E., Richie J.K. A practical approach to the risk of cancer in inflammatory bowel disease: reassure, watch, or act? // Med. Clin. North Amer. – 1980.-Vol. 64. –P.1203-1220.
2. Imperiale T., Wagner D., Lin Ch. et al. Risk of advanced proximal neoplasms in asymptomatic adults according to the distal colorectal findings. New Engl. J. Med., 2000, 343, 3:169.
3. Liberman D., Weiss D., Bond J. et al. use of colonoscopy to screen asymptomatic adults for colorectal cancer. New Eng. J. Med., 2000, 343, 3:1.
4. Marks R.D., Hall G., Veerapalli R. et al. Fecal occult blood testing. Gastroenterol., 1997, 112,4 4:A28.
5. Mandel J.S., Bond J.H., Church T.R. et al . Reducing mortality from fecal occult blood // New Engl. J. Med. - 1993. – Vol. 328 – P. 1365-1371.
6. Thompson W.G., Longstreth G.F., Drossman D.A. et al. functional bowel disorders and Functional abdominal pain // Gut. – 1999. – vol.45, suppl.2.-p.43-47.

Abuladze T., Gogiashvili L., Turiashvili N., Kvashilava L., Chachanidze N., Kukulava N.

PRIORITIES OF SCREENING IN EARLY DIAGNOSTICS OF COLORECTAL PATHOLOGY

Proctology Division of TSMU Surgery Department, Tbilisi Iashvili Proctologic Centre, Natishvili Experimental Morphology Institute of National Scientific Academy, Young Medical Servants, Residents and TSMU Student Group

The early diagnostic unified algorithm and screenings represent an issue in current coloproctology. The mass-scale prophylaxis examinations play the most important role in early diagnostics of colon pathology today.

The purpose of our research was to evaluate the efficacy of various screening tests on correctly chosen diagnostic algorithmic grounds in early diagnostics of colorectal pathology.

The modern screening tests used were as follows:

1. specific questionnaires on the quality of living;
2. tests on occult hemorrhages;
3. finger revision and sygmoidoscopy;
4. colonoscopy;
5. endobioptic histology;
6. Irrigoscopy (irrigography)
7. bacteriologic examinations;
8. various non-invasive examinations;

The screening testing was performed on 572 subjects, divided into 3 groups.

The several important points need to be mentioned: priorities in aged group (over 50), the so called “nonsymptomatic group” were detailed questionnaires and active propagation of occult hemorrhage testing revealing 58 positive cases. Comprehensiveness of each testing and their adequate application is essential. Endoscopic screenings, in particular, helped in early diagnostics of numerous neoplasms and differentiation of tumors (e.g. colorectal cancer) or functional colopathies.

ანვერელი ლ., გვენეტაძე ზ., დანელია თ.

ცხვირის ანატომიური რეკონსტრუქციისა და ესთეტიკური კორექციის ერთმომენტიანი მეთოდი, როგორც პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალური გზა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ძირუბაგიული სტომატოლოგიისა და ყაბ-სახის ძირუბაგის დეპარტამენტი

ცხვირის შექმნილი დეფორმაციის უხშირეს მიზეზს ტრავმული დაზიანება წარმოადგენს. შედარებით იშვიათად ცხვირის დეფორმაციები ან დეფექტები შეიძლება განვითარდეს ანთებითი ან სიმსივნური პროცესების შედეგადაც. ცხვირის შექმნილი დეფორმაციები, გამომდინარე მიყენებული ძალის სიდიდიდან და მიმართულებიდან, შეიძლება დაიყოს ხუთ ძირითად ჯგუფად:

ა) დეფორმაცია, გამონვეული მსხლისებური შესავლის კიდებებისა და ცხვირის ძვალ-ხრტილოვანი ჩონჩხის დაზიანებით, რის შედეგადაც გარეთა ცხვირი არის გაბრტყელებული ან გადანაცვლებული ცხვირის ღრუს მიმართულებით.

ბ) დეფორმაცია, გამონვეული ცხვირის ძვლოვანი ჩონჩხის დაზიანებით, რის გამოც ცხვირის ზურგის, ძვლოვანი ნაწილი ჩავარდნილია, ხოლო ხრტილოვანი ნაწილი გადანაცვლებულია ზევით.

გ) დეფორმაცია, გამონვეული ცხვირის ჩონჩხის ხრტილოვანი ნაწილის დაზიანებით, რის შედეგადაც ცხვირის ზურგის ძვლოვანი ნაწილი გამოიყურება ნორმალურად, ხოლო ხრტილოვანი ჩავარდნილია და გადანაცვლებულია ცხვირის ღრუს მიმართულებით.

დ) დეფორმაცია, გამონვეული ცხვირის ძვალ-ხრტილოვანი ჩონჩხის ცალმხრივი დაზიანებით, რის გამოც ცხვირის შესაბამისი ნახევარი გადანაცვლებულია ცხვირის ღრუს მიმართულებით.

ე) დეფორმაცია, გამონვეული გვერდიდან მიყენებული ტრავმით, ცხვირის ძვალ-ხრტილოვანი ჩონჩხის დაზიანებით და გადანაცვლებით ტრავმის საპირისპირო მხარეს (ცენტრის დარღვევა).

იმდენად, რამდენადაც ცხვირი წარმოადგენს სახის ცენტრალურ ორგანოს, მისი ფორმის უმნიშვნელო ცვლილება კი არღვევს სახის ინდივიდუალურობას. ვინაიდან ცხვირის შექმნილი დეფორმაციების უხშირეს შემთხვევებში ადგილი აქვს კოსმეტიკური და ფუნქციური ხასიათის დარღვევებს, იქმნება ორგანოს როგორც ანატომიური რეკონსტრუქციის, ისე კოსმეტიკური კორექციის აუცილებლობა. ჩვეულებრივ, ცხვირის შექმნილი დეფორმაციების რთული შემთხვევების დროს ქირურგები ირჩევენ ოპერაციული მკურნალობის ორეტაპიან მეთოდს: ისინი თავდაპირველად მიმართავენ ორგანოს ანატომიურ რეკონსტრუქციას, რაც უზრუნველყოფს ცხვირით სუნთქვის აღდგენას და ფორმის მეტ-ნაკლებ კორექციას (ანატომიური რინოპლასტიკა), ხოლო შემდეგ, ნარჩენი დეფორმაციის გათვალისწინებით - მის ესთეტიკურ კორექციას (კოსმეტიკური რინოპლასტიკა).

გამომდინარე ჩვენი ბოლო სამი წლის დაკვირვებებიდან (14 კლინიკური შემთხვევა) ვთვლით, რომ ცხვირის შექმნილი დეფორმაციების დროს პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე მოკლე და ეფექტური გზა არის ცხვირის ანატომიური რეკონსტრუქციისა და ესთეტიკური კორექციის ერთმომენტიანი მეთოდი.

ჩვენს მიერ ოპერირებული 14 ავადმყოფიდან 1 ავადმყოფი მიეკუთვნებოდა ცხვირის დეფორმაციის ა ჯგუფს, 6 - ბ ჯგუფს, 4 - გ ჯგუფს, 0 - დ ჯგუფს და 3 - ე ჯგუფს.

თითოეულ კლინიკურ შემთხვევაში, დეფორმაციის ხასიათიდან გამომდინარე, ვადგენდით ოპერაციული ჩარევის გეგმას. ოპერაციას ვატარებდით ენდოტრაქეალური ნარკოზით.

ცხვირის დეფორმაციის ყველაზე რთული შემთხვევა (ა ჯგუფი), როგორც აღვნიშნეთ, გამოვლინდა მხოლოდ ერთ კლინიკურ შემთხვევაში. საქმე შეეხე-

ბოდა სატრანსპორტო ტრავმას. ვინაიდან ავადმყოფის მდგომარეობა იყო მძიმე, მისი ტრანსპორტირება რაიონული კლინიკიდან მოხერხდა მხოლოდ მეთერთმეტე დღეს. ავადმყოფს ჰქონდა ცხვირის ძვლების, ძვლოვანი ძვიდის და ზედა ყბის ცხვირის მორჩების მრავლობითი მოტეხილობა, რის გამოც ცხვირის ზურგი იყო გაბრტყელებული და რამდენადმე გადანაცვლებული ცხვირის ღრუს მიმართულებით. დეფორმაციას განიცდიდა ცხვირის ხრტილოვანი ჩონჩხიც. კერძოდ, სამკუთხა ხრტილები მოცილებული იყო როგორც ცხვირის ძვლოვანი ჩონჩხიდან, ისე ცხვირის ძვიდის ხრტილოვანი ნაწილიდან. ერთმანეთისგან იყო გათიშული აგრეთვე დიდი ფრთისებური ხრტილების მუხლებიც, რის გამოც ცხვირის მწვერვალი იყო გაორებული. ამიტომ გადაწყდა ერთმომენტიანი ოპერაციული ჩარევით გადაწყვეტილიყო როგორც ფუნქციური, ისე კოსმეტიკური ხასიათის პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ შეხორცებით პროცესი იყო დაწყებული, ენდო- ეგ ზონაზალური მიდგომით მოხერხდა ცხვირის ძვლოვანი ფრაგმენტების რეპოზიცია, აღდგა ცხვირის ზურგის სიმაღლე და დროებით, წინა ტამპონადის საშუალებით დაფიქსირდა სწორ დგომაში. შემდეგ ორივე მხარეს გატარდა ენდონაზალური განაკვეთები ცხვირის ფრთებზე და ძვიდეზე, ლორწოვანისა და კანის საზღვარზე. აღნიშნული განაკვეთების წინა კიდები შეერთდა ცხვირის ძვიდის ქვედა კიდზე გატარებული განაკვეთით. აშრევდა რბილი ქსოვილები ცხვირის ზურგზე ერთი მთლიანი ნაფლეთის სახით და მობილიზდა ზევით. დაირღვა ახლადწარმოქმნილი შემაერთებელი ქსოვილი ცხვირის დეფორმირებულ ხრტილებსა და ძვლოვან ფრაგმენტებს შორის. სამკუთხა ხრტილები გადანაცვლდა და დაფიქსირდა სწორ პოზიციაში, ერთის მხრივ, ცხვირის რეპონირებული ძვლების პერიოსტუმთან, ხოლო მეორეს მხრივ - ცხვირის ძვიდესთან, კერძოდ, ოთხკუთხა ხრტილის წინა კიდესთან. ერთმანეთისაგან გათიშული დიდი ფრთისებური ხრტილების მუხლები ასევე მობილიზდა და დაფიქსირდა სწორ მდებარეობაში როგორც ერთმანეთთან, ისე სამკუთხა ხრტილების ქვედა კიდებთან. ამდენად, აღმოიფხვრა ცხვირის მწვერვალის გაორება. ეგ ზონაზალურად, ორივე მხრიდან ერთდროული ზენოლით შეიკუმშა ცხვირის ფუძე. ვინაიდან ადგილი ჰქონდა მსხლისებური შესავლის კიდებების დაზიანებას, ცხვირის ფუძის შეკუმშვის შემდეგ შეიქმნა მონატეხი ფრაგმენტების სწორ დგომაში იმობილიზაციის პრობლემა. აღნიშნულის გამო პირველ ეტაპზე მონატეხი ფრაგმენტების იმობილიზაცია მოხდა ცხვირის ფუძეზე გატარებული II-ს მაგვარი მავთულოვანი ნაკერით, რომლის საშუალებითაც ცხვირის ზურგის ორივე მხარეს დაფიქსირდა მამოდეღირებელი მორგებები. ოპერაცია დასრულდა ფრაგმენტების ენდონაზალური იმობილიზაციით, ანტისეპტიკურ მალამოში დასველებული ფილტებით, რომლებიც გატარდა II-ს მაგვარი ნაკერის ზევით. ოპერაციიდან 10 დღის

შემდეგ მოიხსნა II-ს მაგვარი ნაკერი და ცხვირის შემდგომი მოდელირება გაგრძელდა ენდო- ეგზონ- აზალური მიდგომით, ანტისპეტიკური ფილტებისა და თაბაშირის მამოდელირებელი ნახვევის გამოყენებით. ამდენად, ერთმომენტიანი ოპერაციული ჩარევით ერთდროულად გადაიჭრა ორივე პრობლემა - ცხვირის ფუნქციისა და ესთეტიკური ფორმის აღდგენა.

როგორც აღინიშნა, ჩვენს მიერ ოპერირებული ექვსი ავადმყოფი მიეკუთვნებოდა ცხვირის დეფორმაციის ბ ჯგუფს. აქედან ოთხ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საყოფაცხოვრებო, ერთ შემთხვევაში - სპორტულ და ერთ შემთხვევაში - სატრანსპორტო ტრავმას. ექვსივე შემთხვევაში აღინიშნებოდა ცხვირის ზურგის ძვლოვანი ნაწილის ჩავარდნა, რაც გამოწვეული იყო ცხვირის ზურგის ძვლებისა და ცხვირის ძვლოვანი ძვირის მოტეხილობით. ამასთან, აღინიშნებოდა ცხვირის ხრტილოვანი ნაწილის დეფორმაცია, ვინაიდან ცხვირის ზურგის ჩავარდნის გამო ეს უკანასკნელი განიცდიდა გადაანაცვლებას რამდენადმე ზევით. აღნიშნული ჯგუფის ავადმყოფებში ყველაზე დიდ სირთულეს რეკონსტრუქციული რინოპლასტიკის დროს წარმოადგენს ცხვირის დაბალი (უნაგირისებური) ზურგის აღდგენა. როდესაც ამ თვალსაზრისით დეფორმაცია უმნიშვნელოა, შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს ცხვირის ძვლების ცენტრალური და გვერდითი ოსტეოტომიის ჩატარება ძვირის ოპერაციულ კორექციასთან ერთად და ძვლოვანი ფრაგმენტების სწორ მდგომარეობაში იმობილიზაცია. ცხვირის ზურგის მნიშვნელოვანი ჩავარდნის დროს, გარდა ცენტრალური და გვერდითი ოსტეოტომიისა და ძვირის ოპერაციული კორექციისა, აუცილებელია ქსოვილოვანი დეფიციტის შევსებაც. ჩვენს მიერ ბ ჯგუფის 6 პაციენტიდან, 4 შემთხვევაში ცხვირის დაბალი ზურგის კორექციის მიზნით გამოყენებული იქნა აუტოხრტილი, ხოლო 2 შემთხვევაში - ტიტანის ბადისებური ფირფიტა. ჩვეულებრივ, ასეთი დეფორმაციების დროს აუტოტრანსპოლანტატად გამოიყენება ნეკნის ძვალხრტილოვანი ფრაგმენტი. სიახლეს ჩვენს შემთხვევაში წარმოადგენდა ის, რომ აუტოტრანსპლანტატად ვიყენებდით ცხვირის ძვირის დეფორმირებული ოთხკუთხა ხრტილიდან აღებულ ფრაგმენტს, რომელსაც გამოვყოფდით ორივე მხრიდან სუბმუკოზურად და რეზექციის შემდეგ ძვირის ლორწოვანი გარსის მთლიანობას აღვადგენდით ატრავმული ნაკერებით. ამის შემდეგ კლასიკური მეთოდით ტარდებოდა ცხვირის ძვლების შუა და გვერდითი ოსტეოტომია და ცხვირის ფუძის შეკუმშვა, რითაც ერთდროულად ვაღწევდით ცხვირის ზურგის ამაღლებას. ცხვირის ზურგის მოდელირება ნორმამდე ანუ ნარჩენი დეფორმაციის აღმოფხვრა ხდებოდა ძვირიდან აღებული აუტოხრტილის ფორმირებით და შეტანით დეფორმაციის უბანში. აუტოხრტილი შეიძლება ფიქსირებული იქნას თაბაშირის მამოდელირებელი ნახვევით ან ნაკერით (ამ უკანასკნელის შემთხვევაში აუცილებელი ხდება დამატებითი განაკვეთის გატარება ძვირის ფუძეზე და რბილი

ქსოვილების ნაფლეთის ათიშვა ცხვირის ზურგიდან). ამდენად, აღნიშნული ჩარევით ვახდენდით როგორც ძვირის დეფორმაციის ლიკვიდაციას, ისე ცხვირის ზურგის კორექციას.

როგორც აღვნიშნეთ, ორ შემთხვევაში აუტოხრტილის ნაცვლად ცხვირის უნაგირისებური ზურგის მოდელირების მიზნით გამოყენებული იქნა ტიტანის ბადისებური ფირფიტა, რომელიც სათანადო ზომაზე გამოჭრის შემდეგ მოიხარა, მიეცა ცხვირის ზურგის ფორმა და დაფიქსირდა ცხვირის ძვლების პერიოსტუმთან.

აღნიშნული ორ კლინიკური შემთხვევიდან 2 შემთხვევაში, პაციენტის სურვილის გათვალისწინებით მოხდა ცხვირის ესთეტიკური კორექცია, კერძოდ, სიგრძეში დამოკლება ოთხკუთხა და დიდი ფრთისებური ხრტილების ქვედა კიდეების რეზექციით. ცხვირის ოპერაციის შემდგომი მოდელირება მიმდინარეობდა ტრადიციულად ენდო- ეგზონაზალური იმობილიზაციით.

ჩვენს მიერ ოპერირებული ოთხი ავადმყოფი მიეკუთვნებოდა ცხვირის დეფორმაციის გ ჯგუფს. ოთხივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საყოფაცხოვრებო ტრავმას. ოპერაცია აღნიშნულ ჯგუფში ტექნიკურად შესრულდა შემდეგნაირად: გატარდა ენდონაზალური განაკვეთები ცხვირის ფრთებზე და ძვირზე და დამატებითი შემაერთებელი განაკვეთი ძვირის ფუძეზე. გათიშა რბილი ქსოვილები ცხვირის ზურგზე ნაფლეთის მობილიზაციით და ცხვირის ზურგის გაშიშვლებით. გათიშა ფიბროზული შემაერთებელი ქსოვილი ცხვირის ხრტილოვანი ძვირის წინა კიდეა და სამკუთხა და დიდი ფრთისებურ ხრტილებს შორის. ხრტილები მობილიზდა და შეიკერა ერთმანეთთან სწორ მდგომარეობაში. ცხვირის ჩავარდნილი მწვერვალის ამაღლების მიზნით დიდი ფრთისებური ხრტილების მუხლები გადაანაცვლდა ერთმანეთის მიმართულებით, დუბლირდა და დაფიქსირდა კვანძოვანი ნაკერებით. ვინაიდან ცხვირის ძვლოვანი ჩონჩხი აღნიშნულ კლინიკურ შემთხვევებში დაზიანებას ფაქტიურად არ განიცდიდა, სამი პაციენტის შემთხვევაში ცენტრალური და გვერდითი ოსტეოტომია და ცხვირის ფუძის შეკუმშვა არ გვიწარმოებია. ერთ შემთხვევაში, იმის გამო, რომ ავადმყოფს ჰქონდა ცხვირის ბუნებრივად ფართო ფუძე, მისი სურვილის გათვალისწინებით, ხრტილოვანი ნაწილის კორექციასთან ერთად ჩატარდა ოსტეოტომია და ფუძის შეკუმშვა.

როგორც აღვნიშნეთ, სამი ავადმყოფი მიეკუთვნებოდა ცხვირის დეფორმაციის ე ჯგუფს. აქედან ორ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საყოფაცხოვრებო, ხოლო ერთ შემთხვევაში - სატრანსპორტო ტრავმას.

აღნიშნულ ჯგუფში ცენტრალური და გვერდითი ოსტეოტომიის ჩატარებამდე მოხდა ძვალ-ხრტილოვანი ძვირის ოსტეოტომია, მისი ფუძიდან მოყოლებული, მთელ სიგრძეზე. ორ შემთხვევაში ძვირის ოსტეოტომია ჩატარდა ენდონაზალური მიდგომით, ერთ შემთხვევაში კი - ინტრაორალური მიდგომით, ენდონაზალურად ფრთებზე და ძვირებზე ტიპიური განაკვეთების გატარების შემდეგ ოთხკუთხა ხრტი-

ლის ქვედა კიდის შეჭრა ხდებოდა ქირურგიული მაკრატლის საშუალებით, ჭრილში იდგებოდა სატეხი და ჩაქურჩის წყვეტილი დარტყმებით ხდებოდა ძვიდის ოსტეოტომია მთელ სიგრძეზე. ამის შემდეგ ტარდებოდა შუა და გვერდითი ოსტეოტომია. რამდენადაც, ცხვირის ძვიდე და კედლები ხდებოდა მოძრავი, იქმნებოდა ცხვირის ცენტრალურად დადნაცვლების შესაძლებლობა, რის შემდეგაც იკერებოდა ჭრილობები და ცხვირის ძვალ-ხრტილოვანი ჩონჩხი იმობილიზირდებოდა ენდო- ეგზონაზალური მიდგომით.

ცხვირის ძვიდის ინტრაორალური ოსტეოტომია ჩატარდა კარიბჭის მხრიდან მიდგომით. ამისთვის ზედა ცენტრალური საჭრელების პროექციაზე, კარიბჭის თაღზე გატარდა 1,5 სმ სიგრძის განაკვეთი, საიდანაც ცხვირის ძვიდის ფუძეზე შეტანილი იქნა სატეხი და ძვიდე ოსტეოტომირდა მთელ სიგრძეზე. ოპერაციის დანარჩენი ეტაპები ჩატარდა ტიპიურად.

ჩვენს მიერ ოპერირებული 14 ავადმყოფიდან 11 შემთხვევაში მოხერხდა ცხვირის ფუნქციისა და ფორმის აღდგენა ნორმამდე, 2 შემთხვევაში აღინიშნა ცხვირის ფორმის ოპერაციის შემდგომი ნარჩენი დეფორმაცია, რაც გამოვლინდა სხვადასხვა ხარისხით გამოხატულ ასიმეტრიაში, 1 შემთხვევაში კი - ცალი მხრიდან სუნთქვის გაძნელება ძვიდის არასრული რეპოზიციის გამო. ზოგადად, ცხვირის დეფორმაციის ისეთი რთული შემთხვევებისთვის რომლებიც ჩვენს კლინიკურ ჯგუფში იქნა შეყვანილი, მიღებული შედეგები შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცხვირის ტარვმული დეფორმაციების რთულ შემთხვევებში მისი ანატომიური რეკონსტრუქცია ესთეტიკურ კორექციასთან ერთად, როგორც ოპერაციული მკურნალობის ერთმომენტიანი მეთოდი, წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ გზას.

ლიტერატურა

1. Н.М.Александров, П.З.Аржанцев. Травмы челюстно-лицевой области. Москва.: Медицина, 1986, 193 с.
2. Н.М.Александров. Клиническая оперативная челюстно-лицевая хирургия. Ленинград.: Медицина 1985, 283 с.
3. Ю.И.Бернадский. Травматология и восстановительная хирургия челюстно-лицевой области. Киев, 1985, 239 с.
4. Ronald P. Gruber, George C. Peck, Rhinoplasty, Mosby-Year Book, 1993, p. 113.
5. E.Reichenbach, Traumatologie im Kiefer-Gesichts-Bereich, Leipzig 1969, S. 439.

Atskvereli L., Gvenetadze Z., Danelia T.

NOSE ANATOMICAL RECONSTRUCTION AND THE AESTHETIC CORRECTION WITH ONE-STEP METHOD, AS THE BEST WAY TO SOLVE THE PROBLEM

14 people with traumatic nose deformation have been observed by authors during last 3 years. Patients' cosmetic and function disorders were common.

According to the deformation of the bone-chondral skeleton, the patients were distributed into four groups. Taking the character of the deformation into consideration, the tactic of surgical intervention had been defined in advance. The operations had been carried out under the narcosis. The researchers describe the peculiarities of surgical interventions in case of different types of nose deformation.

Based on the results of the study, the authors consider the one-step surgical intervention as the most effective way to make nose anatomical reconstruction and aesthetic correction.

ახმეტელი ლ., საგინაშვილი ლ., ძნელაძე ზ.

ნანლაჟთა ინვაგინაცია მოზრდილებში

თსსუ-ის ქირურგიის №1 დეპარტამენტი

ინვაგინაცია ნანლაჟთა მწვავე გაუვალობის თავისებური ფორმაა, რომელიც როგორც ობტურაციის, ისე სტრანგულაციის ელემენტებს შეიცავს. გაუვალობის ეს ფორმა ბავშვთა ასაკის ხვედრია, სადაც იგი გაუვალობის საერთო რაოდენობის 70-80%-ს შეადგენს, რომელთაგან 80-90% ერთ ნლამდე ასაკის ბავშვებზე მოდის. თუმცა არის მონაცემები, რომ ბოლო დროს ინვაგინაციის შემთხვევები 1 წელს გადაცილებულ ბავშვებშიც ვახშირდა და თითქმის 50% მიაღწია (მ.კ. ბელიაევი, 2003).

ბავშვთა ასაკში ნანლაჟის ინვაგინაციის სიხშირეზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ საკითხზე გამოქვეყნებულ შრომებში გახილულია ნანლაჟის ინვაგინაციის ასეული შემთხვევა. მაგ. ე.პ. ანტონინა და მ.ვ. ბოიკო (1990) იხილავენ ნანლაჟის ინვაგინაციის 726 შემთხვევას.

მოზრდილთა შორის ნანლაჟის ინვაგინაცია გაცილებით იშვიათია. ცალკეულ პუბლიკაციებში ერთეული, უკეთეს შემთხვევაში ნანლაჟის ინვაგინაციით განვითარებული გაუვალობის ათეული შემთხვევა აღწერილი.

ჩვენი მასალით (თსსუ ცენტრალური კლინიკა) ბოლო 10 წლის მანძილზე (1998-2007 წ.წ.) ნანლაჟთა მწვავე გაუვალობის 458 შემთხვევიდან ნანლაჟის ინვაგინაცია აღინიშნა მხოლოდ 11-ჯერ (2,4%), მათგან - მამაკაცი-6, ქალი-5, 30-დან 64 წლამდე.

ინვაგინაცია შეიძლება განიცადოს კუჭ-ნანლაჟის ტრაქტის ყველა იმ ორგანოში, რომელსაც ჯორჯალი გააჩნია - წვრილი და მსხვილი ნანლაჟი, ჭია დანამატი, მეკელის დივერტიკული.

ბავშვთა ასაკში ინვაგინაციის ყველაზე ხშირი ფორმა ილეოცეკალური ინვაგინაციაა, რაც, ავტორთა მონაცემებით, 95% აღწევს. წვრილი ნაწლავის მონაკვეთების ერთი-მეორეში ჩანერგვა მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში გვხვდება.

მოზრდილებში თანაფარდობა განსხვავებულია. ჩვენს მასალაზე ინვაგინაციის 11 შემთხვევიდან ილეოცეკალური ინვაგინაცია აღენიშნა 5-ს. წვრილი ნაწლავის წვრილ ნაწლავში ინვაგინაცია იყო 4-ჯერ, წვრილი ნაწლავის ინვაგინაცია ბრაუნის შერთულში 1-ჯერ და ერთ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ინვაგინაციის ძალზე იშვიათ ფორმას - მეკელის დივერტიკულის ინვაგინაციას წვრილ ნაწლავში: ანთებითად შეცვლილი დივერტიკული (ცეკუმიდან 80-90 სმ დაცილებით) ჩაბრუნებული იყო წვრილი ნაწლავის სანათურში, ამ არეში მოწებებული იყო წვრილი ნაწლავის მარყუჟები ერთ-ერთის შემოგრებით. გაკეთდა სინექიოლიზი და თედოს ნაწლავის რეზექცია დივერტიკულთან ერთად.

აღნიშნულის გარდა, წინა წლებში ნაწლავთა ინვაგინაციით გატარებულ ავადმყოფთაგან ინტერესს იწვევს ორი შემთხვევა, სადაც წვრილი ნაწლავის ინვაგინაცია განვითარდა პეიტც-ეგერსის სინდრომის ფონზე.

პირველი შემთხვევა შეეხება ქალს, რომელიც 27 წლის მანძილზე 3-ჯერ იყო ნაოპერაციული ნაწლავთა მწვავე გაუვალობის გამო. სამივე შემთხვევა შეეხებოდა წვრილი ნაწლავის მრავლობით პოლიპოზს, რომელიც ინვაგინაციის მიზეზი გახდა. პირველი ორი ოპერაციული ჩარევა წვრილი ნაწლავის რეზექციით დამთავრდა, მესამე ჩარევა შემოიფარგლა დეზინვაგინაციით და ორი ენტეროტომიული განაკვეთიდან ფეხზე არსებული 7 პოლიპის ამოკვეთით.

მეორე შემთხვევა შეეხება ახალგაზრდა ვაჟს, რომელიც ნაოპერაციული იყო ნაწლავთა გაუვალობის დიაგნოზით. სასწრაფო ოპერაციული ჩარევისას აღმოჩნდა წვრილი ნაწლავის ინვაგინაცია, რომლის მიზეზი იყო წვრილ ნაწლავში არსებული ერთ-ერთი პოლიპი. მოკლე მონაკვეთზე მრავლობითი პოლიპების არსებობის გამო მიზანშეწონილად იქნა მიჩნეულ ნაწლავის სეგმენტის რეზექცია. მასთან ერთად სანათურიდან რამდენიმე პოლიპი ამოიკვეთა. ორივე ავადმყოფს აღენიშნებოდა პეიტც-ეგერსის სინდრომისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნები.

ასაკთან დაკავშირებით განსხვავებაა ნაწლავის ინვაგინაციის ეტიოლოგიასა და პათოგენეზშიც. პირველი წლის ბავშვებში ინვაგინაციის რისკ-ფაქტორს პერისტალტიკის დისკოორდინაცია, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციური დარღვევები წარმოადგენს. მ.რ. როკიცკისა და ვ.ი. მოროზოვის (1988) მონაცემებით, 2-2,5 წლამდე ბავშვებში ცეკუმისა და თედოს ნაწლავის დიამეტრებს შორის დიდი სხვაობაა. ამავე დროს გამოხატულია ბაუჰინის სარქელის უკმარისობაც, რაც, წვრილი ნაწლავის დისკინეზიის გამო, ინვაგინაციის წამყვანი ფაქტორია ბავშვებში. ამ ასაკში ნაწლავის ესა თუ ის ორგანული ცვლილება მხოლოდ 5-7%-ში გვხვდება.

საკუთარი მასალის ანალიზის შემდეგ რ. კუტუბიძე და თანაავტორები (2003) იმ დასკვნამდე მივიდ-

ნენ, რომ ბავშვებში ინვაგინაციის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ენტეროვირუსული ინფექცია ბაუჰინის სარქელის უმნიშვნელობისა და თედოს ნაწლავის ტერმინალური ნაწილის ლიმფური ფოლიკულების ჰიპერპლაზიის ფონზე.

მოზრდილებში, დიდ უმრავლეს შემთხვევაში, ინვაგინაციის მიზეზია ნაწლავში არსებული პათოლოგია, უხშირესად პოლიპის სახით. ინვაგინაციის მიზეზი შეიძლება იყოს, აგრეთვე, კეთილ- და ავთვისებიანი სიმსივნე (ლეიომიომა, მიქსომა, ფიბრომა და ა.შ.), ნაწლავის კედლის ჰემატომა, დივერტიკული. მეკელის დივერტიკულის ნაწლავში ინვაგინაციის მორფოლოგიური შესწავლისას დადგენილი იყო მის ფუძეში ცირკულური კუნთოვანი შრის განუვითარებლობა. ჩვენს მასალაზე ინვაგინაციის მიზეზთა შორის ჭარბობდა ნაწლავთა სანათურში პოლიპის არსებობა, ერთ შემთხვევაში ილეოცეკალური ინვაგინაციის მიზეზი იყო ცეკუმის სიმსივნე, ერთშიც - წვრილი ნაწლავის სიმსივნე.

ავტორთა მონაცემებით, პირველი წლის ბავშვებში ნაწლავის ინვაგინაციას ახასიათებს ტიპური კლინიკური სურათი კლასიკური ტრიადის სახით — მოვლითი ტკივილი მუცელში, ელასტიური მოცულობითი წარმონაქმნი მუცლის მარჯვენა ნახევარში, სისხლი განავალში. ამ ნიშნებიდან წამყვანია მოცულობითი წარმონაქმნის გამოვლენა. ასეთი კლინიკური სურათი იმდენად დამახასიათებელია, რომ სტაციონარის პირობებში ნაწლავის ინვაგინაციის დიაგნოზი შემთხვევათა 95%-ში ისმება, ბავშვთა ქირურგების მონაცემებით, ნაწლავის ინვაგინაციის კლინიკური სურათი 1 წელზე უფროს ბავშვებში მნიშვნელოვნად განსხვავდება 1 წლამდე ბავშვებში განვითარებული ინვაგინაციის კლინიკური სურათისაგან (ი.ბ. იუდინი და თანაავტ. 1995). კლინიკური სურათის სხვაობა კიდევ უფრო შესამჩნეველი ხდება მოზრდილებში - მოვლითი ტკივილი ნაკლებად იქცევა ყურადღებას, განავალში სისხლი იშვიათად ვლინდება.

მოზრდილებში ინვაგინაციის ძირითადი ნიშანია სიმსივნისმაგვარი წარმონაქმნის არსებობა მუცლის ღრუში, თუმცა ეს ნიშანიც ზოგჯერ დიაგნოზური შეცდომის მიზეზი ხდება.

ა.პ. გრიდნევის აზრით (1952), რომელიც ქ. ბორჯომის საავადმყოფოში ინვაგინაციით გატარებული 16 ავადმყოფის მკურნალობის ანალიზს ეფუძნება, სწორედ სიმსივნური წარმონაქმნის და მასთან დაკავშირებული თედოს ნაწლავის ტერმინალური მონაკვეთის გამოვლენა მცოცავი პალპაციით დიაგნოზის დაზუსტების საშუალებას იძლევა.

დაავადების კლინიკური სურათის გამოხატულება და სიმძიმე ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი პროცესი ჭარბობს — ობტურაცია თუ სტრანგულაცია. იმის გამო, რომ სისხლის მიმოქცევის პირობებში ნეკროზს განიცდის ინვაგინატის შიგნითა ცილინდრის კედელი, პერიტონიტი მოგვიანებით ვითარდება.

დიაგნოზის ვერიფიკაციის მიზნით ბავშვთა ასაკში, როგორც წესი, მიმართავენ პნევმოკოლონოსკო-

პიას, რომელიც დიაგნოზის დაზუსტების პარალელურად სარწმუნოდ განასხვავებს ილეოცეკალური ინვაგინაციის ორ სახეს – ცეკო-ცეკალურს და ილეო-ცეკალურს, რასაც მნიშვნელობა აქვს მკურნალობის ტაქტიკის ასარჩევად.

ინვაგინაციის მკურნალობა ბავშვთა ასაკში ძირითადად კონსერვატიულია და პნევმოირიგოსკოპიით ხორციელდება. ბოლო დროს, საჭიროების შემთხვევაში, პნევმოირიგოსკოპიას აუღლებენ ლაპაროსკოპიას. ბავშვებში მკურნალობის კონსერვატიულ მეთოდს მიმართავენ მიუხედავად ინვაგინაციის ხანდაზმულობისა, ინვაგინაციის სიდიდისა, ავადმყოფის მდგომარეობის სიმძიმისა. კონსერვატიული მკურნალობის ერთადერთ წინააღმდეგჩვენებად მიჩნეულია პერიტონიტის არსებობა.

მოზრდილებში, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ნაწლავთა მწვავე გაუფალობის დროს ინვაგინაციის დიაგნოზი დადგენილია, მკურნალობა ოპერაციულია. ჩვენ შემთხვევებში ოპერაციული ჩარევა მხოლოდ 2-ჯერ შემოიფარგლა დეზინვაგინაციით, ყველა დანარჩენ შემთხვევაში საჭირო გახდა ნაწლავის რეზექციის ჩატარება, მათ შორის 5 ავადმყოფს გაუკეთდა მარჯვენამხრებივი ჰემიკოლექტომია, ილეოტრანსვერზოანასტომოზის ფორმირებით.

ლიტერატურა:

1. კუტუბიძე რ., ბუაძე მ., ადამაშვილი მ. ინვაგინაციის ენდოსკოპური დიაგნოსტიკა და მკურნალობა. სამხრეთ კავკასიის ქირურგთა XIV ყრილობა. თბილისი, ტ.2, 2003, 105-106;
2. Антошкина Э.П., Бойко М.В. Осложнения и исходы консервативного и оперативного лечения инвагинаций кишок у детей. Клинич. Хирургия, 1990, 6, 8-9;
3. Беляев М.К. Особенности инвагинаций кишечника у детей старше года. Хирургия, 2003, 4, 47-50;
4. Горбунов В.Н., Столярчук В.В., Инвагинационная тонкокишечная непроходимость, как осложнение синдрома Пейтца-Егерса. Сов. медицина, 1990, 5, 117-118;
5. Гриднев А.П. К распознаванию инвагинации кишок у взрослых. Хирургия, 1952, 4, 41-46
6. Рокицкий М.Р., Морозов В.Н. К вопросу об этиологии и патогенеза инвагинации кишечника у детей. Клинич. хирургия, 1986, 6, 18-21

XX საუკუნის 80-იან წლებამდე სპეციალიზირებული დახმარების აღმოჩენის ვადების შესახებ არსებობდა ორი მოსაზრება – ადრეული და გადავადებული. თანამედროვე პირობებში ანესთეზიოლოგიის და რეანიმაციის მნიშვნელოვანი მიღწევების ფონზე ავტორთა უმეტესობა ყბა-სახის მიდამოს დაზიანებების დროს უპირატესობას ანიჭებს სასწრაფო სპეციალიზირებულ დახმარებას (Кольцова Л. А. 1991). ყბა-სახის მიდამოს დაზიანებების დროს ადრეულ სპეციალიზირებულ მკურნალობას აუცილებლად თვლიან ავტორები: Бажанов Н. Н. თანაავტ. 1990; Зыкеева С. К. 1993, Мальчикова Л. П. თანაავტ. 1996. ავტორთა უმრავლესობა დასაბუთებულად თვლის ადრეული სპეციალიზირებული მკურნალობის ჩატარებას რადგან ის არ აღრმავებს ტრავმულ შოკს, არ ახანგრძლივებს მის მიმდინარეობას და არ ზრდის ლეტალობის პროცენტს (Курмангалиев З. К. 1998).

დაზარალებულის მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით სამკურნალო ჩარევა უნდა განხორციელდეს თავის ტვინის ფარმაკოლოგიური დაცვის ქვეშ და ადექვატური ანესთეზიოლოგიური უზრუნველყოფით (Курмангалиев З. К. 1998).

ე. ი. მკვლევართა უმეტესობა აუცილებლად თვლის ყბა-სახის ქირურგიების ჩარევას სახის ტრავმით პაციენტთა სტაციონარში მოთავსებისთანავე (Валеев Э. К., Нафиков Р. Г. 1988).

სახის შუა ზონიდან ზედა ყბების ყველა მოტეხილობა ითვლება ღია მოტეხილობად და პირველად დაინფიცირებულად, რადგან ისინი დაკავშირებულია პირის და ცხვირის ღრუებთან, ზედა ყბის წიაღთან. თვით ეს მოტეხილობები მრავალნაირია. იგი შეიძლება განვითარდეს ნებისმიერ ადგილზე, ამ დროს შეიძლება დაზიანდეს ტვინის მაგარი გარსიც, რაც მენინგიტის განვითარების საშიშროებას ჰქმნის (Yaski — 2006).

ჩვენი დაკვირვების და მკურნალობის ქვეშ იმყოფებოდა სახის შუა ზონის შერწყმული დაზიანებების

მქონე 35 ავადმყოფი. ავადმყოფებს შორის მამაკაცი იყო - 21, ქალი - 14, ასაკი 18 - 70 წელი. ტრავმის ძირითადი მიზეზი იყო ავტოსატრანსპორტო ავარიები (30 შემთხვევა), 5 - შემთხვევა ცეცხლნასროლი დაზიანებები.

ამ კატეგორიის ავადმყოფებში ყბა-სახის მიდამოს დაზიანება მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ტრავმების მიმდინარეობასა და გამოსავალში. სახის რბილი ქსოვილების ჭრილობებისა და ძვლების მოტეხილობებისას, ვიდრე სხვა ლოკალიზაციის დაზიანებების დროს ვითარდებოდა პირობები გარეგანი სუნთქვის მოშლისათვის. სისხლის, ცერებროსპინალური სითხის ან უცხო სხეულების ასპირაციის გამო ვითარდებოდა ფილტვისმიერი გართულებები (Menigual 2005).

ასეთი გართულებების საშიშროება განსაკუთრებით დიდია სახის შუა ზონის და თავის ტვინის შერწყმული დაზიანებებისას (Bautalt J. 2003).

დაზიანებების დიაგნოსტიკაში დიდ როლს ვანიჭებდით რენტგენოლოგიურ გამოკვლევებს, მათ შორის ფართოდ ვიყენებთ კომპიუტერულ ტომოგრაფიას.

24 შემთხვევაში სახის შუა ზონის დაზიანებულ უბანზე ქირურგიული ჩარევა განხორციელდა ტრავმის მიღებიდან 6-36 საათში.

სახის მიდამოს ტრავმული დაზიანებებით ავადმყოფთა მკურნალობის მთავარი ამოცანა იყო დაზიანებული ორგანოს ანატომიური მთლიანობის აღდგენა და მაქსიმალურად სრული ფიზიოლოგიური რეაბილიტაცია. როგორც წესი, პირველ რიგში ვახდენდით ძვლების მონატეხი ფრაგმენტების ზუსტ რეპოზიციას, რაც მოტეხილობის უბანში ქმნიდა რეპარაციული რეგენერაციის ოპტიმალურ პირობებს და ხელს უშლიდა ანთებითი გართულებების განვითარებას. ამ პირობების თუნდაც ნაწილობრივი უგულებელყოფა მნიშვნელოვნად ახანგრძლივებდა მკურნალობის ვადებს და უარყოფითად მოქმედებდა მკურნალობის საბოლოო შედეგზე (Yinnau K. F. 2005; Motoned M. H. 2005).

სახის შუა ზონის ძვლების დაზიანებების მკურნალობისას (5 შემთხვევაში ცეცხლნასროლი დაზიანებები) ყველა შემთხვევაში გამოყენებული იყო ქირურგიული მეთოდები - ფალტინ-ადამსის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ზედა ყბების მავთულით ფიქსაციას შუბლის ძვლის ორბიტულ კედელზე. სახის შუა ზონის ძვლების მრავლობითი მოტეხილობის დროს ვიყენებდით ოსტეოსინთეზს უჟანგავი ფოლადის მავთულით ან მინიფირფიტებით. ნაკერები ჩვენების მიხედვით ედებოდა ცხვირის ფუძეს, თვალბუდის ქვედა, გარეთა კიდეებს, ყვრიმალ-ალვეოლურ ქუდს, მსხლისებური ფოსოს არეს, ყვრიმალის ძვალს, რკალს.

ყველა შემთხვევაში ჩატარებული იყო ჰაიმორის ღრუებში ჩაქცეული სისხლის ევაკუაცია და დრენირება, 8 შემთხვევაში საჭიროების მიხედვით ჩატარდა ცხვირის უკანა ტამპონადა.

16 შემთხვევაში ძირითადი ოპერაციული ჩარევის წინ ჩატარებული იქნა ქვედა ტრაქეოტომია.

ჩვენი მონაცემებით სახის შუა ზონის შერწყმული ტრავმული დაზიანებებისას ადრეულ პერიოდში ჩატარებულ სპეციალიზირებულ მკურნალობას (რეანიმაციულ-ანესთეზიოლოგიური სამსახურის უზრუნველყოფის ქვეშ) არც ერთ შემთხვევაში ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობის გაუარესება არ გამოუნვევია. ტრაქეოსტომიური მილიდან ეფექტურად ხდებოდა ფილტვისმიერი გართულებების პროფილაქტიკა და მკურნალობა.

ოპერაციის შემდგომ პერიოდში სათანადო კონსერვატიული მკურნალობის ფონზე (გარკვეული პერიოდი, საჭიროების მიხედვით, ინტენსიური თერაპიის ბლოკში) ამ ჯგუფის ავადმყოფებში (ადრეული ოპერაციის ჩარევის ფონზე) მიღწეული იქნა სახის შუა ზონის დაზიანებული ორგანოების სრული ანატომიური და ფიზიოლოგიური რეაბილიტაცია.

შერწყმული ტრავმების 12 შემთხვევაში ავადმყოფთა საერთო მძიმე მდგომარეობის გამო (ქალა-ტვინის მძიმე, თანდართული დაზიანება) სპეციალიზირებული მკურნალობის ნაადრევი ჩატარება (ტრავმის მიღებიდან პირველ 24-36 საათში) გადავადდა, მათ შორის 7 შემთხვევაში - 1-1/2 თვემდე.

ყველა შემთხვევაში განვითარდა მკაფიოდ გამოხატული ტრავმის შემდგომი დეფორმაციები. შემდგომში ამ დეფორმაციების აღმოფხვრისათვის საჭირო გახდა საკმაოდ რთული ძვალ-პლასტიკური რეკონსტრუქციული ოპერაციების ჩატარება. ამ ოპერაციების ფუნქციური და კოსმეტიკური შედეგები ყოველთვის ნაკლები იყო მწვავე პერიოდში ჩატარებული ოპერაციების შედეგებზე.

ჩვენი მონაცემებით ყბა-სახის მიდამოს ცეცხლნასროლი და არაცეცხლნასროლი დაზიანებების მკურნალობა განსაკუთრებულ რთულ ამოცანას წარმოადგენს. უწინარეს ყოვლისა ეს სიძნელეები განპირობებულია ამ მიდამოს ანატომიურ-ფიზიოლოგიურ თავისებურებებით და მისი სიახლოვით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოებთან. ეს სირთულეები კიდევ უფრო გამოხატულია სახის სხვა ანატომიურ უბნებთან შერწყმული დაზიანებების დროს.

სახის შუა ზონის ძვლების ტრავმული დაზიანებების შემთხვევაში სპეციალიზირებული მკურნალობა - მონატეხი ფრაგმენტების რეპოზიცია და ფიქსაცია სასურველია ჩატარდეს ტრავმის მიღებიდან პირველი 24-36 საათის განმავლობაში. სპეციალიზირებული მკურნალობა უნდა იყოს ერთჯერადი და მთლიანი მოცულობით.

მკურნალობის ქირურგიული მეთოდების გამოყენებისას ძვლის მავთულოვანი ნაკერის, ტიტანის მინიფირფიტების, ტიტანის ბადის და მათი კომბინაციის გამოყენება უნდა მოხდეს დიფერენცირებულად.

ჩვენი მონაცემებით სახის ძვლების მონატეხი ფრაგმენტების ადრეული და მყარი ფიქსაცია იძლევა მკურნალობის კარგ შედეგს, მინიმუმამდე მცირდება ტრავმის შემდგომი უახლოესი და შორეული გართულებების შემთხვევები.

სახის შუა ზონის მძიმე შერწყმული ტრავმების შემთხვევებშიც ნაადრევე სპეციალიზირებულ მკურ-

ნალობას (რეანიმაციულ-ანესთეზიოლოგიური სამსახურის უზრუნველყოფის ქვეშ) ავადმყოფების საერთო მდგომარეობის გაუარესება არ გამოუწვევია, პირიქით ეს ჩარევა წარმოადგენდა შოკის სანი-ნაალმდეგო მკურნალობის ერთ-ერთ რგოლს.

სპეციალიზირებული მკურნალობის ყველა გადავადებულ შემთხვევაში განვითარდა სახის შუა ზონის ტრავმის შედეგად დეფორმაცია, რთულ ანატომიურ-ფუნქციური მოშლილობებით. მოგვიანებით პერიოდში ჩატარებული რთული ძვალ-პლასტიური, რეკონსტრუქციული ოპერაციები ამ ავადმყოფთა მდგომარეობას აუმჯობესებს, მაგრამ ხშირად სრულ რეაბილიტაციას ვერ იძლევა.

ლიტერატურა

1. Бажанов Н.Н., Чихорин А.К. – Проблемы реконструкции средней зоны лица при приобретенных односторонних деформациях и дефектах. Современные принципы восстановительной хирургии лица и шеи в реабилитации больных с врожденной и приобретенной патологией. т. 13, М. 1990, 13-15 с.
2. Валеев Э.К., Нафиков Р.Г. – Особенности диагностики и лечения пострадавших в остром периоде сочетанной черепно – лицевой травмы. Материалы II съезда стоматологов Закавказья. Тбилиси, 1988, 262-264 с.
3. Зыкеева С.К. – Сочетанная челюстно – лицевая и черепно – мозговая травма у детей. Автореф. канд. дисс. Алма-ата, 1993.
4. Кольцова Л.А., Иванов В.В. и др. Множественные и сочетанные переломы костей лица и их лечение на современном этапе. VII Всесоюзный съезд стоматологов. Тезисы докладов. Ташкент, 11 – 15 мая, с. 122-123.
5. Курмангалиев З.К. Клиника и лечение сочетанных черепно – лицевых травм. Автореф. канд. дисс. Киев, 1998.
6. Мальчикова Л.П., Вайнштейн Э.А. и др. – Сочетанные переломы костей средней трети лицевого черепа, организация специализированного лечения. Лечение повреждений лица у пострадавших с множественной и сочетанной травмой, Л. 1996, с. 67-71.
7. Bautalt F. Facial traumas. Diagnosis and lesions, early complications Rev. Prax. 2003, juni 30, 51 (12): 1345-1359.
8. Jaski; Riccard V. B. et al. Facial trauma A. recurrent disease. The potencial role of disease prevention (in process citation). Oral maxillofacial Surg. 2006, June, 62 (6): 685-688;
9. Jannau K. F., Stanley B. B. et al – Imaging of high – energy mid facial trauma. What the surgeon needs to know. Eur. J. Radiol 2005 oct. 48 (1), 17-32.
10. Motamedi M. H. An assesment of maxillofacial Fractures a 5 year study of 237 pacients. J. oral Maxillofacial sarg. 2005 Jan 61(100): 61-64.
11. Meningual T. P., Bertrand J. L., Batista D. _ Maxillofacial trauma by defenstration 64 cares. rev. stomatol. chir. 2005. oct. 104(5): 260-264.

Z. Gvenetadze, A. Atskvereli, N. Chuchulashvili

SIGNIFICANCE OF EARLY SPECIALIZED TREATMENT OF TRAUMAS OF MIDDLE OF THE FACE

Tbilisi State Medical University, Department of Surgical Stomatology and Maxillofacial Surgery.

Fractures of facial bones and especially those of the middle of the face are often combined with the injuries of other anatomic sections, what aggravates condition of the patient.

Specialized medical assistance not provided in a timely manner and at full extent conditions development of inflammatory processes, what further aggravates course of traumatic diseases and makes worse the outcome of treatment of the patients.

Authors observed 35 patients with the traumas of middle of the face, 5 among them with the gunshot wounds.

In 24 cases surgical intervention to the injured section of the middle of the face was provided within 6-36 hours after the traumas. There was no case of aggravation of general condition of the patient as a result of early surgery. In the patients of this group full anatomical and physiological rehabilitation of the injured organs of middle of the face was successfully achieved.

In 12 cases, by the reason of heavy general condition of the patients (accompanying severe craniocerebral injury) early specialized treatment was delayed, among them, in 7 cases, up to 1 – 1S months.

In all cases there were developed prominent post-traumatic deformations. For their elimination quite complicated bone-plastic reconstructive surgical operations were required. Functional and cosmetic results of such operations in all cases were worse than those achieved as a result of surgery in the urgent period.

გოგბერაშვილი ქ., მანჯავიძე ნ., დიდებულიძე ქ., მეგრელიშვილი გ., უბირია ი.

დადის მზრუნველობის დეფიციტის გავლენა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (ლიტერატურის მიმოხილვა)

თბილისის სახელმწიფო საავადმწიფო უნივერსიტეტი. პედიატრიის დეპარტამენტი.

თემის აქტუალობა. გარემო ფაქტორების ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დიდი ხანია მეცნიერთა შესწავლის საგანია.

დედის მზრუნველობის დეფიციტი დიდი ხანია ცნობილია, როგორც არახელსაყრელი გარემო ბავშვის განვითარებისათვის. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა მიტოვებული და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების პრობლემა საქართველოში. ამის დადასტურება საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ბოლო წლების გადანყვეტილებები, რაც ინსტიტუციურ და-

ნასებულებებში მიტოვებული ბავშვების გაშვილების წესის გამარტივებით, ინსტიტუციური სახლების დაფინანსების გაზრდით, ამ პროცესში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ჩაბმით, ხელშეწყობი ფონდების ჩამოყალიბებით, მათი წახალისებით გამოიხატება.

ჩვენი შრომის მიზანს წარმოადგენს ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა დედის მზრუნველობის დეფიციტის გავლენის შესახებ ადრეული ასაკის ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ინფორმაციის მოძიების მიზნით დამუშავებული იქნა ბოლო 20 წლის ლიტერატურული წყაროები გამოქვეყნებული საქართველოს, რუსეთის ცენტრალურ სამეცნიერო ჟურნალებში. ძიება ვანარმოეთ ასევე MEDLINE, PsychINFO, PubMed-ის მასალებში. შესაბამისი ნაშრომები დაჯგუფებული იყო კვლევის მასალისა და მიზნის მიხედვით. აქედან ექსპერიმენტულ მასალაზე იყო მოძიებულ შრომათა 88%. ბავშვებში დეპრეზივის მავნე გავლენის სხვადასხვა ასპექტების შესახებ ბოლო წლების ლიტერატურულ წყაროებში აღმოჩნდა მხოლოდ 15 ნაშრომი.

ბავშვის მიტოვება ბავშვებისადმი ცუდი მოპყრობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა მსოფლიოში. ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის დეპარტამენტის 2002 წლის მონაცემებით 2002 წელს აშშ-ში 896 000 ბავშვი გახდა ცუდი მოპყრობის მსხვერპლი და აქედან 68% შეადგინა მიგდებულმა ბავშვებმა (U.S. Department of Health and Human Services, 2002). აშშ-ში 1996 წ. მიღებულ იქნა ბავშვზე ძალადობის პრევენციისა და მათი მოვლის აქტი, რომლის მიხედვითაც შემუშავებულ იქნა კანონი ბავშვის მიტოვების შესახებ (CAPTA; 1996). ამ კანონის მიხედვით ბავშვის მიტოვება არის კრიმინალური აქტი და ნიშნავს მშობლების ან მზრუნველის მიერ ბავშვის მოვლის მნიშვნელოვან დეფიციტს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს 18 წლამდე ასაკის ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული დაზიანება. ამ აქტის მიხედვით, მიტოვებული, ანუ მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვი განიცდის ფიზიკურ, ემოციურ, სოციალურ დეფიციტს. ფიზიკური დეფიციტი გულისხმობს ყურადღების, ანუ კვების, ჰიგიენის, უსაფრთხოების დეფიციტს. სამედიცინო დახმარების დეფიციტი გამოვლინდება საჭირო მკურნალობის დროულად არ ჩატარებაში. ემოციური დეფიციტი გულისხმობს ალერსის, აფექტური ემოციების, ყურადღების დეფიციტს, ასევე მძიმე ოჯახურ ძალადობას. განათლების დეფიციტი გულისხმობს ბავშვის უფლების უგულვებელყოფას მიიღოს განათლება სკოლაში და ასევე სხვა დამატებითი მოთხოვნის მქონეების შეუსრულებლობას (CAPTA; 1996).

დ. ისაევის (3) განმარტებით, დედის დეფიციტი ემოციური სტრესის ყველაზე ხშირი მიზეზია ბავშვთა ასაკში და სხვადასხვა ბავშვში სხვადასხვა შედეგს იწვევს, რაც ბავშვის ხასიათსა და ტემპერამენტზეა დამოკიდებული. ამგვარად, პროგნოზული თვალსაზრისით მხოლოდ დეპრეზივის გამოვლენა არ არის საკმარისი შედეგის განსაზღვრისათვის,

საჭიროა მრავალმხრივი ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენება დეპრეზივის ხარისხის შესაფასებლად (4,5,6).

როგორც ჩეხი ფსიქოლოგები აღნიშნავენ (7), დეპრეზივის განვითარებისათვის საჭიროა გარეგანი და შინაგანი ფაქტორები. ბავშვისათვის დეპრეზივის გარეგანი ფაქტორებიდან აღსანიშნავია:

- ინსტიტუციონალური გარემო - ბავშვთა სახლები და სკოლა-ინტერნატები;

- არახელსაყრელი ოჯახური პირობები, როდესაც ბავშვი განიცდის სტიმულების ნაკლებობას ოჯახურ სიტუაციაში.

ინსტიტუციური გარემოზე, როგორც რისკ ფაქტორზე ბავშვების მაღალი ავადობისა და სიკვდილობისათვის, მიუთითებენ ამერიკელი მეცნიერებიც D.A. Frank, P.E. Klass, F. Earls, & L. Eisenberg (8). მათი დაკვირვებით, ინსტიტუციურ გარემოში ბავშვი არის ხშირი ავადობის, ინტელექტუალური ჩამორჩენისა და ქცევის დარღვევების რისკის ქვეშ და არანაირი დაფინანსების გაზრდა ბავშვთა სახლებისათვის არ გამოიწვევს მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ინსტიტუციური გარემოს მავნე გავლენის შესახებ აღნიშნულია ასევე სხვა ავტორთა მონაცემებში (10,11,12). ვორონეჟის ბავშვთა სახლის 1 თვიდან 4 წლამდე ასაკის აღსაზრდელთა გამოკვლევისას გამოვლინდა მიტოვებული ბავშვების ფიზიკურ განვითარებაში ჩამორჩენა რეგიონალურ სტანდარტებთან შედარებით (12). ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე 1997-2005 წწ. თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა გამოკვლევით გამოვლინდა მიტოვებულ ბავშვთა ზრდა-განვითარებაში სარწმუნო ჩამორჩენა ოჯახურ გარემოში გაზრდილ ბავშვებთან შედარებით (13, 14, 17).

ჯერ კიდევ 1900 წელს პედიატრმა Henry Dwight Chapin (1917), გამოაქვეყნა თავისი დაკვირვების შედეგები, რომ მიუხედავად საკვებისა და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებისა იმ ბავშვებში, რომლებიც ინსტიტუციონალიზებული იყვნენ დაბადებიდან 1 წლის განმავლობაში სიკვდილობის მაჩვენებელი მერყეობდა 31.7%-დან 75%-მდე. ჩვენი მონაცემებით (15,16), დედის დეპრეზაცია იწვევს იმუნური სტატუსის არასრულფასოვნებას ბავშვთა სახლებში მიტოვებულ ადრეული ასაკის ბავშვებში, რაც განაპირობებს მათ შორის ავადობისა და სიკვდილობის მაღალ მაჩვენებლებს.

R.A. Spitz (1945) მონაცემებით, ჩვილობის ასაკში მიტოვებული ბავშვები გამოირჩევიან ღრმა ჩამორჩენით სოციალურ განვითარებაში და ქცევისა და ემოციური რეგულაციით. მისი აზრით, ეს გამოწვეული იყო ემოციური სტიმულაციის დეფიციტით დედის დეპრეზივის შედეგად. Kim, Shin, White-Traut (18) მონაცემებით, მულტისენსორული ინტერვენცია ბავშვთა ინსტიტუციურ დანესებულებებში აუმჯობესებს ბავშვების ფიზიკურ განვითარებას და ამცირებს ავადობას. Bowlby (19) უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ ჩვილი ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია, რომ მასთან უპირატესი ურთ-

იერთობა ჰქონდეს ერთ შეუცვლელ ადამიანს, რისი მიღწევაც ბავშვთა სახლებში შეუძლებელია.

ინსტიტუციური გარემოს მანვე გავლენის შესახებ სასკოლო ასაკის ბავშვის ქცევაზე მიუთითებენ Roy, Rutter, Pickles (20). მათი გამოკვლევების მიხედვით ბავშვთა სახლებში გაზრდილი ბავშვებში ჭარბობს ქცევის ისეთი დარღვევები, როგორცაა უყურადღებობა და სოციალური ჰიპერაქტიურობა. მიტოვებული ბავშვი არის ქცევის მძიმე დარღვევის რისკის ქვეშ არა მხოლოდ ბავშვობის, არამედ მოზრდილობის ასაკშიც (10, 21).

გამოქვეყნებულია ერთეული მონაცემები მზრუნველობას მოკლებული ბავშვების ტვინის განვითარების შესახებ. De Bellis, Keshavan, Clark et al., (22, 23), Michael De Bellis (24) მიერ შესწავლილ იქნა მიტოვებული ბავშვების ტვინის ფუნქციური მდგომარეობა და მისი განვითარება მაგნიტურ რეზონანსული გამოკვლევის საშუალებით. ნაჩვენებია ინტრაკრანიალური მოცულობის შემცირება 7%-ით და მთლიანი ტვინის მოცულობის შემცირება 8%-ით ტრავმის შემდგომი სტრესის ზემოქმედებით მიტოვებულ ბავშვებში არადეპრივირებულ ბავშვებთან შედარებით. გამოვლინებულ იქნა კორელაცია დეპრივაციის ასაკსა და ხანგრძლივობას და მცირე ინტრაკრანიალურ მოცულობას შორის. აღნიშნული კორელაციური კავშირი მიუთითებს ხანგრძლივი მიტოვების დამაზიანებელ ეფექტზე ტვინის განვითარებაზე.

დადგენილ იქნა ასევე ნერვული ბოჭკოების მიეღინიზაციის შეფერხება მიტოვებულ ბავშვებში კონტროლთან შედარებით.

ინსტიტუციურ დანესებულებებში მოთავსებულ ადრეული ასაკის ბავშვების ნევროლოგიური სტატუსი და ნეიროფსიქიკური განვითარება შესწავლილია ქართველი პედიატრების მიერ (25, 26). მათ გამოავლინეს თავის ტვინის ფუნქციური შეფერხება ასაკთან მიმართებაში ადრეული ასაკის მიტოვებულ ბავშვებში. DDe Bellis (2005) მონაცემებით, მიტოვებულ ანუ დეპრივირებულ ბავშვებს აღენიშნებათ ტვინის განვითარების შეფერხება სტრესთან დაკავშირებით ტვინის ქსოვილში განვითარებული ბიოქიმიური ცვლილებების გამო.

შემჩნეულია, რომ მსგავსი დეპრივაციული სიტუაცია სხვადასხვაგვარად გამოვლინდება სხვადასხვა ბავშვში და განპირობებულია მისი ინდივიდუალური თავისებურებებით. ამდენად, არსებობს დეპრივაციის შინაგანი ფაქტორები (3, 7). მათი გამოკვლევების მიხედვით, დეპრივაციის განვითარების შინაგანი ფაქტორებია: ბავშვის ასაკი, სქესი, კონსტიტუცია, ტემპერამენტი. ადრეულ ასაკში ფსიქოტრავმის მიმართ უფრო მგრძობიარენი არიან პასიური, თავის თავში ჩაკეტილი, ინერტიული, ან პირიქით, ზედმეტად რეაქტიული, აფექტური, მოუმნიფებელი ბავშვები.

ბავშვის ასაკის მნიშვნელობაზე ფსიქიკური დეპრივაციის განვითარებისათვის მიუთითებდნენ ასევე HD Chapin (1917), Spitz (1945), Bowlby (1982), Macovei (1986). ყველა შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ დეპრივაცია განსაკუთრებით მძიმედ გამოვლინდება თუ

ბავშვი 3 წლის ასაკამდეა დატოვებული ბავშვთა სახლში. ჩვენი მონაცემებით (13, 16), დეპრივაციის გამოვლენა ყველაზე მძიმედ გამოვლინდება 6 თვიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვებში.

De Bellis, Kashavan, Clark, et al.(22), da DeBellis, Kashavan, Frustaci, et al.(23) მონაცემებით არსებობს გარკვეული სქესობრივი განსხვავება დეპრივაციის ხარისხს შორის ბავშვებში. ნაჩვენებია, რომ ბიჭები უფრო მგრძობიარენი არიან დედის დეპრივაციის მიმართ. მათ შორის მეტად ვლინდება ქცევის პათოლოგია, ტვინის დისფუნქცია, ვიდრე გოგონებში.

ამგვარად, ლიტერატურული წყაროებით მიღებული ინფორმაციით შეიძლება დავასკვნათ, რომ დედის მზრუნველობის დეფიციტი მძიმე ზეგავლენას ახდენს ადრეული ასაკის ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. დეპრივაციის შედეგები დამოკიდებულია შინაგან და გარეგან ფაქტორებზე, რომელთაგან მნიშვნელოვანია ბავშვის ასაკი, სქესი, ინსტიტუციური გარემო, სოციალური პირობები. დეპრივაციის შედეგად იცვლება ბავშვის ქცევა, გამოხატულია ჩამორჩენა ზრდა-განვითარებაში, იმატებს ავადობისა და სიკვდილობის მაჩვენებლები, ირღვევა ბავშვის ტვინის ფუნქციური მდგომარეობა, რაც განსაკუთრებით მძიმედ გამოვლინდება 6 თვიდან 2 წლის ასაკამდე.

ლიტერატურა:

1. Amy D. Kyle, Tracey J.Woodruff, Daniel A.Axelrad. Integrated Assessment of Environment and Health: America's Children and the Environment. Environ Health Perspect, 2006, vol.114:447-452.
2. Federal Child Abuse Prevention and Treatment Act, 42 U.S.C.A, §5106, 1996.
3. Исаев Д.Н. Психосоматическая медицина детского возраста. Санкт-Петербург, 1996, 49-61
4. Kaufman J., Jones B., Stieglitz E., Vitulano L. & Mannarino A. The Use of Multiple Informants to Assess Children's Maltreatment Experiences. Journal of Family Violence. 1994, 9:227-248
5. Levy H.B., Marcovic J., Chaudry U., Ahart S. & Torres H. Re-abuse Rates in a Sample of Children Followed for 5 Years after Discharge from a Child Abuse Inpatient Assessment Program. Child Abuse & Neglect. 1995, 11:1363-1377
6. Zuravin S.J. Child Neglect: A Review of Definitions and Measurements Research. In H.Dubowitz (Ed.) Neglected Children: Research, Practice and Policy, 1999, pp24-48
7. Лангмеиер Й., Матеичек З. Психическая депривация в детском возрасте. Авиценум, Прага, 1984.
8. Frank DA, Klass PE, Earls F. & Eisenberg L. Infants and Young Children in Orphanages: One View from Pediatrics and child Psychiatry. Pediatrics, 1997, 4:569-579
9. Olsen EM., Skovgaard AM. Psychosomatic Failure-to-Thrive in Infants and Toddlers. Ugeskr Leager 2002, 25, 164(48):5631-5
10. Wilkins AJ, O'Callaghan MJ, Najman JM, Bor W., Williams GM. & Shettlewood G. Early Childhood Factors Influencing Health-Related Quality of Life in Adolescents at 13 Years. J Peadiatr Child Health. 2004,40(3):102-9.
11. Judge S. Developmental Recovery and Deficit in Children Adopted

- from Eastern European Orphanages. *Child Psychiatry Hum Dev*. 2003, 34(1):49-62
12. Penkin V.N. The influence of being an orphan on the physical development of children. *Probl.Sotsialnoi Gig.Istor Med.*, 2003 Sep-Oct;(5):19-20
13. გოგბერაშვილი ქ., ჭილაძე თ., ადეიშვილი მ., ფაღავა ყ. ფსიქომოტორული განვითარების თავისებურებანი დედის მზრუნველობას მოკლებულ ადრეული ასაკის ბავშვებში. თბილისი, სამეცნ.შრ.კრ. 2003, 39:88-91
14. Гогберашвили К.Я., Пагава К.И., Мелкадзе Т.В., Азнаурашвили К.В., Берелашвили Н.Д. Количественная Оценка развития детей при материнской депривации. *GMN*, 2003, 7-8(100-101):73-75
15. Gogberashvili K., Pagava K. The Influence of Maternal Deprivation on Immunoregulation in Infants. *Allergology and Immunology*, 2004, 5,3:482-4
16. Gogberashvili K. Maternal Deprivation, Acute Respiratory Infections and Immune Regulation. *Indian Journal of Pediatrics*, 2006, vol.73(11):995-7
17. Gogberashvili K.J., Pagava K.I. Serum Ornithine Decarboxylase, Ornithine and Growth Hormone Plasma Concentration in Infants Suffering from Maternal Deprivation. *Bull. Georgian Academy of Sciences*, 2003, 168,2:356-359.
18. Kim TI, Shin YH, White-Traut RC. Multisensory intervention improves physical growth and illness rate in Korean orphaned newborn infants. *Res Nurs Health*. 2003 Dec;26(6):424-33
19. Bowlby J. Attachment: Attachment and loss (2nd ed.). New York: Basic Books.
20. Roy P. Rutter M., Pickles A. Institutional care: associations between overactivity and lack selectivity in social relationships. *J Child Psychol Psychiatry*, 2004 May;45(4):866-73
21. Luntz B.K. & Widom C.S. Antisocial personality disorder in abused and neglected children grown up. *American J of Psychiatry*, 1994, 151,670-74
22. De Bellis M.D., Baum A., Birmaher B., Keshavan M., Eccard C.H., Boring a.M. et al. A.E. Bennett Research Award. Developmental Traumatology: Part I: Biological Stress Systems. *Biological Psychiatry*, 1999,45:1259-1270
23. De Bellis M.D., Keshavan M., Clark D.B., Casey B.J., Giedd J., Boring A.M. et al. A.E. Bennett Research Award. Developmental Traumatology: Part II: Brain Development. *Biological Psychiatry*, 1999,45, 1271-1284
24. De Bellis M. D. The Psychobiology of Neglect. *Child Maltreatment*. 2005,vol.10,2:150-172
25. ღონლაძე თ., მანჯავიძე ნ., მათიაშვილი ქ., ხუციძე ქ., ჟორჯოლიანი თ., მოტორული და ფსიქოსოციალური განვითარების თავისებურებანი ოჯახურ გარემოს მოკლებულ ადრეული ასაკის ბავშვებში. თსსუ შრ.კრ., 2001, 37:399-402
26. Ghonghadze T., Manjavidze N., et al. Peculiarities of Physical and Neuropsychological Development of Early Age Children Who Lack Parent Care. *Annals of Biomedical Research and Education*. 2004, vol.4, 1:26-29.

K. Gogberashvili, H. Manjavidze, G. Megrelishvili, K. Didebulidze, I. Ubiria

THE INFLUENCE OF MATERNAL DEPRIVATION ON CHILDREN' HEALTH (REVIEW)

Tbilisi State Medical University. Department of Pediatrics.

A review of own and literary data initiated to the influence of maternal deprivation on child's health state. Child neglect is the most prevailed, but least empirically studied form of child maltreatment. Among institutionalized children sever deficits in social development and behavioral and emotional regulations are noted. These were thought to be because of the lack of emotional stimulation from maternal deprivation. Maternally deprived children show delay in physical and psychomotor development, as alterations in brain functional development, impaired immunity. Neglected children are at high risk for externalizing behavioral problems and adult antisocial behavior. Severity of influence of maternal deprivation on child's health depends on gender and age of affect.

თ. გოთუა, ი. ფავლენიშვილი, ც. ფარულავა

კანდიდოზი დაბადებისას ძალიან მცირე მასის მქონე ახალშობილებში

თსსუ ნეონატოლოგიის მიმართულება

ინვაზიური კანდიდოზი ახალშობილებში გვიან სეფსისის უმძიმესი და არც თუ იშვიათი (რიგით მესამე) მიზეზია, რომელიც დაკავშირებულია მაღალ ლეტალობასთან. თუ 1984 წლამდე სიკვდილობის დონე 54 %-ს აღწევდა (2,6), ამჟამად ის 28,1 %-ს შეადგენს (1,2,4). თუმცა ექსტრემალურად მცირე მასის ახალშობილებში ის კვლავ 20-55% რჩება. დაბადებისას ძალიან მცირე და ექსტრემალურად მცირე მასის მქონე ახალშობილებში ხშირად გამოიყენება ინვაზიური სადიაგნოზო და აგრესიული თერაპიული ჩარევები, რომელთა უმრავლესობა ზრდის კანდიდოზური ინფექციის განვითარების რისკს. გარდა ამისა, იმუნური სისტემის უმნიფრობა, განსაკუთრებით დღენაკლულებში, რომელიც მოიცავს თ უჯრედებსა და ნეიტროფილებს, ასევე ხელს უწყობს ინფექციის განვითარებას. ნაჩვენებია რომ ახალშობილებში ფილტვის მაკროფაგების ანტიკანდიდოზური აქტივობა შემცირებულია.

ახალშობილთა კანდიდოზი იყოფა შემდეგ კატეგორიებად: კათეტერ-დაკავშირებული კანდიდემია და დისემინრებული ან ინვაზიური კანდიდოზი. ცალკე გამოყოფილია თანდაყოლილი კანდიდოზი. კათეტერ-დაკავშირებული კანდიდემია გვხვდება ახალშობილებში, რომელთაც ჰქონდათ ცენტრალური კათეტერები, ხოლო კანდიდემია სწრაფად განიცდის უკუგანვითარებას, როგორც კი ხდებოდა კათეტერის მოცილება და თერაპიის დაწყება. დისემინრებუ-

ლი ან ინვაზიური კანდიდოზი ვითარდება როგორც პერსონალური კანდიდიოზი, თუ კათეტერი არის ადგილზე ან მოცილებულია. ამ შემთხვევაში კანდიდას გამოთესვა ხდება სხვა ადგილებიდანაც. თუმცა, არ არსებობს კლინიკური კრიტერიუმი, ამ დიაგნოზის ტიკური ტესტი, რომელიც დაგვემხმარებება ამ ორი ჯგუფის პაციენტების გარეშად. 75%-ში ნეონატალური კანდიდოზი არის ინფექცია, რომელშიც ჩართულია ორი ან მეტი ორგანიზმი. ყველაზე ხშირია უნიფორმული ოსტეომიელიტი, მენინგიტი და თირკმლის კანდიდოზი. თუმცა, შეიძლება იყოს ინფექციის სხვადასხვა კერის კომბინაცია სისხლის, თირკმლის, მენინგეალური გარსების, გულის, თვალის, ძვლების, სახსრების ჩართვით. თანდაყოლილი კანდიდოზის კინის ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს ინვაზიური, გამოყოფილია ცალკე.

ემპირიული თერაპია. ინვაზიური კანდიდოზის სიმკვრივე ნეონატალურ განყოფილებაში მერყეობს 1,6 დან 12,9%-მდე. დაბადებისას ძალიან მცირე მასის მქონე ახალშობილებში კანდიდიოზი 9 %-ის სიმწრებით გვხვდება (2,3,4). დაინფიცირება შეიძლება მოხდეს ვერტიკალური ან ნოზოკომური ტრანსმისით. ვერტიკალური ტრანსმისია შეიძლება განვითარდეს როგორც ორსულობის დროს, აგრეთვე მშობიარობის პერიოდში. ორივე შემთხვევაში აღინიშნება დაინფიცირების აღმავალი ნაზალური ნაპირიდან. ქალებს შორის მისი სიხშირე 5% -ია. შეძენილი კანდიდოზი ყოველთვის არ გადადის სისტემურ ინფექციად.

ნეონატალური კანდიდოზის რისკ ფაქტორებია: ანტიბიოტიკების მრავლობითი გამოყენება, ცენტრალური ვენური კათეტერები, პარენტრალური ჰიპერალბუმინაცია, ინტრავენური ცხიმოვანი ემულსია, კანდიდათი კოლონიზაცია ან კან-ლორწოვანის კანდიდოზის წინა ეპიზოდი, დაბალი მასა დაბადებისას. (90% ახალშობილებისა არის დაბადებისას ძალიან მცირე მასით - 1500 გ.-ზე ნაკლები), ენდოტრაქეული მილა და ტრაქეოსტომა, პერიფერიული ვენური კათეტერები, თანდაყოლილი მალფორმაციები (გასტროინტესტინული ტრაქტის მალფორმაცია და გულის თანდაყოლილი დაავადებები, რომლებიც საჭიროებენ პროლონგირებულ მოსპობილი ნაჯიანის ახალშობილთა რეანიმაციაში), მანევროზებული ენტეროკოლიტი და ანატომიური დეფექტები, რომელიც მოითხოვენ ქირურგიულ ჩარევას (2,3,4,5).

ეტიოლოგია: ავტორია უმრავლესობა მიანიშნებს *Candida Albicansis*-ის პრევალირებას, თუმცა არის გამოკვლევები, სადაც წარეწენება, რომ *Candida Albicansis*-ის ხედიერთი წილი მცირდება და იმატებს სხვა შტამები, მაგ. *C. parapsilosis*, შედარებით ნაკლები სიხშირით გვხვდება სხვა შტამებიც (*C. tropicalis*, *C. glabrata*, *C. krusei* და სხვ.)

კლინიკა: სისტემური კანდიდოზის კლინიკური სურათი განურჩეველია ბაქტერიული სეფსისისაგან. ეს ნიშნებია ტემპერატურის არასტაბილურობა, პიოტენზია, რესპირატორული დისტრესი ან აპნოე, მუცლის შეტრევა, ნახშირწყლების აუტანადობა და სხვა.

მათ შორის ყველაზე ხშირი რესპირატორული დისფუნქცია და აპნოეა. ახალშობილთა უმრავლესობას აღინიშნება კანდიდოზური ინფექციის ლოკალური ნიშნები. კანისა და ლორწოვანი გარსების კანდიდოზი გვხვდება კლასიკური გამოწყობით, საფეხების დერმატიტი, ან ერთიმეორე გამოწყობით პაპულებითა და პუსტულებით. არჩევნად კანის კანდიდოზური ინფექციის ორ ფორმას: კანის თანდაყოლილი კანდიდოზს და ინვაზიური სოკოვანი დერმატიტი.

ცენტრალური ნერვული სისტემა: ხშირია კანდიდოზური მენინგიტი. გარდაცვლილთა 64% აღინიშნება ლიქვორის დადებითი კულტურა. ამ დროს ნეოროლოგიური კლინიკური მანიფესტაცია ლარობია და დაკავშირებულია ინტრაკრანიალური წნევის მომატებასთან.

თვლები : აღნერილია კანდიდოზური ენდოფტალმიტი კანდიდიოზის 50 %-ში.

გული: კანდიდოზური ენდოკარდიტი კლინიკურად ვლინდება, როგორც სიმპტომოკომპლექსი, რომელიც მიმდინარეობს გულის უქმარისობით, შუილით, პეტტიტებით, კანის ასცეციით, ართროთით, ჰეპატომეგალიით, სპენომეგალით. აღნერილია მარჯვენა მხარეი ინტრაკარდიული სოკოვანი მასა ან პულმონური სოკოვანი ემბოლიზმი.

თირკმელი: ხშირია ახალშობილთა რეანიმაციაში მყოფი ბავშვების სახარვედ ტრაქტის ინფექციის დროს. შესაძლებელია განვითარდეს უნილატერალური ან ბილატერალური რენალური ობსტრუქცია. ინვაზიური კანდიდოზის პირველი კლინიკური ნიშანი შეიძლება იყოს თირკმლის უქმარისობა. ძვლები და სახსრები: ხშირია ნეონატალური ართრიტი და ოსტეომიელიტი

თანდაყოლილი კანდიდოზი ვლინდება სიცოცხლის პირველი საათებიდან 6 დღემდე. ის ტრანსპლაცენტური ან ვერტიკალური (აღმავალი) ინფიცირების შედეგია. თანდაყოლილი კანდიდოზი არ არის დაკავშირებული ვაგინალურ მშობიარობას, სანაყოფე გარსების ნაადრევ დარღვევას, დენაქულუოზას, დედის ასაკ თუ მშობიარობის ხანგრძლივობასთან. თუმცა დაკავშირებულია დედის საშვილისნოს შიგა კონტრაცეფციისთან. არჩევნად მის ორ ფორმას: კანის თანდაყოლილ კანდიდოზს და თანდაყოლილ სისტემურ კანდიდოზს.

კანის თანდაყოლილი კანდიდოზი მანიფესტირდება პირველ 12 საათში კანის მრავლობითი გამონაყარით. ერთიმეული ლაქები, რომელიც შეიძლება გადავიდეს სუბტელურ, პაპულურ ან ვეზიკულურ ფაზებში. საბოლოოდ ვითარდება ფართო დესტეკაცია. ფრჩხილების პარონიქია და დისტროფია ასევე ხშირად შეიძლება შეგვხვდეს. ყველაზე ხშირად ზიანდება ტანი, კისერი, სახე და კიდურები. კანის დაზიანებები სპორტანერადაც შეიძლება გაქრეს ან უკუგანვითარდეს ორალური ნისტატიინის ხანმოკლე კურსის ჩატარების შემდეგ.

თანდაყოლილი სისტემური კანდიდოზის შემთხვევაში ლეტალობა საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით ძალიან მცირე და ექსტრემალურად მცირე მასის

ახალშობილებში. კანის გამოვლინებები ამ ჯგუფში იშვიათია. ძირითადი კლინიკური მანიფესტაცია ნარ-მოდენილია პნევმონიით და რესპირატორული დის-ტრესით. შემდეგ ადგილზეა კანდიდოზური მენინგი-ტი, კანდიდურია და ან კანდიდემია.

დიაგნოსტიკა: კანდიდოზზე ეჭვის შემთხვევაში საჭიროა ჩატარდეს შემდეგი გამოკვლევები. 1. სისხ-ლის, შარდისა და ლიქვორის სრული მიკრობიოლოგი-ური შესწავლა. 2. ბადურას კლინიკური შეფასება, გუ-ლის ეოკარდიოგრაფია, თირკმლის ულტრაბგერითი გამოკვლევა. თანდაყოლილი კანდიდოზის შემთხ-ვევაში რეკომენდებულია პირდაპირი ნაცხი კუჭის ას-პირატის, მეკონიუმის, კანის ვეზიკულების ან ჭიპის კულტურა. 3. პლაცენტის მიკროსკოპული და ზოგჯერ მაკროსკოპული გამოკვლევა ადასტურებს კანდიდო-ზურ ქორიოამნიონიტს. მომატებული ლეიკოციტებ-ის რაოდენობა, ახალგაზრდა ფორმებთან ერთად ან პერსისტული ჰიპერგლუკემია ასევე შეიძლება ადას-ტურებდეს დიაგნოზს.

მკურნალობა: მიუხედავად ტოქსიურობისა, მრავ-ლი ავტორი ასაბუთებს ორი კლასიკური ანტიფუნგა-ლური აგენტის, ამფოტერინი B-ს და 5-ფლუოროცი-ტოზინის კომბინაციის ეფექტურობასა და მინიმალურ გვერდით მოვლენებს ნეონატალური კანდიდოზის მკურნალობაში. Amphotericin B გამოიყენება 10-დან 15 მგ/კგ გაურთულებელი კათეტერ-დაკავშირებული კან-დიდემიის დროს და 25-დან 30 მგ/კგ ინვაზიური დაა-ვადების შემთხვევაში 5-fluorocytosine. 100 მგ/კგ დღ, გაყოფილი 4 თანაბარ ნაწილად. Flukonazole (Diflukan) 6-12 მგ/კგ პერ ოს ან ინტრავენურად 1 კვირაზე 1ჯერ 3 დღეში, მე-2 კვირაზე-1ჯერ 2 დღეში, ხოლო შემდეგ ყოველდღე.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ Amphotericin B ან მისი კომბინაცია 5-fluorocytosine-თან რჩება ნეონა-ტალური კანდიდოზის სტანდარტულ მიდგომად. რაც შეეხება მედიკამენტურ პროფილაქტიკას, მრავალი ავტორი დადებითი ეფექტი იყენებს ფლუკონა-ზოლს პროფილაქტიკის მიზნით დაბადებისას ძალიან მცირე მასის ახალშობილებში. (6,7)

ამგვარად, ინფექციური დაცვის ფაქტორების უმ-ნიფრობა, ინვაზიური პროცედურების მაღალი სიხშირე და ანტიბიოტიკების ფართო სპექტრის გამოყენება აპირობებს დაბადებისას ძალიან მცირე მასის ახალშო-ბილებში ინვაზიური კანდიდოზის მაღალ რისკს. ბავშ-ვთა ამ ჯგუფში ეს პათოლოგია იღებს დისემინირებულ ხასიოს და ხასიათდება მაღალი ლეტალობით. დის-ემინირებული ფორმის განვითარების რისკს წარმოად-გენს დაბადებისას ძალიან მცირე მასა (<1500გ) და გესტაციური ასაკი 32 კვირაზე ნაკლები.

კანდიდოზური ინფექცია დაბადებისას ძალიან მცირე მასის მქონე ახალშობილებში შეიძლება წარმო-დგენილ იქნეს როგორც თანდაყოლილი კანდიდოზის, ისე შეძენილი კანისა და ლორწოვანის კანდიდოზის სახით. ასევე, კანდიდემიით მიკრობის დისემინაციით ქსო-ვილებსა და ორგანოებში. დამამუვიდებელია ძალიან მცირე მასის მქონე ახალშობილებში ფლუკონაზოლით პროფილაქტიკის შედეგები.

ლიტერატურა:

1. Stoll B Hanse N, Fanaroff A, et al. Late-onset sepsis in very low birth weight neonates: the experience of the NICHD Neonatal Research Network. *Pediatrics*. 2002;110 :285–291
2. Benjarnin DK Jr, Stoll BJ, Fanaroff AA, et al. Neonatal candidiasis among extremely low birth weight infants: risk factors, mortality rates, and neurodevelopmental outcomes at 18 to 22 months. *Pediatrics*. 2006;117:84-92
3. Saiman L, Ludington E, Pfaffler M. Risk factors for candidemia in neonatal intensive care unit patients. The National Epidemiology of Mycosis Survey Study Group. *Pediatr Infect Dis J*. 2000;19 :319–324
4. Lopez Sastre J, Coto Cotallo G, Fernandez Colomer B. Neonatal invasive candidiasis: a prospective multicenter study of 118 cases. *Am J Perinatol*. 2003;20 :153–163
5. Shetty SS, Harrison LH, Hajich RA, et al. Determining risk factors for candidemia among newborn infants from population-based surveillance: Baltimore, Maryland, 1998–2000. *Pediatr Infect Dis J*. 2005;24 :601–604
6. Warris A, Semmekrot B, Voss A. Candidal and bacterial blood-stream infections in premature neonates: a case-control study. *Med Mycol*. 2001;39 :75–79
7. Kaufman D, Boyle R, Hazen K. Fluconazole prophylaxis against fungal colonization and infection in preterm infants. *N Engl J Med*. 2001;345 :1660–1666

T.Gotua, I.Pavlenishvili, TS. Parulava

CANDIDIASIS IN VERY LOW BIRTH WEIGHT NEONATES

Candida infections are frequent and major causes of late- sepsis in neonatal ICUs, and they are associated with high morbidity and mortality rates. Premature neonates and particularly low and very low birth weight infants require invasive diagnostic and aggressive therapeutic interventions, many of which increase the risk factors for developing Candida infections. The immaturity of the immune system specially among preterm neonates, which mainly involves T-cells and neutrophils, further predisposes this population to infections. The most frequently encountered fungal infections are caused by Candida Albicans or Candida Parapsilosis. Candidal infections in very low-birth-weight neonates may present as 3 distinct syndromes: congenital candidiasis, catheter-associated fungemia, and disseminated candidiasis. Up to 75% of cases of neonatal candidiasis present with infection of two or more organs. Unifocal osteomyelitis, meningitis, and renal candidiasis are the most common presentations, otherwise infection of any combination of blood, kidneys, meninges, heart, eye, bones, or joints. Amphotericin B (with or without 5-Fluorocytosine) is the treatment of choice for Candida infections in neonates, but its use is often limited by severe side effects. Possible alternatives to Amphotericin B include triazoles (such as Fluconazole) and lipid preparations of Amphotericin B.

გორგასლიძე ნ., ტაბაძე დ., გონაძე ნ.

სამკურნალო საშუალებების მოხმარების თანისაბურავების შესწავლა საქართველოს ავთიაქაში

თსუ-ს სოციალური და ჯიწიქური ფარმაციის დეპარტამენტი, ფარმაცოლოგიის დეპარტამენტი


სამკურნალო საშუალებებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ხარისხი დამოკიდებულია არა მხოლოდ აფთიაქებში არსებული მედიკამენტის რაოდენობაზე, არამედ ასორტიმენტის რაციონალურ, მიზნობრივ გამოყენებაზე და ფარმაცევტული ბაზრის თავისებურებებზე. ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა საქართველოში სამკურნალო საშუალებების მიმოქცევაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა საქართველოში სხვადასხვა ჯგუფის აფთიაქები, ჩვენს მიერ ნინასწარ შედგენილი ანკეტების მიხედვით. წარმოდგენილ ნაშრომში გაანალიზებულია 12 სხვადასხვა ჯგუფის აფთიაქიდან შემოსული პასუხები. II ჯგუფის - 6; III ჯგუფის - 3, სააფთიაქო პუნქტი - 1; სამკურნალო დაწესებულების - 2 აფთიაქი.

აღმნიანს ჯანმრთელობაზე მოქმედი ბიოლოგიური ფაქტორებიდან ერთ ერთი მნიშვნელოვანია ასაკი.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობდა 1446 რესპოდენტი, მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით, რომლებიც დაყოფილი იყვნენ მწარმოებლურ (20-59 წ), ნახევრად მწარმოებლურ (15-19წ. 60-69წ.) და არამწარმოებლურ ჯგუფებად (0-14წ. და 70წ და მეტი). ჩვენს შემთხვევაში 5- 20 წლამდე ასაკის გამოკითხულთა 156 პირიდან (1446 ადამიანიდან) 9 აფთიაქში (ე.ი. საშუალოდ 1 აფთიაქში) შევიდა აღნიშნულ ასაკის 17,66 პირი, რაც საერთო რაოდენობის რესპოდენტთა 11,32%-ია; დანარჩენი ასაკობრივი ფენასთან შედარებით 10,78%-ია (დიაგრამა №1).

დიაგრამა №1




20-30 წლამდე ასაკის 250 პირი დაფიქსირდა (ერთ აფთიაქში 27,78 პირი რესპოდენტთა საერთო რაოდენობის 10% ია), რაც ყველა დანარჩენი ასაკის საერთო რაოდენობის 17,29% შეადგენს. 9 აფთიაქს მიმართა 30-50 წლის 705 მომხმარებელმა (ანუ ერთ აფთიაქში საშუალოდ 78,33 მომხმარებელი შედის, რაც 11,11% ია), რაც რესპოდენტთა საერთო რაოდენობის 48,75%-ია. 50 წლის ასაკისა და მის ზევით გამოკითხულია სულ 335 - მომხმარებელი, რაც 37,22 (9,9%)

- შეადგენს ერთ აფთიაქზე, ანუ რესპოდენტთა საერთო რაოდენობის 23,16% - ია.

მიღებული მონაცემებიდან ნათლად სჩანს, რომ ასაკის მატების შესაბამისად იზრდება აფთიაქში მიმართვის რიცხვი, ვინაიდან მატულობს დაავადებების განვითარების რისკი. ეს უკანასკნელი პიკს აღწევს 30-50 ასაკობრივ ჯგუფში (რეგრესული ტიპი - როდესაც 50 წლისა და მეტი ასაკის პირთა რაოდენობა მეტია 0-14 წლის ასაკის პირთა რაოდენობაზე). ნიშნდობლივია ის ფაქტი, რომ 30-50 წლის ასაკის მოსახლეობა ფაქტურად შეადგენს მოსახლეობის იმ რაოდენობის ნახევარს, რომელმაც მიაკითხა აფთიაქებს, რაც დაკვირვებულია 50 წელს ზევით დაავადებათა რიცხვის მატებასთან და მედიკამენტების გამოყენების სიხშირის ზრდასთან. აქვე აღსანიშნავია, რომ, 50 წელს ზევით ხანდაზმულტებში, უმუშევრტებში და დაბალი პენსიების მქონე პირტებში მედიკამენტების ყიდვის უნარიანობა დაბალია, რის გამოც თავს იჩენს სოციალური ბრობლემტები.


აღმნიანს ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორების შორის წამყვან როლს თამაშობს ის სოციალური გარემო, რომელშიც მას უხდება ცხოვრება. რეფერენტულ აფთიაქებში გამოვლინდა მოსახლეობის სოციალური ფენა : მოსამსახურე, პენსიონერი, სასკოლო ასაკი, სტუდენტები, მუშა. მონაცემები გამოსახულია №2 დიაგრამაზე.

დიაგრამა №2



გამოკითხულ 8 აფთიაქში დაფიქსირდა 957 სხვადასხვა ფენის რესპოდენტი, რომლებიც რაოდენობრივად და პროცენტულად განაწილდა შემდეგნაირად (დიაგრამა №3).


დიაგრამა №3



დიაგრამიდან გამოვლინარე აფთიაქში მომხმარებელთა 39% პენსიონერი, რაც წინააღმდეგობაში არ მოდის 30-50 წლის ასაკობრივ ჯგუფთან, რომლებშიც სჭარბობენ. ინვალიდები და პენსიონერები (დაბადებიდან ინვალიდები, ომის ინვალიდები).

მეორე პოზიციის მხრივ სავარაუდოდ გამოიკვეთა ის მოსამსახურეები, რომლებიც მატერიალურად შედარებით უზრუნველყოფილნი არიან და 29%-ს შეადგენენ


დიაგრამა № 4



საინტერესო მონაცემები გამოვლინდა ხშირად მოხმარებადი (დიაგრამა №4) პრეპარატების მხრივ, საიდანაც სჩანს, რომ ამ მხრივ ყველაზე პოპულარულია ციტრამონი. (ტკივილდამაყუჩებელი, და სიცხის საწინააღმდეგო), რომელსაც მოსდევს რაუნატინი (ანტიჰიპერტენზიული), ანალგინი, ასპირინი, სენადეექსინი, ადელფანი, ვალერიანის წვეთები, რეპიდრონი, გააქტივებული ნახშირი. აღნიშნულის მიზეზად ჩვენ მივიჩნით წარმოდგენილი პრეპარატების ფარმაცევტულ ბაზარზე საუკუნეზე მეტ ხანს არსებობა, ასევე მოსახლეობის ინფორმაციის მალალი ხარისხი და ხელმისაწვდომობა.

ჩვენი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ასევე ის გარემოება, თუ აფთიაქში მომხმარებელი რის მიხედვით ირჩევს მისთვის საჭირო პრეპარატს. ამისათვის კითხვარში შევიტანეთ სამი ფორმა. კერძოდ, თუ ვისგან (ექიმი, ფარმაცეტი) იღებს პაციენტი კონსულტაციას, რა სიხშირით, საიდან აქვს ინფორმაცია და თუ პრეპარატს ირჩევს დაავადების მიხედვით (დიაგრამა №5, №6).

დიაგრამა №5



დიაგრამა №6



უნდა აღინიშნოს, რომ კონსულტაციების რიცხვმა აფთიაქებში საშუალოდ 44,16% - ი შეადგინა (530/12) (დიაგრამა №6).

აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე თამამად შეიძლება ითქვას, რომ აფთიაქებში კონსულტაციები ტარდება არასრულყოფილად. ე.ი. დაახლოებით 10 მომხმარებელიდან კონსულტაციას გადის მხოლოდ 4-5. ეს საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია, მითუმეტეს რომ იმის განსაზღვრა თუ რამდენად კვალიფიციურია კონსულტაცია ჯერჯერობით შეუძლებელია.


პრეპარატთან დაკავშირებული ინფორმაციის მიხედვით კი 27,5% (320/12) (დიაგრამა №6) ეს მაჩვენებელი საერთოდ სავალალოა. ვინაიდან 10 მომხმარებელიდან მხოლოდ 2-3 ფლობს ადეკვატურ ინფორმაციას პრეპარატზე პაციენტისათვის განკუთვნილი ინფორმაციის შესახებ. პაციენტის, როგორც მომხმარებლის სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით დიაგრამა №7-ზე ნაჩვენებია დაავადებათა ჯგუფის მიხედვით პრეპარატების მოხმარების მონაცემები. აღერგოული დაავადებათა სამკურნალო პრეპარატების მოხმარების შემთხვევები დაფიქსირდა 5 აფთიაქში; მწვავე რეპროდუქციული დაავადებები, გრიპის საწინააღმდეგო - 4-ში; ჰიპერტონიული დაავადების სამკურნალო - 4-ში; რეუმატოიდული დაავადების საწინააღმდეგო - 4-ში; გულსისხლძარღვთა დაავადების სამკურნალო - 2-ში; სისხლმადი ორგანოების დაავადების სამკურნალო - 2-ში; კუჭ-ნაწლავის დაავადების სამკურნალო - 2 აფთიაქში.

დიაგრამა №7



ჩვენთვის საინტერესო იყო, თუ მომხმარებელი მისთვის საჭირო წამლის რომელ ფორმას ანიჭებს უპირატესობას. აქ აფთიაქიდან წამლის რომელი ფორმები გაიცემა. ამ მხრივ მონაცემები წარმოდგენილია დიაგრამაზე (დიაგრამა №8);


დიაგრამა №8



გამოკითხული აფთიაქების მიხედვით 91%-ში პაციენტები მოითხოვენ ნაშლის ტაბლეტირებულ ფორმას. 41,67% -ში საინექციოს, 33%- კაფსულირებულს და 16,67% - ში ნაშლის რბილ და სითხოვან ფორმას.


მკურნალობის მსოფლიო პრაქტიკაში დიდი წარმატებით სარგებლობა მცენარეული წარმოშობის პრეპარატები. საქართველოში ამ მხრივ ჩატარებულმა მონიტორინგმა გვიჩვენა, რომ ძირითადად მომხმარებელი ირჩევს კუჭ-ნაწლავისა და ცენტრალური ნერვულ სისტემაზე მოქმედ პრეპარატებს. რაც შეეხება ნაშლის ფორმებს მომხმარებლისათვის, ამ მხრივ მოსახერხებელია სითხოვანი, დანერვილმანებული, კაფსულები და ტაბლეტირებული (დიაგრამა №9)

დიაგრამა №9



საკმაოდ საინტერესო მონაცემები მივიღეთ პაციენტების მკურნალობისას ექიმის დანიშნულებით, სხვისი რჩევით, რეკლამის საშუალებით ან ფარმაცევტის კონსულტაციის მიხედვით. მიღებული მონაცემებით (დიაგრამა №10) უპირატესობა გამოვლინდა ფარმაცევტის კონსულტაციის შემთხვევაში (10 შემთხვევა); რეკლამის ზეგავლენით მკურნალობას იტარებდა 7 პაციენტი; ექიმის დანიშნულებით 7; სხვისი რჩევით მკურნალობის 4 შემთხვევა იქნა გამოვლენილი.

დიაგრამა №10



მეტად სავალოა, როდესაც მკურნალობის შემთხვევები რეკლამითა და ექიმის დანიშნულების მიხედვით ერთნაირი სიხშირით დაფიქსირდა. რაც შეეხება ფარმაცევტის კონსულტაციით მკურნალობის შემთხვევებს, აქ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ფარმაცევტების კვალიფიკაცია, ხოლო ყველა სხვა შემთხვევებში სავარაუდოდ მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობით უნდა იყოს განპირობებული.

ჩვენს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების შედეგად შესაძლოა დავასკვნათ, რომ - პაციენტი მიმართავს ექიმს უკიდურეს შემთხვევაში;

2. მოხმარს იაფ ნაშლს;

3. მიმართავს სიმპტომატურ თვითმკურნალობას;

4. მნიშვნელოვნად ირჩინა თავი მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, რაც მოითხოვს უფრო ჩქარი ტემპით სადაზღვევო მედიცინის დანერგვის აქტუალზაციას.

Gorgastidze N., Tabatadze D., Gongadze N.

THE STUDY OF PECULIARITY OF DRUG USING IN GEORGIAN DRUGSTORES

The investigation were carried out in different group of Georgian drugstores. In representative material have been analyzed the answers from 12 different following drugstores: II group – 6 drugstore; III group – 3 drugstore; drugstore station – 1; hospital drugstore – 2. In our investigation have been involved 1446 respondent of different age, from 5-70 years old and above. The received results indicated that:

1. The patients addressed to physician only in extreme situation;
2. The majority of patients are using only a cheap drugs;
3. The patients very often are using selfmedication;
4. Above mentioned in main part caused by social-economic factors, which requires a more rapid introduce of insurance medicine in Georgia.

გორგაშთაძე ნ., თაბათაძე დ., გონგაძე ნ.,
პედიკოლოგიური მედიცინის მედიკოსი

სარქვევ ჯირკვლის ფილოიდური ფიბროადენოზა

თსს-ის ურბანული მირაზიის ჯანდაცვა

სარქვევ ჯირკვლის ფილოიდური ფიბროადენოზა მიეკუთვნება სარქვევ ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნეების ჯგუფს, კერძოდ კი წარმოადგენს ინტრაკანალიკულური ფიბროადენოზის ერთერთ სახესხვაობას. თანამედროვე მონაცემებით ფილოიდური ფიბროადენოზა შედის დისპორმონულ დისპლაზიების ჯგუფში (1).

დისპორმონული დისპლაზიები ზრდის ტიპების მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად:

- I. ნოდოზური
 1. ფიბროადენოზა
 2. ფილოიდური ფიბროადენოზა
- II. დიფუზური
 1. ადენოზი
 2. ფიბროადენოზატოზი
 3. ცისტოადენოზაპილოზი
 4. მაფიბროზირებული ადენოზა

ფილოიდური სიმსივნე უფრო ხშირად გვხვდება 40-50 წლის ასაკის ქალებში.

პათანატომიურად – სიმსივნე შედგება სადინრების ეპითელიუმის პროლიფერაციული ელემენტებისაგან და შემადგენელი ქსოვილისგან. ზრდის სახისათვის მიხედვით ძირითადად ინტრაკანალიკულური ტიპისაა (4).

სიმსივნეს აქვს დამახასიათებელი შერეობრივი აგებულება, კარგადაა გამოყოფილი მიმდებარე ქსოვილებისაგან, მაგრამ ნამდვილი კაფსულა არ გააჩნია. იგი ხშირად შეხორცებულია კანთან, ახასიათებს სწრაფი ზრდა და შესაძლოა ხანმოკლე პერიოდში მიაღწიოს გიგანტურ ზომებს (20სმ დიამეტრის). სიმსივნის განსაკუთრებით დიდი ზომების მიღწევისას მისი შემომფარგლავი კანი თხელდება და იღებს ციანოზურ ელფერს, ინვეზის სარძევე ჯირკვლის მკერდი დეფორმაციას. ზოგჯერ ავადმყოფებს აღენიშნებათ გულმკერდის ვენური სისხლძარღვების გაგანეიერება (2,3).

ფილოციდური სიმსივნისათვის დამახასიათებელია ხშირი რეციდივები. ფილოციდური ფიბროადენომის ფონზე კიბო უფრო იშვიათად ვითარდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მისი ავთვისებიანი გადაგვარება ფილოციდურ ცისტისაგან. ავთვისებიანი გადაგვარების შემთხვევაში სიმსივნის მეტასტაზირება ხდება ძვლებში, ფილტვებში და სხვა ორგანოებში (5).

დანოსტრება ხდება ძირითადად ბიოფსიური მასალის ჰისტოპათოლოგიური შესწავლის საფუძველზე.

მკურნალობა: მკურნალობის ძირითად მეთოდს წარმოადგენს ქირურგიული ჩარევა. ოპერაციის მოცულობა დამოკიდებულია სიმსივნის ზომასზე: მცირე ზომის სიმსივნეების დროს ანარმოებენ ენუკლეაციას ან სექტორულ რეზექციას. თუ სიმსივნური ნარმონაქმის დიამეტრი 8-10 სმ. ფარგლებშია, ამ შემთხვევაში კეთდება მასტექტომია და ამოკვეთილი მაკროპარატიის ჰისტოლოგიური გამოკვლევა. სიმსივნის ავთვისებიანად გადაგვარების შემთხვევაში ახორციელებენ რადიკალურ მასტექტომიას. შემდგომი მკურნალობის ტაქტიკა განისაზღვრება ამოკვეთილი ლიმფური კვანძების ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევების შედეგების მიხედვით.

ჩვენს კლინიკაში, ბოლო 10 წლის მანძილზე, დაფიქსირდა სარძევე ჯირკვლის ფილოციდური ფიბროადენომის ერთი შემთხვევა. 20/XI.2007 წ. კლინიკაში შემოვიდა 36-წლის, 45 წლის ქალი, (ავადმე. ისტ. №678) ჩივილებით სიმსივნურ ნარმონაქმზე მარჯვენა სარძევე ჯირკვლის ქვედა მედიალურ კვადრანტი. შემოსვლის დიგნოზი - მარჯვენა სარძევე ჯირკვლის ფიბრომა.

ავადმყოფის გადმოცემით, სიმსივნური ნარმონაქმი მარჯვენა სარძევე ჯირკვალში შენიშნა 6 თვის წინ. სიმსივნური ნარმონაქმი დროთა განმავლობაში ზომამი პროგრესულად მატულობდა.

შემოსვლისას ზოგადი მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი: კანი და ბილული ლორწოვანი ვარდისფერი, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა პათოლოგიის გარეშე; სასუნთქი სისტემა: პერკუსით ნათელი ხმოანობა, აუსკულტაცია - ვეზიკულური სუნთქვა. გულ-სისხლძარღვთა სისტემა: Cor. ტონები სუფთაა; P - 76, TA - 120/70, საჭმლის მომწელებელი სისტემა; ენა სველი, მუცელი რბილი, ღვიძლი და ელენთა არ სცილდება ნეკნთა რკალს; მარდ-სასქესო სისტემა: თირკმელები ბიმაქულური პალპაციით არ ისინჯება, პასტერნაკი (-), მარცხე თავისუფალი.

ლოკალურად: მარჯვენა სარძევე ჯირკვლის ქვედა მედიალურ კვადრანტი სიმსივნური ნარმონაქმი ზომით 8-6 სმ.

პერიფერიული სისხლის ანალიზი: Hb-140, Er - 4,5x10¹², L-5x10⁹, თრომბოციტები - 319000, ელს - 18, ნეიტროფილები 73% - ლიმფოციტები - 10%, ჩხირბირთვიანი - 7%, სეგმენტბირთვიანი - 66%, ეოზინოფილი - 6%, ბაზოფილი - 2%.

შარდის საერთო ანალიზი პათოლოგიის გარეშე.

ულტრაბგერითი გამოკვლევით სარძევე ჯირკვალში პრემენსტრული ტიპის, პარენქიმა კარგად გამოხატული, არაერთგვაროვანი აგებულების და შერეული ექოსტრუქტურის, მარჯვნივ ქვედა მედიალურ მონადირის ისახებოდა მკაფიო, არასწორი კონტურების მქონე მოცულობითი ნარმონაქმი ზომით 6,7x4,2 სმ-ზე, რომლის ირგვლივ აღინიშნებოდა ექოსტრუქტურული ცვლილებები. ცენტრალურად ისახებოდა ანექოგენური სტრუქტურის დესტრუქციული-ნეკროზული უბანი. კანქვეშა ცხიმოვანი ნილაკები - ზომიერი განვითარების, არაერთგვაროვანი აგებულების, მასში ისახებოდა ექოგენური სტრუქტურის შემართებელ ქსოვილოვანი ნერტილოვანი ჩანართები, კუპერის ჭიმბი - მკვეთრად გატლანქებული. ულტრაბგერითი გამოკვლევის საფუძველზე დაისვა მარჯვენა სარძევე ჯირკვლის მოცულობითი ნარმონაქმის დიაგნოზი.

ციტოლოგიური გამოკვლევით პუნქტატში გამოვლინდა პრიზმული ეპითელიუმის ერთგვაროვანი უჯრედების წერილი მრავლობითი ჯგუფები, კარგად გამოხატული საზღვრებით, უჯრედულ-ბირთვული ატომის ნიშნების გარეშე, რაც მეტყველებდა გვიგანტური ინტრაკანალიკულური ფიბროადენომის (ფოთლისებური სიმსივნის) სასარგებლოდ.

კლინიკური, ულტრაბგერითი და ციტოლოგიური გამოკვლევების მონაცემების საფუძველზე ავადმყოფს დაესვა მარჯვენა სარძევე ჯირკვლის ფიბროადენომის დიაგნოზი და გადაწყდა ოპერაციული მკურნალობა.

ადგილობრივი ანესთეზიის ქვეშ ჩატარდა მარჯვენა სარძევე ჯირკვლის სექტორული რეზექცია, ამოღებულ იქნა ფიბრომატური კვანძი ზომით 8x6 სმ-ზე, ჭრილობა დაიბრუნა ყრულ. პრეპარატი გაიგზავნა ჰისტომორფოლოგიურ გამოკვლევასზე.

არტერიული ჰიპერტენზიის გართულებების სიხშირემ აჩვენა, რომ ყველაზე ხშირი გართულება ჰიპერტონული კრიზია. ამასთან, ყურადღებას იპყრობს მი-

ოკარდიუმის ინფარქტის სიხშირე თამარაშენის (ბარის ტიპის დასახლება, საომარი მოქმედების ზონა) პაციენტებში, რომელიც სტატისტიკურად სარწმუნოდ მაღალია ქემერტის მონაცემებზე ($p < 0,01$) (ცხრ. 3)

45 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის აპ-ის გართულებებში განსაკუთრებით მაღალი სიხშირით გვხვდება თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა (41,4%).

პიროვნული და სიტუაციური შფოთვის და დეპრესიის მაჩვენებლების შედარებამ სამივე სოფელში მცხოვრებ აპ-ით დაავადებულებში აჩვენა, რომ თამარაშენში მცხოვრებ პაციენტებს აღნიშნებათ პიროვნული და სიტუაციური შფოთვის უკიდურესად მაღალი მაჩვენებლები, რაც სტატისტიკურად სარწმუნოდ აღემატება ქემერტისა და ქურთაში მცხოვრებ ავადმყოფთა ანალოგიურ მაჩვენებლებს ($p < 0,01$, ცხრ. 4).

კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ აპ-ით დაავადებულებში გვხვდება მსუბუქი დეპრესია (60%, 40% და 70%), ხოლო სუბდეპრესიის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღმოჩნდა თამარაშენში - 30% ($p < 0,01$).

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მაღალი ხარისხის არტერიული ჰიპერტენზია უფრო ხშირია აქტიური

ცხრილი 2

აპ-ის სიმძიმის ხარისხი

	თამარაშენი n=229			სვერი-ქემერთი, n=172			ქურთა n=231		
	<45წ	46-60წ	61-75წ	<45წ	46-60წ	61-75წ	<45წ	46-60წ	61-75წ
აპ	<45წ	46-60წ	61-75წ	<45წ	46-60წ	61-75წ	<45წ	46-60წ	61-75წ
I ს	3,9%	0	0	12,2%	6,4%	0	5,19%	3,03%	0
II ს	30,13%*	8,73%	2,18%	15,69%	11,62%	8,13%	21,2%	13,41%	3,89%
III ს	6,11%	15,72%	30,56%	4,06%	12,79%	26,7%	5,19%	13,85%	29,43%

ცხრილი 3

გართულებათა სიხშირე არტერიული ჰიპერტენზიით ავადმყოფთა I, II, III ჯგუფებში

სამიზნე ორგანო	დაზიანების სახე	თამარაშენი	სვერი-ქემერთი	ქურთა
გული	მკპ	49,19%	42,27%	48,8%
	არითმია	24,06%	23,57%	21,42%
	მი	27,27%	21,95%	25,59%
	გუ	48,66%	39,83%	47,02%
თავის ტვინი	იშემ.ინსულლტი	15,50%	13,82%	14,28%
	ჰიპერტ.კრიზი	58,82%	58,53%	58,3%
თირკმელები	პროტეინურია	20,85%	18,69%	18,45%
თვალი	რეტინოპათია	37,96%	36,58%	35,62%

ცხრილი 4

სიტუაციური და პიროვნული შფოთვის მაჩვენებლები

შფოთვის დონე	შფოთვის მაჩვენებელი					
	პიროვნული		სიტუაციური		პიროვნული	
	სიტუაციური	პიროვნული	სიტუაციური	პიროვნული	სიტუაციური	პიროვნული
	თამარაშენი	სვერი-ქემერტი	ქურთა			
დაბალი	-	-	-	-	-	-
საშუალო	-	-	19,05%	23,8%	-	-
მაღალი	25%	10%	47,61%	52,38%	45%	50%
უკიდურესად მაღალი	75%	90%	33,33%	23,8%	55%	50%

საომარი მოქმედების ზონაში. აპ ასაკობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ საქმე გვაქვს ე.წ. არტერიული ჰიპერტენზიის „გაახალგაზრდავებასთან“. როგორც №1 ცხრილიდან ჩანს, ახალგაზრდა ასაკის ჰიპერტონიკები (34,8%) დაავადებიათობის სიხშირით უთანაბრდებიან ხანდაზმულ პაციენტებს (33,5%) და სჭარბობენ საშუალო ასაკის ავადმყოფებს (28,3%). აქტიური საომარი მოქმედების სოფ. თამარაშენში ყველაზე ხშირი ახალგაზრდა პაციენტებში იყო ზომიერი (IIb) აპ, რომელმაც შეადგინა 30,13%, იგივე ასაკობრივ ჯგუფში საომარი მოქმედებებისგან დაცულ სოფელ ქურთაში ავადმყოფობდა 21,21%, საომარი მოქმედებებისგან ნაწილობრივ დაცულ სოფ. ქემერტში კი - 15,69%. განსხვავება სარწმუნოა ($p<0,01$), რაც სხვა თანაბარ პირობებში მიგვანიშნებს თამარაშენის მოსახლეობისთვის მომატებული რისკის არსებობას და, შესაბამისად, უფრო აქტიური სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავების აუცილებლობას.

ეთნოკონფლიქტის ზონის აპ-ის კიდევ ერთ კლინიკურ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს სამიზნე ორგანოების სწრაფი დაზიანება (ცხრ. 3). ყველაზე ხშირი გართულება, რომელიც თანაბრად იყო წარმოდგენილი სამივე სოფლის აპ-თი ავადმყოფებში იყო ჰიპერტონიული კრიზი, შემდეგ — მიოკარდიუმის ინფარქტი, რომელიც უფრო მაღალი სიხშირით იყო სოფ. თამარაშენში და ქურთაში, ხოლო ნაწილობრივ დაცული სოფ. ქემერტის მონაცემები სარწმუნოდ ჩამორჩებოდა და შეადგენდა 21,95% ($p<0,01$). ინსულტის შემთხვევების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო სოფ. თამარაშენში. მაშინ, როცა თამარაშენის მოსახლეობაში ისედაც მაღალია მაღალი ხარისხის (II-III) აპ და გართულებების სიხშირე სვერი-ქემერტის და ქურთასთან შედარებით, აქტიური საომარი მოქმედების სოფ. თამარაშენში ახალგაზრდა პაციენტებში ზომიერი (IIb) აპ-ის სტატისტიკურად სარწმუნოდ ($p<0,01$) მაღალი არსებობა განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ჯგუფის (თამარაშენი) ასაკობრივ ქვეჯგუფში (45 წლამდე) გართულებების მოსალოდნელი რისკის თვალსაზრისით.

ესენციური არტერიული ჰიპერტენზიის განვითარება, ლიტერატურის მონაცემებით, ასოცირდება პაციენტებში შფოთვის მაღალ დონესთან, რაც შესაძლოა წარმოადგენს მისი წარმოქმნის ერთ-ერთ პრედიქტორს და ამძიმებს მის მიმდინარეობას (2,3,9), რასაც ჩვენი მონაცემებიც (მაღალი

პიროვნული და სიტუაციური შფოთვის მაჩვენებლები მთლიანად ეთნოკონფლიქტის ზონაში და უკიდურესად მაღალი — საომარი მოქმედების ზონაში; ასევე ამავე ზონაში სუბდეპრესიის მაღალი დონე — 30%) ადასტურებენ.

ამჟამად განიხილება ორი ძირითადი მექანიზმი, რომელიც ხსნის დეპრესიის კავშირს აპ-ით და გიდით ავადმყოფთა სიკვდილობის მატებასთან. პირველი - დეპრესიის გავლენა მკურნალობისადმი განწყობაზე და მეორე - დეპრესიულ ავადმყოფებში ზოგიერთი პათოფიზიოლოგიური თავისებურებების (ვეგეტაციური ნერვული სისტემის სიმპატიკურ/პარასიმპატიკურ ნაწილებს შორის დისბალანსის) არსებობა, რაც ზემოქმედებს გულის რიტმის დარღვევებზე და შეიძლება გახდეს კარდიო-ვასკულური სიკვდილობის მატების მიზეზი (9).

დასკვნები. კონფლიქტის ზონაში მცხოვრებთა აპ უპირატესად მძიმე ფორმისაა და სწრაფად პროგრესირებადი ხასიათი აქვს. შფოთვა-დეპრესიის სინდრომი აღენიშნება კონფლიქტის ზონის ჰიპერტენზიის მქონე პირთა აბსოლუტურ უმრავლესობას. მაღალი ხარისხის აპ (II-IIIb) უფრო ხშირია აქტიური საომარი მოქმედების ზონაში და ასოცირებულია პიროვნული და სიტუაციური შფოთვისა და სუბდეპრესიის მაღალ მაჩვენებლებთან. კონფლიქტის ზონის ჰიპერტენზიის ერთ-ერთ თავისებურებას სამიზნე ორგანოების ადრეულ ეტაპზე დაზიანება წარმოადგენს. არტერიული ჰიპერტენზიის გართულებებიდან აქტიური საომარი ზონის პაციენტებში განსაკუთრებით მაღალია მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის სიხშირე, 45 წლამდე პაციენტებში კი - ინსულტის. ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების სოციალური ანალიზი კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ აპ-ით დაავადებულებში მიუთითებს ცხოვრების ხარისხის არადამაკმაყოფილებელ ხასიათზე და მათთვის სპეციალური სამედიცინო და ფსიქოლოგიური პროგრამების შექმნის აუცილებლობაზე.

ლიტერატურა

1. Davis S.I. Ghahramani P; Jacson Pr. et al. Association of panic disorder and panic attack with hypertension. Am. J. Med. 1999;107:310-316.
2. Jonas BS, Franks P, Ingrem DD. Are symptoms of anxiety and depression risk factors for hypertension? Longitudinal evidence from the National Health and Nutrition Examination Survey. J. Epidemiology

logic Follow-up Study. *Arct. Fam. Med.* 1997;6:43-49.

3. Погосова Г. В. Депрессия – новый фактор риска ИБС и предиктор коронарной смерти. *Кардиология*-2002. -4-86-91.

4. Larson S.L. Owens P.L, Ford P, Eaton W. Depressive disorder, dysthymia and risk of stroke. Thirteen-Year Follow-up from the Baltimore epidemiologic catchments area study. *Stroke* 2001;32(9):1979.

5. Mann SY, James GD, Defensiveness and essential hypertension. *J Psychos. Res* 1998;45:139-148.

6. Clerson D, Elkhon M, Mounier Vehier C et al. Stress, blood pressure reactivity and arterial hypertension: not an unambiguous relation. *Arch Mal Coeur Vaiss* 1994; 87:1097-1101.

7. Brundtland GH. Mental health in the 21 st century. *Bulletin of the WHO*, 2000, 78:411.

8. Остроумова О.Д, Мамаев В.И., Первичко В.В – Артериальная гипертензия и тревожные расстройства// *Кардиология*.- Т42.-2002 - №2,95-98.

9. Стаценко М.Е., Говоруха О.А. Влияние грандаксина на показатели качества жизни и темп реализации больных с сердечной недостаточностью перенесших инфаркт миокарда// *Лекарственный вестник* 2004-2.-,23-28.

**Emukhvari N.M.; Kiknadze M.P.; Petriashvili Sh.,
Varazanashvili L.M.; Bregvadze-Tabagari N.S.;
Mamatsashvili I.O.**

STUDY OF LIFE QUALITY INDICATORS IN PATIENTS WITH PRIMARY (ESENTIAL) ARTERIAL HYPERTENSION

TSMU, Internal Medicine Department, Direction of Therapy

The aim of the research was to study the influence of depression and anxiety disorders of the patients with primary (essential) AH live in the different phsycosocial environment, on disease course and complications because of working out suitable methods of treatment and prevention.

Materials and Methods: 632 patients with AH lived, in ethnoconflict zone (Georgian villages of Tskhinvali region) were examined. The region was divided into three sectors and the patients were distributed in three groups accordingly. I gr. – 229 (36,23 %) patients with AH lived in plain-type village (Tamarasheni), where active military actions are noticed; II gr – 172 (27,22%) patients lived in mountainous villages (Skveri-kemerta), where no military actions are presented and III gr. – 231 (36,55%) patients lived in plain-type village (Kurta) characterised with less military actions. People taking part in study were 25-75 years old and older. By age they were also divided into four subgroups. I gr. – patients not reached 45; II gr – patients aged 46-60; III gr. – patients aged 61-75 and IV gr. – patients older, than 75. Severity of AH, risk factors, frequency of complications, anxiety and depression levels were investigated.

Results: Frequency of severe AH (II - III) is higher for the population located in the plain-type villages, where active military actions are presented. Myocardial infarction (MI) is significantly frequent in patients lived in Tamarasheni, than in those who are distributed in Kemerti. ($P<0,01$).

In patients, whose age are less, than 45, (I and II subgroups) II degree of AH is statistically high. Among complications, stroke prevalence was also identified (41,4%). Extremely high indicators of personal and situation anxiety were statistically found in patients of I gr. ($P<0,01$). Severe level of depression is also prevalent in the patients from this group ($P<0,01$).

Conclusion: Peculiarities of AH in conflict zone inhabitants are: high level of anxiety-depression syndrome; high frequency of severe AH and AH in young people. In active military action zone, MI frequency was particularly higher and the occurrence of stroke was found to be higher in the patients from younger subgroup(< 45). The analysis of the research shows insufficient quality of life and nessecity of elaboration of special medical and phsycological programs for treatment, as well as prevention of complications for active conflict zone inhabitants.

ერიაშვილი ვ., ბაკურიძე ა., ზარქუა თ., ბერაშვილი დ., დულაშვილი ნ.

თანამედროვე მზა ნაშაღთფორმების აფთიაქის სტრუქტურა და საქმიანობა

თსსუ-ის სოციალური და კლინიკური ფარმაცეუტიკის დეპარტამენტი

დღეისათვის თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამედიცინო-ფარმაცევტული დანერგვა - აფთიაქი განიხილება არა მარტო როგორც ფუნქციონალური, არამედ საბაზრო-ფსიქოლოგიური თვალთახედვითაც. აქედან გამომდინარე, მომხმარებელთა (პაციენტთა) დამოკიდებულება კონკრეტული აფთიაქისადმი, „შეიძინონ სამკურნალო საშუალება სწორედ ამ აფთიაქში“, განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, რაც განსაზღვრავს მათ წარმატებას ან წარუმატებლობას ფარმაცევტულ ბაზარზე.

ფარმაცევტული მარკეტინგის კონცეფციის თანახმად მომხმარებელთა დამოკიდებულებას აფთიაქისადმი განაპირობებს ოთხი ძირითადი ფაქტორი: ადგილმდებარეობა (place), იმიჯი (promotion), ასორტიმენტი (product) და საფასო (price) პოლიტიკა(4). ჩგარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებისა, რომლებიც განაპირობებენ მომხმარებელთა მიზიდვას კონკრეტული აფთიაქისადმი, მნიშვნელოვან ფაქტორებად მიგვაჩნია აფთიაქის გარეგანი სახე — დიზაინი (ფორმა), მისი შიდა სტრუქტურა და ფარმაცევტული საქმიანობა (შინაარსი) თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად (1,2,3).

მომხმარებლის შენარჩუნება შესაძლებელია არა მხოლოდ კარგი სერვისით, ფართო ასორტიმენტითა და საფასო პოლიტიკით, არამედ აფთიაქის განთავსების გეოგრაფიული და დემოგრაფიული პრინციპების გათვალისწინებით. მომსახურეობის ხელმისაწვდომობა არის ის ერთ-ერთი მთავარი მომენტი, რომელიც აფთიაქში ერთხელ შემთხვევით შემოსულს მუდმივ მომხმარებლად აქცევს.

აფთიაქს უნდა გააჩნდეს ლოგო და დასახელება ნათელ და შესაფერის სადა ფერებში. აფთიაქის ლოგოს დანახვა შესაძლებელი უნდა იყოს შორი მანძილიდან. თვით აფთიაქი ისე უნდა იყოს განთავსებული, რომ როგორც ფეხით მოსიარულე, ასევე ავტომანქანით მომსვლელი მომხმარებლისთვის იგი მოსახერხებელი იყოს. აფთიაქში შესასვლელი (კარების ჭრილი) საჭიროა იყოს განიერი აფთიაქში ბავშვისა და ინვალიდის ეტლის შესაყვანად.

აფთიაქის შინაარსობრივი მხარე ანუ შიდა სტრუქტურული მოწყობა წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგნაირად: ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალო საშუალებებისთვის აფთიაქში უნდა იყოს ვიტრინა, სადაც მოცემული იქნება სამკურნალო საშუალებების სია და ინფორმაცია ფასებისა და მოქმედების შესახებ. სასურველია აქვე განლაგდეს და მომხმარებლისთვის იყოს თვალსაჩინოდ ურეცეპტოდ გასაცემი ნამლებიც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და წინა პლანზე წამოიწიოს სეზონური მოხმარების ნამლებს, მაგალითად, ანტიალერგიულ, გრიპის საწინააღმდეგო, მზისგან დამცავ საშუალებებს და ა.შ.

აფთიაქს უნდა გააჩნდეს თვითმომსახურების განყოფილება, სადაც უნდა განლაგდეს მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის შემდეგი პროდუქტები: ვიტამინები, მინერალები, ავადმყოფის მოვლის საგნები, კანის დამცავი საშუალებები და დიაგნოსტიკური საშუალებები, მაგალითად, ორსულობის ტესტი და ა.შ.

მომხმარებლისათვის აფთიაქში ინფორმაციის მიწოდება უნდა ხდებოდეს ტელევიზორითაც. ეს მომსახურება ერთის მხრივ უნდა ახდენდეს ჯანმრთელობის დაცვის პროდუქტის დემონსტრირებას, მეორეს მხრივ კი, მომხმარებელს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას ნამლების მიღების წესზე, უსაფრთხოების საკითხებზე და ა.შ.

აფთიაქს უნდა გააჩნდეს ოთახი კონფიდენციალური საუბრებისათვის. აქ ხდება პაციენტის მიღება, კონსულტაციის განევა, საჭიროების შემთხვევაში დახმარების აღმოჩენა და ა.შ. ოთახში განთავსებული უნდა იყოს დამხმარე საშუალებები პაციენტის შეუძლოდ ყოფნის შემთხვევაში დასასვენებლად და პირველადი დახმარების აღმოსაჩენად. პაციენტი მიიწვევა აღნიშნულ ოთახში იმ შემთხვევაში, როდესაც იგი საჭიროებს სპეციალურ კონსულტაციას მშვიდ და კონფიდენციალურ გარემოში. ოთახი გამოიყენება წნევის, დიაგნოსტიკური ტესტირების, სისხლში შაქრის გასაზომად, ასევე ინჰალატორისა და საპროთეზო მოწყობილობის გამოყენების ინსტრუქტაჟის ჩასატარებლად.

თვითმომსახურების განყოფილებაში საჭიროა გამოფენილ იქნას საინფორმაციო მასალები (წიგნები, ჟურნალები და ბუკლეტები თემატიკის მიხედვით), რომლებიც გაიცემა უფასოდ. წიგნები უნდა შეიცავდნენ ინფორმაციას ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ინფორმაცია პაციენტთა დაავადებების შესახებ და ა.შ.), მაგალითად, ასთმაზე - ასთმიანი ავადმყოფებისთვის. წიგნი რჩევებით მშობელთათვის, რომელთაც ჰყავთ დაავადებული შვილები და ა.შ.

მომხმარებლის მომსახურება ძირითადად ხდება მოსაცდელ დარბაზში მინის ზღუდარით იზოლირებული სამუშაო მაგიდიდან, საიდანაც გაიცემა სამედიცინო დანიშნულების საგნები და სამკურნალო საშუალებები. მაგიდის უკან განლაგებული უნდა იქნას თაროები, რომლებზეც მოთავსდება ძირითადი ასორტიმენტი. ფარმაცევტული პროდუქციის გარკვეული რაოდენობა ინახება მბრუნავ სტელაჟებში. რეცეპტითა და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის განყოფილებები ერთმანეთის გვერდით უნდა იყოს განთავსებული.

სარეცეპტურო განყოფილებაში რეცეპტის დასამუშავებლად გამოიყენება კომპიუტერიზებული სისტემა. თუ პაციენტს გააჩნია სოციალური დაცვის ნომერი ან კოდი, იგი შეიყვანება კომპიუტერში, ამასთან მოწმდება პაციენტის გვარი, სახელი და ასაკი. კომპიუტერში რეგისტრირდება წამლის დასახელება, დოზა, რაოდენობა, მიღების ინტენსივობა. კომპიუტერი რეცეპტში მითითებული წამლის არ ქონის შემთხვევაში იძლევა ინფორმაციას შესაძლებელ შემცვლელზე.

კომპიუტერი ამომწებს წამლების ურთიერთქმედებას პოლიმედიკამენტოზური თერაპიის დროს. იგი იძლევა ასევე ინფორმაციას წამლების ფასისა და კომპენსაციის შესახებ. კომპიუტერით იბეჭდება და მომხმარებელს წამალთან ერთად მოწოდება ინფორმაცია პაციენტის გვარის, სახელის, წამლის დასახელების, დოზის, გამოყენებისა და უსაფრთხოების წესების შესახებ. რეცეპტის მარკირებას ახდენენ აფთიაქისა და წამლის დასახელების, ფასისა და საიდენტიფიკაციო ნომრის მითითებით.

აფთიაქში მომხმარებელთა მოზიდვისათვის საჭიროა პაციენტთა შესახებ ე.წ. „საინფორმაციო ბანკის“ შექმნა კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ფარმაცევტმა მუდმივი მონიტორინგი განახორციელოს პაციენტების მიმართ რაციონალური ფარმაცოთერაპიის ჩასატარებლად.

ფარმაცევტი უპირველესად ამომწებს რეცეპტს, მის სამედიცინო (დოზა, შეთავსებადობა და ა.შ.), ტექნოლოგიურ, იურიდიულ, ფინანსურ და სოციალურ მხარეებს. აღნიშნული შეფასება უნდა ხდებოდეს აფთიაქის პერსონალის ორი წევრის პასუხისმგებლობით - კოლეგიალური ურთიერთკონტროლით.

წამლის გაცემისას კიდევ ერთხელ ხდება პაციენტის იდენტიფიკაცია, რომლის დროსაც პაციენტს უტარებენ კონსულტაციას მისი სწორად გამოყენების შესახებ, ამასთან ერთად აწვდიან ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე წერილობით ინფორმაციას.

აფთიაქში სასურველია დაინერგოს მომსახურების სხვადასხვა ფორმები, მაგალითად, შეიქმნას ე.წ. „პოლიმომსახურების სისტემა“, წამლის მიტანა ბინაზე, რეცეპტის მიწოდება ფაქსით, ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით შეკვეთის მიღება, ინტერნეტ-სერვისი, ფარმაცევტის კონსულტაცია ტელეფონით და ა.შ.

მომსახურების სათანადო ფორმების დანერგვა აფთიაქს მიმზიდველს ხდის მომხმარებლისთვის.

აფთიაქს უნდა გააჩნდეს ადმინისტრაციული განყოფილება მენეჯერისა და ბუღალტრის სამუშაო ადგილითა და პერსონალის შეკრებისათვის. აფთიაქში პერსონალისთვის უნდა იყოს საინფორმაციო დაფა, სადაც განთავსდება ინფორმაცია ახალი წამლების, პერსონალის სამუშაო გეგმების შესახებ და სხვ.

აფთიაქი წამლებს ღებულობს საბითუმო ქსელ-იდან. წამლების მიღება შეიძლება დღეში რამდენჯერმე განხორციელდეს მომხმარებლის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. შეკვეთა, მიღება-აღრიცხვა სასურველია ხდებოდეს კომპიუტერით. წამლები ინახება სამარაგო ოთახში - სანყოფიში, თერმოლაბილური პრეპარატები კი მაცივარში.

აფთიაქის პერსონალისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს კომპიუტერი, საცნობარო და სახელმძღვანელო წიგნები და ტელეფონი (ექიმთან, მომხმარებელთან ურთიერთობისათვის). ცალკე უნდა იყოს ოთახი დასვენებისათვის და სხვა საჭირო დამხმარე სათავსოები. აფთიაქის ხარისხის ძირითად მაჩვენებლად მიჩნეულ უნდა იქნას ფარმაცევტთა კვალიფიკაცია, მომსახურების რაციონალური ფორმები, ფარმაცევტული კულტურა და მომხმარებელზე განეული სათანადო ფარმაცევტული დახმარება, რომლებიც ასახული უნდა იყოს ე.წ. „ხარისხის დაფაზე“.

დასკვნები. აფთიაქის სტრუქტურული მოწყობა უნდა შეესაბამებოდეს მისი ფუნქციური დატვირთვის სპეციფიკას და ხელს უწყობდეს მომხმარებლისათვის მისაღები რაციონალური ფარმაცევტული დახმარების აღმოჩენას. აფთიაქის სათანადო შიდა სტრუქტურა გამოხატავს პერსონალის პროფესიონალიზმს და ფარმაცევტული კულტურის შემადგენელი კომპონენტია. აფთიაქის გარეგნული სახე (ფორმა) უნდა იყოს მიმზიდველი, ადვილად აღქმადი და გამომხატველი ფარმაცევტული ზრუნვისა ჯანმრთელობის დაცვაზე.

აფთიაქის ფუნქციის - მოსახლეობის უზრუნველყოფა ეფექტური, უსაფრთხო, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამკურნალწამლო საშუალებებით განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კვალიფიციური ფარმაცევტული პერსონალითა და აფთიაქის შიდა სტრუქტურის სათანადო მოწყობით - სათანადო კანონმდებლობის საფუძველზე.

აფთიაქს სათანადო რაოდენობით უნდა გააჩნდეს ტექნიკური აღჭურვილობა შესაბამისი ტექნოლოგიებით ფარმაცევტული და სამედიცინო პროდუქციის აღრიცხვის, შენახვის, ვარგისიანობის ვადების დაცვის, გაცემის, პაციენტთა ბანკის შექმნისა და ა.შ. საჭიროებისათვის.

აფთიაქში დაუშვებელია შეცდომები, რისთვისაც ყოველი კრიტიკული პრობლემისა თუ ამოცანის გადაწყვეტა უნდა ხდებოდეს აფთიაქის პერსონალის ორი პასუხისმგებელი პირის მიერ - კოლეგიალური ურთიერთკონტროლით.

აფთიაქი სოციალური ორგანიზაციაა, რომლის საქმიანობაც ორიენტირებული უნდა იყოს პაციენტზე,

წინა პლანზე წამონეული უნდა იყოს თანამშრომელთა პროფესიონალური თვითშეგნება, ეთიკა-დემონტოლოგია, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს აფთიაქის სათანადო ხარისხიან ფუნქციონირებას.

აფთიაქმა თავისი გარე და შიდა სტრუქტურული მოწყობით, განეული ფარმაცევტული დახმარების ხარისხით მუდმივად უნდა იზრუნოს, რომ აფთიაქში „ერთხელ შემთხვევით მოსული მომხმარებელი მუდმივ მომხმარებლად აქციოს“, რისთვისაც აფთიაქის თვითმიზანი უნდა გახდეს სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის (GPP) რეკომენდაციების დანერგვა.

ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“. თბილისი. 1997წ.
2. GPP - ტოკიო. 1993წ.
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება. თბილისი.: №176, 14.10.05.
4. О.Л. Колосова, А.М. Битероскова, О.А. Васнецова//Стратегия фармацевтического маркетинга: размещение аптеки//Провизор.- 1998.- №3.
5. Надлежащая аптечная практика в новых независимых государствах//Специальный проект ВОЗ по фармации// Копенгаген.- 2001г. Главный архив.- 2002г. -№17. С.18,21.

Eriashvili V., Bakuridze A., Zarqua T., Berashvili D., Dugashvili N.

STRUCTURE AND FUNCTIONALITY OF MODERN PHARMACIES

Tbilisi state medical university

The structure of any pharmacy should meet the following requirements: specificatance of its functionality, provide the customer with rational assistance. Internal structure of the pharmacy is important component of pharmaceutical culture and compable with professionalism. It's exteriere should be attractive, oriented on patient/customer and expressing its main function, on healthcare.

The pharmacy's function - to quarantee inhabitants whith affective, safe, qualifitive and accessible medical products, will realize only whith qualified pharmaceutical staff and whith proper organization of pharmacy's internal structure, according to the proper legistation.

The pharmacy should have the proper technical equipment with corresponding technologies to arrage the recording of pharmaceutical and medical products, preservation, safing, realization and creation the patient's bank and etc.

The mistakes are inadmissible at pharmacy. That's why, each critical problem and task should be decided by two responsible pharmaceutical staff by collegial mutual control.

A pharmacy is a social organization and its activity should be orientated on a patient, personnel's professional selfconsciousness, ethics and deontology should be on the first plan. all these details mentioned above, importantly define proper work of pharmacies and it's high quality.

A pharmacy with its exterior and aterior structural ar-

rangement and high quality of it's service, should care about the patients so, that the one who has visited the pharmacy "by chance", should have become a permanent consumer of the concrete pharmacy. That's why, the basic aim of a pharmacy should be to establish the property recommendations of Good Pharmaceutical Practice.

ერიაშვილი ვ., ჭუმბურიძე თ., ნემსინვერიძე ნ.

საქართველოში რაციონალური ფარმაცოთერაპიის აქტუალური საკითხები კლინიკურ ფარმაციის თვალთახედვით

**თსსუ-ის სოციალური და კლინიკური ფარმაციის
დეპარტამენტი**

თანამედროვე ფარმაცევტულ ბაზარზე სამკურნალწამლო საშუალებების მრავალფეროვნებისა და მრავალრიცხოვნების გამო განსაკუთრებულად მწვავედ დგება წამლის რაციონალური შერჩევის საკითხი. ექიმების მზარდი ინტერესი კლინიკური ფარმაცოლოგიის, ფარმაცოკინეტიკისა და კლინიკური ფარმაციისადმი გამომწვეულია სწორედ კლინიციისტების იმედით, რომ ეს მიმართულება მისცემს მათ საშუალებას მეცნიერული, ობიექტურად დასაბუთებული ეფექტური და ამავდროულად უსაფრთხო ფარმაცოტერაპიის ჩამოყალიბებაში.

წამლით მკურნალობა ექიმის ხელოვნებაა, რომელიც გამომუშავდა მრავალწლოვანი გამოცდილების, ცდებისა და შეცდომების საფუძველზე.

ექიმთან ერთად დიდი როლი ამ პროცესში ეკუთვნის კლინიციისტ ფარმაცევტს.

განსაკუთრებით თუ შევხებით ისეთ მნიშვნელოვან ასპექტს, როგორცაა წამალთა ურთიერთქმედება. ფარმაცოტერაპიის ურთიერთქმედების საკითხები მთლიანად ექიმის კომპეტენციაა, ხოლო რაც შეეხება ფარმაცოკინეტიკური ურთიერთქმედებას ეს კლინიკური ფარმაცევტის საქმეა.

თავისი ხასიათის მიხედვით ფარმაცოკინეტიკური ურთიერთქმედება ხშირად მოულოდნელ ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც პრეპარატის ფარმაცოკინეტიკა არ არის საკმარისად შესწავლილი.

ფარმაცოკინეტიკური ურთიერთქმედების დროს ერთმა პრეპარატმა შესაძლოა შეცვალოს მეორე პრეპარატის აქტივობა და მეტაბოლიზმი. პრეპარატებმა შეიძლება მოახდინონ ინდუცირება, გააძლიერონ ლვილის ფერმენტების მეტაბოლიზმი (მაგ. კუმარინის ჯგუფის ანტიკოაგულანტები კერძოთ-ფენიტინი). თუ მედიკამენტის მიღება ხდება ენზიმების ინდუქტორ პრეპარატთან ერთად, მაშინ მისი აქტივობა სწრაფად მცირდება. (მეტელიცა ვ.ი. 1987). აღნიშნული ფენომენი ჩვენს მიერ შესწავლილი იყო ქინიდიინისა და პარმიდინის ერთდროული გამოყენებისას. (ნ. მენებდე. ნ. ნემსინვერიძე და სხვ. 1992)

მოსახლეობის წამლით რაციონალური მომსახურე-

ბის პრობლემების გარკვევისათვის და მომხმარებელთა ინტერესების შესწავლის მიზნით თბილისის აფთიაქის თანამშრომლებს დაურიგდათ ანკეტები. მომხმარებლის შეკითხვაზე კითხულობენ თუ არა ისინი წამლის ინსტრუქციას და იციან თუ არა წამლის გვერდითი და არასასურველი მოქმედების შესახებ 50%-მა გასცა უარყოფითი პასუხი. სამწუხაროდ მოსახლეობაში ფართოდაა გავრცელებული თვითმკურნალობის მეთოდი. სანიტარული კულტურის დაბალი დონე კი ხელს უწყობს წამლის გვერდითი მოქმედების სიხშირის ზრდას. ამასთან დაკავშირებით კლინიკური ფარმაციის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ექიმებისა და ფარმაცევტების მომზადება შესაბამისი კლინიკური უნარჩვევების გამომუშავებით. ფარმაცევტების მოსამზადებელ პროგრამაში დასამატებელია ელემენტები, რომლებიც დაახლოებენ ექიმისა და ფარმაცევტის ფარმაცოტერაპიული საკითხების გადართვისას. აუცილებელია კლინიციისტი ფარმაცევტი ერკვეოდეს "პრობლემაზე ორიენტირებულ მეთოდში". ანუ პაციენტი რომელიც მიმართავს აფთიაქს უნდა აღიქმებოდეს არა როგორც უბრალოდ წამლის მომხმარებელი, არამედ პაციენტი რომელსაც ესაჭიროება სამედიცინო დახმარება. რათქმუნდა დახმარება უნდა იყოს კვალიფიციური, ადექვატური და კლეგიალური ექიმთან მიმართებაში.

პრობლემაზე ორიენტირებული მეთოდი წარმოადგენს სისტემური მიდგომის საფუძველს, გამოყენებულს ექიმის მიერ პაციენტის მკურნალობის დროს. ამ საფუძველების გაცნობა ფარმაცევტისათვის აუცილებელია, რათა შემცირდეს შეცდომის რისკი აფთიაქიდან მედიკამენტების გაცემის დროს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წამალთა ურთიერთქმედების საკითხებს, მაშინ როდესაც პაციენტს უტარდება კომპლექსური მკურნალობა. თანამედროვე პირობებში მკურნალობის ხარვეზად ხშირად გვევლინება, ის, რომ პრეპარატის დანიშვნის დროს ყოველთვის არ ხდება პაციენტის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება. რათქმუნდა სასურველია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება, კონკრეტული რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დაეხმარება პაციენტს, კლინიციისტ ფარმაცევტს ან ექიმს უფრო კარგად გაერკვიოს წამალთა ურთიერთქმედების საკითხებში ინდივიდუალური მიდგომების გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მოსახლეობის წამლით ეფექტიანი უზრუნველყოფისა და რაციონალური ფარმაცოტერაპიის მიზნით აუცილებელია ხელი შეეწყოს ფარმაცევტისა და ექიმის ურთიერთთანამშრომლობას, როგორც აფთიაქში, ასევე, სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, გავათვითცნობიეროთ კლინიციისტი ფარმაცევტის კვალიფიკაცია ფარმაცოკინეტიკის, წამალთა ურთიერთქმედებისა და თანამოვლენების საკითხებში. რითაც ფარმაცევტი გახდება ექიმის შეუცვლელი თანამემწე აღნიშნულ საკითხში.

ლიტერატურა:

1. Метелица В. И. /Справочник кардиолога по клинической фармакологии/ Москва.- 1987 г.
2. თ. კეზელი /კლინიკური ფარმაკოლოგია ფარმაკოტერაპიით/ თბილისი 2006წ.
3. რ. მახარაძე, ნ. მენებდე, ლ. ხოლოდოვი /ფარმაკოკინეტიკის საფუძვლები/ თბილისი, 2000წ.
4. ნ. მენებდე, ნ. ნემსინვერიძე, რ. მახარაძე ქინდინისა და პარმინინის ფარმაკოკინეტიკური ინტერფერენცია. თსსი შრომათა კრებული, 1992წ. გვ. 126.
5. თ. ჭუმბურიძე, თ. კიკალიშვილი /კლინიკური ფარმაკოლოგია/ თბილისი, 2006წ.

Eriashvili V., Chumburidze T., Nemsitsveidze N.

RATIONAL PHARMACOTHERAPY IN GEORGIA AT FOCUS OF CLINICAL PHARMACOLOGY

Tbilisi state medical university

Rational use of drugs is one of the most complicated problems of pharmacotherapy in different countries including Georgia. Several factors are affecting the therapeutic effectiveness of medicine. Pharmacokinetic interaction of two or more drugs is one of them and must be taken into the consideration. Another problem is participation of pharmacist in pharmacotherapy and differences in approaches of tactics between pharmacists and physician. The pharmacist should learn the problem-oriented method of health of care so that a systemic, disciplined approach to each patient is used and no important therapeutic consideration is missed. Although the pharmacist must focus on drug therapy, he or she not ignore other problems including social, psychological, and financial problems.

ვაშაკიძე ე. ბოჭორიშვილი თ. გვეგუშიძე თ. ჯანგაჯაძე მ.

ნახშირწყლის ცვლის დარღვევა HCV ციროზით ავადმყოფებში

თსსუ-ის ინფექციურ სნეულაბათა დეპარტამენტი

21-ე საუკუნე ვირუსული ჰეპატიტების საუკუნეა. მათ გამომწვევ ეტიოლოგიურ აგენტთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას HCV იპყრობს. C ჰეპატიტი სადღეისოდ ჯანდაცვის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც. დღეისათვის ჩ ჰეპატიტი ქრონიკული ჰეპატიტის 70%-ს, ღვიძლის ციროზის 40%-ს, ჰეპატოციტულარული კარცინომის 60%-ს, ღვიძლის ტრანსპლანტაციის 30%-ს შეადგენს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ჩ ვირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა მსოფლიოში 200 მილიონს აღემატება (1,2). HCV ყველაზე ფართოდ გავრცელებული პარენტერალური ვირუსული ინფექციაა. საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით ინფიცირ-

ებულია მოსახლეობის 8%-ზე მეტი. ამ პაციენტთა 30%-ს უახლოეს ათწლეულებში ღვიძლის ციროზი განუვითარდება (3).

C ჰეპატიტის პრობლემის აქტუალობა მისი ფართო გავრცელებით, რთული პათოგენეზით, კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებებით, მრავალრიცხოვანი გართულებებით, საპროფილაქტიკო ვაქცინისა და იმუნოგლობულინის არარსებობით, თანამედროვე მკურნალობის არასაკმარისი ეფექტიანობითა და ნაკლები ხელმისაწვდომობითაა განპირობებული (4).

C ვირუსის ბიოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენს მისი მაღალი სახეცვლილების უნარი, რის გამოც ორგანიზმში ერთდროულად არსებობს ვირუსის სხვადასხვა ანტიგენური სახეობები - კვაზიმოტაშები. სწორედ ამ გზით ვირუსი ახერხებს თავი აარიდოს იმუნური სისტემის მოქმედებას.

C ჰეპატიტის პათოგენეზში მნიშვნელოვანია ვირუსის პირდაპირი ციტოპათიური ეფექტი ღვიძლის ქსოვილზე და იმუნური რეაქციები, რომელიც განაპირობებს არა მარტო ღვიძლის, არამედ სხვა ორგანოებისა და ქსოვილების დაზიანებას.

თანამედროვე გამოკვლევებით C ჰეპატიტით ავადმყოფთა 70-75%-ს ღვიძლის დაზიანებასთან ერთდროულად აღენიშნება მრავალფეროვანი ღვიძლგარეშე გამოვლინება, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ენდოკრინული დარღვევები, ფარისებური ჯირკვლისა და პანკრეასის დაზიანება, მნიშვნელოვანია აგრეთვე ჰემატოლოგიური, სანერწყვე ჯირკვლების, თვალის, კანის, სახსრების, თირკმლისა და ა.შ. დაზიანებები (5).

არსებობს მონაცემები C ვირუსით გამოწვეული ღვიძლის ციროზის დროს მაღალი სიხშირით (50%-მდე) შაქრიანი დიაბეტის განვითარების შესახებ (6,7).

ინფიცირებულთა ასაკი და სქესი, ინფიცირების ხანდაზმულობა, ვირუსული დატვირთვა და ვირუსის მუტაგენური თვისებები, დაავადების მიმდინარეობა, ეპიდემიოლოგიური და გარეშე ფაქტორები (მაგ: ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, ნარკომანია) დაავადების სიმძიმესა და საბოლოო გამოსავალს განსაზღვრავს (8), მაგრამ სწორი მენეჯმენტისა და შესაბამისი მკურნალობის შერჩევისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ინფექციის ექსტრაჰეპატური მანიფესტაციის წინასწარი განსაზღვრა, მისი განვითარების შესაძლო მექანიზმების დადგენა და შესაბამისი კორეგირება.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, მიზნად დავისახეთ, შეგვესწავლა არაღვიძლუჯრედოვანი, ენდოკრინული დარღვევების, კერძოდ შაქრიანი დიაბეტის გავრცელება C ჰეპატიტით ავადმყოფებში დაავადების სიმძიმესა და სტადიაზე დამოკიდებულებით, დაგვედგინა მათში ნახშირწყლების ცვლის დარღვევის თავისებურებანი.

კვლევის 110 სუბიექტიდან, რომელთა ასაკი შეადგენდა 11-78 წელს (HCV ინფიცირებულები), 62-ს (52 მამაკაცი და 10 ქალი), ციროზის დიაგნოზი დაესვა. ისინი ჰოსპიტალიზირებული იყვნენ ინფექციური პათოლოგიის, შიდასისა და კლინიკური იმუნოლოგიის

მაჩვენებელი		ავადმყოფთა ჯგუფი		
		I (A სტადია) n=6	II (B სტადია) n=8	III (C სტადია) n=48
გლუკოზა მგ/დლ	Min	77	68	66
	Max	135	118	260
ინსულინი μ U/ml	Min	6	3	3
	Max	124	65	99
C-პეპტიდი Ng/ml	Min	3,02	3,02	2,3
	Max	9,2	7,8	13,1

ცენტრში. ყველა მათგანს დაავადების ვირუსული ეტიოლოგია დადასტურებული ჰქონდა სეროლოგიური კვლევით (იფა მეთოდით).

პაციენტები HCV ციროზით დაყვავით 3 ქვეჯგუფად. ციროზის A სტადია (I ქვეჯგუფი) – 6 შემთხვევაში (4 მამაკაცი და 2 ქალი), ციროზის B სტადია (II ქვეჯგუფი) – 8 შემთხვევაში (6 მამაკაცი და 2 ქალი) და C სტადია (III ქვეჯგუფი) – 48 შემთხვევაში (42 მამაკაცი და 6 ქალი) გამოვლინდა.

ყველა ციროზით ავადმყოფში HCV ინფექციასა და ნახშირწყლების ცვლის დარღვევებს შორის ასოციაციის დასადგენად ჩავატარეთ შემდეგი გამოკვლევები: გლუკოზის განსაზღვრა (ფოტომეტრზე, „GOD-PAP“ enzymatic photometric test), ინსულინისა და C პეპტიდის განსაზღვრა (იფა, Diagnostic Automation, Inc).

C პეპტიდის დონე ყველა შემთხვევაში ნორმაზე მაღალი იყო. I ქვეჯგუფში – ნორმაზე 2-4-ჯერ მეტი, II ქვეჯგუფში – ნორმაზე 2-3-ჯერ მეტი, III ქვეჯგუფში – ყველა შემთხვევაში ნორმაზე 3-4-ჯერ მეტი.

ინსულინის დონე I ქვეჯგუფში – ნორმაზე 2-6-ჯერ მაღალი, II ქვეჯგუფში 3-6-ჯერ (2 შემთხვევაში – ნორმა), III ქვეჯგუფში – 1,5-9-ჯერ (4 შემთხვევაში – ნორმა) მაღალი იყო.

გლუკოზის დონის მომატება ნორმასთან შედარებით აღინიშნა მხოლოდ III ქვეჯგუფში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ HCV ინფექციასა და ტიპი II შაქრიანი დიაბეტის განვითარებას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. იმ პოზიციიდან გამომდინარე, რომ HCV ინფექცია შეიძლება განხილული იქნას როგორც დიაბეტის განვითარების რისკ-ფაქტორი, დიაბეტისა და პრედიამეტური მდგომარეობების (გლუკოზის მაჩვენებლის ნორმიდან გადახრა უზმომზე და მის მიმართ ტოლერანტობის დაქვეითება) სკრინინგ-კვლევები უნდა ჩატარდეს მინიმუმ ყოველ 3 წელში.

HCV ინფექციის წარმატებულმა მკურნალობამ შეიძლება შეაჩეროს ტიპი II შაქრიანი დიაბეტის განვითარება (9).

ლიტერატურა

1. Alter M.J, Kruszon-Moran D, Nainan OV. At all. The prevalence of hepatitis C infection in the United States 1988 through 1994. N. Engl. J. Med. 1999,341;556-562.
2. Seeff L.B. Natural history of hepatitis C. Am. J. Med. 1999, 107, 109-115.
3. Strader DB, Wright T, Thomas DL, Seef LB. AASLD practical guideline: diagnosis, management and treatment of hepatitis C. Hepa-

tol.2004, 39, 1147-1171.

4. Everson G. Management of cirrhosis due to chronic hepatitis C. J. Hepatol. 42(2005), 565-574.
5. Серов В.В. // Рус.мед.журн. _ 1996. _ Т. 4, № 3. _ С. 1-7.
6. Fraser G.M., Harman I., Meller N. at all.// Isr. J. Med. Sci. _ 1996. Vol. 32. P. 526-530.
7. Kruszynska Y.T., Home P.D., McIntyre N. // Hepatology _ 1991. Vol. 14. P. 103-111.
8. Nolte W., Hartmann H., Ramadori G. // Exp.Clin. Endocrinol. Diabet. 1995. Vol. 103. P. 63-74.
9. Lecube A., Hernandez C., Genesca J., Simo R. Diabetes Care 2006. 29. 1140-1146.

Vashakidze E., Bochorishvili T., Gegeshidze T., Djangavadze M.

GLUCOSE LEVEL IN PATIENTS WITH HCV CIRRHOSIS

TSMU, Department of Infectious Diseases

110 patients with HCV were investigated (from 11 till 78 years old). Among them 62 with HCV cirrhosis. Most of them were male (52). The patients with HCV cirrhosis were separate into 3 groups – A stage, B stage and C stage. In all cases the level of C peptide was raised 2-3 fold, level of insulin in 1 group was raised 2-6 fold, in 2 group 3-6 fold (only in 2 patients was N), in 3 group 1,5-9 fold (only in 4 patients was N). Glucose level was raised only in 3 groups. Treatment of HCV patients can stop development of diabetes (II type).

ვაშაკიძე ე., მიქაძე ი., იმნაძე თ., ბაქანიშვილი გ.

ინტარლექინ-10-ს როლი და მნიშვნელობა ქრონიკული C პეპტიდით ავადმყოფთაში

თაილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ინფექციურ სნაულაბათა დეპარტამენტი

ღვიძლის ქრონიკული ვირუსული დაზიანებები თანამედროვე ჰეპატოლოგიის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რაც მათი ფართოდ გავრცელებით, რთული პათოგენეზით, კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებებით, მკურნალობისა და მენეჯმენტის პრობლემებითა და სიცოცხლისათვის საშიში გართულებების არსებობითაა განპირობებული.

HCV ყველაზე ფართოდ გავრცელებული პარენტერალური ვირუსული ინფექციაა და იგი მსოფლიო მოსახლეობის 3%-ში პერსისტირებს. „ჯანმო“-ს მონაცე-

მებით, C ვირუსით ინფიცირებულია 170-300 მილიონი ადამიანი. C ჰეპატიტი 15%-ში მწვავედ მიმდინარეობს, ხოლო 70-80%-ში ინფექციური პროცესი ქრონიზაციას განიცდის და ამიტომ ქრონიკული ჰეპატიტები HCV ინფექციის ძირითადი ფორმაა. დღეისათვის, ჩ ჰეპატიტის ვირუსი ღვიძლის ციროზის 40%-ის, ჰეპატოციტულარული კარცინომის 60%-ის და ღვიძლის ტრანსპლანტაციის 30%-ის მიზეზს შეადგენს (1).

საქართველოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის, ინფიცირების გზების, დაავადების გამოსავლის ურთიერთშეჯერება HCV ინფექციის პრობლემის აქტუალობას ცხადყოფს. ამას ადასტურებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებიც, რომელთა თანახმად საქართველოში, C ჰეპატიტით ავადობის მაჩვენებელი უკანასკნელი წლების განმავლობაში იმატებს და შეადგენს 12,88-ს 100 000 სულ მოსახლეზე.

C ვირუსი მაღალი გენეტიკური ვარიანტულობით გამოირჩევა. იმუნოლოგიურად განსხვავებული მრავალი „კვაზი-შტამების“ არსებობა იმუნური პასუხის სუბოპტიმალურ ხასიათს, ვირუსისადმი იმუნოლოგიური ტოლერანტობის ჩამოყალიბებას, და გარდა ამისა მრავალრიცხოვან გენეტიკურ დეფექტებს განაპირობებს.

სპეციფიური იმუნური ეფექტორული მექანიზმები, არასპეციფიურ დამცველობით მექანიზმებთან ერთად უზრუნველყოფენ ორგანიზმიდან მაინფიცირებელი ვირუსის ელიმინაციას. ამავდროულად, ვირუსი მოქმედებს ამ მექანიზმებზე, რათა გაიხანგრძლივოს სიცოცხლისუნარიანობა. ინფექციის გამოსავალი დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად ეფექტურია მასპინძელი ორგანიზმის თავდაცვითი მექანიზმების გამძლეობა ვირუსის თავდასხმითი ტაქტიკის მიმართ (2).

უკანასკნელ წლებში აქტიურად იკვლევენ იმ ფაქტორებსა და პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ ჩ ჰეპატიტის ვირუსს თავი აარიდოს ელიმინაციას, რაც თავის მხრივ დაავადების ქრონიზაციას განაპირობებს. მკვლევარების ყურადღებას სულ უფრო ხშირად იპყრობს ვირუსისა და ორგანიზმის იმუნური სისტემის ურთიერთქმედება, რაც დაავადების შემდგომ მიმდინარეობას განაპირობებს (3).

ამჟამად ითვლება, რომ იმუნური პასუხის ტიპი დაკავშირებულია იმაზე, თუ რომელი თ ლიმფოციტ-ჰელპერის ტიპია აქტივირებული. განანსხვავებენ Th1 და Th2 ქვეტიპებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფუნქციებითა და გამომუშავებული ციტოკინებით. Th1-ს აქტივაციას, რომელიც გამოიმუშავებს IL-2, IFN- γ , TNF- α , მიყვავართ უჯრედული იმუნური პასუხის წარმოქმნამდე, როდესაც Th2-ს აქტივაცია იწვევს IL-4, IL-5, IL-6, და IL-10-ს სეკრეციას და განაპირობებს ჰუმორულ იმუნურ პასუხს (4). მაშასადამე, ერთ-ერთი ქვეტიპის უპირატესი გააქტიურება იმუნური პასუხის ტიპის განმსაზღვრელი იქნება.

დადგენილია, რომ Th1 და Th2 უჯრედების მიერ პროდუცირებული ციტოკინების დისბალანსი მნიშვნელოვან როლს თამაშობს HCV-ინფექციის ქრონიზაციისა და პროგრესირების იმუნოპათოგენეზში.

ლიტერატურის მონაცემები, რომლებიც შეეხება იმუნური უჯრედების მიერ ციტოკინების წარმოქმნის უნარს ღვიძლის ქრონიკული ვირუსული დაავადების დროს, ურთიერთსაინააღმდეგოა და შემდგომ შესწავლას მოითხოვს. კვლევის მიზანია IL-10-ს როლისა და მნიშვნელობის შესწავლა HCV-ინფექციის იმუნოპათოგენეზში (2, 3).

გამოკვლევული იყო HCV-ინფიცირებული 110 პაციენტი, რომელთა ასაკი შეადგენდა 11-78 წელს. 110 კვლევის სუბიექტიდან 62-ს ციროზის დიაგნოზი დაესვა, აქედან 52 მამაკაცი და 10 ქალი.

ყველა პაციენტი ჰოსპიტალიზირებული იყო ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში. ქრონიკული C ჰეპატიტის დიაგნოზი დაისვა სეროლოგიური (სისხლის შრატში ანტი-HCV აღმოჩენა ELIZA-3-ით), ვირუსოლოგიური (ვირუსის RNA - ჯაჭვური პოლიმერაზული რეაქციით), ბიოქომიური (სისხლში ALT, AST, GGT-ს განსაზღვრით ულტრაიისფერი კინეტიკის მეთოდით, აპარატზე Boeringen manheim-5010), ექოდოპლეროგრაფიული კვლევის საფუძველზე. პაციენტები HCV ციროზით დავყავით 3 ჯგუფად:

ციროზის A სტადია (I ქვეჯგუფი): - 6 შემთხვევაში (4 მამაკაცი და 2 ქალი); ციროზის B სტადია (II ქვეჯგუფი) - 8 შემთხვევაში (6 მამაკაცი და 2 ქალი); ციროზის C სტადია (III ქვეჯგუფი) - 48 შემთხვევაში (42 მამაკაცი და 6 ქალი) გამოვლინდა.

ყველა შემთხვევაში განსაზღვრული იყო IL-10-ს მაჩვენებელი სისხლის შრატში R&D systems-ის იმუნოფერმენტული ანალიზის მეშვეობით. ეს მაჩვენებლები შეფასდა დაავადების სიმძიმისა და სტადიის გათვალისწინებით.

ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პაციენტებს ქრონიკული C ჰეპატიტით, ინფექციური პროცესის სტადიის მიუხედავად, აღენიშნებოდათ IL-10-ს მაჩვენებლის სარწმუნო და მნიშვნელოვანი მატება ნორმასთან შედარებით. III ქვეჯგუფის პაციენტებში IL-10-ს მაჩვენებელი გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე I და II ქვეჯგუფის პაციენტების შემთხვევაში. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა ინფექციური პროცესის სტადიასა და IL-10-ს მაჩვენებლის ზრდას შორის კავშირი.

თანამედროვე შეხედულებების თანახმად, ანთების ბუნებრივი ინჰიბიტორი - Th2 ტიპის უჯრედების, B ლიმფოციტების და აგრეთვე მაკროფაგების მიერ პროდუცირებული - IL-10, უზრუნველყოფს ძლიერ ანთების საინააღმდეგო, იმუნომოდულატორულ და იმუნოსუპრესიულ ეფექტს. მას აქვს უნარი არეგულიროს ანთებისა და რეგენერაციის პროცესების ინტენსივობა, თრგუნავს მაკროფაგების აქტივობასა და მონოციტების მიერ პროანთებითი ციტოკინების სინთეზს (5).

ამრიგად, ქრონიკული C ჰეპატიტის დროს გამოვლინდა IL-10-ს პროდუქციის ცვლილებები, რომელიც კორელაციაშია ღვიძლის დაზიანების სიმძიმესთან. ამ მონაცემების თანახმად, ციტოკინების სინთეზის

დისბალანსი Th2 ქვეტიპის სასარგებლოდ, მიმართულია არა ვირუსის ელიმინაციისკენ, არამედ მხოლოდ ზღუდავენ ანთების ინტენსივობასა და გავრცელებას, რაც ხელს უწყობს ვირუსულ აგრესიასა და ლვიძლის შემდგომ დაზიანებას (3).

ლიტერატურა:

1. X. E. Блом. Гепатит С: современное состояние проблемы// Российский журнал гастроэнтерологии, гепатологии, колопроктологии.-№1.-т. XV, 2005, С. 20-25
2. Richard A. Goldsby, Thomas J. Kindt, Barbara A. Osborne, Janis Kuby. Immunology, fifth edition, chapter 17, p. 390
3. И. О. Наследникова, Е. И. Белобородова. Иммунорегуляторные цитокины и хронизация вирусного гепатита С // Клиническая медицина.- №9.-2005.-С. 40-44
4. William E. Paul, Fundamental Immunology, fifth edition, chapter 39, p. 1207.
5. Abul K Abbas, Andrew H. Lichtman. Cellular and Molecular Immunology, fifth edition, chapter 11, p. 255-262.

Vashakidze E., Mikadze I., Imnadze T., Bakanishvili.

THE ROLE AND MEANING OF INTERLEUKIN-10 IN PATIENTS WITH CHRONIC HEPATITIS C

TSMU, Department of Infectious Disease

The aim of investigation was to study cytokine-producing ability of blood immune cells in type of viral hepatitis C, correlation with the degree of hepatic lesion and liver cirrhosis. 110 patients were investigated: 62 with cirrhosis: among them 6 with Stage A, 8 with Stage B and 48 with Stage C. The study demonstrates significant changes of cytokine-producing ability of blood immune cells type of viral hepatitis C, correlation with the degree of hepatic lesion and liver cirrhosis. The results showed that various types of chronic viral hepatitis C and stages of cirrhosis were associated with misbalance in production of anti-inflammatory cytokine, i. e. a significant rise of interleukin-10 concentration, which were the most prominent in cases of severe hepatic lesion.

ვაშაკიძე ე., სალაყაია ა., სოლომონია ნ., ნონიკაშვილი მ., კიკვიძე მ., ბარბაქაძე ქ., პაპიტაშვილი ლ., შუბლაძე ნ., ბეჟანიშვილი ნ., ხურცილავა ი., სინამონი მ.²

საქართველოში ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა შორის პირველადი და მეორადი რეზისტენტობის სინდრომი და რეზისტენტული ტუბერკულოზის განვითარების ხელშემწყობი რისკ-ფაქტორები

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი, საქართველო, თბილისი; *VAMC და SUNY სამედიცინო უნივერსიტეტი, სირაკუზა, ნიუ-იორკი, ა.შ.შ

კვლევის აბსტრაქტობა: საქართველოში 1995 წლიდან მოქმედებს ტუბერკულოზთან ბრძოლის ეროვნული პროგრამა, რომელიც, ჯანმო-ს მიერ რეკომენდებული DOTS სტრატეგიის შესაბამისად, წარმატებით უზრუნველყოფს *M. tuberculosis* (მგბ) სენსიტიური შტამით დაავადებულთა უფასო მკურნალობას. ტუბსანიზაჰმდეგო პრეპარატების მიმართ რეზისტენტული ტუბერკულოზის, განსაკუთრებით მულტი- (MDR-TB) და ექსტენსიურად რეზისტენტული (XDR-TB) ფორმების მკურნალობა და მართვა კიდევ ისეთივე რეალურ პრობლემას წარმოადგენს. ქვეყნის მასშტაბით ყოველწლიურად ჩატარებული DRS (Drug Resistance Survey) კვლევით ფიქსირდება რეზისტენტული ტუბერკულოზის მაღალი მაჩვენებლები (2005/VII-2006/V წლების მონაცემებით MDR-TB დაფიქსირდა 54 (6,8%) „ახალ“ (პირველადი რეზისტენტობა) და 141 (27,4%) „ნარსულში ნამკურნალებ შემთხვევაში“ (მეორადი რეზისტენტობა), რაც ადასტურებს საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის გავრცელების და ფორმირების შესახებ ინფორმაციის დაგროვების აუცილებლობას და ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების აქტუალობას.

კვლევის მიზანი: ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში ჰოსპიტალიზირებულ (მგბ+) პაციენტებში პირველადი და მეორადი რეზისტენტობის სინდრომის განსაზღვრა და რეზისტენტული ტუბერკულოზის ფორმირების ხელშემწყობი რისკ-ფაქტორების გამოვლენა-გაანალიზება.

კვლევის მასალა და მეთოდები: კვლევა ჩატარდა CRDF (GEX1-002711-TB-06) გრანტის ფარგლებში; საკვლევი ჯგუფი შეადგინეს პაციენტებმა (n=605), რომლებიც 2005-2007წ-ში მკურნალობას იტარებდნენ ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის სტაციონარში; სპეციალურად შემუშავებული კითხვარის დახმარებით შეგროვდა მათი სრული სოციალური, კლინიკური და ბაქტერიოლოგიური მონაცემები; მასალა სტატისტიკურად დამუშავდა პროგრამით – „Epi Info-2000“.

ცხრილი 1
პირველი და მეორე რიგის ტუბანაინალმდეგო პრეპარატებისადმი მგრძობელობის მაჩვენებლები
„ახალ“ და „ნარსულში ნამკურნალებ“ პაციენტებში

I რიგის პრეპარატებისადმი რეზისტენტობა (I Line DRTB)	„ახალი შემთხვავა“ n=222 (36,7%)	„ნარსულში ნამკურნალები შემთხვევა“ n=383 (63,3%)	სულ n=605 (100%)
მონორეზისტენტული TB (Mono DRTB)			
H	8 (1,3%)	12 (2,0%)	20 (3,3%)
R	1 (0,2%)	3 (0,5%)	4 (0,7%)
S	60 (9,9%)	45 (7,4%)	105 (17,5%)
E	0	1 (0,2%)	1 (0,2%)
სულ Mono DRTB	69 (11,4%)	61 (10,1%)	130 (21,5%)
პოლირეზისტენტული TB (Poly DRTB)			
H+S	19 (3,1%)	33 (5,5%)	52 (8,6%)
H+E	0	0	0
R+S	2 (0,3%)	3 (0,5%)	5 (0,8%)
R+E	0	1 (0,2%)	1 (0,2%)
S+E	1 (0,2%)	2 (0,3%)	3 (0,5%)
H+S+E	0	4 (0,7%)	4 (0,7%)
R+S+E	1 (0,2%)	1 (0,2%)	2 (0,3%)
სულ Poly DRTB	23 (3,8%)	44 (7,3%)	67 (11,1%)
მულტირეზისტენტული თB (MDL-თB)			
H+R	2 (0,3%)	13 (2,1%)	15 (2,5%)
H+R+S	26 (4,3%)	85 (14,0%)	111 (18,3%)
H+R+E	0	7 (1,2%)	7 (1,2%)
H+R+S+E	23 (3,8%)	105 (17,4%)	128 (21,1%)
სულ MDRTB	51 (8,4%)	210 (34,7%)	261 (43,1%)

Amk	11 (1,8%)	43 (7,1%)	54 (8,9%)
Cpm	12 (2,0%)	39 (6,4%)	51 (8,4%)
Eth	37 (6,1%)	104 (17,2%)	141 (23,3%)
PAS	10 (1,7%)	26 (4,3%)	36 (6,0%)
Cs	11 (1,8%)	37 (6,1%)	48 (7,9%)
Ofx	14 (2,3%)	61 (10,1%)	75 (12,4%)
Amik+Cpm+Ofx	6 (0,99%)	17 (2,8%)	23 (3,8%)
Amik+ Ofx	0	6 (0,99%)	6 (0,99%)
Cpm+Ofx	0	4 (0,7%)	4 (0,7%)
სულ ექსტენს.რეზისტ. TB (XDR-TB)	6 (0,99%)	27 (4,5%)	33 (5,5%)
სულ რეზისტენტული TB (DRTB)	149 (24,6%)	342 (56,5%)	491(81,2%)
სენსიტიური TB (STB)	73 (12,1%)	41 (6,8%)	114 (18,8%)

კვლევის შედეგები: გამოკვლეული 605 პაციენტიდან 222(36,7%) „ახალი“ და 383(63,3%) „ნარსულში ნამკურნალები“ შემთხვევა იყო, მათგან სენსიტიური შტამით დაავადებული 114(18,8%) (73(12,1%) „ახალი“ და 41(6,8%) „ნარსულში ნამკურნალები“), მულტირეზისტენტული შტამით დაავადებული 261(43,1%) (51(8,4%) პირველადი რეზისტენტობა და 210(34,7%) მეორადი რეზისტენტობა), ექსტენსიურად რეზისტენტული შტამით დაავადებული 33(5,5%) (6(0,99%) პირველადი რეზისტენტობა და 27(4,5%) მეორადი რეზისტენტობა) პაციენტი იყო (იხ. ცხრილი 1).

სტატისტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნარსულში ჩატარებული მკურნალობა ნარმოდგენს რეზისტენტული ტუბერკულოზის განვითარების რისკს („ნარსულში ნამკურნალებ შემთხვევებში“ MDR-TB უფრო ხშირად ფიქსირდება, ვიდრე „ახალ

შემთხვევებში“ (OR=4,03; 95% 2,73<CI<5,97)). მიღებული მონაცემებით სტრუქტომიცინის (S) მიმართ მონორეზისტენტობის მაჩვენებელი ბევრად აღემატება იზონიაზიდის (H), რიფამპიცილის (R) და ეტამბუტოლის (E) მიმართ რეზისტენტობის მაჩვენებლებს და ამასთან S-ის მიმართ პირველადი რეზისტენტობის მონაცემები უფრო მაღალია, ვიდრე მეორადი რეზისტენტობის. იგივე შეიძლება ითქვას იზონიაზიდის და სტრუქტომიცინის მიმართ ერთდროული პოლირეზისტენტობის (H+S) და (H+R+S), (H+R+S+E) კომბინაციებით მულტირეზისტენტობის შემთხვევაში.

საკურადლებო შედეგები მეორე რიგის ტუბსანი ნააღმდეგო პრეპარატებისადმი რეზისტენტობის შესახებ. კერძოდ, ეთიონამიდის (Eth) და ოფლოქსაცილის (Ofx) მიმართ დაფიქსირდა როგორც პირველადი (Eth-37(6,1%) და Ofx-14(2,3%)), ისე მეორადი რეზ-

ისტენტობის (Eth- 104(17,2%) და Ofx- 61(10,1%)) ყველაზე მაღალი მაჩვენებლები.

პირველადი მულტირეზისტენტობის 51 შემთხვევიდან ოჯახური TB კონტაქტი დაფიქსირდა 14 (27,5%) შემთხვევაში, ციხის კონტაქტი – 1(2,0%), კონტაქტის შესახებ უცნობი იყო – 36(70,6%) შემთხვევაში. მეორადი მულტირეზისტენტობის 210 შემთხვევიდან კი ოჯახური TB კონტაქტი იყო 38 (18,1%), ციხის კონტაქტი – 46(21,9%), კონტაქტის შესახებ უცნობი იყო – 119(56,7%) შემთხვევაში.

ჩვენი მონაცემებით პაციენტის ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, განათლება, დასაქმება, ყოველთვიური შემოსავალი, საცხოვრებელი პირობები, თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, პათიმრობა, ან იძულებით გადაადგილება, ასევე თანმზღები დაავადებების: აივ/შიდსის, ჰეპატიტის, შაქრიანი დიაბეტის, თორმეტგოჯა ნაწლავის და კუჭის წყლულის არსებობა, რისკის მიუხედავად, რეზისტენტული ტუბერკულოზის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებად არ დაფიქსირდა. სტატისტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ რეზისტენტული ტუბერკულოზის განვითარების რისკი ასოცირებულია მდებრობით სქესთან (ქალებში MDR-TB-ის განვითარების რისკი მამაკაცებთან შედარებით მაღალია (OR=2,02; 95% 1,3<CI<3,06)); კომპაქტურად დასახლებულ დიდ ქალაქში ცხოვრებასთან (ჩვენს თბილისელ პაციენტებში MDR-TB უფრო ხშირად დაფიქსირდა, ვიდრე სხვა რეგიონის მაცხოვრებლებთან (OR=1,47; 95% 1,05<CI<2,06)) და ოჯახურ TB კონტაქტთან (MDR-TB-ის განვითარების რისკი ოჯახურ TB კონტაქტთან მეტად არის ასოცირებული ვიდრე სხვა კონტაქტებთან (OR=1,4; 95% 1,22<CI<2,2).

კვლევის შედეგების ანალიზი: კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ რეზისტენტული ტუბერკულოზის განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორი წარსულში ჩატარებული არასტანდარტიზებული, წყვეტილი მკურნალობაა. ჩვენი აზრით, ამასვე ადასტურებს ციხის TB კონტაქტთან დაკავშირებული მეორადი რეზისტენტობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებიც – კვლევაში ინტეგრირებული ყოფილი პათიმრების უმრავლესობა სასჯელს იხდიდა პოსტსაბჭოური სივრცის სხვა და სხვა რეგიონის ციხეში, სადაც DOTS სტრატეგიის შესაბამისი სტანდარტიზებული მკურნალობა არ ხორციელდებოდა.

კომპაქტურად დასახლებულ დიდ ქალაქში ცხოვრების, ოჯახური TB კონტაქტის და მდებრობითი სქესის (ჩვენი აზრით ამ უკანასკნელის მიზეზი ის არის, რომ ტუბერკულოზის მძიმე ფორმით დაავადებულ პაციენტებს სახლის პირობებში ოჯახის წევრი ქალები უვლიან) რეზისტენტული ტუბერკულოზის განვითარების რისკ-ფაქტორებად დაფიქსირება მიუთითებს დაავადების და მისი პრევენციის შესახებ როგორც პაციენტის, ისე მისი ოჯახის წევრების არასრულყოფილ ინფორმირებაზე და ტუბდანესებულების გარეთ ინფექციის არასწორ კონტროლზე.

სტრუქტომიცინის და იზონიაზიდის, განსაკუთრებით კი II რიგის ტუბსანიინალმდეგო პრეპარატის ოფ-

ლოქსაციინის მიმართ გამოვლენილი რეზისტენტობის მაღალი მაჩვენებლები ჯანდაცვის ფართო ქსელში ამ პრეპარატების ზედმეტად ხშირი, გაუმართლებელი გამოყენებით აიხსნება და სერიოზულ პრობლემებს ქმნის ჯერ DOTS, შემდეგ კი DOTS+ სტრატეგიის შესაბამისი მკურნალობის ჩატარებისას.

ღასკპნა: კვლევის შედეგად ვასკვნით, რომ აუცილებელია:

- ტუბერკულოზის შესახებ პაციენტის, მისი ოჯახის წევრების, ზოგადად საზოგადოების ინფორმირება;

- ტუბერკულოზით დაავადებული მგბ(+) პირებისაგან ჯანმრთელი ადამიანების დროული იზოლირება; ინფექციის კონტროლის გაუმჯობესება (განსაკუთრებით კომპაქტურად დასახლებულ ქალაქებსა და ციხეებში);

- I და II ტუბსანიინალმდეგო პრეპარატების მხოლოდ სპეციფიური პროცესების სამკურნალოდ გამოყენება;

- DOTS სტრატეგიის შესაბამისად სტანდარტული მკურნალობის სრულყოფილად ჩატარება;

- DOTS+ სტრატეგიის შესაბამისად რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობის დაუყოვნებლივ დაწყება.

ლიტერატურა:

1. Salakaia A. Georgia Tuberculosis National Program 2005 Report; 2006.
2. WHO. Global tuberculosis control: surveillance, planning, financing. Geneva: World Health Organization; 2006.
3. WHO. Guidelines for surveillance of drug resistance in tuberculosis, WHO and the International Union Against Tuberculosis and Lung Disease. WHO/CDS/CSR/RMD/20033. 2003.
4. WHO. Identification of Tuberculosis Suspects. Managing TB at the Region Level. http://whqlibdoc.who.int/hq/2003/WHO_CDS_TB_2002310_mod2_eng.pdf. 2003.

¹L.Vashakidze, ¹A. Salakaia, ¹N.Solomonია, ¹M.Nonikashvili, ¹M.Kikvidze, ¹K.Barbakadze, ¹L.Papitashvili, ¹N.Shubladze, ¹N.Bejanishvili, ¹I.Khurtsilava,²M. Cynamon

FREQUENCY OF PRIMARY AND SECONDARY RESISTANCE AMONG TB PATIENTS AND REASONS FOR DEVELOPMENT OF DRUG RESISTANT TUBERCULOSIS IN GEORGIA

¹National Center for Tuberculosis and Lung Diseases, Tbilisi, Georgia; ²VAMC and SUNY Upstate Medical University, Syracuse, New York, USA

Background: Tuberculosis (TB) control in Georgia follows the WHO recommended DOTS strategy and has reached Global TB Control targets in treatment of sensitive TB, but the management of drug resistant forms of TB still represents a serious problem. A country-wide Drug Resistance Survey found that the prevalence of MDR-TB was 6.8% in new and 27.4% in re-treatment TB cases (July 2005 - May 2006).

Goal: Determination of primary and secondary resistance and assess reasons for development of DRTB in Georgia among TB patients undergoing in-patient treatment.

Methods: The research was supported by CRDF grant. Selected group was made-up of 605 hospitalized patients (2005-2007). Complete social, clinical and bacteriological data were collected using a specially developed questionnaire. Statistical processing was done with "Epi Info-2000" software.

Results: Out of 605 patients DRTB was found in 491 (81.2%) cases, MDR-TB was observed in 261 (43.1%) [51 (23%) out of 222 new cases and 210 (55%) out of 383 re-treatment cases], XDR-TB in 33 (5.5%), polyresistance among 67 (11.1%), total mono-resistance in 130 (21.5%) and 114 (18.8%) were sensitive strains. Statistical analysis showed the following factors were associated with the risk of development of DRTB: Female gender (OR, 2.02; 95% CI, 1.3-3.06); living in densely populated capital (OR, 1.47; 95% CI, 1.05-2.06); family TB contact (OR, 1.4; 95% CI, 1.22-2.2); previous treatment for TB (OR, 4.03; 95% CI, 2.73-5.97). The highest indices of primary and secondary resistance were determined regarding Streptomycin, Isoniazid, Ethionamide and Ofloxacin.

Conclusion: Investigation showed necessity of: information about the disease to be provided to patients and their family members and entire society; isolation of healthy people from sputum-smear-positive patients; improving of disease control, use of antituberculous drugs only in TB facilities; standardized TB treatment according to DOTS; immediate implementation of DOTS+ program for patients with resistant TB.

ი.ვერულაშვილი, მ.ქორთუშვილი

ქართველი დარღვევის დინამიკა ქვეყნებში ლოკალიზაციის ინტრაცერებრული ჰემორაგიების დროს – კომპლექსური მკურნალობის ფონზე

თსსუ ნარვულ სწავლაბათა მიმართულება

თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა (თტსმმ) წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მედიკო-სოციალურ პრობლემას, ვინაიდან უკანასკნელ წლებში შეუჩერებლად მატულობს ინსულტით დაავადებულთა რიცხვი. მიუხედავად იმისა, რომ იშემიური ინსულტი მნიშვნელოვნად უფრო ხშირად ვითარდება ვიდრე ჰემორაგიული (ევროპის ქვეყნებში თანაფარდობა შეადგენს 4:1), მათი შესწავლის აქტუალობა განპირობებულია უფრო მძიმე მიმდინარეობით და გართულებებით, აგრეთვე, ლეტალობის მაღალი ხარისხით. განსაკუთრებით საყურადღებოა ქერქვეშა ლოკალიზაციის ჰემორაგიების დინამიკა, რადგანაც ის, ხშირად, იშემიური ინსულტის მსგავსად მიმდინარეობს (3, 4).

გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა მამოძრავებელი სისტემისა და მეტყველების დარღვევების დინამიკის შესწავლა ქერქვეშა ლოკალიზაციის ინტრაცერებრული ჰემორაგიების დროს და მკურნალობის ეფექტურობის გაზრდა. დასახული ამოცანის მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები: 1. ქერქვეშა ლოკალიზაციის ინტრაცერებრული ჰემორაგიების (ქლიპ) კლინიკო-ნეიროფიზიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა დაავადების მწვავე პერიოდში; 2. მამოძრავებელი სისტემისა და მეტყველების მოშლის ხარისხის განსაზღვრა დაავადების დასაწყისში; 3. მოტორული, მეტყველების და სენსორული დარღვევების დინამიკის შეფასება ქერქვეშა ლოკალიზაციის ინტრაცერებრული ჰემორაგიების კომპლექსურ მკურნალობაში ანტიოქსიდანტის (მექსიკორის) გამოყენების ფონზე; 4. დაავადების მწვავე პერიოდში ჩატარებული კომპლექსური მკურნალობის შედეგებით ანალიზი მექსიკორის გამოყენების და არ გამოყენების შემთხვევაში.

ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის ინსულტის ცენტრსა და ნერვულ სნეულებათა დეპარტამენტში, ჩვენი დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 54 ავადმყოფი ქერქვეშა ლოკალიზაციის ინტრაცერებრული ჰემორაგიით (დაავადების მწვავე პერიოდში და კეთილსაიმედო გამოსავლით). დასახული ამოცანების მისაღწევად, დაავადების მწვავე პერიოდში და შემდგომ, დინამიკაში, გამოიყენებოდა დეტალური კლინიკური-ნევიროლოგიური, ინსტრუმენტული (თავის ტვინის რენტგენული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, დიგიტალური ელექტროენცეფალოგრაფია, თავის ტვინის სისხლძარღვების ულტრაბგერითი კვლევა, ელექტროკარდიოგრაფია) და ლაბორატორული გამოკვლევები. ყველა სიმპტომი ფასდებოდა რაოდენობრივად (ბალებში) და განისაზღვრებოდა ინსულტის მკურნალობის სხვადასხვა ეტაპზე: დაავადების პირველ – მესამე, მე-8 – მე-11, მე-18 – 21-ე დღეს. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დაავადების მიმდინარეობას, ზოგადტვინოვანი და კეროვანი სინდრომების გამოხატვის ხარისხს, მათი თანაფარდობის ანალიზს, რაც განსაზღვრავს ქერქვეშა ლოკალიზაციის ინტრაცერებრული ჰემორაგიების კლინიკურ სიმპტომატიკას მწვავე პერიოდში. ცნობიერების დონე განისაზღვრებოდა გლაზგოს შკალით (1). ავადმყოფებში, თავის ტვინის ღეროს სპეციფიური წარმონაქმნების დისფუნქციით (ღეროს მეორადი სინდრომის არსებობისას), განისაზღვრებოდა ოფთალმოპლეგიური სინდრომის გამოხატვის ხარისხი (ბირთვთაშორისი ოფთალმოპლეგიის სინდრომი, სიელმის სხვადასხვა ფორმები, თვალის კაკლების შეუღლებული მოძრაობის და ცქერის მოშლის სხვადასხვა ვარიანტები). გამოკვლეული იყო თავის ტვინის ყველა ნერვის ფუნქცია; ჰემისფერული დიზართრიისა და ფსევდობუბური და ბუბური სიმპტომოკომპლექსების არსებობა. მოტორული ფუნქციის (ნებისყოფითი მოძრაობის სიფართო, კუნთური ძალა, კუნთთა ტონუსი), მეტყველების, მოძრაობის კოორდინაციის, კიდურებზე ღრმა რეფლექსების და მგრძობელობის დარღვევების ხარისხისა და დინამიკის შეფასება (ბალებ-

ში) წარმოებდა: ინსულტის საერთაშორისო შკალით (NIHSS J.Biller-ის მიხ., 1990); კუნთის ძალის ექვს-ბალიანი შეფასების შკალით (L.McPeak, 1996); სპასტიურობის აშროფტის მოდიფიცირებული შკალით (D.Wade, 1992). მეტყველების მოშლის რაოდენობრივი შეფასებისათვის გამოიყენებოდა D.Wade-ს მოდიფიცირებული კითხვარი; გამოხატული აფაზიური დარღვევები ფასდებოდა 3 ბალით, ზომიერი – 2-ით და იოლი – 1 ბალით (1).

ავადმყოფების (ქლიპ) ასაკი შეადგენდა 44 ± 7.1 წელს (საშუალო ასაკი 54 ± 2.7 წელი), მათ შორის ქალი იყო 21 (38.9%) და მამაკაცი – 33 (61.1%). დაავადების ეტიოლოგიური ფაქტორების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქერქქვეშა ლოკალიზაციის ჰემორაგიების დროს, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლის მიზეზს წარმოადგენდა 37 შემთხვევაში (68.5%) არტერიული ჰიპერტენზია (აჰ) ცერებრულ ათეროსკლეროზთან ერთად; 14 შემთხვევაში (25.9%) – მხოლოდ აჰ, 3 შემთხვევაში კი (5.6%) – ცერებრული ათეროსკლეროზი, არტერიული ჰიპერტენზიის გარეშე. ყველა გამოკვლეულ ავადმყოფს თტსმმ-ის სიმპტომები განუვითარდათ დღის საათებში – ჩვეულებრივი საქმიანობის, ყოველდღიური აქტიურობის ან მასპროვოცირებელი ფაქტორების (ფიზიკური და ემოციური გადაძაბვა) ფონზე. ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაცია ინსულტის ცენტრში მოხდა დაავადების პირველ 24 საათში: დაავადების დაწყებიდან 6 საათში – 43 პაციენტი (79.6%), 6-დან – 12 საათამდე – 5 ავადმყოფი (9.3%). დეტალურად იქნა შესწავლილი ქლიპ განვითარების ტემპი: 33 შემთხვევაში (61.1%) დაავადება განვითარდა მწვავედ; 16 ავადმყოფს (29.6%) დაუდგინდა ქვემწვავე დასაწყისი; თანდათანობით კი განვითარდა, მხოლოდ, 5 შემთხვევაში (9.3%). ამავე დროს, 34 ავადმყოფს (62.9%) აღენიშნებოდა ჯერ კეროვანი სიმპტომატიკის ფორმირება და პროგრესირება (ჰემიპარეზი, თავის ტვინის ნერვების დაზიანება, აფაზია, მგრძნობელობის მოშლა, ბუღბუღი სინდრომი და სხვ.), რასაც შემდგომში დაერთო ზოგადტვინოვანი მოვლენები (ცნობიერების დათრგუნვა, თავის ტკივილი, გულსრევა, ლებინება) და მენინგეალური სინდრომი. 12 შემთხვევაში (22.2%) კეროვანი და ზოგადტვინოვანი სიმპტომები ერთდროულად გამოვლინდა, ხოლო 8 ავადმყოფის შემთხვევაში (14.9%) დაავადების დებიუტი წარმოდგენილი იყო მხოლოდ ზოგადტვინოვანი სიმპტომატიკით (კეროვანი დეფიციტი გამოვლინდა მოგვიანებით).

ჰემორაგიული ინსულტის დიაგნოსტიკა ხდებოდა კლინიკური-ნევროლოგიური, ნეიროვიზუალური და ლიქვოროლოგიური მონაცემების საფუძველზე. დაზიანების კერის ხასიათის, ლოკალიზაციის, მოცულობის, ტვინის შეშუპების ხარისხის, თავის ტვინის შუამდებარე სტრუქტურების ცდომის, პარაკუზოვან სისტემასა და სუბარაქნოიდულ სივრცეში სისხლის შეღწევის დასადგენად წარმოებდა რენტგენული კომპიუტერული ტომოგრაფია (კტ) და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია (მრტ). ჰემორაგიის მოცულობა განისაზღვრებოდა ელიფსოიდის ფორმულით:

$V = \pi/6 \times A \times B \times C$, სადაც V არის დაზიანებული კერის მოცულობა; A, B, C – მისი ზომები. ინტრაცერებრული სისხლძარღვების ლოკალიზაციის დასადგენად გამოიყენებოდა ნ.ვერეშჩაგინის (1997) ფართოდ გავრცელებული კლასიფიკაცია. ლატერალური ჰემორაგია (ლენტიკულური, ლენტიკულურ-კაფსულარული) დაუდგინდა 33 ავადმყოფს (61.1%); შერეული (ლენტიკულურ-თალამური, ლენტიკულურ-კაფსულარულ-თალამური) – 16 (29.6%) და მედიალური (თალამური) კი 5 პაციენტს (9.3%). ინტრაცერებრული სისხლჩაქცევა უფრო ხშირი იყო მარჯვენა ჰემისფეროში (59.3%), შედარებით ნაკლები კი მარცხენა ჰემისფეროში (40.7%); ჰემატომის მოცულობა მერყეობდა 4.8 კუბ. სმ-დან 36.7 კუბ. სმ-მდე.

ავადმყოფები (ქერქქვეშა ლოკალიზაციის ინტრაცერებრული სისხლჩაქცევით) დაიყო კორექტულად რანდომიზირებულ, NIHSS შკალის დამაჯერებლად თანაბარი მონაცემების მქონე (მეტყველების, მგრძნობელობის, მოტორული დეფიციტის გათვალისწინებით) 2 ჯგუფად. ძირითადი ჯგუფის პაციენტები (27 ავადმყოფი – 50%) კონსერვატიული მკურნალობის საყოველთაოდ აღიარებული პრეპარატების გარდა (ჰემოსტაზის მასტიმულირებელი და სისხლძარღვთა კედლის გამავლობის შემამცირებელი, თავის ტვინის შეშუპების სანინალმდეგო და ანტიფერმენტული პრეპარატები) ლებულობდნ ანტიოქსიდანტ მექსიკორს – 2-2 მლ 2-ჯერ დღეში კუნთებში დაავადების 1-2 დღიდან. შედარების ჯგუფის პაციენტებს (27 ავადმყოფი – 50%) უტარდებოდათ ანალოგიური მკურნალობა მექსიკორის გარეშე. მიღებული მონაცემები დამუშავდა ვარიაციული სტატისტიკის პროგრამა-პაკეტით “Statistica 6.0” (“Statsoft”) IBM PC-ის დახმარებით; განისაზღვრებოდა საერთო არითმეტიკული მაჩვენებელი (M), საშუალო შეცდომა (m). სტატისტიკური ჰიპოთეზის შემოწმება და საშუალო მაჩვენებლის გათანაბრება ხდებოდა სტიუდენტის ორმაგარჩევითი t კრიტერიუმით.

მიღებული შედეგების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ჩატარებული მკურნალობის ფონზე, ორივე ჯგუფის ავადმყოფებში აღინიშნებოდა NIHSS შკალით შეფასებული ბალების სუმარული მაჩვენებლის დამაჯერებელი დაქვეითება, რაც მიუთითებს დაავადების დადებით დინამიკაზე (10.62 ± 0.51 და 5.22 ± 0.45 შესაბამისად; $P1-2 < 0.001$). ამავე დროს, უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოვლინდა ძირითადი ჯგუფის ავადმყოფებში (50.8%) საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (33.6%), რასაც ადასტურებდა როგორც ზოგადტვინოვანი, ისე კეროვანი სიმპტომატიკის რეგრესია. მოტორული დეფიციტი ზედა და ქვედა კიდურებში დამაჯერებლად შემცირდა ძირითადი ჯგუფის ავადმყოფებში (52.4% და 55.1%-ით შესაბამისად), რომელთაც დამატებით უტარდებოდათ თერაპია მექსიკორით (საყოველთაოდ მიღებულ სამკურნალო საშუალებებთან ერთად); მაშინ როდესაც შესადარებელ ჯგუფში დამაჯერებლად რეგრესირებდა (26.0%-ით) მხოლოდ ქვედა კიდურის პარეზი. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს,

რომ ორივე ჯგუფის ზოგიერთ ავადმყოფს აღენიშნებოდა დისოცირებული პარეზი, რაც მიუთითებდა პირამიდული ტრაქტის პოლიმორფულ დაზიანებაზე ტვინის ქერქქვეშა სტრუქტურებში. მექსიკორის გამოყენებით ჩატარებული კომპლექსური მკურნალობის ფონზე, ძირითადი ჯგუფის პაციენტებში დადებითი დინამიკა გამოვლინდა სენსორული და აფატიური დარღვევების მხრივაც (ცხრილი 1).

ცხრილი 1.

ქერქქვეშა ლოკალიზაციის ინტრაცერებრული ჰემორაგიის მკურნალობის შედეგების შედარებითი ანალიზი ძირითად და შედარების ჯგუფებში.

მაჩვენებელი	ძირითადი ჯგუფი (M±m)	შედარების ჯგუფი (M±m)
ბალების ჯამი NIHSS შკალის მიხედვით	5.22 ± 0.45	6.88 ± 0.63 P _{1,2} < 0.05
მგრძობლობის მოშლა	1.48 ± 0.15	2.44 ± 0.24 P _{1,2} < 0.001
მეტყველების მოშლა	1.00 ± 0.18	1.62 ± 0.11 P _{1,2} < 0.05

მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავაკენათ: 1. ქერქქვეშა ლოკალიზაციის ინტრაცერებრული ჰემორაგიით ავადმყოფებში მოტორული დარღვევების მოშლის გამოხატვის ხარისხი პირდაპირაა დამოკიდებული თავის ტვინის სტრუქტურების დაზიანების ლოკალიზაციასა და მოცულობაზე; 2. დაავადების მწვავე პერიოდში ანტიოქსიდანტ მექსიკორის გამოყენება ხელს უწყობს მოტორული დეფიციტის აღდგენას და ავადმყოფის თვითმომსახურების ხარისხის მატებას; 3. ქერქქვეშა ლოკალიზაციის ინტრაცერებრული ჰემორაგიების მწვავე პერიოდში, ადათიური დარღვევების (მეტყველების მოშლის) რეგრესი უფრო სწრაფად ხდება პრეპარატ მექსიკორის ჩართვისას კომპლექსურ მკურნალობაში; 4. დაავადების მწვავე პერიოდში (ქლიპ), მოტორული დარღვევებისა და მეტყველების მოშლის დინამიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ნეიროეპილიტაციური ლინისციტების ადრეულ დაწყებაზე, პათოგნომურად დადასტურებული და დიფერენცირებული მკურნალობის მეთოდების გამოყენებით.

ლიტერატურა:

1. Белова А.Н., Щепетова О.Н. Шкалы, тесты и опросники в медицинской реабилитации. - М.: Антидор, 2002. - 440 с.
2. Верещагин Н.В. Острые нарушения мозгового кровообращения. М.: Медицина, 1997. - 205 с.
3. Branin M., Olsen T.S., Chamorro A. et al. Organization of Stroke Care Education. Referral. Emergency Management and Imaging. Stroke Units and Rehabilitation // Cerebrovascular Diseases. - 2004: 17 (suppl. 2): 1-14.
4. Fujii I., Takeuchi S., Sasaki o. et al. Multivariate analysis of predictor of hematoma enlargement in spontaneous intra-cerebral hemorrhage// Stroke. - 1998. - Vol. 29, N6. - P. 1160-1166.

Verulashvili I; Kortushvili M.

THE DYNAMICS OF FOCAL BRAIN DISORDERS IN PATIENTS WITH INTRACEREBRAL SUBCORTICAL HAEMORRHAGES AGAINST A BACKGROUND COMPLEX TREATMENT

Department of Neurology, TSMU Central Clinic

The complex examination (CT, MRI, digital EEG, EEC) of 54 patients with intracerebral subcortical haemorrhages at acute stage of disease and in the dynamics (1st-3rd, 8th-10th, 18th-21st days) has been carried out in Neurology Department of TSMU Central Clinic. Based on neuroimaging, 33 patients (61,1 %) were diagnosed with lateral, 5 (9,3%)-medial and 16 patients (29,6%) with haemorrhage of mixed localization. Movement, sense and speech disorders (in dynamics and against a background complex treatment) has been assessed according to NIHSS scale. The patients were separated equally in two randomized groups with identical complex treatment (haemostatics, angioprotectors, diuretics, vasoactive drugs), except one moment, the medicine MEXIKOR (2-2 ml twice per day) was added in first group cure. According to NIHSS scale, the positive dynamics of sign retreat was presented in this group. (from 10,62+0,51 to 5,22+0,45 scores); In the second group the same indicator was 6,88+ 0,63 scores; P_{1,2}<0,001). In this way, the study has shown, that early administration of antioxidant (MEXIKOR) in cases of intracerebral subcortical haemorrhages significantly improves the outcome of the disease.

ვეფხვაძე ნ., გელაშვილი კ., ზურაშვილი ბ.,
გელოვანი თ., გიორგობიანი მ.

კურორტ გუდაურის რადიოაქოლოგიური სიტუაციის შეფასება

თსსუ-ის არქანციული მადიცინის დეპარტამენტი

საქართველო კურორტების ქვეყანაა. აქ მრავლადაა ადგილი, ცნობილი თავისი გამაჯანსაღებელი და სამკურნალო თვისებებით. დღეისათვის აქტუალური გახდა საქართველოს კურორტებისა და სარეკრეაციო ზონების თანამედროვე მსოფლიოს სტანდარტების შესაბამისად მოწყობა და მომსახურება.

კავკასია ხასიათდება სახეობრივი მრავალფეროვნებით, რითიც განპირობებულია ზემოქმედების ფაქტორების სიუხვე. აქ ვლინდება მთიანი რეგიონების ეკოსისტემების ადგილი სახეცვლილების უნარი, სწრაფი დეგრადაციის შესაძლებლობა. საგულისხმოა, რომ მთიანი ბიოგეოცენოზის ბუნებრივი თვისებების ვარიაციებში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რადიაციულ ფონს (რფ), რომლის ცვალებადობა უფრო ფართო ფარგლებშია, ვიდრე დაბლობ რეგიონებში. ეს განპირობებულია როგორც ეკოლოგო-მინერალოგიური თვისებებებით, ასევე სიმალეების დიაპაზონით, კოსმოსური და მზის გამოსხივების ექსპოზიციით და ა.შ.

მოსახლეობა მუდმივად განიცდის ეკოლოგიურ ფაქტორთა ზემოქმედებას, რომელთა შორის ერთ-ერთი წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება გარემოს რფ. ადამიანის ორგანიზმი ევოლუციის პროცესში შეგუებულია მისი ადგილსამყოფელის ბუნებრივ რფ, რომელიც მეტ-ნაკლებად სტაბილური სიდიდეა და მისი ცვლილება უკავშირდება ადამიანის საქმიანობასა და ბუნებრივ კატაკლიზმებს.

დედამიწის სხვადასხვა რეგიონისათვის დამახასიათებელია ბუნებრივი რფ განსხვავებული სიდიდეები, რასაც განაპირობებს რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა, გეოფიზიკური ასაკი და შემადგენლობა, ქანების რადიონუკლიდური შემცველობა და კოსმოსური გამოსხივების ოდენობა.

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და გეოფიზიკური მდგომარეობით ერთ-ერთი ის ქვეყანაა, სადაც ბუნებრივი რადიაციის ისედაც მაღალი ფონის პირობებში დამატებით ხდება ხელოვნური რადიონუკლიდების ინტენსიური გამოლექვა, რაც იწვევს გარემოს რფ კიდევ უფრო მეტ ზრდასა და მოსახლეობის დასახივებას დამატებითი დოზებით.

წინასწარი გეოეკოლოგიური კვლევის მასალები ავლენენ საქართველოს ტერიტორიაზე ასზე მეტ ურან-თორიუმის მადანგამოვლინებას, 500-ზე მეტ რადიოაქტიურ ბუნებრივ ანომალიას, დაკავშირებულს თერმულ და მინერალურ წყლებთან. ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ საქართველო მიეკუთვნება აგრარული სექტორის ქვეყანათა რიგს, სადაც ფართო მასშტაბით გამოიყენება სასუქები, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები — პესტიციდები. გარდა ამისა, არსებობს გარემოს დაბინძურების საშიშროება მძიმე მეტალებითა და მათი მეტაბოლიტებით. ყოველივე ეს აუცილებელს ხდის საქართველოს სარეკრეაციო ზონების დეტალური რადიოეკოლოგიური და ტოქსიკოლოგიური მონიტორინგის ჩატარებას, რაც გულისხმობს ნიადაგში, ატმოსფერულ ჰაერში, წყალში (მათ შორის სასმელი, მინერალური, თერმული და სამეურნეო; შავი ზღვა და მისი აუზი) და ადგილობრივი წარმოების საკვებ პროდუქტებში (მცენარეული და ცხოველური წარმოშობის) რადიონუკლიდების, მძიმე მეტალების და პესტიციდების შემცველობის დადგენასა და იდენტიფიკაციას, მათ შიგთქმულ ექსპერტიზას.

რადიოაქტიური ნივთიერებები, რომლებიც ხვდებიან ატმოსფეროში ან დედამიწის ზედაპირზე, აკუმულირებას განიცდიან გარემოში ფლორისა და ფაუნის მეშვეობით. გარდა ამისა, ნიადაგი გეოლოგიურად ყოველთვის შეიცავს გარკვეული ოდენობით ბუნებრივ რადიონუკლიდებს. ჯამში ორივე მომენტი იწვევს რადიოაქტიური ნივთიერებების რაოდენობრივ ზრდას მათი წრებრუნვის ბიოლოგიურ ციკლში. ამდენად, ყველაზე მოკლე გზით რადიოაქტიური ნივთიერებები ადამიანის ორგანიზმში ხვდებიან ატმოსფეროდან (სუნთქვის დროს), უშუალოდ კანიდან და აგრეთვე სასმელი წყლის, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების მეშვეობით. ამიტომ რადიონუკლიდების რაოდენობრივ შესწავლას

წყალში, საკვებ პროდუქტებსა და ნიადაგში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

დედამიწის ნაკლებად ან სრულყოფილ არ არის შესწავლილი საქართველოს მაღალმთიანი კურორტების რადიოეკოლოგიური და ტოქსიკოლოგიური მაჩვენებლები. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სამთო და ბალნეოლოგიური კურორტების მდგომარეობა.

ნიადაგის გამოსხივების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საშენ მასალათა და აქედან გამომდინარე შენობა-ნაგებობათა გამოსხივება. ცალკეული სამშენებლო მასალა სხვადასხვა რაოდენობით შეიცავს ბუნებრივ რადიონუკლიდებს (K-40, Ra-226, Th-232 და სხვ.). სამშენებლო მასალაში რადიონუკლიდების შემცველობა დამოკიდებულია იმ ნედლეულზე, რომლისგანაც არის ის დამზადებული. დადგენილია, რომ ბეტონი, ცემენტი, აგური უფრო დიდი რაოდენობით შეიცავს რადიოაქტიურ ნივთიერებებს, ვიდრე ხის მასალა. გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, თუ რომელ ქვეყანაშია წარმოებული სამშენებლო მასალა, რადგან ერთიდაიგივე მასალას შეიძლება სრულიად განსხვავებული რადიონუკლიდური შემცველობა ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, რაც მეტია რადიონუკლიდთა შემცველობა სამშენებლო მასალებში რომლისგანაც აგებულია შენობა, მით მეტი იქნება ადამიანის ორგანიზმის დასახივების დოზის სიმძლავრე და შესაბამისად შესაძლო მავნე ბიოლოგიური ეფექტების განვითარების ალბათობაც.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო მნიშვნელობის კურორტის გუდაურის რადიოეკოლოგიური გამოკვლევა, რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ აღნიშნული სამთო-სათხილამურო ტურიზმის ზონის განვითარებისა და გაფართოების შემდგომი პერსპექტივები სამედიცინო ხელშეწყობის თვალსაზრისით.

კვლევის მასალა და მეთოდები. კვლევა წარმართულ იქნა დაბა გუდაურის როგორც ღია ადგილების, ასევე შენობა-ნაგებობებისა და წყლის, ნიადაგის, აგრეთვე ადგილობრივი წარმოების საკვები პროდუქტების რადიოეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით. რფ გაზომვა ხდებოდა ერთიანი მეთოდოლოგიით, სპეციალურად შემუშავებული ინსტრუქციის მკაცრი დაცვით, ერთი და იმავე ტიპის ხელსაწყოთი (CPII-68-01) ღია ადგილებსა და შენობებში. თითოეულ წერტილში გაზომვა ტარდებოდა 10-ჯერ მონაცემთა დაფიქსირებით სპეციალურ ყურნალში. გამოკვლეულ იქნა ღია ადგილების 120 წერტილის რფ (სულ 1200 განაზომი) და შენობების 200 წერტილის რფ (სულ 2000 განაზომი).

საკვლევი ობიექტებიდან (წყალი, ნიადაგი, ბალახი, რძე, მანონი, ყველი) აღებული ნიმუშების თვისობრივი და რაოდენობრივი რადიონუკლიდური იდენტიფიკაცია განხორციელდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რადიოეკოლოგიისა და მოდელირების ლაბორატორიაში მრავალარხიანი ალფა-, გამა-

სპექტრომეტრული ანალიზატორის გამოყენებით (ჩანბერა-ს ფირმის).

გამოკვლევების შედეგად მიღებული მასალის მათემატიკური დამუშავება მოხდა IBM ტიპის კომპიუტერზე სტატისტიკური პაკეტების SPSS და Statistica-ს გამოყენებით.

ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ დაბა გუდაურში ღია ადგილების რფ მერყეობს 35-120 ნგრ/სთ ფარგლებში (საშუალოდ 77 ნგრ/სთ).

რფ ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აღინიშნებოდა „მჟავე წყლების“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჩამონაშალი ქანების სიახლოვეს (35 ნგრ/სთ); მაქსიმალური — გუდაურის გასასვლელთან არსებული ფოსტის მიმდებარე ტერიტორიაზე (120 ნგრ/სთ).

რფ მინიმალური მნიშვნელობები აღინიშნებოდა აგრეთვე სასტუმრო „თრუსოს“ ეზოში (65-70 ნგრ/სთ) და ამხანაგობის სახლის - „საძელე“ - ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე (75-80 ნგრ/სთ). რფ ასეთივე მაჩვენებლები აღინიშნა გუდაურის ცხრანლიანი სკოლის ეზოში (60-80 ნგრ/სთ).

რფ შედარებით მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა გუდაურის ერთ-ერთი მოსახლის (ბ.ს.) ეზოში — 100-120 ნგრ/სთ და სასტუმრო „მარკო პოლოს“ ეზოში - 95-110 ნგრ/სთ.

დაბა გუდაურის შენობა-ნაგებობების რფ შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ რფ მაჩვენებლები მერყეობს 55-175 ნგრ/სთ ფარგლებში (საშუალოდ 115 ნგრ/სთ). ამ მხრივ შედარებით დაბალი მაჩვენებლები დაფიქსირდა სასტუმრო „თრუსოს“ და სამთო-სათხილამურო სკოლის - „აბუს“ შენობებში — 55-95 ნგრ/სთ და 70-90 ნგრ/სთ შესაბამისად.

რფ შედარებით მაღალი მაჩვენებლები აღინიშნება სასტუმრო „ჯვრის უღელტეხილის“ რესტორნის დარბაზში - 145-150 ნგრ/სთ და ბუხართან - 150-160 ნგრ/სთ.

მიღებული მონაცემები სავსებით შეესაბამება რადიაციული უსაფრთხოების ნორმებით (რუნ-2000) დადგენილ სიდიდეებს და საქართველოს სხვა ტერიტორიების ღია ადგილებისა და შენობების რფ მაჩვენებლებს (1, 2, 3, 4).

დაბა გუდაურის გარემოს გამოკვლევული ობიექტების (წყალი, ნიადაგი) და საკვები პროდუქტების თვისობრივი და რაოდენობრივი რადიონუკლიდური იდენტიფიკაციის ჩატარებამ აჩვენა, რომ აღნიშნულ ნიმუშებში ძირითადად აღინიშნება ბუნებრივი წარმოშობის რადიონუკლიდების (K-40, Pb-212, Be-7) არსებობა, რომელთაგან ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება K-40. ნიადაგის ზოგიერთი სინჯი (საბაგირო გზის ქვედა სადგურიდან, გუდაურის ცენტრისა და სპორტ-სკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან აღებული სინჯები) შეიცავს აგრეთვე Pb-214. უნდა აღინიშნოს, რომ ნიადაგის სინჯები, რომლებიც აღებულ იქნა ავსტრიელების მიერ აშენებული კოტეჯების ეზოდან და სპორტსკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან, შეიცავს ხელოვნურ რადიონუკლიდს Cs-137 (აქტივობა - 33 და 42 ბკ/კგ შესაბამისად).

აღსანიშნავია, რომ ტრასის მიმდებარე ტერიტორიიდან აღებულ სინჯებში (ნიადაგი, ბალახი, მცენა-

რეები) დაფიქსირდა Te-208 (აქტივობა - 42, 49 და 63 ბკ/კგ შესაბამისად). იგივე სინჯებში აღმოჩენილ იქნა Be-7 (აქტივობა - 189 და 853 ბკ/კგ შესაბამისად).

ამრიგად, მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ არცერთ საანალიზო ნიმუშში რადიონუკლიდების შემცველობა არ აღემატება რადიაციული უსაფრთხოების ნორმებით (რუნ-2000) განსაზღვრულ დასაშვებ სიდიდეებს, რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ დაბა გუდაურისა და მისი მიმდებარე ტერიტორია რადიოეკოლოგიური თვალსაზრისით არის სუფთა და აქ მონეული პროდუქტი და სასმელი წყალი ეკოლოგიურად უსაფრთხოს წარმოადგენს, რაც გვაძლევს უფლებას რეკომენდაცია გავუწიოთ სამთო-სათხილამურო კურორტ გუდაურს, როგორც ერთ-ერთ უნიკალურ და რადიაციული თვალსაზრისით ჯანსაღ სარეკრეაციო ზონას.

ლიტერატურა:

1. ზურაშვილი ბ., გელაშვილი კ., ვეფხვაძე ნ. და სხვ. საქართველოს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მაღალმთიანი რაიონების რადიოეკოლოგიური სიტუაციის ჰიგიენური შეფასება. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. XXXIX, თბილისი, 2003.
2. ვეფხვაძე ნ., ზურაშვილი ბ., გიორგობიანი მ., გელოვანი თ. რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის სასმელი წყლის, ნიადაგისა და მცენარეული წარმოშობის საკვები პროდუქტების რადიონუკლიდური შეფასება. თსსუ შრომათა კრებული, 2005.
3. რუნ-2000, ჰიგიენური ნორმატივები, ჰ6 2.6.1.001 — 00, ოფიციალური გამოცემა, თბილისი, 2000.
4. Safety Series. International Basic Safety Standards for Protection against Ionizing Radiation and for the Safety of Radiation Sources. Vienna, 1996, 353 p.

Vepkhvadze N. R., Gelashvili K. D., Zurashvili B. S., Gelovani T. V., Giorgobiani M. T.

ASSESSMENT OF RADIOECOLOGICAL SITUATION OF WINTER RESORT GUDAURI

TSMU, Department of Preventive Medicine

The indicators of outdoor and indoor radiation background and radionuclide content in the environment (water, soil) and some food in winter resort Gudauri have been studied.

Outdoor radiation background is in range of 35-120 nGy/h, indoor radiation background - 55-175 nGy/h.

In the studied samples of water and soil the presence of natural radionuclides (K-40, Pb-212, Be-7) was observed mainly. Simultaneously, radionuclide of artificial origin — Cs-137 were detected, though relatively seldom.

Specific activity of radionuclides in the samples of water, soil and food of the investigated territory do not exceed allowable rates, so from the radioecological point of view mentioned territory recognized as safe recreational zone.

ზარნაძე შ.

კვების მეცნიერების სწავლების თანამედროვე საერთაშორისო ასპექტების შუამსახურ და ოპტიმიზაციის გზები

თბილისის სახელმწიფო საჰაერო-საჰაერო უნივერსიტეტის გარემოსა და პროფესიული მედიცინის ფაკულტეტი

თანამედროვე მსოფლიოში, მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთის დასაწყისისათვის ინტენსიურად, სხვადასხვა საერთაშორისო რეკომენდაციათა საფუძველზე, ქვეყნები ქმნიან ჯანსაღი კვების დამკვიდრებისათვის სპეციალურ პროგრამებსა და სარეკომენდაციო დოკუმენტებს.

საქართველოში კვების ძირითად პრობლემებს წარმოადგენს: კვებითი დეფიციტი, საკვების არაადეკვატური გამოყენება, კვების ერთფეროვნება, ჭარბი წონა, საკვები პროდუქტების დაბალი კვებითი ღირებულება, გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტების გამოყენება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შექმნილი დოკუმენტი „საკვები პროდუქტები და კვება ევროპის რეგიონში 2000-2005 წელს“, აყალიბებს ძირითად პრინციპებს, რომელსაც უნდა ემყარებოდეს ჯანსაღი კვება:

- მრავალფეროვანი საკვები პროდუქტების მოხმარება, მათ შორის მცენარეულის უპირატესი წილი.
 - პური, ბურღულეული, კარტოფილი მოხმარებული უნდა იქნას დღეში რამდენჯერ.
 - ბოსტნეული და ხილი არანაკლებ 400 გ, საცხოვრებელი ადგილიდან და ეკოლოგიურად კეთილსაიმედო ტერიტორიიდან.
 - სხეულის მასის ინდექსის შენარჩუნება 20-25-ის ფარგლებში და ზომიერი ფიზიკური ვარჯიში.
 - საკვები პროდუქტებით ორგანიზმში ცხიმის ტრანსპორტირების კონტროლი.
 - რძისა და რძის პროდუქტების მოხმარება, სასურველია ცხიმისა და მარილის მცირე შემცველობით.
 - შაქრის მოხმარების შემცირება.
 - ცხიმოვანი ხორციანი საკვების ჩანაცვლება ბურღულეულით, ფრინველის ხორციითა და თევზით.
 - მარილის მიღების შემცირება, საკვებში 6 გრ, რეკომენდებულია იოდირებული.
 - ალკოჰოლის მოხმარების შემთხვევაში სუფთა სპირტის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 20 გ-ს.
 - უზრუნველყოფილი უნდა იქნას საკვები პროდუქტების უსაფრთხო მომზადება.
 - რეკომენდებულია ახალშობილთა ძუძუთი კვება 6 თვემდე სავალდებულოდ.
- საქართველოსათვის, როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნისათვის, 2006- 2010 წელს, აუცილებელია ისეთი პრობლემების დაძლევა, რომლის კომპონენტებს შეადგენს:
- შიმშილისა და კვების ნაკლებობის დაძლევა.

- ჩვილი, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა კვების ორგანიზაცია და ხელშეწყობა, ახალგაზრდებში კვებითი ქცევის ელემენტების დამკვიდრება, მიკროელემენტების დეფიციტის დაძლევა,

- საზოგადოების განათლება და აქტიური ჩაბმა კვებითი ქცევის ახალი ღირებულებების ჩამოყალიბებაში, ისტორიული, გეოგრაფიული და რელიგიური თავისებურებების გათვალისწინებით,

- სასურსათო პროგრამის ელემენტების განხორციელება, სავარაუდო რისკების პროგნოზირება, გამოვლენილი რისკის დაძლევის ოპერატიული პროგრამების შექმნა, საკვები პროდუქტების ნორმატივებისა და სტანდარტების შემუშავება, მონიტორინგისა და სისტემატიური მეთვალყურეობის მექანიზმების შემუშავება [2,5].

ისტორიულად, ცხოვრების წესის ცვლილებამ გამოიწვია კვების სტრუქტურის ცვლილება - განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ნაჯერი ცხიმების ჭარბი მოხმარება, შაქრისა და მარილის მოხმარების გაზრდა, სახამებლისა და კვებითი ბოჭკოების მოხმარების შემცირება [3] (ცხრ. 1).

საქართველოში კვებითი დარღვევებით გამოწვეული დაავადებების სტრუქტურა ასეთია [1]:

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა კვების მეცნიერების სწავლების თანამედროვე საერთაშორისო ასპექტების შეფასება და საქართველოში სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციის გზების შემუშავება სამედიცინო განათლებაში.

მიზნიდან გამომდინარე შესწავლილი იქნა შემდეგი საკითხები:

- კვების მეცნიერების სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა, ახალ ამოცანებთან, შრომითი რესურსების კვალიფიკაციისა და რაოდენობის საკმარისობა, სწავლების ახალი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენების ხარისხი, სწავლის ხარისხის შეფასება თვითშეფასებისა და მონიტორინგის სისტემის გამოყენებით.


კვლევის მეთოდები - კვლევისათვის გამოყენებული იქნა ექსპერტული ანალიზის, ისტორიული ანალიზის, სოციოლოგიური კვლევის მეთოდები.

კვლევის მასალა - შერჩეული იქნა მექანიკური ამორჩევით, გამოყენებული იქნა რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევა. შესწავლილი და შეფასებული იქნა 10 წლის მასალა 1993- 95 წელი და 2000 და- 2007 წლის ჩათვლით. სოციოლოგიური კვლევისათვის შექმნილი იქნა სპეციალური კითხვარი 10 კითხვით თვითშეფასებისათვის, 50 კითხვით სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასებისათვის. გამოკითხვაში მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტებისა და პედაგოგ- მასწავლებლების რეპრეზენტატიული რაოდენობა.

კვლევის შედეგები: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის შეფასების საფუძველზე დადგენილია არასრული შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებთან, საქართველოში არსებული ლაბორატორიებისა და კვლევითი ცენტრების აღჭურვილობა

ცხრილი №1
ისტორიული განვითარების პერიოდები და ნუტრიენტების მოხმარება [1]

პერიოდები	ცხიმები	შაქარი	სახამებელი	ცილა	მარილი	ბოჭკოები
	ენერჯია %			გრ. დღეში		
მინათმოქმედებამდელი პერიოდი	15-20	0	50-70	15-20	1	40
მინათმოქმედების შემდგომი პერიოდი	10-15	5	60-75	10-15	5-15	60-120
ინდუსტრიის განვითარების შემდგომი პერიოდი	40	20	25-30	12	10	20



სურათი №1
ენდოკრინული სისტემის დაავადებები, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევები, საქართველო, 1998 - 2004

ცხრილი 2
ენდოკრინული სისტემის დაავადებები, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევები, საქართველო

დაავადებები	კონტინგენტი				სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით საანგ. წელს აღრიცხულია			
	სულ		მ.შ. ბავშვები		სულ		მ.შ. ბავშვები	
	რაოდ.	მაჩვ.	რაოდ.	მაჩვ.	რაოდ.	მაჩვ.	რაოდ.	მაჩვ.
სულ	129346	2958,8	22227	2426,7	29920	684,4	6580	718,4
მათ შორის:								
თირეოტოქსიკოზი ჩიყვით ან ჩიყვის გარეშე	10932	250,1	1352	147,6	3274	74,9	374	40,8
ფარისებრი ჯირკვლ. გადიდება და დაუზუსტებელი ჩიყვი	50248	1149,4	17563	1917,5	13597	311,0	4276	466,8
არატოქსიური კვანძოვანი ჩიყვი	7010	160,4	649	70,9	2299	52,6	116	12,7
შაქრიანი დიაბეტი	13826	316,3	202	22,1	2418	55,3	39	4,3
ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი	36184	827,7	40	4,4	4813	110,1	16	1,7
ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი	2344	53,62	468	51,1	812	18,6	227	24,8

მოითხოვს განახლებას, რათა გადაწყვეტილი იქნას საპროგრამო დოკუმენტების მოთხოვნები.

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა პრაქტიკულად მნიშვნელოვანი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა: სპეციალისტთა და სტუდენტთა 75% იყენებს უფასო ინტერნეტ რესურსებს, მხოლოდ 2,5% - ფასიანს. სასწავლო პროცესში მხოლოდ ძირითად სახელმძღვანელოზე დაყრდნობით თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას იძენს 95%, მხოლოდ 5% იყენებს კომბინირებულ წყაროებს. დაბალია თანამემამულეთა სამეცნიერო კვლევების შედეგების გამოყენების ხვედრითი წილი სასწავლო პროცესში. ხანგრძლივი დრო სჭირდება ორიგინალური სახელმძღვ-

ანელოებისა და თარგმნილი სახელმძღვანელოების შექმნას- ეს პერიოდი 2-დან 4 წლამდე მერყეობს. სასწავლო პროცესის სტრუქტურაში დამოუკიდებელი მუშაობის კომპონენტმა მეტი საშუალება მისცა პედაგოგებსა და სტუდენტებს თვითრეალიზაციისათვის, განვითარდა სამეცნიერო და დამოუკიდებელი აზროვნება, გაიზარდა მოთხოვნა თეორიულ მედიცინაში და კვების მეცნიერებაში მტკიცებითი მედიცინის მიღწევების გამოყენებისა, პედაგოგებისა და სტუდენტების 5,6% სასწავლო და პრაქტიკული მასალის მომზადებაში აქტიურად იყენებს თანამედროვე მედიცინის მიღწევებს, ფლობს ახალი სამეცნიერო მასალის კითხვისა და ანალიზის უნარ-ჩვევებს. მნიშ-

ენელოგან პრობლემას წარმოადგენს სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები როგორცაა: საბაზისო დისციპლინების ცოდნა, კლინიკური დისციპლინების ელემენტების ცოდნა, მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემების შესწავლისა და შეფასების მეთოდების ცოდნა. აღნიშნული უნარ-ჩვევების არასაკმარისობა აღინიშნებოდა გამოკვლეულთა 85%-ში.

დასკვნები და რეკომენდაციები: კვლევის შედეგების საფუძველზე და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ კვების მეცნიერების თანამედროვე ასპექტების შესწავლისა და სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციისათვის აუცილებელია სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო ადგილის თანამედროვე ორგანიზაცია, დაგეგმვისა და მართვის ლოკალური და ცენტრალური სისტემების შეთანხმებულობის ხარისხის გაზრდა, საბაზისო და კლინიკური ცოდნის ელემენტების ინტეგრაცია, მტკიცებითი მედიცინის ელემენტების გამოყენება, სასწავლო პროგრამების ორიენტირება მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლად კვების ფაქტორსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას, კვებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან [4].

კვების მეცნიერების კურსი ინტეგრირებული უნდა იქნას უმაღლესი სამედიცინო განათლების ყველა საფეხურზე და ყველა ფაკულტეტის სტუდენტისათვის.

ლიტერატურა:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საანგარიშო მასალები, 2001-10065.5.
2. Margetts BM, Nelson M, Design concepts in nutrition epidemiology- Oxford press, 1999
3. Young L, Portion sizes in dietary assessment Nutrition .Rev 2000
4. Blok.G- Human dietary assessment Prevent Med.2001
5. Nutrition- Essential component of medical education- Journals of USA Dietary Associate 2001- 2007

Shalva Zarnadze

INTERNATIONAL ASPECTS OF NUTRITIONAL SCIENCES AND OPTIMIZATION OF STUDIES

TSMU, Department of environmental health and occupational medicine

The science of nutrition is the study of how this takes place- the study of the nutrients in foods and the body's handling of those nutrients. As science go, nutrition is a young one.

One step in evaluating nutrition status is to obtain information about a person's history: medical, socioeconomical, drug and diet. The medical history may reveal a disease that interferes with the person's ability to eat or the body's ability to use the nutrients.

Socioeconomic circumstances may show a financial inability to purchase foods or inadequate kitchen facilities in which

to prepare them. To prepare a nutrition assessment, the assessor, usually a registered dietitian or a physician trained in clinical nutrition, uses:- historical information ,anthropometric measures, physical examinations, laboratory tests.

The scientists based estimates of nutrient needs on careful examination and interpretation variety of scientific evidence. Responsibility for defining the amounts of dietary factors, best support health.

ზარქუა თ., ერიაშვილი ვ., ბაკურიძე ა., ბერაშვილი დ.

ზარგაცენტრული კულტურა და მისი ფორმირება თანამედროვე საზოგადოებაში

თსუ სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ საქართველოსთვის მოიტანა სრულიად ახალი ეპოქა, რომელიც ხასიათდება არამხოლოდ ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გარდაქმნებით, არამედ საზოგადოების მსოფლმხედველობისა და მენტალიტეტის შეცვლით.

თანამედროვე საზოგადოებაში ბაზარი და მისი კანონები განსაზღვრავენ ქვეყნის ნორმებს, წესებს და კონკურენტულ კონკურენციაში საქმიანობის იდეოლოგიებს. ფინანსური წარმატება ხდება ძირითად საზომად არა მხოლოდ წარმატებული (საქმიანი) ბიზნესმენისთვის, არამედ ადანიანის სიცოცხლისთვისაც. ასეთ პირობებში თანდათან გამოიკვეთება ადამიანებისთვის არსებული ფასეულობები და სულიერი პრიორიტეტები.

გასულ საუკუნეში შესაძლებელი გახდა აშენებულიყო ახალი სოციალურ-ეკონომიკური წყობა. ერის უდიდესი მონდომების შედეგად, სახელმწიფო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე დანახარჯების მიუხედავად, საზოგადოება დარჩა მაღალგანვითარებულ და კულტურულ საზოგადოებად. იმის გათვალისწინებით, რომ არა ერთი სიძნელის წინაშე იდგა სახელმწიფო, საქართველოში ყოველთვის ფასობდა ადამიანის სიცოცხლე, მისი ჯანმრთელობა, იქმნებოდა პირობები მისი ინტელექტუალური, ფიზიკური და ზნეობრივი განვითარების. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა კულტურის საწყისები სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის ფარმაცევტულ სფეროში.

დღეისათვის ქართველი ხალხის უმრავლესობა საკუთარ თავს უსვამს კითხვას: ვინ ვართ? რა საზოგადოებაში ვცხოვრობთ? რა ადგილს ვიკავებთ მასში? საინტერესოა, რა როლი, მნიშვნელობა ეკუთვნის და რა ადგილი უკავია ჩვენს საზოგადოებაში ისეთ ცნებებს, როგორცაა „კულტურა“, „ვალი სამშობლოს წინაშე“, „ერის ინტერესები“. ჩვენი ცხოვრების ამა თუ იმ კუთხის, ამა თუ იმ ეკონომიკური საქმიანობის გაანალიზებისას ძირითადია შეფასდეს ამ ეკონომიკური საქმიანობის ამოცანები თუ რაოდენ შესაბამეა კონკრეტული ადამიანების მოთხოვნებსა და მოთხოვნილებებს.

შევეცდებით თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და სოციალურად მნიშვნელოვანი ბაზრის - ფარმაცევტული ბაზრის - მაგალითზე გავარკვიოთ, არსებობს კი ურთიერთობათა კულტურა და რა ელემენტები უდევს მას საფუძვლად. იმისათვის, რომ გავიგოთ, რა არის ფარმაცევტული კულტურა, აუცილებელია გავხსნათ კატეგორია „კულტურის“ მნიშვნელობა. ამ ცნების გამოყენება მისი თანამედროვე გაგებით დაიწყო XVIII საუკუნეში ევროპაში ისეთი მოაზროვნეების წყალობით, როგორებიც არიან ჯ. ვიკო, ი. გ. გერდერი, შ. მონტესკიე. ამ პერიოდში გამწვავდა ინტერესი კულტურულ ფასეულობებზე, სტერეოტიპებზე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანთა ცხოვრების წესზე. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ცნება „კულტურამ“ დაიწყო ცივილიზაციის, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის, გლობალური რაციონალიზაციის კატეგორიებთან გადაკვეთა. მისი განსაზღვრა დაიწყო როგორც „კაცობრიობის ბიოლოგიურად არამემკვიდრული მეხსიერება“.

ძირითადი წარმოდგენები, რომლებიც არსებობს კულტურულ ანთროპოლოგიაში, არ იძლევიან პასუხს კითხვაზე „რა არის რეალურად კულტურა?“. სხვადასხვა ავტორების დახასიათებისა და წარმოდგენების საფუძველზე კატეგორია „კულტურა“ შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად - ეს არის ადამიანთა ერთობლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემადგენელი, რომელიც წარმოადგენს არამემკვიდრულ, ხელოვნურ და ადამიანთა მიერ შექმნილ ობიექტს. კულტურაში იგულისხმება მატერიალური ობიექტების, იდეების, მათი მომზადებისა და ოპერირების ტექნოლოგიების, ადამიანთა შორის მყარი ურთიერთობების, მათი რეგულირების წესებისა და საზოგადოებაში არსებული ფასეული კრიტერიუმების ორგანიზებული ერთობლიობა. ეს არის ადამიანთა მიერ შექმნილი არსებობისა და თვითრეალიზაციის, ქცევისა და სოციალური ურთიერთქმედების რეგულირების ეთიკური გარემო.

ფილოსოფოსების თვალსაზრისით, კულტურა წარმოადგენს საქმიანობის წესებს, რომელიც დაფუძნებულია სოციალურ-ისტორიული გამოცდილების შენახვასა და გამოყენებაზე. კულტურა - ეს არის საზოგადოებრივი საქმიანობის „ადამიანურ-შემოქმედებითი ჭრილი“. საქმიანობის მატერიალური და სულიერი შედეგები, საზოგადოებრივი ფორმები და ფასეულობები - ეს არის კულტურის ობიექტური შესაძლებლობები. კულტურის „დინამიურ“ საზომში კი იგულისხმება ადამიანის მოთხოვნილებები და შესაძლებლობები.

ჩვენ შემთხვევით არ შევხვებივართ კულტურის ცნებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დღევანდელ დღეს ზოგიერთი თვლის, რომ ბაზარზე ორიენტირებულ საზოგადოებაში კულტურის არსებობა იწვევს ეჭვს. კულტურა - ეს არის ურთიერთობათა გარემო, რომელიც შექმნილია თვით ადამიანთა მიერ და არ არის დამოკიდებული ფაქტორებზე, რომლებიც საზღვრავენ საზოგადოების ეკონომიკასა და პოლი-

ტიკას. მეორე საკითხია, თუ როგორია კულტურის ხარისხობრივი განსაზღვრა სამამულო წარმოებაში. აქ გონივრული იქნება შემდეგნაირი მიდგომა - ცალკეული პიროვნებების ან ადამიანთა ჯგუფის ზეგავლენა ხარისხიანი გარემოს შესაქმნელად.

კულტურა - ერის მორალისა და ზნეობის განუყოფელი ნაწილია, საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ფორმაა.

საქართველოს ფარმაცევტული სივრცე, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სუბიექტებს, თანდათანობით ვითარდება. განვითარება ხდება ისეთი ფუძემდებლური ფაქტორების ხარჯზე, როგორიცაა ფარმაცევტული საქმიანობის კომპეტენტურობა და ხარისხი. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით იზრდება მოთხოვნილება ფარმაცევტის ცოდნასა და მის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე.

იუნესკოს მიერ ჩამოყალიბებული XXI საუკუნის მსოფლიოს განათლების სისტემის პრინციპების შესაბამისად ფარმაცევტული განათლების თანამედროვე მოდელი ითვალისწინებს პროფესიულ ეთიკას, პიროვნების სრულყოფილებას, მსოფლმხედველობას, ფარმაცევტულ კულტურას და შემეცნებას.

ფარმაცევტული განათლება არის ერთ-ერთი საფუძველი ფარმაცევტული კულტურისა. განათლების ხარისხი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ფარმაცევტული კულტურის დონეს.

ფარმაცევტული კულტურის ძირითადი შემადგენლების განხილვისას ლოგიკური იქნებოდა გვესაუბრა ფარმაცევტულ სფეროში მომუშავე ადამიანების საქმიანობაზე. საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ გვაძლევს ფარმაცევტული საქმიანობის ასეთ განსაზღვრებას: „ფარმაცევტული საქმიანობა - სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში დაკავებული ფიზიკური და იურიდიული პირების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმიანობა“. ეს განსაზღვრება არ გამოხატავს არც ადამიანური ურთიერთობების მაგალითს, რომელიც წარმოქმნილია ამ სფეროში, არც თანამედროვე ტექნოლოგიების დონეს, არც სიმბოლურ ობიექტებს (ფასეულობებს და ნორმებს). ჩგაურკვეველია, თუ რა გამოდის ადამიანური ურთიერთობების მაგალითის როლში ფარმაცევტული დაწესებულებების ფუნქციონირების განხილვისას — თვით სამკურნალო საშუალება, მათი რეალიზაცია თუ ფარმაცევტული მომსახურება. ამიტომაც არსის გაუგებრობა იწვევს მთელ რიგ პრობლემებს როგორც აფთიაქის მომხმარებელთა და სააფთიაქო მუშაკებს შორის, ასევე ამ დარგის მართვის ორგანოების სუბიექტებს შორის. თუ გავიხსენებთ აკადემიკოს ა.ნ. სემაშკოს სიტყვებს, რომ წამლით უზრუნველყოფა წარმოადგენს მკურნალობის ერთ-ერთ ფორმას, მაშინ ნათელი ხდება ის, რომ აფთიაქარი იღებს პასუხისმგებლობას ავადმყოფის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ექიმთან ერთად.

ფარმაცევტულ კულტურაზე როდესაც ვსაუბრობთ, აუცილებლად გასათვალისწინებელია დარგის ისტორია და ტრადიციები, რომლებიც უდიდეს გავ-

ლენას ახდენენ ფარმაცევტული კულტურის შექმნასა და ფორმირებაში. აქვე უპირიანი იქნება თუ ფარმაცევტულ კულტურას განვიხილავთ დარგის მიმართულელების მიხედვით, კერძოდ:

აფთიაქი და ფარმაცევტი; აქ განიხილება ერთი მხრივ აფთიაქის კულტურა, რომელიც მრავალმხრივია და მეორეს მხრივ — მომხმარებლის კულტურა, რომელიც მეტ-ნაკლებად საზოგადოების კულტურის შემადგენელი კომპონენტია. რაც შეეხება თვით აფთიაქს, აქ ძირითადი მომსახურეობის კულტურაა, ნამალთან, პაციენტთან, ექიმებთან, კოლეგებთან ურთიერთობის კულტურაა. აღნიშნულის ხარისხს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ფარმაცევტის ცოდნის დონე, მისი პროფესიონალიზმი, ადამიანური თვისებები და ა.შ.

მომსახურეობის კულტურა არ გულისხმობს მხოლოდ მომხმარებელზე წამლის გაცემას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კვალიფიციური ინფორმაციის მიწოდებას წამლის შესახებ ანუ რაციონალური ფარმაცევტული დახმარებისა და შესაბამისად ოპტიმალური ფარმაკოთერაპიის აღმოჩენას. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მომხმარებელი შეიძლება იყოს სხვადასხვა სოციალური ფენის, ასაკის, მდგომარეობის (მარტოხელა, ფეხმძიმე და ა.შ.) პირი და ამიტომაც არც თუ იშვიათ შემთხვევებში სპეციფიკური მიდგომებია საჭირო. აღნიშნულის გათვალისწინებით ფარმაცევტს მოეთხოვება არა მარტო მაღალი კვალიფიკაცია, არამედ „მომხმარებლის“ ფსიქოლოგიის ცოდნაც.

მომსახურეობის კულტურა არ მოიცავს მხოლოდ აფთიაქის პირობებში მომხმარებელთან ურთიერთობას. იგი გრძელდება ავადმყოფის გამოჯანმრთელებამდე - ოჯახში ტელეფონით ურთიერთობით, ეფექტურობის, გართულებებისა და გვერდითი მოვლენების მონიტორინგით და გამონაკლის მარტოხელა ავადმყოფების შემთხვევაში ბინაზე მისვლითა და ფარმაცევტული დახმარების აღმოჩენით.

ამრიგად, კულტურა - ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების გამოხატვაა, რადგან მათგან ერთი წარმოადგენს იდეალურ სახეს, ხოლო მეორე — საქმის რეალური მდგომარეობის პროექცია.

- ფარმაცევტული დარგი ახდენს სერიოზულ ზეგავლენას საზოგადოების კეთილდღეობის ძირითად მაჩვენებლებზე, რადგან სამკურნალო საშუალება ასრულებს დიდ როლს ადამიანის მკურნალობის პროცესში და ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში. აღსანიშნავია, რომ ფარმაცევტული კულტურის ფორმირება ამაღლებს არა მხოლოდ დარგის ხარისხობრივ დონეს, არამედ მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის დონესაც.

- დღეისათვის საერთაშორისო ფარმაცევტული ორგანიზაციის მიერ მოწოდებულია ფარმაცევტული კულტურის იდეოლოგია, რომელიც ასახულია დოკუმენტებში „სათანადო ფარმაცევტული პრაქტიკა“ (GPP), „სათანადო საწარმოო პრაქტიკა“ (GMP), „სათანადო სადისტრიბუციო პრაქტიკა“ (GDP), „სათანადო ლაბორატორიული პრაქტიკა“ (GLP) და „სათანადო შენახვის პრაქტიკა“ (GSP).

- ფარმაცევტული კულტურის ძირითადი ელემენტი (ეკონომიური ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გამოყენების მიზანმიმართული ფარმაცეკონომიურობა, სამამულო პრეპარატების გამოშვების ნომენკლატურისა და მოცულობის გაზრდა) ითხოვენ საფუძვლიან შესწავლას და სასწრაფო ზომების მიღებას სახელმწიფოს მხრიდან.

ღასკპნეპი. ფარმაცევტული კულტურის განმსაზღვრელი და საფუძველი ფარმაცევტული განათლებაა, რომლის ხარისხიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კულტურის დონეს.

ფარმაცევტული კულტურა არ შეიძლება განიხილებოდეს დამოუკიდებლად, რადგანაც გარდა პროფესიული კომპონენტებისა იგი მოიცავს საზოგადოებრივი კულტურის ელემენტებსაც.

ფარმაცევტული კულტურა ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია და მაჩვენებელია ქვეყანაში ფარმაციის, როგორც დარგის განვითარების დონისა.

ფარმაცევტული დარგის განვითარებისათვის სასურველია სააფთიაქო, საწარმოო, სადისტრიბუციო და ანალიზის მიმართულებებში დასაქმებულ მუშაკთათვის კორპორატიული კულტურის შემუშავება;

ფარმაცევტული კულტურის განმტკიცებისა და ამაღლების მიზნით საჭიროა შემუშავდეს შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტაცია;

ფარმაცევტული დარგის ეროვნული პოლიტიკის განვითარების კონცეფციასთან ერთად უნდა შემუშავდეს ფარმაცევტული ზრუნვის კონცეფცია.

ლიტერატურა:

1. Кононова С.В., Соколова Н.Н. Фармацевтическое образование как основа фармацевтической культуры. Ремедиум. №10. 2006.
2. www.recipe.ru/press-relizyi/trening-rukovoditeley-aptkek-kurska-po-formirovaniyu-korporativnoy-kult.html.-61k.
3. www.apteka.ua/archives/525/22859.html-42k.

Zarkua T., Eriashvili V., Bakuridze A., Berashvili D.

PHARMACEUTICAL CULTURE AND ITS FORMATION IN MODERN SOCIETY

TSMU, Department of social and clinical pharmacy

Pharmaceutical culture is based on pharmacy education and especially on its quality and bevel. Pharmaceutical culture can not be observed separately because it is the part of social culture.

Pharmaceutical culture is one of main criteria that indicates condition of development in countries pharmaceutical sector.

For the development of pharmaceutical field, formation of corporational culture for employee of pharmacy, pharmaceutical industry and sector of distribution. For the improvement of pharmaceutical culture elaboration of regulatory documentation is needed. At the same time with elaboration of concept of development pharmaceutical sector, concept of pharmaceutical care needed to be elaborated.

ზირაქიშვილი ლ., ზენაიშვილი ო., ქუბაბრია გ.,
მჭედლიშვილი ი., მჭედლიშვილი თ.

ფასციოლოზის გავრცელება საქართველოში

თსსუ-ის აპიდემიოლოგიისა და ჰიოსტატისტიკის
დაპარტამენტი; სამედიცინო პარაზიტოლოგიისა
და ტროპიკული მედიცინის ს/კ ინსტიტუტი;
დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო
სტატისტიკის ეროვნული ცენტრი.

ფასციოლოზი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჰელმინთოზია, რომელიც საქართველოში გვხვდება. მას ინვესს მწველა ჭიები (ტრემატოდები), კერძოდ ღვიძლის ორპირა (*fasciola hepatica*) და გიგანტური ორპირა (*fasciola gigantica*), რომელთაგან ჭარბობს *f. hepatica* (1,2). დაავადება შედის ზოოანთროპონოზების ჯგუფში. მისი ობლიგატურ-დეფინიტიური მასპინძელია ბალახისმჭამელი წერილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ხოლო ადამიანი ფაკულტატურ-დეფინიტიური მასპინძელია. პარაზიტის შუამავალ მასპინძელს მოლუსკები წარმოადგენენ.

განსაკუთრებით ხშირად შუამავალი მასპინძელია მოლუსკი მცირე ტბორულა (*Limnea truncatula*), რომელიც მტკნარი წყლის წყალსატევებში ბინადრობს. ინვაზირებული ცხოველისა და ადამიანის ფეკალიებთან ერთად გარემოში გამოიყოფა ფასციოლას კვერცხები, რომლებიც განვითარებისათვის აუცილებლად უნდა მოხვდნენ მტკნარი წყლის წყალსატევებში, სადაც 4-6 კვირის შემდეგ კვერცხიდან გამოდის გლარვა-მირაციდი. იგი შეიჭრება შუამავალი დროებითი პატრონის-მოლუსკის ორგანიზმში და იწყებს განვითარებას. ჯერ წარმოიშვება რედიები, შემდეგ ცერკარიები. უკანასკნელნი ტოვებენ მოლუსკის სხეულს და თავისუფლად დაცურავენ წყალსატევში. გარკვეული დროის შემდეგ ისინი ინცისტირდებიან და ადოლესკარიებად გარდაიქმნებიან, რომლებიც მჭიდროდ ეკვრიან წყალმცენარეებს და მწვანილს (ადოლესკარიების შემცველი წყლით ბოსტნებისა და ბალჩების მორწყვისას), განსაკუთრებით წინმატს, ხახვს, სალათას. ასეთი წყალმცენარეების, ან უფრო ხშირად მწვანილის საკვებად გამოყენებისას ან წყლის მიღებისას, ხდება ადამიანის დაინვაზიება. წყლის ან საკვების საშუალებით ნაწლავში მოხვედრილი ადოლესკარიებიდან ფასციოლას ლარვები იჩეკებიან, რომლებიც ღვიძლისაკენ ახდენენ მიგრაციას, რასაც დაახლოებით 4 თვე სჭირდება. პარაზიტის სიცოცხლის ხანგრძლივობა კი 10 წელს შეადგენს. დაავადების კლინიკური სურათი განპირობებულია პარაზიტის მექანიკური, ტოქსიკური და ალერგიული ზემოქმედებით, რის შედეგადაც განსაკუთრებით ღვიძლი ზიანდება. ზრდასრული ფასციოლოზების ზემოქმედება სანაღვლე გზებსა და ნაღვლის ბუშტზე რეფლექტორულად იწვევს საჭმლის მომწელებელი ორგანოების ნორმალური ფუნქციონირების შეფერხებას, ხოლო პარაზიტების მიერ ორგანოთა და

ქსოვილთა დაზიანება ხელსაყრელ პირობებს ქმნის მეორადი ბაქტერიული ფლორის განვითარებისათვის.

ღვიძლის ქსოვილის დაზიანების გამო ვითარდება ქრონიკული კატარული ქოლანგიტი, ინტერსტიციული ჰეპატიტი, ეოზინოფილური გრანულომები, მცირე ზომის აბსცესები და ჰემორაგიები, რაც ხელს უწყობს ღვიძლის ციროზის განვითარებას, რასაც თანსდევს მძიმე ანემია, ორგანიზმის დაუძლურება და ადამიანის სიკვდილი. ფასციოლოზი არათანაბრად გავრცელებული მსოფლიოში. იგი სერიოზული პრობლემა სამხრეთ ამერიკის (ბოლივია, პერუ, ჩილე, ეკვადორი), კარიბის ზღვის, ჩრდილოეთ აფრიკის (ეგვიპტე), ახლო აღმოსავლეთის (ირანი და მიმდებარე ქვეყნები) და სამხრეთ ევროპის (პორტუგალია, ესპანეთი) ქვეყნებისათვის (3,4). ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა, თუ როგორ არის გავრცელებული ფასციოლოზი საქართველოში თანამედროვე ეტაპზე. ამისათვის გავაანალიზეთ ის სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც არსებობს სამედიცინო პარაზიტოლოგიის და ტროპიკული მედიცინის ს/კ ინსტიტუტში და დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში. ფასციოლოზის პირველი შემთხვევა ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველად გამოვლინდა 1923 წელს ქ. ერევანში. რაც შეეხება საქართველოს, ინვაზიის პირველი შემთხვევა აღწერა ა. ჟღენტმა 1927 წელს (2). შემდგომში ამ დაავადების ერთეული შემთხვევები აღწერეს შ.გუგეშაშვილმა, ს.კანდელაკმა და ნ.კამალოვმა, ი.ზიმინმა და გ.სმირნოვმა, ი.თოფურია და ო.ზენაიშვილმა და სხვა მკვლევარებმა. სულ 1960 წლამდე საქართველოში ფასციოლოზის 30 შემთხვევა აღირიცხა. 1960 წლიდან კი ქვეყანაში დიდი ყურადღება დაეთმო ამ დაავადების შემთხვევების გამოვლენას, რამაც ასახვა ჰპოვა ავადობის დინამიკაში (ცხრ. №1). კერძოდ, ხდებოდა ავადმყოფთა აქტიური გამოვლენა სამკურნალო დაწესებულებათა პაციენტთა შორის.

ცხრილი №1
ფასციოლოზის შემთხვევები საქართველოში
1960-1972 წლებში

წელი	შემთხვევათა რაოდენობა	წელი	შემთხვევათა რაოდენობა
1960	6	1967	9
1961	7	1968	14
1962	4	1969	17
1963	13	1970	9
1964	16	1971	9
1965	16	1972	9
1966	9		

$M_{\text{სა}} = 10,5 M$

მაქსიმალური ავადობა აღინიშნა 1964-1965 წლებში - 16-17 შემთხვევა. საინტერესოა თუ როგორია ფასციოლოზით ავადობის დონე ქვეყანაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (ცხრ. №2).

როგორც ვხედავთ 1991-1998 წლებში ავადობის დონე უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 1960-1972 წლებში.

კერძოდ, თუ 60-იან წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 10-11 შემთხვევა ვლინდებოდა, 90-იან წლებში - მხოლოდ 5-6 შემთხვევა. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 1999 წლიდან. ბოლო წლებში საქართველოში საშუალოდ ფასციოლოზის 30-31 შემთხვევა ($M_{სა} = 30,25$) ვლინდება.

ცხრილი №2

ფასციოლოზის შემთხვევები საქართველოში 1991-2006 წლებში

წელი	შემთხვევათა რაოდენობა	წელი	შემთხვევათა რაოდენობა
1991	4	1999	13
1992	5	2000	29
1993	11	2001	37
1994	5	2002	74
1995	2	2003	27
1996	0	2004	10
1997	5	2005	18
1998	12	2006	34

$M_{სა} = 30,25$

მეტიც, 2002 წელს დაავადების უფრო მეტი შემთხვევა გამოვლინდა, ვიდრე მთლიანად 1991-1998 წლებში პერიოდში.

ფასციოლოზის შემთხვევების უმრავლესობა მოდის დასავლეთ საქართველოს რაიონებზე. თბილისში ავადობა საკმაოდ დაბალია. მაგალითად, 2001 წელს დედაქალაქში ორ პიროვნებას დაესვა ფასციოლოზის დიაგნოზი. 2002 წელს 8-ს, 2003 წელს 5-ს, 2004 წელს 2-ს, 2005 წელს 4-ს, ხოლო 2006 წელს 3-ს. სულ 2001-2006 წლებში ფასციოლოზის მხოლოდ 12,0% მოდიოდა თბილისზე. შემთხვევების საკმაოდ დიდი ნაწილი მოდის დასავლეთ საქართველოს რაიონებზე, განსაკუთრებით კი იმერეთის რეგიონზე, სადაც როგორც ჩატარებული გამოკვლევები მეტყველებენ, მაღალია მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში ფასციოლოზით ინვაზირების მაჩვენებელი (1,2). ამასთან საქართველოში ადამიანისა და საქონლის ფასციოლოზის გავრცელების მაჩვენებლები პირდაპირ კორელაციურ კავშირშია.

საინტერესოა დაავადებების შემთხვევების განაწილება ასაკის მიხედვით. 1960-1972 წლებში, ფასციოლოზით ავად საკმაოდ ხშირად ხდებოდნენ ბავშვები. ამ პერიოდში დაავადების შემთხვევათა 31,4% სწორედ მათზე მოდიოდა. მოზრდილ პირებში შემთხვევათა რაოდენობა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში თითქმის თანაბარი იყო. ოცდამეერთე საუკუნეში ფასციოლოზით ავადობაში შემცირდა ბავშვთა ხვედრითი წილი და გაიზარდა მოზრდილთა ავადობის დონე. 2000-2006 წლებში ბავშვებზე შემთხვევათა მხოლოდ 19,6% მოდიოდა (სხვაობა სტატისტიკურად სარწმუნოა, $t=2,1$). როგორც ავადმყოფთა ეპიდემიოლოგიური ანამნეზის შესწავლამ გვიჩვენა, საქართველოში ფასციოლოზით ინვაზიის გადაცემის ნამყვანი ფაქტორია ბოსტნის მწვანე ნივთიერება, რომელიც დიდი რაოდენობით გამოიყენება საჭმელში უმად და რომლის მოსარწყავად იყენებენ ადოლესკარებზე დაბინძურებულ წყალს.

ამრიგად, საქართველოში ფასციოლოზის გავრცელების შესწავლის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ბოლო 7-8 წლის მანძილზე საქართველოში ფასციოლოზით ავადობის დონე საგრძნობლად მატულობს და ყოველწლიურად დაავადების საშუალოდ 30-31 შემთხვევა ვლინდება. ეს მატება განსაკუთრებით თვალსაჩინოა გასული საუკუნის 90-იანი წლების მონაცემებთან შედარებით.

- დაავადება ძირითადად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს რაიონებში. თბილისში ავადობის დონე საკმაოდ დაბალია.

- ბოლო წლებში დაფიქსირებული ავადობის დონის მატება განსაკუთრებით თვალსაჩინოა მოზრდილი ასაკის პირებში, რაც აპირობებს ავადობაში ბავშვთა ხვედრითი წილის შემცირებას.

ლიტერატურა

1. ჭუბაბრია გ., ზენაიშვილი ო., მანჯგალაძე მ. ადამიანის ფასციოლოზის დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები. - საქართველოს სამედიცინო მოამბე, 2001 წ., №1-2, გვ.43-54.
2. Гигиташвили М.С. Фасциолез печени человека в - Автореф. дис. уч. степ. докт. мед. наук. Тбилиси, 1975 г. 36 с.
3. Esteban J.G., Gonzalez C., Curfale F. et al. Hyperendemic fascioliasis associated with schistosomiasis in villages in the Nile Delta of Egypt. - Amer.J.Trop.Med.Hyg., 2003,69(4), p. 429-437.
4. Mas-Coma S. Human Fascioliasis: transmission and epidemiology in endemic areas of South America. - IX European Multicollodium of Parasitology, Valencia, 2004, p. 261-263.

Ziraqishvili L., Zenaishvili O., Chubabria G., Mchedlishvili I., Mchedlishvili T.

PREVALENCE OF FASCIOLIASIS IN GEORGIA

Department Of Epidemiology and BioStatistics of Tbilisi State Medical University, Scientific Research Institute of Medical Parasitology and Tropical Medicine, National Centre For Disease Control And Public Health

Fascioliasis results to be one of the main trematodes in Georgia. The first case of Fascioliasis was reported in 1927 by A.Jhgenti. Afterwards only several cases have been registered but from 1960 to 1972 were identified 137 cases. The most crucial magnitude of disease has been monitored since year 2000, by the time when 29 cases were identified. The highest number of cases were registered in 2002. (74 cases). The significant increase of prevalence rates seems to be evident for the last 7-8 years and nowadays the average number of annually reported cases stands for 30-31 cases. The highest distribution of the disease is identified in older age range of Georgia.

Fascioliasis is not equally spread all over the country. The area highest in communicability results to be the western part of Georgia, mostly it covers Imerethi region. The epidemiological analysis showed that the main factor of the transmission mode are the garden greens, which is

BMI; systolic and diastolic BP have been measured. After 6 months of insulin sensitizing therapy these parameters have been repeatedly measured.

Investigated group was divided in 2 groups: group 1 - 18 patients HOMA-IR of which decreased less than 50% ($7.8\% \pm 30.6\%$); group 2 - 12 patients HOMA-IR of which decreased greater than or equal to 50% ($62.4\% \pm 10.6\%$).

The obtained data were treated by ANOVA and software STATISTICA/W 6.0 (StatSoft, USA).

Results. The baseline values and the results of serum UA levels after 6 months insulin sensitizing therapy are presented on the diagramm.

The mean value of UA in group 1 was non-significantly decreased from 6.6 ± 1.7 mg/dl to 5.9 ± 1.7 mg/dl. The percentage of hyperuricemia cases was decreased from 55.6% to 33.3%. The decrease of UA levels in group 2 was significant (from 5.8 ± 0.4 mg/dl to 5.0 ± 0.5 mg/dl, $p < 0.001$). After 6 months all patients in this group had normal serum levels of UA. The percentage decrease of UA levels in group 2 was $14.6\% \pm 11.8\%$, the same parameter in group 1 was $-10.0\% \pm 12.9\%$.

The baseline values and the results of other metabolic parameters after 6 months of insulin sensitizing therapy are given in table.

Table shows that the all lipid parameters, PPG, fasting C-peptide levels HOMA-indices were significantly decreased in group 2. BP parameters, BMI and FPG were not changed significantly. Only PPG was changed significantly in group 1.

However, it should be noted that in both groups the percentage reduction of BMI significantly correlated with the percentage reduction of serum UA levels (group 1 - $r = 0.7611$, $p < 0.001$; group 2 - $r = 0.7565$, $p < 0.001$).

Therefore, we can conclude that more expressed decrease of insulin resistance impacts on the improvement of metabolic parameters and serum UA levels.




Diagramm. Serum UA levels in groups during 6 months of insulin sensitizing therapy

REFERENCES

1. Expert Panel on Detection, Evaluation, and Treatment of High Blood Cholesterol in Adults. Executive Summary of the Third Report of the National Cholesterol Education Program (NCEP) Expert Panel on Detection, Evaluation, and Treatment of High Blood Cholesterol in Adults (Adult Treatment Panel III). *JAMA* 2001; 285: 2486-2496.

2. Sung K.C., Kim B.J., Kim B.S. et al. In normoglycemic Koreans, insulin resistance and adiposity are independently correlated with high blood pressure. *Circ J* 2004; 68: 898-902.

3. Klein R., Klein B.E., Comoni J.C. et al. Serum uric acid: Its relationship to coronary heart disease risk factors and cardiovascular disease in Evans County, Georgia. *Ann Intern Med* 1973; 132: 401-410.

4. Saggiani F., Pilati S., Targher G. et al. Serum uric acid and related factors in 500 hospitalized subjects. *Metabolism* 1996; 45: 1557-1561.

5. Cigolini M., Targher G., Tonoli M. et al. Hyperuricaemia: Relationship to body fat distribution and other components of the insulin resistance syndrome in 38-year-old healthy men and women. *Int J Obes Relat Metab Disord* 1995; 19: 92-96.

6. Waring W.S., Adwani S.H., Breukels O., Webb D.J., Maxwell S.R.J. Hyperuricaemia does not impair cardiovascular function in healthy adults. *Heart*, 2004, 90:155-159.

7. Tetradze L.O., Virsaladze D.K., Javashvili L.V., Esakia N.G., Tananashvili D.E. Serum uric acid levels in patients with metabolic syndrome. *GMN*, 2007, 151:65-67.

8. Lopez-Suarez A., Elvira-Gonzalez J., Bascunana-Quirell A. et al. Serum urate levels and urinary uric acid excretion in subjects with metabolic syndrome. *Med Clin (Barc)*, 2006, 126(9): 321-324.

9. Alberti K.G., Zimmet P.Z. Definition, diagnosis and classification of diabetes mellitus and its complications. Part 1: Diagnosis and classification of diabetes mellitus provisional report of a WHO consultation. *Diabet Med*, 2002, 19: 539-553.

10. Virsaladze D. Do we need a wide clinical implementation of insulin resistance syndrome. *Metabolic Syndrome & Related Disorders*, 2006, 4(3): 165-171.

თოფურია დ., ლობჯანიძე ნ., ჭავჭავანიძე ნ., გიორგობიანი თ., რუსეიშვილი ლ.

ღვიძლის მწვავე ტოქსიკური დაზიანების მკურნალობა-ფუნქციური ასპექტები და მისი მკურნალობის პარამეტრები (ექსპერიმენტული კვლევა)

თსსუ-ის კრიტიკული მემბრანის დაზიანების, კლინიკური ტოქსიკოლოგიის მიმართულება

ღვიძლის მწვავე ტოქსიკური დაზიანების მკურნალობა პრაქტიკული მედიცინის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. დღეისათვის გამოყენებული ცალკეული საშუალებები და მეთოდები მეტ-ნაკლებად ხელს უწყობს ავადმყოფის მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ რემისია ხანმოკლეა და არასტაბილური. ამჟამად ფართო აღიარება ჰპოვა ე.წ. ღვიძლის დამხმარე სისტემებმა (Liver Support System), რომელთა ფუნქცია აუტო, ალო თუ ქსენოლოგიის ქსოვილისა და უჯრედთა გამოყენებაზეა დამყარებული.

როგორც ყველა ექსტრაკორპორალურ მეთოდებს, აღნიშნულ სისტემებსაც გააჩნიათ ნაკლოვანებანი, ამასთანავე ექსტრაკორპორალური დამხმარე ღვიძლის სისტემის გამოყენების შედეგი დროებითი კომ-

mainly consumed by local habitants in raw/uncooked forms. All above mentioned data indicates that the main issue is to strengthen clinical-epidemiologic and laboratory research capacity in order to determine with accuracy epidemiologic characteristics of the disease.

თეთრაძე ლ., ვირსალაძე დ., ჯავაშვილი ლ., კილასონია ლ., ტანანაშვილი დ., ესაკია ნ.

Tetradze L.O.¹, Virsaladze D.K.¹, Javashvili L.V.¹,
Kilasonia L.L.², Tananashvili D.E.³, Esakia N.G.¹

THE RELATIONSHIP OF THE REDUCTION OF INSULIN RESISTANCE WITH SERUM URIC ACID AND OTHER METABOLIC PARAMETERS IN PATIENTS WITH METABOLIC SYNDROME

¹Tbilisi State Medical University, Department of Endocrinology, ²National Association of Osteoporosis, ³E. Andronikashvili Institute of Physics

Introduction. The data of many investigations confirmed that hyperuricemia is considered as the component of metabolic syndrome which reflects the insulin resistance (IR) [1,2]. The significant dependence between hyperuricemia and hypertension, heart and other diseases has been observed in some epidemiological studies [3,4]. It was also discovered the correlation between hyperuricemia and obesity, dyslipidemia and diabetes mellitus type 2 [5,6]. In our previous studies we showed that serum uric acid (UA) lev-

els are significantly higher and hyperuricemia cases are often in patients with MS in comparison with controls [7].

However, the determination of UA serum levels is not the diagnostic criterion [8]. The main pathophysiological impairments leading to increase of UA serum levels is not clear yet. There are a few works about the influence of insulin sensitizing therapy on the UA levels and other metabolic parameters.

The aim of our investigation was to study the relationship of the reduction of insulin resistance with serum uric acid and other metabolic parameters in patients with metabolic syndrome during insulin sensitizing therapy (metformin and thiazolidindiones).

Material and methods. 30 patients (10 males, 20 females, mean age - 35.5 ± 9.7 years) with MS have been investigated. MS was diagnosed using definitions of WHO [9], ATP III [1] and Society of Georgian Endocrinologists [10]. The exclusion criterion was the gout.

The investigation design was following: the aim and objectives of investigation were explained to each patient, they gave agreement to participate in the investigation and all ethical standards have been kept. Baseline values of: fasting serum UA levels (biochemical method); fasting and postprandial glycemia (glucose oxidase method); fasting C-peptide (chemiluminescence method); homeostasis model assessment (HOMA) indicates of b-cell function (HOMA-%B), insulin sensitivity (HOMA-%S) and IR (HOMA-IR); lipid parameters (biochemical method): total cholesterol (TChol), triglycerides (Tg), HDL-cholesterol, LDL-cholesterol, VLDL-cholesterol and index of atherogeneity (IA);

Table
Main metabolic parameters in investigated groups baseline and after 6 months of insulin sensitizing therapy

	Group 1		Group 2	
	baseline	6 months	baseline	6 months
BMI, kg/m ²	36.0 ± 7.3	34.0 ± 6.4	35.0 ± 4.8	32.5 ± 4.1
	NS		NS	
TChol, mg/dl	178.4 ± 25.6	166.9 ± 52.9	177.9 ± 32.9	148.4 ± 21.6
	NS		p=0.017	
Tg, mg/dl	228.3 ± 117.5	195.4 ± 95.1	199.4 ± 45.3	148.3 ± 37.2
	NS		p=0.007	
HDL-cholesterol, mg/dl	36.3 ± 12.3	41.7 ± 12.2	37.3 ± 5.1	44.8 ± 4.7
	NS		p=0.001	
LDL-cholesterol, mg/dl	91.5 ± 34.5	87.6 ± 28.8	100.7 ± 34.3	73.8 ± 25.9
	NS		p=0.041	
VLDL-cholesterol, mg/dl	39.4 ± 21.4	35.8 ± 20.8	39.9 ± 9.1	29.7 ± 7.4
	NS		p=0.006	
IA	4.9 ± 3.4	4.6 ± 3.2	4.3 ± 2.1	2.3 ± 1.8
	NS		p=0.020	
FPG, mmol/l	5.4 ± 1.0	5.8 ± 1.1	5.0 ± 1.0	4.8 ± 0.4
	NS		NS	
PPG, mmol/l	7.4 ± 1.5	5.8 ± 2.1	7.1 ± 1.3	5.1 ± 2.0
	p=0.013		p=0.008	
fasting C-peptide, ng/ml	3.2 ± 1.5	3.2 ± 1.4	4.7 ± 1.9	1.7 ± 0.9
	NS		p<0.001	
HOMA-%B, %	133.5 ± 66.3	141.8 ± 69.8	246.6 ± 124.5	116.4 ± 43.0
	NS		p=0.002	
HOMA-%S, %	52.9 ± 36.2	61.3 ± 44.9	33.5 ± 12.8	100.8 ± 57.0
	NS		p<0.001	
BP, mm.Hg.sistollic	126.7 ± 22.4	122.2 ± 17.2	145.0 ± 23.8	130.0 ± 18.3
	NS		NS	
diastolic	80.0 ± 13.2	75.6 ± 11.3	82.5 ± 9.6	77.5 ± 5.0
	NS		NS	

* NS – non-significant

ნულ მიკროსკოპულად დაზიანებული ღვიძლის ჰეპატოციტებში ინაქტივაციურ და დესტრუქციულ პროცესებთან ერთად ვლინდებოდა ცვლილებები, რომლებიც ხასიათდებოდნენ

რეპარაციული რეგენერაციის პროცესის ინიციაციით, აღინიშნებოდა უჯრედშიდა ორგანელების განვითარება, მიტოქონდრიების უმეტეს ნაწილში ვლინდებოდა მატრიქსის ელექტრონული სიმკვრივის მომატება და კარგად ორიენტირებული კრისტები. ანტიჰეპატოციტოტოქსიკური შრატით მკურნალობიდან 96 საათის გავლის შემდეგ ჰეპატოციტების დესტრუქციის ნიშნებთან ერთად, ვლინდებოდა ბირთვის ქრომატინის დეკონდენსაცია, მიტოქონდრიების და სხვა უჯრედშიდა ორგანელების სტრუქტურის ნორმალიზაცია, რაც შეიძლება რეპარაციული რეგენერაციის პროცესების გაძლიერების მაჩვენებელად ჩაითვალოს.

ღვიძლის პარენქიმის სტრუქტურა თითქმის მთლიანად აღდგენილია, ჰეპატოციტები ხასიათდებოდნენ კონდენსირებული ქრომატინის ზომიერი რაოდენობით, საკმაოდ კარგად განვითარებული უჯრედშიდა ორგანელებით და მიტოქონდრიებით, რომელთა კრისტები კარგად იყვნენ ორიენტირებული და კარგად კონტურიდებოდნენ.

ღვიძლის „CCL4-ით“ დაზიანების ჩვეულებრივი არაპროგენიტიკური უჯრედებისაგან დამზადებული შრატით მკურნალობის შემდეგ აღინიშნებოდა: პათოლოგიური პროცესის ჯერ კიდევ გარკვეულად განვითარება და გამოიხატებოდა უჯრედშიდა ორგანელების რედუქციით, უჯრედის ციტოპლაზმაში აღინიშნებოდა მსხვილი ვაკუოლიზაცია და ლიპიდური ჩანართები, ამასთან ერთად რიგ ჰეპატოციტში ზემოთ აღნიშნულ პათოლოგიურ ცვლილებებთან ერთად, ვლინდებოდა ბირთვის ქრომატინის დეკონდენსაცია და გრანულარული ენდოპლაზმური ბადის განვითარება.

IV საკონტროლო ჯგუფი. ანტიჰეპატოციტოტოქსიკური შრატის ინტაქტურ ღვიძლის ქსოვილზე ზემოქმედების შემდეგ, აღინიშნებოდა ღვიძლის პარენქიმის თითქმის ინტაქტური შენება, მხოლოდ იშვიათად ვლინდებოდა რეაქციული ნიშნები, როგორებიცაა: პერინუკლეარული სივრცის გაგანიერება, მიტოქონდრიების კრისტების უმნიშვნელო დესტრუქცია, დეზორგანიზაცია და ჰეპატოციტების ციტოპლაზმის ვაკუოლიზაცია, ჩვენი აზრით, ზემოთ ხსენებული პათოლოგიური ცვლილებები, შეიძლება განპირობებული იყოს ექსპერიმენტული მანიპულაციის შედეგით.

მიღებული შედეგების დამუშავება ხდებოდა ვარიაციული სტატისტიკისა და სტიუდენტის კრიტერიუმის (T) გამოყენებით, STATISTIKA/WGO (Stat Soft, USA 2003) პროგრამული უზრუნველყოფით. მიღებული შედეგების განსჯით მივიღეთ დასკვნამდე: ანტიჰეპატოციტოტოქსიკური შრატის ზემოქმედების შედეგად დაზიანებულ ღვიძლის უჯრედებში აღინიშნებოდა უჯრედშიდა ორგანელების განვითარება მიტოქონდრიების უმეტეს ნაწილში ვლინდებოდა მატრიქსის ელექტრონული სიმკვრივის მომატება და კარგად ორიენტირებული კრისტები. ანტიჰეპატოც-

იტოტოქსიკური შრატით მკურნალობიდან 96 საათის შემდეგ კარგად გამოიხატებოდა რეპარაციულ-რეგენერაციული პროცესების ნიშნები.

ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგები შეიძლება გათვალისწინებული იყოს ანტიჰეპატოციტოტოქსიკური შრატით, ღვიძლის მწვავე ტოქსიკური დაზიანების მკურნალობის მეთოდის კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვის დროს.

ლიტერატურა

1. გ. კაციტაძე – გადაუდებელი თერაპია თბილისი 2002წ. გვ. 254-271
2. ნ. ტატიშვილი გ. სიმონია – შინაგანი სნეულებები თბილისი 2002წ. გვ. 420-426
3. ო. ხარძიშვილი – ზოგადი პათოლოგიური ანატომია 2001წ. გვ 87-100
4. Benhamou JP. Fulminant and subfulminant hepatic failure: definition and causes In : Williams R, Hughes RD, eds. Acute liver failure: improved understanding and better therapy. London : Miter Press, 1996 :6-10.
5. Evarts R.P., Nagy P, Marsden E. In vivo differentiation of rat oval cells into hepatocytes. Cancer Res. 1997; 49: 1541-1547.
6. Fiurocci S, Antonelli E, Morelli S, Casini M. Hepatic encephalopathy. Proc. Natl. Acad. Sci. USA 2001; 98: 8897-8902.
7. Campbell DA Jr, Ham JM, McCurry KR, Lucey MR, Turcotte JG, Merion RM. Liver transplantation for fulminant hepatic failure. Am Surg 1999;57:546-549
8. Trey C, Davidson CS. The management of fulminant hepatic failure. In: Popper H, Schaffner F, eds. Progress in liver diseases. Vol. III. New York: Grune & Stratton, 1998:282-98.
9. Tashiro K, Hagiya M, Nishizawa T, et al. Deduced primary structure of rat hepatocyte growth factor and expression of the mRNA in rat tissues. Proc Natl Acad Sci U S A 2002;87:3200-3204.
10. Williams R, Gimson AES. Intensive liver care and management of acute hepatic failure. Dig Dis Sci 1995;36:820-826.
11. Williams j. Classification, etiology, and considerations of outcome in acute liver failure. Semin Liver Dis 1997;16: 343-348.
12. Zimmer V, Rochling, F. A., Casey, D. L., Lee, W. M. (). Acetaminophen Toxicity in an Urban County Hospital. N Engl J Med 2001; 337: 1112-1118

Topuria D., Lobjanidze N., Chavchanidze N., Giorgobiani G., Ruseishvili L.

ACUTE LIVER TOXIC DAMAGE MORPHO-FUNCTIONAL ASPECTS AND ITS TREATMENT PERSPECTIVES (EXPERIMENTAL STUDY)

TSMU

Treatment of liver acute toxic damage is one of the actual problem of practical medicine, nowadays most popular are (liver support systems), which main functions are to permit auto, allo and xeno liver tissue and cell usage. Also there is intracorporeal treatment methods which realization means hepatocellular transplantations.

Experimental study was performed on 135 (150-250) male wistar line rats, experimental group was represented by 3

subgroups: 1. acute liver toxic damage modeling; 2. study of antihepatocytotoxic serum treatment results on toxically damaged liver; 3. study of antitoxic serum treatment results on toxically damaged liver; control group was represented with animals with normal, toxically intact liver, in this group we was study effect of antihepatocytotoxic serum on intact liver tissue. Performed studys on experimental and control groups: laboratorial, pathologanatomical, histological and cytochemical studys. At the end we can say that antihepatocytotoxic serum in toxically damaged liver induces and accelerates reparative regenerative proceses; on celular and intracelular levels.

თოფურიძე მ., ყიფიანი ვ.

**აპოპტოზის როლი პარანეოპლაზიაში –
ოქსიდაციური სტრესი და TNF, როგორც
მისი აათოგენეზის კომპონენტი**

თსსუ-ის აათოზიოლოგიის დეპარტამენტი

ოცდამეერთე საუკუნეში ავთვისებიანი სიმსივნური დაავადებები კვლავ რჩება არა მარტო სამედიცინო, არამედ სოციალურ პრობლემად. ამ პათოლოგიით ავადობა განუზრელად მატულობს და ადამიანის სიკვდილიანობის ერთ-ერთი უზშირესი მიზეზია.

„სიმსივნე ანგრევს ორგანიზმს უნიკალური და შემზარავი მეთოდით. ორგანიზმისავე სისხლბორცველი ნაწილი გაუგებარი მიზეზით გადაიქცევა რაღაც უმართავ, დაუოკებელ გამრავლებად. სიმსივნე, მიუხედავად მისი 70-წლიანი ექსპერიმენტული შესწავლისა, ყველაზე ჯიუტად, საშინელ და, ამავდროულად, ყველაზე ნაკლებად შემეცნებულ ავადმყოფობად რჩება ადამიანის დაავადებათა შორის.“
პ. რაუსი (ნობელი პრემიის ლაურეატი, 1966)

უკანასკნელ წლებში მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს არა მარტო თვით მალიგნიზებული ქსოვილი, არამედ ის ცვლილებები, რომელიც ვითარდება სიმსივნის ორგანიზმში ნეოპლაზმის განუშუალოდ დაუზიანებელ ქსოვილებში, ორგანოებსა და სისტემებში. ყოველივე ეს ორგანიზმის და სიმსივნის რთული ურთიერთდამოკიდებულების შედეგია და საფუძვლად უდევს პარანეოპლაზიურ სინდრომებს, რომელთა რაოდენობა 50-ს აღწევს. (Шапог В.С., 1976; Кавецкий P. E., 1977; Kipiani V., 2004) პარანეოპლაზიური სინდრომები არა სიმსივნური ზრდის თანმხლები დაავადებებია არამედ იმ ბიოლოგიური პროცესის კლინიკური გამოვლინებები, რომლებიც აღმოცენდება სიმსივნური ზრდის ზეგავლენით და იწვევს „სიმსივნური დაავადებების არასიმსივნურ სინდრომებს“. მათი ფორმები მრავალფეროვანია: იმუნოდეპრესია, ჰიპერკოაგულაციური სინდრომი, გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა, მიკროცირკულაციის პათოლოგია, ანემია, დერმატოზების იშვიათი ფორმები, გლუკოზის მიმართ

ტოლერანტობის დაქვეითება, ჰიპოგლიკემიური მდგომარეობა, ნევროლოგიური დარღვევები. კუნთური დისტროფია, კახექსია და სხვ.

აღსანიშნავია, რომ პარანეოპლაზიურ სინდრომთა სიმძიმე ყოველთვის არ კორელირებს სიმსივნის გავრცელებასთან და მის ჰისტოლოგიასთან. ფიქრობენ, რომ პარანეოპლაზიური სინდრომების განვითარება დაკავშირებულია სიმსივნური უჯრედების მიერ სხვადასხვა ცილის, ჰორმონის ან ჯერ კიდევ უცნობი ნივთიერებების გამომუშავებასთან. სიმსივნეებს აქვთ როგორც სიმსივნით დაზიანებული ორგანოების ბუნებრივი ჰორმონის, ისე ექტოპიური ჰორმონების წარმოქმნის უნარი, რომლებიც ორგანიზმზე სისტემურ გავლენას ახდენენ. კარგადაა ცნობილი, რომ სიმსივნეები გამოიმუშავებენ არაჰორმონულ ნივთიერებებსაც (Шапог В.С., 1976; Кавецкий P. E., 1977; Kipiani V., 2004).

მათ შორის აღსანიშნავია ე. წ. კახექტინი – ციტოტოქსიკური პოლიპეპტიდი TNF (Tumor Necrosis Factor). ის მაკროფაგებში სინთეზდება და ანთებით პროცესებში მონაწილეობს. ამ ნივთიერების მიმართ რეცეპტორს თითქმის ყველა სახის უჯრედი ფლობს. მისი მოქმედების ეფექტი მრავალფეროვანია: შოკური მდგომარეობა, არტერიული წნევის დაქვეითება, ლიმფური და ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევა, მეტაბოლური აციდოზი და სხვა. დღეს ნათლად იკვეთება TNF - ის მოქმედების კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ეფექტი – აპოპტოზის ინდუქცია (Маскалева Е.Ю., Ярилин А.А. Gersuk G. M., Beckman C., Loken M.R). ამრიგად TNF უნდა განვიხილოთ როგორც „აპოპტოზის მედიატორი“, (Топуридзе М. Л. ; Кипиანი В.А). უკანასკნელის ზემოქმედება უჯრედზე ხორციელდება ე.წ. სიკვდილის რეცეპტორის საშუალებით. (იხ. სქემა 1).

უჯრედის სიკვდილის რეცეპტორს (DR) ციტოპლაზმურ კუდში აქვს ე. წ. სიკვდილის დომენი (DD). ლიგანდის რეცეპტორთან ურთიერთქმედებისას რეცეპტორი განიცდის ტრიმერიზებას და წარმოქმნის მოლეკულურ კლასტერს - სიკვდილის სასიგნალო კომპლექსს.

TNF-ის შეკავშირება TNFR - რეცეპტორთან იწვევს მისი ციტოპლაზმური დომენის კონფორმაციას. რაც იძლევა FADD (Fas-associated death domen) ადაპტორული მოლეკულის ანალოგიურ დომენტან მისი მიერთების საშუალებას, შემდეგ კი RIP (Receptor interacting protein) ცილის დომენტან ურთიერთქმედების საშუალებას წარმოქმნილი კომპლექსი ააქტივებს კაპსაზა-8-ს ან FLIASE (FADD-like IL-1 converting enzyme), რის შედეგად ჩაირთვება აპოპტოზი.

TRADD ადაპტორი TNFR1 რეცეპტორით რთავს ორ სასიგნალო გზას, ერთი მათგანი აპოპტოზის, მეორე - NF-κB და AP1-ის ტრანსკრიფციის ფაქტორების აქტივაციაა, რაც თრგუნავს აპოპტოზს და უჯრედის გადარჩენას უწყობს ხელს.

TNF_α-ის TNFR1-თან შეკავშირებით სიგნალი შეიძლება გადაეცეს ადაპტორულ ცილას RIP-ის მეშვეობით, რაც კაპაზა-2-ის აქტივაციით და, აგრეთვე ჯერ კიდევ

შეუსწავლელი მექანიზმებით აპოპტოზს იწვევს.

ყოველივე აღნიშნული პარანეოპლაზიის პათოგენეზში აქამდე უცნობი რგოლის შესაძლო არსებობაზე გვაფიქრებინებს. TNF-ის კონცენტრაციის მატებამ, რაც დამახასიათებელია ავთვისებიანი სიმსივნის ზრდისთვის (Шаповт В.С.) უნდა გამოიწვიოს აპოპტოზური პროცესების გაძლიერება მთლიანად ორგანიზმში. ერთ-ერთი უხშირესი პარანეოპლაზიური სინდრომის - სიმსივნური კახექსიის - განვითარების მექანიზმიც, სავარაუდოდ, სწორედ TNF-ით ინდუცირებული აპოპტოზის ინტენსივობის გაძლიერებაში უნდა იყოს. ეს სინდრომი სიმსივნეიან ავადმყოფთა უმრავლესობაში გვხვდება და ახასიათებს სხეულის მასის მკვეთრი დაკარგვა, კუნთების ატროფია (მათ შორის გულის კუნთის), ანორექსია და სხვ. ექსპერიმენტში ცხოველებზე კახექსიის მოქმედებით ვითარდება ანორექსია და ორგანიზმის გამოფიტვა, რომელიც ძალიან გავს ავთვისებიანი სიმსივნის დროს განვითარებულ კახექსიას.

ორგანიზმში აპოპტოზის პროცესის ინტენსივობის გაძლიერებით შეიძლება აიხსნას, აგრეთვე ავ-


თვისებიანი სიმსივნის დროს განვითარებული იმუნოდეპრესია, ვინაიდან იმუნოციტები განსაკუთრებით მძნობიარენი არიან აპოპტოზის ინდუქტორების მიმართ.

აპოპტოზის პროცესის ინტენსივობაზე სიმსივნური პროცესის ზემოქმედება კიდევ ერთი გზით ხორციელდება. ეს არის ოქსიდაციური სტრესი თავისუფალრადიკალური ჟანგვის გაძლიერებით.

თსსუის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტში (კათედრაზე) ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადგინდა იქნა, რომ ავთვისებიანი ზრდის პროცესში ორგანიზმში ვითარდება ჟანგვითი პროცესების სტერეოტიპული, უნივერსული ცვლილებები: ელექტრონების ტრანსპორტის ჯაჭვის დარღვევა მიტოქონდრებში, ჟანგბადის აქტიური ფორმების გენერირების და სუპეროქსიდრადიკალების წარმოქმნის გაძლიერება, ვითარდება ოქსიდაციური სტრესი (Топуридзе М. Л.; Кипиანი В. А.). ეს, კი აპოპტოზური პროცესის გაძლიერების ერთ-ერთი პირობაა. საკუთარი და ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე წარმოვადგინებთ სქემას პარანეოპლაზიის მექანიზმში აპოპტოზის შესაძლო როლის შესახებ. (იხ. სქემა №2)


სქემა 1

TNF ასოცირებული აპოპტოზის მოლეკულური მექანიზმი




სქემა 2

პარანეოპლაზიური აპოპტოზის განვითარების მექანიზმი



სქემა 3

მიტოქონდრიული ფაქტორების როლი პარანეოპლაზიური აპოპტოზის განვითარებაში



თავისუფალი რადიკალები აპოპტოზის მედიატორებია, ის რთავს აპოპტოზს უჯრედშიგა მექანიზმით, მიტოქონდრიის საშუალებით.

მიტოქონდრიიდან აპოპტოზური პროცესის ჩართვის მექანიზმი კვლევის და დისკუსიის საგნად რჩება. ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად, განსაკუთრებულ პირობებში მიტოქონდრიის მემბრანის განვლადობა დროებით მატულობს, ამ მდგომარეობისთვის დამახასიათებელია ე.წ. დროებითი განვლადობის ფორმების გაჩენა (დგფ). მათი საყარაუდო ლოკალიზაცია მიტოქონდრიის გარეთა და შიგნითა მემბრანების კონტაქტის ადგილზეა და იძლევა მატრიქსსა და ციტოპლაზმას შორის მოლეკულების, მათ შორის პროტეინების ცვლის საშუალებას. დგფ-ს გახსნის ერთ-ერთი ნამყვანი მექანიზმი მიტოქონდრიის მატრიქსში Ca^{+2} -ის იონების კონცენტრაციის მომატებაა. მიტოქონდრიაში Ca^{+2} -ის იონების შესვლა ხორციელდება ტრანსმემბრანული იონური ცვლის გზით სპეციფიკური ტრანსლოკაზის საშუალებით, მემბრანის უარყოფითი გრადიენტის და pH-ის გავლენით. ოქსიდაციური სტრესის დროს Ca^{+2} -ის რაოდენობა მიტოქონდრიაში მატულობს, მისი გადამტანები გაჯერდება Ca^{+2} -ის იონებით, იხსნება დგფ და Ca^{+2} გამოსროლება არხებიდან. გახსნილი დგფ-იდან ხდება უშუალოდ იმ მიტოქონდრიული აპოპტოგენური ფაქტორების გამოთავისუფლება, რომელებიც მიტოქონდრიის მემბრანათა შორის სივრცეშია მოთავსებული. შედეგად უჯრედშიგა მექანიზმით ირთება აპოპტოზი. (იხ. სქემა 3)

ამრიგად, შემუშავებულია და, ნაწილობრივ, ფაქტობრივად დადასტურებული პარანეოპლაზიის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი და მძიმე სინდრომის - ორგანოების და ქსოვილების განლევის და, საზოგადოდ, მარაზმის განვითარების მექანიზმი. ნაჩვენებია, რომ ამ პროცესში ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს TNF-ის მიერ ინდუცირებული ტოტალური აპოპტოზის განვითარება ორგანოებსა და ქსოვილებში, რის გამო მკითხველს ვთავაზობთ TNF აღიარებას „აპოპტოზის მედიატორად“. TNF -ის ამგვარი ეფექტი რეალიზდება თავისუფალ რადიკალური ჟანგვის მკვეთრ გააქტივების ფონზე, რომელიც ლიტერატურული და ჩვენი მონაცემებით დამახასიათებელია პარანეოპლაზიისთვის.

ცხადია, რომ სიმსივნური განლევის, მარაზმის მექანიზმი მხოლოდ ამ პროცესებით არ შემოიფარგლება. მაგრამ, ჩვენი აზრით, ის ერთ-ერთი უმთავრესია სიმსივნური მარაზმის და არა მარტო კახექსიის პათოგენეზში. ყოველ შემთხვევაში, ის გარკვეულ როლს უნდა თამაშობდეს პარანეოპლაზიურ იმუნოდეპრასიაში და ნევროლოგიურ დარღვევებში.

ლიტერატურა:

1. Кавецкий Р. Е. Взаимодействие организма и опухоли // Киев.: Наукова Думка. 1977.
2. Маскалева Е.Ю., Северин С.Е. Возможные механизмы адаптации клетки к повреждениям индуцирующим программированную гибель// Пат. физиол. и эксп. тер.- 2006 - Vol. 3. С. 2-14.

3. Топуридзе М. Л. Кипиани В.А. Паранеопластическая пероксидация и пути ее коррекции.// International Journal on Immunorehabilitation, 2001, Vol 3, 126-127.
4. Шапот. В.С. О проявлениях и механизмах системного действия опухолей на организм.// Патофиз. и эксп. терапия. 1976. -3. С.312
5. Ярилин А.А. Апоптоз – природа феномена и его роль в норме и при патологии// Актуальные проблемы патофизиологии. - 2001. С. 13-56.
6. Ярилин А.А. . Апоптоз , его место в целомом организме // Актуальные проблемы патофизиологии. // Пат. Физиол. - 1998. - №2. - С. 38-48.
7. Dibbert B., Simon U. H. Die molekularen Mechanismen der Apoptose// Deutsch med. Wschr.- 1997 – Vol 122 P. 523-526
8. Duke Von R. C., Ojcus D. M., Ding-E Young Die Apoptose – Regeln und Fehler beim Zellselbstmord// spectrum der Wissenschaft - 1997- Vol. 2 . S. 26-35.
9. Gersuk G. M., Beckman C., Loken M.R. et al. A role for TNF β , FAS and FAS ligand in marrow failure associated with mielodysplastik syndrome// Brit. J. Haemat. -1998.- Vol. 103. – 176-188.
10. Kerr J. F. R., Wyllie., Curie A. R. Apoptosis: a basic biological Phenomenon with wide ranging implications in tissue kinetics //Brit. J. Cancer. - 1972. Vol. 26. _ p. 236-257.
11. Kipiani V. Effect of antioxidants and membrane-stabilizing drugs on paraneoplastic disorders of erythrocytes and microcirculation// TSMU Annals of Biomed. Research and Education. -2004. – Vol- 3. P - 240-270.
12. Kromer G. Zamzani N., Susin S. A. Mitochondrial control of apoptosis // Immunol. Today. -1997. - Vol. 18. - p. 44-51.
13. McConkey D. J., Zhivotovsky B., Orrenius S. Apoptosis- molecular mechanism and biomedical implications// molec. Aspects Med. – 1996 – Vol. 17. – P. 1449-1456.
14. Rowan S., Fischer D. E. Mechanism of apoptotic cell death// Leukemia. – 1997. – Vol. 11. – P. 457-465
15. Steller H. Mechanisms and genes of cellular suicide// Science. - 1995. – Vol. 267. – P. 1145-1149.
16. Waterhouse N. J., Green D. R. Mitochondria and apoptosis: HQ or High-security prison?// J.clin.Immun. 1999.- Vol. 19. P. 378-387.

M. Topuridze ; V. Kipiani

THE ROLE OF APOPTOSIS IN PARANEOPLASIA – STRESS OF OXIDATION AND TNF AS A COMPONENT OF ITS PATHOGENESIS

The Department of Pathophysiology of Tbilisi State Medical University

Its worked out and partly has already been determined the mechanism of developing marasmus (cachexia) – one of the hardest and most common complications of paraneoplasia. Its discovered that the total apoptosis induced by TNF takes the main part in this process. Thats why we offer the reader to admit TNF as an „Apoptosis Mediator“. The effect of TNF is realised on the background of highly increased oxidation, that is common and characteristic for paraneoplasia according to the scientific datas and our investigations.

Its clear that the mechanism of marasmus is not only expressed with these processes but we reckon that its one

on the most essential mechanism not only cancer marasmus pathogenesis. By all means it must take some main part in developing paraneoplastic immunodepression and neurological disorders.

თოხაძე ლ., გოფოძე ლ., ასათიანი გ., თოლორაია პ., ხუციშვილი კ.

პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორების გამოყენება თორმეტმოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების გართულებების მკურნალობის კომპლექსში

თსსუ-ის ქირურგიის დეპარტამენტი

შისაპალი. წყლულოვანი დაავადების მკურნალობის პრობლემა დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალობას. გავრცელებული მონაცემებით აღნიშნული პათოლოგიით დაავადებულია მოსახლეობის 10% და აღნიშნება ავადობის მაჩვენებლის ზრდის ტენდენცია [2]. განსაკუთრებულ შემოთვლას იწვევს ის გარემოება, რომ უკანასკნელ წლებში დომინირებს დაავადების გართულებული ფორმები, რომლებსაც არც თუ იშვიათად მიყვავართ ფატალურ შედეგებთან. წყლულის პერფორაციის სიხშირე 2,6-ჯერ, ხოლო სისხლდენისა - თითქმის 7-ჯერ გაიზარდა. ამასთანავე მკვეთრად შემცირდა ქრონიკული წყლულის გამო წარმოებულ ოპერაციათა რაოდენობა [5].

ავტორთა მონაცემებით წყლულის პერფორაციის სიხშირე შეადგენს 10-15%-ს [2]. ბუნებრივია, რომ პერფორირებული ხვრელის გაკერვა საბოლოოდ ვერ უზრუნველყოფს პეპტიური წყლულის განვითარების მიზეზების აღმოფხვრას. ეს გარემოება განაპირობებს ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ოპერაციული მკურნალობის ისეთი რადიკალური მეთოდების არჩევას, როგორცაა კუჭის რეზექცია ან ვაგოტომიის სხვადასხვა ვარიანტები. ამასთანავე დომინირებს შეხედულება, რომ ულცეროზოზა უნდა შესრულდეს ძირითადად გავრცელებული პერიტონიტის ფონზე მაღალი ოპერაციული რისკის მქონე პაციენტებში (ძიმე თანმხლები დაავადებები, ხანდაზმული ასაკი) ან „ახალი“ წყლულის მქონე ახალგაზრდა პაციენტებში, რომლებსაც ხანმოკლე წყლულოვანი ანამნეზი აქვთ და არ აღნიშნებათ ქრონიკული პროცესისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური ცვლილებები, ან კიდევ სტრესული და მედიკამენტური წყლულების პერფორაციის დროს. ასევე საყურადღებოა მონაცემები მრავალრიცხოვანი პოსტოპერაციული გართულებებისა და ფუნქციური დარღვევების შესახებ კუჭის რეზექციისა და ვაგოტომიის უახლოეს და შორეულ პერიოდში, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ ოპერაციების ლეტალურ გამოსავალზე, რომლებიც პრაქტიკულად ექსტრემალურ პირობებში სრულდება. [3].

უფრო რთული პრობლემების რიგს განეკუთვნება წყლულოვანი ეტიოლოგიის სისხლდენები. სისხლდენის დროს წარმოებული ოპერაციები დიდ რისკთანა

არის დაკავშირებული და ასეთ შემთხვევებში პოსტოპერაციული ლეტალობის მაჩვენებელი 10-32%-ს აღწევს [4]. სწორედ ამიტომ სავსებით საფუძვლიანია ორიენტირება სისხლდენის კონსერვატული მეთოდებით შეჩერებასა და მისი რეციდივების პროფილაქტიკაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორების - ომეპრაზოლისა და რაბეპრაზოლის - ეფექტურობის განსაზღვრა სისხლდენი და პერფორირებული დუოდენური წყლულების კომპლექსური მკურნალობის დროს.

მასალა და მეთოდები. 79 პაციენტს დაუდგინდა თორმეტმოჯა ნაწლავის წყლულის პერფორაციის დიაგნოზი. ასაკი მერყეობდა 16-დან 77 წლამდე, მათ შორის მამაკაცი - 72(91,1%), ქალი - 7(8,8%). ადგილობრივი შემოუფარგლავი პერიტონიტი აღინიშნა 37 (46,89%) შემთხვევაში, ხოლო დიფუზური და გავრცელებული - 42 (53,11%). გავრცელებული პერიტონიტის რეაქტიული ფაზა აღნიშნებოდა 22 (52,3%) ავადმყოფს, ტოქსიური — 18-ს (42,8%), ხოლო ტერმინალური — 2-ს (4,7%). ყველა შემთხვევაში გაკეთდა ოპერაცია: 77 (97,4%) ულცეროზოზა, ხოლო 2 დანარჩენ შემთხვევაში პერფორირებული ხვრელის გაკერვა და გასტროენტეროანასტომოზი ბრაუნის შერთულით. აღნიშნული ოპერაციის სახის არჩევა განაპირობა პილორუსის მკვეთრმა შევიწროვებამ პერფორირებული დეფექტის გაკერვის შემდგომ. ადრეულ პოსტოპერაციულ პერიოდში გარდაიცვალა ხანდაზმული ასაკის 2 (2,5%) ავადმყოფი. სიკვდილის მიზეზი იყო გულსისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების თანმხლების დაავადებების დეკომპენსაცია გავრცელებული პერიტონიტის ფონზე.

124 პაციენტი კლინიკაში მოთავსდა წყლულოვანი ეტიოლოგიის გასტროდუოდენური სისხლდენის დიაგნოზით (ენდოსკოპიური გამოკვლევით ჭარბობდა თორმეტმოჯა ნაწლავის ბოლქვის უკანა-მედიალური კედლის წყლული 89%). ასაკი 19 — 82 წელი. მამაკაცი - 105(84,6%), ქალი - 19(15,3%).

ყველა პაციენტს უტარდებოდა ტესტები ჭელიცობაცტერ პულორი-ს (ჭპ) სპეციფიური ანტი-სხეულების აღმოსაჩენად იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდის გამოყენებით (ფირმა ჭოფფმან - გალსპე ტესტ-სისტემები). დადებითი შედეგები მიღებული იყო 97,6% შემთხვევაში [1].

უახლოეს პოსტოპერაციულ პერიოდში და სისხლდენის შეჩერების შემდგომ საყოველთაოდ მიღებულ სამკურნალო ღონისძიებებთან (პერიტონიტის მკურნალობის ტრადიციული კომპლექსი, სისხლდენი წყლულის ენდოსკოპიური დიათერმოკოაგულაცია, ჰემოსტაზური თერაპია, ჰემოტრანსფუზია მოცირკულირე სისხლის მოცულობის, ჰემოდინამიკური და ჰემატოლოგიური პარამეტრების აღდგენის მიზნით და სხვ.) ერთად, ავადმყოფებს ენიშნებოდათ საინექციო ფორმის ანტაციდური პრეპარატები, ხოლო მე-3-4 დღიდან აღნიშნული პრეპარატები იცვლებოდა

ფირმა „გამა“-ს (საქართველო) მიერ წარმოებული ულცეპრაზოლისა (რაბეპრაზოლი) და გამაპრაზოლის (ომეპრაზოლი) პერორალური მიღებით, რასაც ასევე ემატებოდა ანტიბაქტერიული პრეპარატები შესაბამისი სქემის მიხედვით.

მიღებული შედეგები და მათი განხილვა.

პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორები წარმოადგენენ მძლავრ ანტისეკრეტორულ ფაქტორებს, რომლებიც იწვევენ კუჭის სეკრეციის დათრგუნვას „პროტონული ტუმბოს“ ინჰიბიტორებისა და H, K, ატფ-აზას აქტივობის დამუხრუჭების გზით კუჭის პარიეტულ უჯრედებში, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს მარილმჟავის წარმოქმნის საბოლოო ფაზის ბლოკირებას.

ომეპრაზოლისა და რაბეპრაზოლის სადღეღამისო დოზა შეადგენდა 40 მგ-ს, ხოლო მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა 25-30 დღეს. 61% შემთხვევაში ვიყენებდით ომეპრაზოლს, ხოლო 39%-ში — რაბეპრაზოლს.

დღეისათვის გამოქვეყნებულია შრომათა დიდი რაოდენობა, რომლებიც ეძღვნება ჰელიკობაქტერიოზის პრაბლემას. სარწმუნოდ არის დადგენილი ცპ-ს მნიშვნელობა სხვადასხვა გასტროდუოდენური პათოლოგიისა და განსაკუთრებით წყლულოვანი დაავადების განვითარებაში. ამასთან დაკავშირებით წყლულოვანი დაავადების მკურნალობის დროს პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს Hp-ს ერადიკაციასთან დაკავშირებული პრობლემა [7].

ომეპრაზოლი და რაბეპრაზოლი, როგორც პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორები, თრგუნავენ რა მუავა-პეპტიურ ფაქტორს მონოთერაპიის დროსაც კი ავლენენ კარგ ანტიულცერულ ეფექტს, ამასთანავე ზრდიან რა კუჭის PH-ს ქმნიან განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ანტიბიოტიკების მოქმედებისათვის [6,8].

Hp-ს ერადიკაციის მიზნით ავადმყოფები ოპრაციული ჩარევისა და სისხლდენის შეჩერების მე-3 - 4 დღიდან პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორებთან ერთად იღებდნენ ანტიბაქტერიულ პრეპარატებსაც (ამოქსაცილინი 1000მგ + მეტრონიდაზოლი 500 მგ, ან ამოქსაცილინი 1000მგ + კლარიტრომიცინი 500 მგ ორჯერ დღეში) 8-10 დღის განმავლობაში. ანტიულცერული მკურნალობის დაწყებიდან 5-6 კვირის შემდეგ ჩატარებულმა საკონტროლო ენდოსკოპიურმა გამოკვლევებმა გამოავლინა, რომ 181 (89,16%) ავადმყოფს წყლული შეუბოროცდა, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში დაფიქსირდა წყლულის ზომებში შემცირება და წყლულოვანი დაავადების სიმპტომების კუპირება. ავადმყოფებს ეძლეოდათ რეკომენდაცია გაემეორებინათ მკურნალობის აღნიშნული კურსი წელიწადში ორჯერ სეზონურად 2-3 წლის განმავლობაში.

შორეული შედეგები შესწავლილ იქნა 153 შემთხვევაში 1-4 წლის ვადაში. შეუბოროცებელი წყლული და წყლულოვანი დაავადებისათვის დამახასიათებელი სიმპტომოკომპლექსი დაფიქსირდა 16 (10,4%) პაციენტთან. მათ შორის 5-ს გაუკეთდა კუჭის რეზექცია, 1 ავადმყოფს სისხლდენის ფონზე, დანარჩენებს - გეგმიურად.

ამრიგად, წყლულოვანი ეტიოლოგიის გასტროდუოდენური სისხლდენებისა და პერფორირებული წყლულების დროს მედპერსონალის უმთავრესი ამოცანა ბუნებრივია პაციენტის სიცოცხლის გადარჩენა, რასაც სავსებით უწყობს ხელს მინიმალური ოპერაციული ჩარევა ულცეპრაზოლის სახით და სისხლდენის შეჩერების კონსერვატიული მეთოდების გამოყენება. თუმცა შემდგომში აუცილებლად მიგვაჩინა სრულყოფილი ანტიულცერული მკურნალობის სრული კურსის ჩატარება, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი რეციდივის განვითარების რისკი და ალბათობა.

ომეპრაზოლსა და რაბეპრაზოლს, როგორც ეფექტურ და თანამედროვე ანტიულცერულ პრეპარატებს, დიდი როლი ენიჭებათ მუავადამოკიდებული პათოლოგიების მკურნალობის პროცესში. ისინი, ანტიბაქტერიულ პრეპარატებთან ერთად გართულებული წყლულოვანი დაავადების ანტიჰელიკობაქტერიული მკურნალობის ძირითად კომპონენტს შეადგენენ.

ლიტერატურა:

1. ასათიანი გ. იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდით *Helicobacter pylori*-ს გამოვლენის მნიშვნელობა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის პათოლოგიის დროს // მედ. მეცნ კანდ. დის. ავტორეფერატი. თბილისი, 1994.
2. Безбородный С.Д. Комбинированная антихеликобактериальная терапия язвенной болезни: эффективность, фармако-экономический аспект и влияние на качество жизни пациентов. // Рос. гастроэнтеролог. журн. 2000; 2: 41-47.
3. Борисов А.Е., Мишин С.Е., Пепехонов С.И. и др. Лапароскопическое ушивание перфоративных гастродуоденальных язв. // Эндоскоп. хир. -2000.-3. С.16-20.
4. Петров В.П., Ерюхин И.А., Шемякин И.С. Кровотечения при заболеваниях пищеварительного тракта. М.: Медицина; 1987.
5. Рыбачков В.В., Дряженков И.Г. Осложнённые гастродуоденальные язвы. // Хирургия. 2005.- 3.-С.27-29.
6. Gisbert J.P., Pajares J.M. Helicobacter pylori infection and perforated peptic ulcer prevalence of the infection and role of antimicrobial treatment. *Helicobacter*. 2003; 8(3): 153-67.
7. Vaira D., Gatta L., Ricci C. et al. Peptic ulcer and Helicobacter pylori: update on testing and treatment. *Postgrad. Med.* 2005; 117:17-22.
8. Vanis N., Salaka U., Pasali G. The Role of omeprazole in the eradication of Helicobacter pylori in patients with duodenal ulcer. *Med. Arch.* 2000; 54(2):83-6.

Tokhadze I, Gopodze I, Asatiani G, Toloraia P, Khucishvili K.

APPLICATION OF PROTON PUMP INHIBITORS IN THE TREATMENT OF COMPLICATED DUODENAL ULCERS.

Department of surgery. TSMU

We report treatment results of complicated duodenal ulcer with omeprazole and rabeprazole.

79 patients with perforated ulcer were operated; in 124 cases of ulcerous duodenal bleeding, haemostasis was reached with conservative methods.

All the patients were tested on the presence of *Helicobacter pylori* with immunofluorescent analysis method.

After the operation and haemostasis, from the fourth to the fifth day, in all cases PPI in combination with antibiotics was prescribed. The results of investigations showed that in 89% of patients duodenal ulcers healed, and ulcers decreased in size in the rest of the patients.

These results confirm that PPI-antibiotic treatment scheme is effective in the management of complicated duodenal ulcers.

თოხაძე ლ., ცხვედიანი რ., დემეტრაშვილი ზ., გოფოძე ლ., ასათიანი გ.

კუჭის ეოზინოფილური გრანულომა

თსსუ. ქირურგიის დეპარტამენტი

შქსპალ. ეოზინოფილური გრანულომა გიგანტური რეტიკულური უჯრედებისა და შემადგენელი ქსოვილის შრეებისაგან წარმოქმნილ ინფილტრატს წარმოადგენს. შრეებს შორის განლაგებულია დიდი რაოდენობით ეოზინოფილები.

დაავადება უხშირესად აზიანებს ძვლოვან სისტემას, თუმცა შესაძლებელია სხვა ორგანოებსა და ქსოვილებშიც შეგვხვდეს, მათ შორის კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავში. (9,13).

კუჭის ეოზინოფილური გრანულომის კლინიკური გამოვლინების მრავალფეროვნებამ განაპირობა ამ დაავადების დასახელებათა მრავალგვარობაც: ეოზინოფილური გასტრიტი, ანთებითი ფსევდოსიმსივნი, ეოზინოფილური ადენოპაპილომატოზი, სიმსივნის მსგავსი გასტრიტი და სხვ. (4). დღეისათვის საყოველთაოდ არის აღიარებული კონცეფცია, რომლის თანახმადაც კუჭის ეოზინოფილური გრანულომა მიეკუთვნება რეტიკულოპლასტიციტოზების რიცხვს და ითვლება მათ შორის ყველაზე კეთილთვისებიან დაავადებად (2,3). საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით იგი განეკუთვნება სისხლმზადის სისტემისა და ლიმფოიდური ქსოვილის დაავადებებს (1).

კუჭის ეოზინოფილური გრანულომის ეტიოლოგია და პათოგენეზი დღემდე საბოლოოდ არ არის მიგნებული. სავარაუდოდ არსებობს მრავალი მიზეზი, რომელთაც კუჭის ეოზინოფილური გრანულომის განვითარების უნარი გააჩნიათ, მათ შორის, უხშირესად - კუჭის კედელში საკუთარი შიგთავსის მოხვედრამ ადრე არსებული მწვავე ან ქრონიკული წყლულის გამო. პარაზიტებით ინვაზია, ასევე, იწვევს ეოზინოფილით მიმდინარე ანთებით რეაქციას (10,12). ეყრდნობიან რა იმ გარემოებას, რომ კუჭის კედელში მიმდინარე ცვლილებები რიგ შემთხვევებში შერწყმულია ალერგიულ რეაქციებთან, ზოგი ავტორი მიიჩნევს, რომ დაავადების საფუძველს წარმოადგენს

ალერგია ან აუტოაგრესიული ალერგენები, რაც პროცესის იმუნურ ხასიათზე მიუთითებს. დაავადების ალერგიული ბუნების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ეოზინოფილია მცირდება სტეროიდული პრეპარატების გამოყენების ფონზე და მატულობს რეციდივების შემთხვევაში (5,6).

დაავადება იშვიათია, მოიცავს ყველა ასაკობრივ ჯგუფს, თუმცა შედარებით ხშირად 30-60 წლის მამაკაცებს შორის გვხვდება (6,8).

არსებობს კუჭის ეოზინოფილური გრანულომის ორი ფორმა. ლოკალური ფორმის დროს პათოლოგია მოიცავს კუჭის პილორული ან პრეპილორული ნაწილის ლორწოვან შრეს და წარმოდგენილია კვანძის ან პოლიპის სახით. დიფუზურ-ინფილტრაციული ფორმა კლინიკურად გამოვლინდება კუჭის კედლის, ზოგჯერ კი წვრილი ნაწლავის დიფუზური ინფილტრატის სახით, რასაც ხშირად თან ახლავს ლორწოვანის დაწყლულება, სისხლდენა ან კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის სანათურის შევიწროვება. დაავადების ორივე ფორმა თითქმის ერთნაირი სიხშირით გვხვდება (7,11).

რენტგენოლოგიური გამოკვლევის დროს დაავადების ლოკალური ფორმების შემთხვევაში კუჭის ანტრალურ ნაწილში აღინიშნება მკვეთრ კონტურებიანი აესების დფექტი. იშვიათ შემთხვევებში კუჭის ეოზინოფილური გრანულომა შეიძლება შერწყმული იყოს წყლულთან ან კუჭის კიბოსთან, თუმცა თავად არასდროს განიცდის მალიგნიზაციას. ინფილტრაციული ფორმის დროს დაზიანებულ უბანში აღინიშნება კუჭის კედლის რიგიდობა და პერისტალტიკის შენელება. გასტროფიბროსკოპია ბიოფსიით საშუალებას გვაძლევს ზუსტად დავადგინოთ დიაგნოზი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიოპტატში მოხვდა ლორწოვან შრე გრანულომის ქსოვილთან ერთად.

თუ კუჭის ეოზინოფილური გრანულომის დიაგნოზი დადასტურებულია, მიმართავენ კონსერვატიულ თერაპიას დიეტის, რკინის პრეპარატების, სტეროიდული ჰორმონებისა და ზოგჯერ ანტიბიოტიკების გამოყენებით. არასრულყოფილი დიაგნოზისა და ისეთი გართულებების არსებობის შემთხვევაში, როგორებიცაა სისხლდენა ან პილოროსტენოზი ნაჩვენებია ოპერაციული მკურნალობა. (4,14).

კუჭის ეოზინოფილური გრანულომის პროგნოზი კეთილსაიმედოა. რეციდივები უხშირესად აღინიშნება დიფუზურ-ინფილტრაციული ფორმის დროს, ზოგჯერ მრავალწლიანი რემისიის შემდეგაც. ამ დროს დაზიანება ლოკალური ხასიათისაა და შეიძლება შეგვხვდეს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სრულიად სხვა ნაწილში.

ნაშრომის მიზანია სხვადასხვა პროფილის ექიმებს გააცნოს აღნიშნული დაავადება, რაც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს გარკვეული გამოცდილების დაგროვებას ამ იშვიათი დაავადების დროული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით.

წარმოგიდგენთ კუჭის ეოზინოფილური გრანულომის კლინიკურ შემთხვევას:

ავადმყოფი ქალი, 48 წლის, მოთავსდა თსსუ ცენტრალური საუნივერსიტეო კლინიკის ზოგადი ქირურგიის დეპარტამენტში 01.06.2006 წელს. შემოსვლისას უჩიოდა ტკივილს ეპიგასტრიუმის არეში, პირღებინებას საკვების მიღების შემდეგ, წონაში დაკლება. ანამნეზის ხანგრძლივობა ერთ წელზე მეტია. უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში ზოგადი მდგომარეობა გაუარესდა, მოიმატა ტკივილის ინტენსივობამ და დაეწყო პირღებინება.

კლინიკაში შემოსვლისას ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა საშუალო სიმძიმის იყო, მუცლის ღრმა პალპაციით აღინიშნებოდა მტკივნეულობა ეპიგასტრიუმში, ღვიძლი და ელენთა არ იყო გადიდებული. სისხლისა და შარდის საერთო ანალიზი პათოლოგიური ცვლილებების გარეშე. გასტროფიბროსკოპია: პილოროანტრალურ ნაწილში აღინიშნებოდა ლორწოვანი გარსის რიგიდული გამობერილობა პილორუსის მკვეთრი შევიწროვებითა და ლორწოვანი გარსის შეშუპებით. ბიოფსია არ იქნ ნაწარმოები აღნიშნულ უბანში ლორწოვანის დაწყლულებისა და სისხლდენის განვითარების მაღალი რისკის გამო. წინასწარი დიაგნოზი: კუჭის ანტრალური მიდამოს სიმსივნე.

ენდოტრაქეული ნარკოზის ქვეშ 04.06.2006 გაკეთდა ლაპაროტომია. პილოროანტრალურ ნაწილში აღინიშნებოდა კუჭის კედლის გასქელება, პილორუსის სტენოზი. სეროზული გარსი ასევე გასქელებულია და მიხორცებულია ირგვლივმდებარე ქსოვილებთან. ხილული მეტასტაზები მუცლის ღრუში არ აღინიშნება. გაკეთდა კუჭის სუბტოტალური რეზექცია. ჰისტოპათომორფოლოგიური კვლევით დადგინდა: სიმსივნური ნარმონაქმნი შედგება გაჯირჯვებული შემაერთებული ქსოვილისაგან, რომელიც დიფუზურადაა ინფულტრირებული ეოზინოფილური გრანულოციტებით. დასკვნა: კუჭის ეოზინოფილური გრანულომის დიფუზურ-ინფილტრაციული ფორმა.

ავადმყოფი გაენერა კლინიკიდან დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. ოპერაციიდან 6 თვის შემდეგ ჩივილი არ აქვს. წარმოებული საკონტროლო გამოკვლევებით კუჭის კედელში ორგანული ცვლილებები არ გამოვლინდა. ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ლიტერატურა:

1. Амиралиси М.А., Алексеев В.И., Гуров П.И. //Вестн.хир.1980.- №4.- С.85-86.
2. Бенцианова В.М., Устинова В.Ф., Подлишук Е.Л. //Сов.мед.-1975.-№9.-С. 118-122.
3. Подлишук Е.Л., Устинова В.Ф. //Мед.радиол.- 1975.- №3.- С.23-26.
4. Понамарев А.А., Курьгин А.А. Редкие неопухольевые заболевания пищевода, желудка и двенадцатиперстной кишки. Ленинград 1987, С.230.
5. Bogomoletz W.V.Les gastroenteritis a eosinophiles. Frch. Fr. Mal. App. Dig. 1976, t.65, №3, p. 342-351.
6. Cao G., Luo H., Cao Z. Digestion.2005, vol. 71, №3, p. 176-178.
7. Gldberg Y.I., O'Keiffe D., Jenis E.H. Amer. J. Roentgenol.1973,

- vol.119, p.342-351.
8. Klein N.C., Hargrow R.I., Sleisenger M.H. Medicine(Baltimore), 1970,vol.49, p.299-319.
9. Lee G.H., Han H.S., Kim Y.W. Surg.Tech.A. 2003,vol.13, p.349-353.
10. Pitchumoni C.S., Deanari A.C., Burke A.V. J.A.M.A. 1970, vol.211, p.1180-1184.
11. Riew D., Donadio D., Lesbros D. Arch. Fr. Pediatr., 1979, vol.36, p.396-403.
12. Ureles A.L., Alschibaia T., Lodico T. Amer. J. Med., 1961, vol.30, p.899-909.
13. Van Rensburg L.G., Keet A.D., Adams G. J. Surg. Oncol. 1986, vol.31, №2, p.143-147.
14. Xoh H., Wastugoe S., Ohsako T. Htpatogastroenterology. 2001, vol.48, p.606-608.

Tokhadze I., Tsxvediani R., Demetrashvili Z., Gopodze L., Asatiani G.

EOSINOPHILIC GRANULOMA OF THE STOMACH

Department of surgery. TSMU

We report a rare case of eosinophilic granuloma of the stomach. A 48 year-old women was admitted to general surgery department to undergo surgery for gastric tumor. During previous year the patient had symptoms of pylorostenosis. Radiologic and endoscopic examination showed a tumorous infiltration of the pyloroantral part with deep ulceration. After preoperative preparation subtotal gastrectomy was performed as gastric cancer was strongly suspected. The gross appearance of the tumor resembled gastric cancer, but the histological diagnosis revealed eosinophilic granuloma. If submucosal tumor of the stomach is suspected, eosinophilic granuloma should be considered as one of the differential diagnoses. Endoscopic biopsy of submucosal tissue helps to make an accurate diagnosis before surgery and conservative therapy will successfully be used.

ივერიელი მ., აბაშიძე ნ., გოგებაშვილი ნ., ჯაში ლ., გოგიშვილი ხ.

ზეკომპლექსური კბილების შეხვედრის სინშირე და ტომოგრაფიული თავისებურებანი

თსსუ-ის თერაპიული სტომატოლოგიის დეპარტამენტი, ქართულ-გერმანული დენტალური ინსტიტუტის ცენტრი „HBI-dent“

კბილთა განვითარების ანომალიები არც თუ იშვიათი პათოლოგიაა (1, 3, 4). ჰიპერდონტია პირის ღრუში ზედმეტი კბილების არსებობაა. ასეთ კბილებს სხვაგვარად ზეკომპლექსური კბილები ეწოდება. ჰიპერდონტიის არსებობამ შესაძლოა ხელი შეუწყოს უამრავი კლინიკური პრობლემის ჩამოყალიბებას.

M. Blake-ის 2001 წლის მონაცემებით ზეკომპლექ-

სურ კბილებს ვხვდებით მოსახლეობის 1-4%-ში ძირითადად მუდმივი, მაგრამ ზოგჯერ ცვლადი თანკბილის დროსაც. ამავე ავტორის მონაცემებით აშშ-ში 2000 სკოლის მოსწავლის გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ ზეკომპლექსური კბილები აღენიშნებოდა ცვლადი თანკბილის მქონე ბავშვთა 0,8%-ს და მუდმივი თანკბილის 2,1%-ს.

ზეკომპლექსური კბილი შესაძლოა არ ამოიჭრას, არ ჰქონდეს ამა თუ იმ კბილთა ჯგუფისათვის დამახასიათებელი ფორმა და ზომა, შესაძლოა გამოიწვიოს კბილის ან კბილთა ჯგუფების დავიანებული ამოჭრა ან ამოჭრის სრული შეჩერება, რამაც ექიმს შესაძლოა აფიქრებინოს თანდაყოლილ ადენტიზე (2, 4). ზეკომპლექსური კბილი შესაძლოა იყოს ერთი ან მრავალი, განვითარდეს ყბის ძვლის ალვეოლარული მორჩის ნებისმიერ უბანში უნილატერალურად ან ბილატერალურად (1, 3). D.Orth-ის 2001 წლის მონაცემებით მათი უმრავლესობა მაინც ლოკალიზებულია ზედა ყბაზე ფრონტალური კბილების არეში. სქესის მხრივ ზეკომპლექსური კბილების განვითარებაში განსხვავება არ არის. ისინი ვლინდება რენდგენოდიაგნოსტიკით.

ზეკომპლექსური კბილების ჩამოყალიბების ეტიოლოგია სრულად არ არის შესწავლილი. არსებობს მათი განვითარების სხვადასხვა თეორიები. პირველი თეორიის მიხედვით, რომლის ავტორიც პროფესორი M. Garvey-ია, ჰიპერდონტიის მიზეზი არის კბილის ჩანასახის დისტომია. მეორე თეორია კი არის ჰიპერაქტივობის თეორია, რაც იმას ნიშნავს, რომ ზეკომპლექსური კბილების წარმოშობა ხდება დენტალური ფირფიტის დამოუკიდებელი ლოკალური ჰიპერაქტივობის შედეგად. მემკვიდრეობითობის თეორიის მიხედვით ამ ანომალიის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს გენეტიკური ფაქტორები, რადგანაც ზეკომპლექსური კბილები უფრო ხშირად გვხვდება ნათესავებში (2, 3, 4).

M. Blake-მა და D. Orth-ის 1997 წლის მოგვანოდეს ზეკომპლექსური კბილების კლასიფიკაცია ლოკალიზაციისა და ფორმის მიხედვით. ლოკალიზაციის მიხედვით ისინი განასხვავებენ მეზიოდენტს, დისტოდენტს, პარამოლარს.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ზეკომპლექსურ კბილთა გავრცელება. ამისათვის მოვახდინეთ 1234 პაციენტის პირის ღრუს ინსპექცია და რენტგენოდიაგნოსტიკა. მათ შორის იყო 220 (17,83±0,5%) ბავშვი და 1014 (82,±0,5%) მოზრდილი. იმ პირებს ვისაც აღენიშნებოდათ ზეკომპლექსური კბილების არსებობა, უტარდებოდათ რენტგენოდიაგნოსტიკა ორთოპანტომოგრაფით „Ratograph+“. აღნიშნული პირები აღრიცხვაზე იმყოფებიან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრასა და ქართულ-გერმანული დენტალური ინსტიტუტის ცენტრში HBI-dent.

გამოკვლევული 220 ბავშვიდან ზეკომპლექსური კბილების არსებობა აღენიშნებოდა 2-ს (0,9±0,3%). ამასთან, M. Blake-ისა და D. Orth-ის კლასიფიკაციის მიხედვით აღნიშნული კბილები იყო დამატებითი ფორმის მეზიოდენტი.

მოზრდილებიდან ზეკომპლექსური კბილების არსებობა აღენიშნებოდა 14-ს (1,38±0,3%). მეზიოდენტი ჰქონდა 4 (0,4±0,03%) პაციენტს, დისტოდენტი - 6-ს (0,58±0,03%), ხოლო პარამოლარი - 4-ს (0,4±0,03%).

4 (0,4±0,03%) მეზიოდენტებიდან 2 იყო დამატებითი ფორმის. მართალია, პაციენტს აღენიშნებოდა მეორადი ადენტია, მაგრამ ანამნეზით ირკვევა, რომ აღნიშნული კბილები იყო ზეკომპლექსური და კბილთა რკალში იდგა გვერდითი საჭრელის უკან, ორალური მხრიდან. რაც შეეხება ორ მეზიოდენტს ისინი იყო კონუსური ფორმის და კბილთა რკალში იდგა მეორე საჭრელსა და ეშვს შორის სასისკენა მხრიდან. ამასთან ოთხივე მეზიოდენტს აღენიშნებოდა კარგად განვითარებული ფესვის არსებობა.

დისტოდენტი აღენიშნებოდა 6 (0,58±0,03%) პაციენტს. მათ შორის 2-ს - ორმხრივად, ხოლო 4-ს ცალმხრივად ზედა ყბაზე. ამასთან აღნიშნულ პაციენტს დისტოდენტი ამოუჭრა 54 წლის ასაკში და ფორმის მიხედვით იგი იყო ბორცვის ტიპის განუვითარებელი ფესვით. აღსანიშნავია, რომ დისტოდენტები გაცილებით მცირე ზომისაა ნორმალურ მოლართან შედარებით.

გამოკვლევულ პაციენტთაგან 4-ს (0,4±0,03%) აღენიშნებოდა პარამოლართა არსებობა. აღნიშნული კბილები ფორმისა და ფესვის განვითარების მიხედვით შეესაბამებოდა პრომოლარს. ამასთან ერთ პაციენტს 34 წლის ასაკში ჩაუტარდა 44-ე კბილის ექსტრაქცია და 2 თვის შემდეგ ამოჭრა დაინყო ზეკომპლექსურმა პარამოლარმა.

წამოგიდგენთ ერთ საინტერესო შემთხვევას: 25 წლის მამაკაცს აღენიშნებოდა 39 კბილის არსებობა. მათ შორის 1 დისტოდენტის, ხოლო 6 პარამოლარის. აქედან 5 ამოჭრილი იყო პირის ღრუში, ხოლო 1 ჩანასახოვან მდგომარეობაში.

ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოკვლევული 1234 პაციენტიდან ზეკომპლექსური კბილების არსებობა აღენიშნებოდა 14-ს ე.ი. 1,13±0,09%-ს. ყველაზე ხშირად ვხვდებით დამატებითი ფორმის ზეკომპლექსურ კბილებს, ყველაზე იშვიათად კი - კონუსურ ფორმისას.

ლიტერატურა:

1. Дистель В.А., Сурцов В.Г., Вагнер В.Д. // Основы ортодонтии, Новгород.- 2001.-с. 66-78, 134-143.
2. Andiauw R.J., Rock W.P. A manual of pediatric dentistry // New York, 1996, p. 156.
3. Lui J.F., Characteristics of premaxillary supernumerary teeth: a survey of 112 cases // ASDC J Dent Child, 1995, N62, p.262-265.
4. Scheiner M.A., Sampson W.J. Supernumerary teeth: a review of the literature and four case reports // Aust Dent J 1997, N 42, p. 160-165.

Iverieli M.B.; Abashidze N.O.; Gogebashvili N.N.; Jashi L.M.; Gogishvili Kh.B.

SPREAD OF SUPERNUMERARY TEETH AND THEIR TOPOGRAPHICAL PECULIARITIES

TSMU, The Department of Therapeutic Stomatology, Georgian-German Center of Dental Implantation "HBI-dent"

The frequency of the supernumerary teeth was investigated in 1234 patients (220 (17,83%±0,5%) children and 1014 (82,17%±0,5%) adults), with inspection, as well as X-ray examination. The device – orthopantomograph "Rotograph+" was used.

Out of the examined 220 children, 2 of them had the supernumerary teeth. According to the classification of Dr. Blake and Dr. Orth, the extra teeth were supplemental mesiodents.

Out of the examined adults, 14 patients (1,38%±0,3%) had the supernumerary teeth. In 4 cases – mesiodents (0,4%±0,03%), in 6 cases – distodents (0,58%±0,03%), and in 4 cases - paramolars (0,4%±0,03%) were observed.

Among 4 patients (0,4%±0,03%), in 2 cases, the extra teeth were supplemental mesiodents, and the other cases were characterised with conical mesiodents. These teeth were located between incisors and canines facing palate. All of the mesiodents had well developed root.

In 6 cases (0,58%±0,03%) the distodents were revealed. In two cases these teeth were located on the both sides of the upper jaw. It is worth noting, that the distodents are smaller, than molars.

The paramolars were observed in 4 (0,4%±0,03%) cases. The anatomy of the root and crown of these teeth looks like the premolars.

Thus, 14 cases (1,13%±0,09%) of hyperdentia were observed among the 1234 patients and the supplemental mesiodent was more frequent, than the conical one.

ირემაშვილი ბ., დათუნაშვილი ი., დათუაშვილი გ., საგინაშვილი ლ.

რესპირატორული უკმარისობა მენავა პანკრეატიტის დროს

ქ. თაილისის სახელმწიფო საავადმციონო უნივერსიტატი, ქირურგიის დეპარტამენტი №1

თემის აქტუალობა: პოლიორგანულ უკმარისობათა ფართო სპექტრის [4,8,11], მკურნალობის სირთულისა და მაღალი ლეტალური მაჩვენებლების (20-40%) [2,8,1,7] გამო მწვავე პანკრეატიტი (მპ) კვლავ რჩება კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევის აქტუალურ პრობლემად [4,9,10].

ორგანიზმზე პანკრეატოგენული ფერმენტების ზოგად აგრესიას მოსდევს ტოქსიური ფაქტორების [14], ანთებითი მედიატორებისა და ციტოკინების მოჭარბებული გამოთავისუფლება [13]. ჟანგვა-აღდგენით ჰომეოსტაზს არღვევს პროოქსიდაციური

სისტემის გაბობოქრება [3]. ანთებითი მედიატორების პარალელურად ისინი განაპირობებენ პანკრეასსა [5] და მეორად სამიზნე ორგანოებში [6] სერიოზულ მორფოფუნქციურ ცვლილებებს, რასაც საბოლოოდ მოსდევს პოლიორგანული უკმარისობა [12,5], მკურნალობის უეფექტობა, ინვალიდობისა და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლები.

გამომდინარე აქედან, ცხოველ ინტერესს იძენს მწვავე პანკრეატიტის დროს ჟანგვა-აღდგენითი პროცესების სუბუჯრედულ და მოლეკულურ დონეზე მიმდინარე დარღვევების მექანიზმების შესწავლა.

კვლევის მიზანი: შრომის მიზანს წარმოადგენს რესპირატორული უკმარისობის პათოგენეზში პროოქსიდაციური სისტემის როლის გამოკვლევა მწვავე ექსპერიმენტული პანკრეატიტის დროს.

კვლევის ამოცანები: ა) მწვავე პანკრეატიტის დროს სისხლში პრო და ანტიოქსიდაციური სისტემის ცვლილებების შესწავლა; ბ) ფილტვებში ჟანგვა-აღდგენითი ჰომეოსტაზის დარღვევით გამოწვეული პათომორფოლოგიური ძვრების დადგენა.

მასალა და მეთოდები: ექსპერიმენტული კვლევაში ტარდებოდა ლაბორატორიულ ზრდასრულ მამრ ვირთაგვებზე. მწვავე პანკრეატიტის ვინვედით ცხოველის 100 გ წონაზე 250 მგ L-არგინინის 20%-იანი ხსნარის (SIGMA) პერიტონეუმის ღრუში ორჯერადი ინექციით 30 წუთიანი ინტერვალით. პრეპარატები მუშავდებოდა ცხოველის დეკაპიტაციისა და დესანგინაციის შემდეგ. გამოყენებული იყო ფორმალინის 12%-იანი ხსნარი, ჰემატოქსილინ-ეოზინი და სინათლის მიკროსკოპი.

სუპეროქსიდდისმუტაზას, პლაზმის გლუტათიონრედუქტაზას და კატალაზას შესასწავლად გამოყენებული იყო Fried-ის და H. Aebi-ის მოდიფიცირებული მეთოდები, რეაქტივთა კომპლექსი „Glutathione Reductase Assay Kit Product Code GR-SA Technical Bulletin No. MB-765“ (SIGMA) და აპარატი Microplate reader Multiscan (Finland). ექსპერიმენტში წარმოებდა ელექტრონულ-პარამაგნიტური რეზონანსის (ეპრ) სპექტროსკოპული კვლევები, რომლებიც ტარდებოდა რადიოსპექტრომანომეტრზე P3-1307 (რუსეთი) თხევადი აზოტის -196° C ტემპერატურაზე.

სისხლში და ფილტვის ქსოვილში ლიპოპეროქსიდრადიკალების (LOO), აზოტის ჟანგის (NO) და სუპეროქსიდრადიკალების განსაზღვრისთვის გამოიყენებოდა სპინ-ხაფანგები: N-ტერტფენილ-α-ბუტილნიტრონი (PBN) (SIGMA), ნატრიუმის დიეთილდითიოკარბამატი (DETC) (SIGMA), Fe²⁺-ციტრატი და 5,5 დიმეთილ-I-პიროლინ-IV-ოქსიდი (DMPO) (SIGMA).

სტატისტიკური დამუშავება: შედეგების დამუშავებისთვის გამოყენებული იქნა T-test.

კვლევის შედეგები: ექსპერიმენტული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ანტიოქსიდაციური სისტემა მწვავე პანკრეატიტის დასაწყისიდანვე განიცდის ინაქტივაციას (ცხრილი №1).

აღნიშნული ცვლილებების პარალელურად კი მკვეთრად აქტიურდება პროოქსიდაციური სისტემა.

№2 და №3 ცხრილების მონაცემები ასახავენ

ცხრილი 1. ანტიოქსიდანტური სისტემის მდგომარეობა სისხლში მწვავე პანკრეატიტის დროს


ცხოველთა ჯგუფები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX
SOD (U/ml)	1.8±0.14	1.75±0.11 p2,1<0,005	1.15±0.25 p3,1<0.05	1.25±0.32 p4,1<0.05	0.98±0.19 p5,1<0.05	0.45±0.15p 6,1<0,5	0,42±0.0 9p7,1<0,5	0,31±0.1 p8,1<0,5	1,53±0.1 p9,1<0,005
კატალაზა (U/mgp)	9.89±1.04	2.54±1.1 p2,1<0,5	4.18±0.84 p3,1<0.01	5.18±0.55 p4,1<0.05	6.71±1.11 p5,1<0.05	12.35±3.24 p6,1<0,01	10.21±3.45 p7,1<0,01	6.25±1.78 p8,1<0,05	6.95±0.69 p9,1<0,05
გლუტათიონრედუქტაზა	0.87±0.07	1.15±0.78 p2,1<0,5	1.46±0.45 p3,1<0.1	0.79±0.04 p4,1<0.01	0.97±0.14 p5,1<0.0 5	1.65±0.19 p6,1<0,05	0,88±0.04 p7,1<0,00 5	0,80±0.09 p8,1<0,001	0,95±0.11 p9,1<0,005

ცხრილი 2. პროოქსიდანტური სისტემის მდგომარეობა სისხლში


ცხოველთა ჯგ.	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX
LOO [•]	-	3±0.7	3±0.5	5±0.2	9.8±1,3	11,5±0.7	8±0.7	15±0,5	8±0.6
NO	7±1.4	14.5±1.7	8.75±0,4	11.7±1,5	8.5±0,3	9±0.7	10±1,5	4±0.5	8±0.5
O ₂ ⁻	-	-	6.75±0.5	6.5±0.6	6.75±0.6	14.5±0.4	6±0.7	18±0.9	6±0.7

ცხრილი 3. პროოქსიდანტური სისტემის მდგომარეობა ფილტვის ქსოვილში


ცხოველთა ჯგ.	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX
LOO [•]	-	6.5±0.5	10±0.2	12±0.6	13±0.7	8±0.5	8±0.1	9±0.6	6±0.9
NO	28±1.26	35±2.6	65±1.7	16.5±1,5	18±1.7	38±2.6	36±1.7	22±1.6	40±2.6




სურ. 1 ნორმა



სურ. 2 მწვავე პანკრეატიტი



სურ. 3 ნორმა
10X40



სურ. 4 მწვავე პანკრეატიტი
10X40 10X80

პროოქსიდანტური სისტემის გააქტიურების პროცესს. LOO[•], NO და O₂⁻ დავადების ხანდაზმულობისა და სიმძიმის პარალელურად მატულობს.

ფილტვის ქსოვილის ეპრ სპექტრში პანკრეატიტის დასაწყისიდანვე ვლინდება პეროქსილიპიდების სიგნალების მაღალი ინტენსივობა. ეს მოწმობს პროოქსიდანტების უშუალო კავშირზე ფილტვის ქსოვილში მიმდინარე დესტრუქციულ პროცესზე და განპირობებულია ანთების უჯრედების ჰიპერაქტივობით. გააქტივებული მაკროფაგები და ლეიკოციტები ახორციელებენ რა ჟანგბადის და ჰიდროქსილრადიკალების სინთეზს, პოლიუჯერ ცხიმოვან მუყავეზე ზემოქმედებით განაპირობებენ თავისუფალი რადიკალების გამოთავისუფლებას. მწვავე პანკრეატიტის დროს ფილტვებში პათომორფოლოგიური დარღვევები იწყება სწორედ პირველადი სამიზნე ორგანოდან სისხლის და ლიმფის საშუალებით ანთების მედიატორების გავრცელების შემდეგ, რომელსაც მოსდევს ორგანიზმის ძლიერი ოქსიდანტური სტრესი და შედეგად რეაქციებში თავისუფალი რადიკალების მასიური ჩართვა.

მორფოლოგიურმა კვლევამ (სურათები 1-4) დაადასტურა, რომ მწვავე პანკრეატიტის დროს ადგილი აქვს ფილტვის ქსოვილის ნეიტროფილებით ინფილტრაციას. ისინი მაკროფაგებთან ერთად ჭარბად პროდუცირებენ ანთების მედიატორებს, ციტოკინებს და პროოქსიდანტებს. მათი ზემოქმედებით მკვეთრად იზრდება სისხლძარღვთა განვლადობა, რომლის შედეგად უჯრედშორის სივრცეში გადადიან სისხლის ფორმიანი ელემენტები, მიკროელემენტები, სითხე, ცილები. ამას შედეგად მოჰყვება ფილტვების შეშუპება, ალვეოლათაშორისი ძგიდეების გასქელება და დესტრუქცია. პანკრეონეკროზის დროს კი - ფილტვის მცირე კალიბრის სისხლძარღვებში გამოხატული სლაჯფენომენი.

აღნიშნული ცვლილებები მკვეთრად ამცირებენ ფილტვის სასუნთქ ზედაპირს. რაც კლინიკურად გამოვლინდება რესპირატორული უკმარისობის სახით. მძიმე მწვავე პანკრეატიტის დროს ადგილი აქვს სწორედ სუნთქვის ორგანოთა უკმარისობას და სისხლის ჟანგბადით გაჯერების დეფიციტს.

დასკვნა: მწვავე პანკრეატიტის სიმძიმის ხასრისხის მომატებასთან ერთად ადგილი აქვს თავისუფალ-რადიკალური ჟანგვითი პროცესების გააქტივებას და სისხლის ანტიოქსიდანტური სისტემის ინაქტივაციას. ჟანგვითი მეტაბოლიზმის დარღვევა მწვავე პანკრეატიტის პათოგენეზის უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს და პანკრეასსა და მეორად სამიზნე ორგანოების, კერძოდ ფილტვის ქსოვილში პათომორფოფუნქციური ცვლილებების ჩამოყალიბებას განაპირობებს. მწვავე პანკრეატიტის დროს გააქტივებული პროოქსიდაციური სისტემის აგრესიას შედეგად მოჰყვება ფილტვების შეშუპება, რაც მკვეთრად ამცირებს ფილტვის სასუნთქ ზედაპირს, იწვევს სისხლის ჟანგბადით გაჯერების დეფიციტს და აყალიბებს რესპირატორულ უკმარისობას.

ლიტერატურა:

1. В.С.Савельев, М.И.Филимонов, Б.Р.Гельфанд, С.З.Бурневич, П.А.Соболев. Оценка эффективности современных методов лечения деструктивного панкреатита. Анналы хирургической гепатологии. 1996.-1.-С.58-61.
2. Adler DG, Chari ST, Dahl TJ, Farnell MB, Pearson RK. Conservative management of infected necrosis complicating severe acute pancreatitis. *Am J Gastroenterol* 2003;98:98-103. Aird WC. The role of the endothelium in severe sepsis and multiple organ dysfunction syndrome. *Blood* 2003;101:3765-3777
3. Andrzejewska A., Jurkowska G. Nitric oxide protects the ultrastructure of pancreatic acinar cells in the course of caerulein-induced acute pancreatitis. *J. exp. Path.* 1999 (80), 317-324
4. Balthazar E, Freeny P, van Sonnenberg E. Imaging and intervention in acute pancreatitis. *Radiology* 1994;193:297-306
5. Bhatia M, Slavin J, Cao Y, Basbaum AI, Neoptolemos JP. Preproachykinin-A gene deletion protects mice against acute pancreatitis and associated lung injury. *Am J Physiol Gastrointest Liver Physiol* 2003; 284:G830-G836.
6. Cryer HG Leong K, McArthur DL, Demetriades D, Bongard FS, Fleming AW, Hiatt JR, Kraus JF. Multiple organ failure: by the time you predict it, it's already there. *J Trauma* 1999;46:597-606.
7. Gloor B, Müller C, Worni M, et al. Late mortality in patients with severe acute pancreatitis. *Br J Surg* 2001;88:975-9.
8. Gullo L, Migliori M, Olah A, Farkas G, Levy P, Arvanitakis C, Lankisch P, Beger H. Acute pancreatitis in five European countries: etiology and mortality. *Pancreas* 2002;24:223-227.
9. Ranson JHC. Diagnostic standards for acute pancreatitis. *World J Surg* 1997;21:136-142
10. Smotkin J, Tenner S. Laboratory Diagnostic Tests in Acute Pancreatitis. *J Clin Gastroenterol* 2002;34:459-462.
11. Tenner S, Sica G, Hughes M, Noordhoek E, Feng S, Zinner M, Banks PA. Relationship of necrosis to organ failure in severe acute pancreatitis. *Gastroenterology* 1997;113:899-903.
12. Wolk K, Ducke W-D, von Baehr V, Volk HD, Sabat R. Impaired antigen presentation by human monocytes during endotoxin tolerance. *Blood* 2000;96:218-223.
13. Xing Z, Gauldie J, Cox G, Baumann H, Jordana M, Lei XF, Achong MK. IL-6 is an anti-inflammatory cytokine required for controlling local or systemic acute inflammatory responses. *J Clin*

Invest 1998;101:311-320.

14. Yonetsu N, Oruc N, Ozutemiz AO, Celik HA, Yuce G. Effects of mast-cell stabilization in cerulein-induced acute pancreatitis in rats. *Int J Pancreatol* 2001;29:163-171.

Iremashvili B., Datunashvili L., Datuashvili G., Saginashvili L.

RESPIRATORY FAILURE AT AN ACUTE PANCREATITIS.

Tbilisi State Medical University, N1 Department of Surgery, Tbilisi, Georgia .

Acute pancreatitis (AP) in complex with a wide spectrum of multiorgan system disturbances, unexplored complex pathogenesis, physical disabilities, and high mortality rate, still remains an issue of importance for clinical and experimental researches.

OBJECTIVE: The Study of pro-oxidant role in the pathogenesis of respiratory failure in AP.

MATERIAL: Experimental researches were carried out on puberal laboratory rats.

METHODS: Experimental researches were conducted with paramagnetic resonance techniques of biochemical and morphological investigation. Blood samples and pulmonary tissue were analyzed for oxidative status using EPR-spectroscopy and spin-trap technique.

CONCLUSIONS: It has been demonstrated that, with aggravation of AP inactivation of antioxidant and activation of pro-oxidant systems of the organism occurs. Histopathologic evidence confirmed, that with exacerbation of AP, marked changes, took place in the pulmonary tissue. Inadequate oxidative metabolism contributes to the development of morphologic and functional disturbance of the lungs. Aggression of the activated pro-oxidant system leads to pulmonary oedema that sharply reduces the respiratory area and produces deficiency of blood saturation with oxygen thus resulting in respiratory failure.

კეზელი თ., გონგაძე ნ.

სისხლქარლვთა მარელაქსირეპელი სისტემის ფუნქციის ცვლილება გულს კუნთის ნეკროზულ-ანთეპითი დაზიანების დროს

თსსუ-ის ზარეაქოლოგიის დეპარტამენტი

უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მიოკარდიუმის სხვადასხვა გენეზის ანთეპითი პათოლოგიის დროს განვითარებული გულ-სისხლქარლვთა მარელაქსირეპელის ცვლილებები შესაძლოა განპირობებული იყოს ენდოთელიუმის დისფუნქციით და ერითროციტების ოსმოსური მდგრადობის შეცვლით (3, 4, 6, 7).

კვლევის მიზანს შეადგენდა სისხლქარლვთა ენდოთელიუმის მარელაქსირეპელი სისტემის ფუნქციისა და ერითროციტების ოსმოსური რეზისტენტობის

ცვლილების შესწავლა გულის კუნთის ადრენალინით გამოწვეული ნეკროზულ-ანთებითი დაზიანების სხვადასხვა პერიოდში.

ცდები ტარდებოდა შინშილას ჯიმის 28 ბოცვერზე წონით 2,5-3,0 კგ. სისხლის არტერიული წნევის (სან) - ელექტრომანომეტრით, ფირმა „სიმენსის“ (გერმანია) გადამცემის გამოყენებით და სისტოლათამორისო ინტერვალების (სი) - კარდიოტაქომეტრით რეგისტრაციას ვანარმოებდით პოლიფიზიოგრაფ „სალუტზე“, ნარკოზის ქვეშ (ნემბუტალი 40 მგ/კგ ინტრაპერიტონეულად) ბარძაყის არტერიაში წინასწარ იმპლანტირებული პოლიეთილენის სილიკონიზირებული კათეტერის საშუალებით, დიამეტრით 2 მმ. პრეპარატების შესაყვანად ვიყენებდით საულლე ვენის ცენტრალურ ბოლოში მოთავსებულ კათეტერს. სისხლძარღვთა მარელაქსირებელი სისტემის ფუნქციას ვიკვლევდით ნატრიუმის ნიტროპრუსიდის ინტრავენური შეყვანით (0,05 მგ/კგ) გამოწვეული ვაზოდილატაციით, რომლის მექანიზმი, როგორც ცნობილია (6) რეალიზდება სისხლძარღვთა გლუვ კუნთოვან ელემენტებში გამონთავისუფლებული აზოტის ოქსიდის მიერ ფერმენტ გუანილატციკლაზას (გლც) სტიმულაციით და ამის შედეგად ციკლური გუანოზინმონოფოსფატის (ცგმფ) დაგროვებით, რასაც თან სდევს სისხლძარღვთა კედლის რელაქსაცია. ამ უკანასკნელის დონეს ვაფასებდით განვითარებული ჰიპოტენზიის ხარისხით და მის მიერ ინიცირებული სიმპათიკური ნერვული სისტემის რეფლექსური სტიმულაციით გამოწვეული ტაქიკარდიით (6). პარალელურად ვიკვლევდით ბარორეფლექსის (2) კარდიოქრონოტროპულ სიმპათიკურ კომპონენტს (ბქსკ). ენდოთელიუმის მარელაქსირებელი სისტემის ფუნქციის მოდულაციას ვახდენდით NO-ს სინთეზის ინჰიბიტორის - L- N^{G} - ნიტროარგინინის (7,5 მგ/კგ), აზოტის ოქსიდის ენდოგენური დონორის L-არგინინის (200 მგ/კგ) და გლც-აზას ინჰიბიტორის - მეთილენის ლურჯის (2,5 მგ/კგ) ინტრავენური შეყვანით. გულის კუნთის დაზიანების მოდელირებისთვის (1) ინტრავენურად შეგვყავდა თეოფილინის 1%-იანი ხსნარი დოზით 20 მგ/კგ, ხოლო 2 წთ-ის შემდეგ — ადრენალინის 0,1%-იანი ხსნარის 0,2 მლ. ექსპერიმენტში მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავებისათვის ვიყენებდით კორელაციური და რეგრესული ანალიზის მეთოდებს სტიუდენტის ტკრიტერიუმის გამოყენებით.

როგორც ჩატარებულმა ცდებმა ცხადყო, საკონტროლო ჯგუფის ცხოველებში ნატრიუმის ნიტროპრუსიდის ინტრავენური შეყვანა იწვევდა ჰიპოტენზიურ რეაქციას 25,4 \pm 3,2% (P<0,002) და სი-ის შემოკლებას 12,6 \pm 2,8%-ით (P<0,05), რასაც სიმპათიკური ნერვული სისტემის რეფლექსური სტიმულაციის შედეგად თან ახლდა გულისცემის სიხშირის მომატება 15,7 \pm 1,6%-ით (P<0,05). ბქსკ გამომსახველი რეგრესიული კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებელი ამ დროს შეადგენდა 1,4 \pm 0,04 მს/მმ ვწყ.სვ. მათგან განსხვავებით, საცდელი ჯგუფის ბოცვერებში ნატრიუმის ნიტროპრუსიდის ინტრავენური შეყვანა ხასიათ-

დებოდა ნაკლებად გამოხატული ცვლილებებით კარდიოჰემოდინამიკური რეაქციების მხრივ. კერძოდ, გულის პათოლოგიის მოდელირებიდან 24 სთ-ის შემდეგ დეპრესორული რეაქცია მცირდებოდა საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით 32,8 \pm 3,0%-ით (P<0,05), ხოლო სი-ს შემოკლების ხარისხი - 42,7 \pm 4,2%-ით (P<0,001), რასაც თან ახლდა სიმპათიკური ნერვული სისტემის უფრო სუსტი რეფლექსური სტიმულაცია ტაქიკარდიის ნაკლები ხარისხით - 48,2 \pm 6,4%-ით (P<0,001), რომლის ფონზეც რეგისტრირდებოდა ბარორეფლექსის რეგრესიული კოეფიციენტის უფრო დაბალი საშუალო ციფრები - 0,75 \pm 0,01 მს/მმ ვწყ. სვ. გულის ნეკროზულ-ანთებითი დაზიანების უფრო გვიან პერიოდში (მე-5 დღეს) კიდევ უფრო სუსტდებოდა კარდიოჰემოდინამიკური რეაქციები ნატრიუმის ნიტროპრუსიდის შეყვანისას. ამ დროს ჰიპოტენზიის ხარისხი შეადგენდა 10,6 \pm 3,2 მმ ვწყ.სვ. (P<0,05), სი-ს ნაკლები შემოკლებით და უფრო მცირედ გამოხატული ტაქიკარდიით, რაც მეტყველებდა სიმპათიკური ნერვული სისტემის რეფლექსური აქტივაციის დაქვეითებაზე, ბქსკ-ის რეგრესიული კოეფიციენტის საშუალო სიდიდის შემცირებით 0,62 \pm 0,02 მს/მმ ვწყ.სვ.-მდე (P<0,05).

კვლევის შემდგომ ეტაპზე ენდოთელიუმის მარელაქსირებელი სისტემის ფუნქციის მოდულირებისთვის და მისი როლის დასადგენად გულის კუნთის დაზიანებისას განვითარებული კარდიოვასკულური რეაქციების რეალიზაციის მექანიზმში ნატრიუმის ნიტროპრუსიდის შეყვანის საპასუხოდ, გამოყენებულ იქნა L-არგინინი, რომლის ინტრავენური შეყვანის ფონზე საცდელი ჯგუფის ცხოველებში საკონტროლო ჯგუფის ბოცვერებისგან განსხვავებით სტატისტიკურად სარწმუნოდ ძლიერდებოდა კარდიოჰემოდინამიკური რეაქციები ნატრიუმის ნიტროპრუსიდით ტესტირებისას.

ბოცვერებში მიოკარდიუმის დაზიანებიდან 24 სთ-ის შემდეგ აგდილი ჰქონდა L-არგინინით აღნიშნული რეაქციების მნიშვნელოვან მოდულაციას, რაც ვლინდებოდა მათში ჰიპოტენზიის ხარისხის მომატებით - 18,2 \pm 2,5%-ით (P<0,05), სი-ს უფრო გამოხატული შემოკლებით - 12,0 \pm 2,4%-ით (P<0,05) და სიმპათიკური ნერვული სისტემის უფრო ძლიერი რეფლექსური სტიმულაციით - 14,8 \pm 3,1%-ით (P<0,05), რასაც თან ახლდა ბქსკ-ის რეგრესიული კოეფიციენტის მნიშვნელოვანი გაზრდა - 0,96 \pm 0,04 მს/მმ ვწყ.სვ.-მდე. თვისობრივად იგივე ხასიათის კარდიოჰემოდინამიკურ ცვლილებებს იწვევდა L-არგინინი გულის კუნთის ადრენალინით დაზიანების მე-5 დღეს და ამ მხრივ განსხვავება ატარებდა მხოლოდ რაოდენობრივ ხასიათს.

გუანილატციკლაზას ინჰიბიტორის - მეთილენის ლურჯის (2,5 მგ/კგ) ინტრავენური შეყვანა საცდელი ჯგუფის ბოცვერებში სარწმუნოდ ამცირებდა L-არგინინის მამოდულირებელ ზემოქმედებას კარდიოჰემოდინამიკურ რეაქციებზე ნატრიუმის ნიტროპრუსიდის შეყვანის დროს და არ ახდენდა რაიმე მნიშვნელოვან ზეგავლენას საკონტროლო ჯგუფის ცხოველებზე.

გულის კუნთის ნეკროზულ-ანთებითი დაზიანებებიდან 24 სთ-ის შემდეგ მეთილენის ლურჯი ამცირებდა ამ ჯგუფის ცხოველებში L-არგინინით გამოწვეულ მამოძლურებელ ეფექტს ჰიპოტენზიის - $41,6 \pm 4,5\%$ -ით ($P < 0,001$) და სი-ის შემცირების მხრივ - $33,8 \pm 5,6\%$ -ით ($P < 0,001$), ხოლო სიმპათიკური ნერვული სისტემის რეფლექსური სტიმულაციის და ბარორეფლექსის რეგრესიული კოეფიციენტის ცვლილებების მხრივ შესაბამისად $32,6 \pm 8,4\%$ -ით ($P < 0,001$) და $22,5 \pm 4,2\%$ -ით ($P < 0,05$). ანალოგიური ხასიათის მონაცემები იქნა რეგისტრირებული მეთილენის ლურჯის ზემოქმედებით გულის კუნთის დაზიანებიდან მე-5 დღეს, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა კარდიოვასკულური რეაქციების იგივე მაჩვენებლების და ბკქსკ უფრო მნიშვნელოვან დაქვეითებას. კერძოდ, დაზიანებიდან მე-5 დღეს დეპრესული რეაქცია მცირდებოდა $41,8 \pm 7,4\%$ -ით ($P < 0,001$), სი-ს ცვლილება - $27,8 \pm 6,4\%$ -ით ($P < 0,002$), ტაქიკარდია — $40,0 \pm 6,1\%$ -ით ($P < 0,001$), ხოლო ბარორეფლექსის რეგრესიული კოეფიციენტი $30,5 \pm 4,8\%$ -ით ($P < 0,002$).

აზოტის ოქსიდის სინთეზის ინჰიბიტორის L-N^G-ნიტროარგინინის გამოყენებისას საცდელი ჯგუფის ბოცვრებში რეგისტრირებულ იქნა L-არგინინით მოძლურებული, ნატრიუმის ნიტროპრუსიდით გამოწვეული კარდიოჰემოდინამიკური რეაქციების და ბკქსკ-ის ინჰიბირების უფრო მაღალი ხარისხი, ვიდრე მეთილენის ლურჯის გამოყენებისას, თუმცა განსხვავება ამ მხრივ ატარებდა მხოლოდ რაოდენობრივ ხასიათს. გულის კუნთის დაზიანებიდან 24 სთ-ის შემდეგ გ-არგინინით მოდიფიცირებული, ნატრიუმის ნიტროპრუსიდით ინიცირებული კარდიოვასკულური რეაქციების და ბკქსკ-ის ცვლილებების დათრგუნვის ხარისხი L-N^G-ნიტროარგინინის ფონზე შეადგენდა: სან-ის მხრივ - $46,7 \pm 4,6\%$ ($P < 0,001$), სი-ს და გულისცემის სიხშირის მხრივ შესაბამისად $41,6 \pm 6,8\%$ ($P < 0,001$) და $34,6 \pm 7,4\%$ ($P < 0,001$), ხოლო ბარორეფლექსის რეგრესიულ კოეფიციენტთან მიმართებაში - $33,2 \pm 8,0\%$ ($P < 0,001$).

იგივე სახის რეაქციები იქნა რეგისტრირებული მიოკარდიუმის დაზიანებიდან მე-5 დღეს სტატიისტიკურად სარწმუნო განსხვავების გარეშე გულის დაზიანების უფრო ადრეულ (24 სთ) პერიოდთან შედარებით.

ამრიგად, ადრენალინით გამოწვეული მიოკარდიუმის დაზიანებისთვის დამახასიათებელია გულის ფუნქციური მდგომარეობის გამომხატველი კარდიოჰემოდინამიკური მაჩვენებლების გაუარესება და სისხლძარღვთა მარელაქსირებული სისტემის დისფუნქცია.

ლიტერატურა

1. Андреев С.В. В кн.: Моделирование заболеваний. М.: Медицина. – 1973, - С. 203-211.
2. Цырлин В.А., Еремеев В.С., Плисс М.Г. Обеспечение гипертензивных ответов как одна из функций барорецепторного рефлекса. // Кардиология. – М.: Медицина. – 1987. - № 8. – С. 73-76.

3. Sala A. Therapeutic intervention with LT synthase inhibitors and receptor antagonists in cardiovascular inflammation. – J. Drugs news and perspectives – 1999. – Vol. 12, No 2. – 91-97.
4. Folco G., Rossoni G., Carola B. et al. Leukotriens in cardiovascular diseases. Am. J. Respir. Crit. Care Med. – 2000 – 16(2): S. 112-116.
5. Harrison D.G., Bates J.N. The nitrovasodilators. New ideas about old drugs. J. Circulation. – 1993. – 87: 1461/
6. Kamohara M., Takasaki J., Matsumoto M. et al. Functional characterization of cysteinyl leukotriene CysLT (2) receptor on human coronary artery smooth muscle cells. J. Biochem. Biophys. Res. Commun. 2001 – 287: 1088-1092.
7. Valbracht K.B., Schwimmbeck P.L.m Seeberg B. et al. Endothelial dysfunction of peripheral arteries in patients with immunohistologically proven myocarditis correlates with endothelial expresasion of HLA-I, HLA-Dr and CD 54/ICAM-1 in myocardial biopsies. Eur. Heart. J. – 2000. 21-415.

Kezeli T., Gongadze N.

THE CHANGES OF THE FUNCTION OF VASCULAR RELAXING SYSTEM IN NECROTIC-INFLAMMATORY DAMAGE OF THE HEART

The experiments were carried out on 28 rabbits with preliminary implanted catheters under nembutal (40 mg/kg, intraperitoneally) anesthesia into femoral artery and jugular vein for the registration of arterial pressure, intersystolic intervals and drug administration. The function of peripheral vascular vessels relaxing system and sympathetic cardiochronotropic component of baroreflex (BRSCC) was assessed by hypotensive reaction and tachycardia in response to intravenous injection of sodium nitroprusside (0,05 mg/kg). The cardiac damage was induced by intravenous administration of 1% theophylline (20 mg/kg) and epinephrine – 0,1%-0,2 ml (after 2 min of theophylline injection). The modulation of the function of endothelial relaxing system have been produced by intravenous administration of the NO synthesis inhibitor – L-N^G-nitroarginine (7,5 mg/kg), endogenous donor of NO, L-arginine (200 mg/kg) and guanilatcyclase inhibitor-methylene blue (2,5 mg/kg). It was shown that after 24 h of heart damage the hypotensive reaction, reflex tachycardia and BRSCC was attenuated in response to intravenous injection of sodium nitroprusside in contrast to the control group of animals. These changes in hemodynamic reaction and BRSCC were more pronouncely revealed after 5 days of myocardial injury. L-arginine in these rabbits unlike of the control group of animals increased the hemodynamic reactions which have been produced by sodium nitroprusside, while methylene blue and especially L-N^G- nitroarginine markedly decreased the modulatory effect of L-arginine.

It is suggested that epinephrine – induced heart damage is characterized by deterioration of hemodynamic indices, reflecting the functional state of cardiovascular system and with dysfunction of the vascular relaxing system.

ვერენჩხილაძე რ., ციმაკურიძე მ., ბაქრაძე ლ.

შრომის მედიცინის სწავლების როლი და ადგილი უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემაში

თსსუ-ის გარემოსა და პროფესიული მედიცინის დეპარტამენტი

დასაქმებული მოსახლეობის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვა პროფილაქტიკური მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთი პრიორიტეტული პრობლემაა [1;2;5]. ამ საკითხის მნიშვნელობამ სათანადო ასახვა ჰპოვა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა სისტემაში და მთელ რიგ საერთაშორისო და ეროვნულ ფუძემდებლურ დოკუმენტებში. ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეით დადგა ჩვენს ქვეყანაში დღევანდელ - პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით გარდამავალ ეტაპზე.

უკანასკნელ წლებში, გარკვეული შეფერხების შემდეგ, ამ პრობლემის მოგვარების საგრძნობი ტენდენციები შეიმჩნევა. ამ პროცესში 2 ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: 1) საკანონმდებლო-ნორმატიული და მეთოდური ბაზის შექმნა დასაქმებული მოსახლეობისათვის უსაფრთხო შრომის პირობებისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების უზრუნველყოფისათვის; 2) შრომის ჰიგიენისა და პროფესიული პათოლოგიის სპეციალობებში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ამ მიმართულებით საქართველოში ბოლო წლებში გარკვეული ღონისძიებები გატარდა, რაც, უთუოდ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პრობლემის მოგვარებაში [3;4;7].

ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში თვისობრივადი მნიშვნელოვნად შეიცვალა დასაქმებული მოსახლეობის კონტინგენტი — ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს კონკრეტული პროფესიის ფარგლებს მიღმა უსისტემოდ, დროებით და ეპიზოდურად მომუშავე ადამიანთა კონტინგენტთან, რომლის შრომის პირობების კონტროლი და სპეციალიზებული პროფ-პათოლოგიური მონიტორინგი პრაქტიკულად არ მიმდინარეობს. უკანასკნელ პერიოდში გამოკვეთა დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის აპრობირებული სისტემის აღდგენის ტენდენცია - სულ უფრო ხშირია ქვეყნის ეროვნული მეურნეობის წამყვან სანარმოებში დასაქმებულთა წინასწარი და პერიოდული სამედიცინო გასინჯვების სისტემის დანერგვა შრომის პირობების მონიტორინგთან კომპლექსში, ქვეყნის ახალი რეალიების გათვალისწინებით. დასაქმებული მოსახლეობის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის ასეთი სისტემის ფართოდ დანერგვა საშუალებას მისცემს: სახელმწიფოს - მინიმუმამდე შეამციროს მომუშავე ინვალიდებისა და პროფესიული დაავადებებით შეპყრობილი მუშების დახმარების მუნიციპალური დანახარჯები; სანარმოს - შეინარჩუნოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების კადრები, რაც აუცილებელი

ლი პირობაა შრომის მწარმოებლურობის მაღალი დონისა და გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხის სტაბილური შენარჩუნებისათვის; ერს - შეინარჩუნოს ჯანმრთელი გენოფონდი; ინდივიდს - უზრუნველყოს საკუთარი ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის შენარჩუნების კონსტიტუციური უფლების რეალიზაცია; ოჯახს - შეინარჩუნოს ჯანმრთელი წევრი და მარჩენალი.

აღნიშნული მიზნის რეალიზაცია შეუძლებელია შრომის ჰიგიენისა და პროფესიული პათოლოგიის მიმართულებებში მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადების გარეშე. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელში სასწავლო პროცესის რაციონალური ორგანიზაცია სწავლების საწყის - დიპლომამდელ ეტაპზე.

უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელში ამჟამად არსებული სისტემა ამკარად ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთ უზრუნველყოფას სათანადო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული ჩვევებით შრომის მედიცინის სფეროში. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის გარემოება, რომ შრომის ჰიგიენისა და პროფესიული დაავადებების სწავლება მიმდინარეობს სხვადასხვა კათედრაზე (დეპარტამენტში), ამ დისციპლინების სწავლების ქრონოლოგიური თანმიმდევრობისა და ურთიერთკოორდინაციის გარეშე. ამასთან, ამ დისციპლინების სწავლებისათვის გამოყოფილი საათების მოცულობა აშარად არასაკმარისია სასურველი შედეგის მისაღწევად. კერძოდ, სამკურნალო (მედიცინის) ფაკულტეტზე შრომის ჰიგიენის სწავლება IV კურსზე ჰიგიენის შემადგენლობაში, ამასთან, ჰიგიენის სწავლებისათვის განკუთვნილი 79 საათიდან შრომის ჰიგიენას დათმობილი აქვს მხოლოდ 10 საათი (2 სთ - ლექცია და 8 სთ - პრაქტიკული მეცადინეობა). პროფესიული დაავადებები სწავლება V კურსზე 29 საათის მოცულობით (5 სთ - ლექცია, 24 სთ - პრაქტიკული მეცადინეობა - კურაცია). კიდევ უფრო არასასურველი მდგომარეობაა სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე: ჰიგიენის სწავლებისათვის განკუთვნილი 42 საათიდან შრომის ჰიგიენის სწავლებას ეთმობა მხოლოდ 6 სთ (2 სთ - ლექცია და 4 სთ - პრაქტიკული მეცადინეობა), ხოლო პროფესიული დაავადებების სწავლება გათვალისწინებულია მხოლოდ არჩევითი დისციპლინის სტატუსით 32 სთ-ის მოცულობით (6 სთ - ლექცია, 26 სთ - პრაქტიკული მეცადინეობა).

საკუთარი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სოციალური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ამ 2 დისციპლინის ასეთი განცალკავებული სწავლება სასურველ შედეგს არ იძლევა: ერთის მხრივ, არასაკმარისია მათი სწავლებისათვის განკუთვნილი სასწავლო საათები მოცულობა, ხოლო მეორეს მხრივ, მათი განცალკავებული სწავლება სხვადასხვა კათედრაზე (დეპარტამენტში), სათანადო ქრონოლოგიური თანმიმდევრობის გარეშე არ იძლევა საშუალებას, თვალნათლივ, სათანადო დონეზე ვასწავლოთ სტუდენტებს პროფილაქტიკური მედიცინის ამ 2 მიმარ-

თულებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების არსებობა და მათი დადგენის მნიშვნელობა საბოლოო მიზნის მიღწევისათვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციისა და და რადიკალური რეფორმის ფონზე ლოგიკურად დასაბუთებულად მიგვაჩნია შრომის ჰიგიენისა და პროფესიული დაავადებების სწავლების მეთოდის ოპტიმიზაცია სამკურნალო (მედიცინის), სტომატოლოგიისა და ფარმაციის ფაკულტეტებზე, თითოეული ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სტუდენტთა ადრეული პროფორიენტაცია, მათი აქტიური ჩართვა სპეციალიზებულ ჯგუფებში და მომავალი სპეციალობის საფუძვლების შესწავლა მნიშვნელოვნად განაპირობებს სავსის უფრო ღრმად დაუფლების მოტივაციის ზრდას, რაც ასახვას ჰპოვებს მთელ სასწავლო პროცესზე, ზრდის მათ აკადემიურ მოსწრებას სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის სტიმულაციასთან და კათედრის (დეპარტამენტის) კვლევით მუშაობაში აქტიურ ჩართვასთან ერთად; საბოლოოდ შესაძლებელია სტუდენტთა უმტკივნეულო ადაპტაცია შემდგომი პრაქტიკული საქმიანობის პირობებისადმი [6]. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჯერ კიდევ სწავლების პირველ ეტაპზე სასწავლო გეგმაში კომპლექსური დისციპლინის - შრომის მედიცინის შეტანა, შრომის ჰიგიენისა და პროფესიული დაავადებების ერთდროული სწავლებით, მკაცრად დაცული თანმიმდევრულობისა და ურთიერთკოორდინაციის უზრუნველყოფით. სწავლების ასეთი სქემა უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ცოდნის აუცილებელი დონის რაციონალურ ათვისებას აღნიშნულ სპეციალობებში.

დიპლომამდელი სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე, აგრეთვე ზოგადი სპეციალიზაციის გავლის დროს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კომპლექსური სასწავლო კურსის - შრომის მედიცინის სწავლებას.

სტუდენტთა სწავლების წარმოდგენილი სქემის დანერგვა საშუალებას მოგვცემს, შეიქმნას სათანადო საფუძველი შრომის მედიცინის სფეროში შემდგომი დახელოვნებისათვის ექიმთა მზადების დიპლომის შემდგომ ეტაპზე. ამასთან ერთად, აუცილებელია როგორც შრომის ჰიგიენის, ისე პროფესიული დაავადებების სწავლებისათვის განკუთვნილი სასწავლო საათების რაოდენობის გაზრდა, რამდენადაც სათანადო საბაზისო ცოდნის გარეშე შეუძლებელია მაღალი კვალიფიკაციის ექიმთა კადრების მომზადება. შესასწავლი საკითხების ასეთი გადანაწილება შესაძლებლობას შექმნის გარკვეულად მეტი დრო დაეთმოს სხვა საკითხების შესწავლას დისციპლინის - „ჰიგიენა“ სწავლების პროცესში.

დიპლომის შემდგომი სწავლების ეტაპზე ექიმთა მომზადება ძირითადად უნდა ჩატარდეს საერთოდ მიღებული სქემით. კერძოდ, ექიმთა დახელოვნებისა და სპეციალიზაციის სასწავლო კურსები სპეციალობაში „პროფესიული პათოლოგია“ უნდა მოიცავდეს შრომის ჰიგიენის ძირითად საკითხებს, რომელ-

თა ცოდნა აუცილებელია დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისათვის და შრომის პირობებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისათვის, რაქც მეტად მნიშვნელოვანია დასაბუთებული, კომპლექსური და მიზანმიმართული პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავებისათვის. ამასთან, სწავლების ყველა ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც ფაკულტეტის (მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის), ისე ექიმ-მსმენელთა კონკრეტული ჯგუფის თავისებურებები (ექიმთა პროფესიული საქმიანობის ადგილებზე ძირითადი საწარმოების სპეციფიკა). გარდა ამისა, შრომის მედიცინის (შრომის ჰიგიენისა და პროფესიული დაავადებების) ძირითადი საკითხები ჩართული უნდა იყოს ზოგადი პროფილის, განსაკუთრებით, საოჯახო მედიცინისა და შინაგანი მედიცინის სპეციალობების ექიმთა მომზადების პროგრამებში, რომელთაც ხშირი კონტაქტი აქვთ დასაქმებულ მოსახლეობასთან. ეს გარემოება უზრუნველყოფს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის ადეკვატურ შეფასებას.

უწყვეტი პროფესიული განათლების სისტემის მსმენელებისათვის უნდა შემუშავდეს სპეციალური მოკლევადიანი სასწავლო პროგრამები შრომის მედიცინაში როგორც ექიმი-პროფპათოლოგებისათვის, ისე სხვა სპეციალობების ექიმებისათვის.

რეზიდენტურასა და დოქტორანტურაში მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადების პროგრამები აუცილებლად უნდა შეიცავდეს შრომის მედიცინის (შრომის ჰიგიენისა და პროფესიული დაავადებების) საკითხებს ცალკეული კლინიკური სპეციალობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის (პროფილაქტიკური მედიცინის) ფაკულტეტზე აღნიშნული დისციპლინების სწავლება პრინციპულ ცვლილებებს არ საჭიროებს. თუმცა აუცილებლად მიგვაჩნია შრომის ჰიგიენისა და პროფესიული დაავადებების სწავლებისათვის განკუთვნილი სასწავლო საათების რაოდენობის გაზრდა, დასაქმებული მოსახლეობის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი საკითხების ღრმად დაუფლების უზრუნველყოფის მიზნით.

შრომის მედიცინის სფეროში მომზადების ასეთი გაუმჯობესებული სქემის დანერგვა უზრუნველყოფს ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია დასაქმებული მოსახლეობის შრომისა და ჯანმრთელობის ეფექტური დაცვისათვის. დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობაზე კომპლექსური, ყოველმხრივი ზრუნვა აქტიურად ფუნქციონირებადი სამკუთხედის შენარჩუნების მყარი საფუძველია: ჯანმრთელი შრომითი რესურსები - შრომის მწარმოებლურობის მაღალი დონე და მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება - მძლავრი ეკონომიკა.

ლიტერატურა:

1. ზურაბაშვილი ა., ვეფხვაძე ნ., ქურხული მ. და სხვ. ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგია ადამიანის ჯანმ-

რთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის სფეროში: მიღწევები, პრობლემები და გადაუდებელი ამოცანები.//საქართველოს გარემოს ჰიგიენის ეროვნული პროგრამა./ ეროვნული კონფერენცია./შრომათა კრებული. თბილისი: 2001. - 8-16 გვ.

2. კვერენჩილაძე რ., როყვა ვ., ჩიქოვანი ა., კალანდაძე ი., გიუაშვილი ნ. სანარმოო ფაქტორების ჰიგიენური რეგლამენტაცია უსაფრთხო სანარმოო გარემოს უზრუნველყოფის საფუძველია.//საქართველოს გარემოს ჰიგიენის ეროვნული პროგრამა./ ეროვნული კონფერენცია./ შრომათა კრებული. თბილისი: 2001. - გვ. 221-224.

3. სააკაძე ვ., კვერენჩილაძე რ. შრომის მედიცინის სწავლების პერსპექტივები თანამედროვე უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემაში.//თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული. ტ. XXXIX. თბილისი: 2003. — გვ. 279-283.

4. ხეცურიანი რ., კილასონია ბ., გელაშვილი კ., სააკაძე ვ. და სხვ. ქვეყანაში პროფილაქტიკური მედიცინის სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების აქტუალური საკითხები.//საქართველოს გარემოს ჰიგიენის ეროვნული პროგრამა./ ეროვნული კონფერენცია./შრომათა კრებული. თბილისი: 2001. - გვ. 40-47.

5. Измеров Н.Ф. Концептуальные подходы к сохранению и укреплению здоровья работающего населения России.// Бюллетень Научного Совета `Медико-экологические проблемы работающих~-2003. №1. - С.4-10.

6. Ходели Н.Г., Чхаидзе З.А., Инаури Э.К. и др. Эффекты ранней профориентации студентов на лечебном факультете медицинского ВУЗ-а.//Georgian Medical News. - 2006. - №1. - (130).- С. - 129-133.

7. Цимакурдзе М.П., Саакадзе В.П., Церетели М.Н., Зурашвили Д.Г., Хачапуридзе Н.А. Профпатологическая служба в Грузии – прошлое, настоящее, перспективы.// Georgian Medical News. - 2006. - №1. - (130).- С. - 125-129.

Kverenchkhiladze R., Tsimakuridze M.P., Bakradze L.Sh.,

THE LEARNING OF LABOUR MEDICINE IN THE SYSTEM OF HIGH MEDICAL EDUCATION

The aim of the work was to review the question about learning of Labour Medicine in the system of high medical education on the modern stage, which is the important direction for realization of one of the main aims of Preventive Medicine and Public Health, such as labour protection. The learning of Labour Hygiene and Occupational Diseases on the Public Health and Medical faculties is very important to prepare of high qualified specialists.

კვიციანიძე ნ., ერიაშვილი ვ.

შარმაცევტის პროფესიული თვითშეგნება და როლი პირველადი ჯანდაცვის მომსახურების სფეროში

თსსუ-ის სოციალური და კლინიკური შარმაციის დეპარტამენტი


სოციალური, პოლიტიკური და კულტურული გარემოს ცვლილებების გავლენით იცვლება და იზრდება ფარმაცევტის როლი საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, რაც იწვევს ცვლილებას ფარმაცევტული განათლების სფეროში. კოლეგებთან და პაციენტებთან ეფექტური ურთიერთობისათვის, პაციენტზე ორიენტირებული ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელებისათვის, ფარმაცევტის პროფესიული თვითშეგნების და კომუნიკაციის ხელოვნება გახდა აუცილებელი ელემენტი, რომელიც წარმოადგენს სოციალური ფარმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რაც იძლევა საშუალებას ახლებურად გავიაზროთ ფარმაცევტის როლი პირველადი ჯანდაცვის სისტემაში.

დღეისათვის მრავალი გამოკვლევების საფუძველზე ჩამოყალიბებულია ფარმაცევტის პროფესიული თვითშეგნების ოთხი განსხვავებული მოდელი: ტექნიკური, საქმიანი, შეგუებითი და იდეალური (ადამიანური), რომელიც ფარმაცევტული დეონტოლოგიის შემადგენელია (2,6)

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ქ. თბილისის ზოგიერთ საზოგადოებრივ აფთიაქში ფარმაცევტთა პროფესიული თვითშეგნების მოდელები, მათი გაზრდილი როლისა და მოვალეობების ახლებურად გააზრებისათვის. ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭირო იყო შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა: გაგვეაზრებინა და გაგვეანალიზებინა აფთიაქში მომუშავე ფარმაცევტის თვითშეგნებაზე მოქმედი შემდეგი ფაქტორები: ა) რა დოზით მონაწილეობს ფარმაცევტი მოსახლეობის დაავადებების პროფილაქტიკასა და კონსულტაციებში; ბ) არსებობს თუ არა ფარმაცევტსა და პაციენტს შორის ინფორმაციის ურთიერთგაზიარება ამათუ იმ პრეპარატის გამოყენების შესახებ; გ) უზიარებს თუ არა თავის ცოდნას სხვა პროფესიონალებს სამკურნალო საშუალებების მოქმედებაზე, სწორ გამოყენებაზე, მათ ეფექტურობასა და გვერდით მოვლენებზე; დ) აინტერესებს და აგროვებს თუ არა ინფორმაციას პოპულაციის ჯანმრთელობის მდგომარეობის და მათ შორის სამკურნალო საშუალებების გამოყენების შესახებ.

ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სოციალური რეალობის დეტალური და სრული აღწერა, რამაც საშუალება მოგვცა ღრმად ჩაგვეხედა ფარმაცევტის საქმიანობაში, გაგვეანალიზებინა მისი ურთიერთობა კოლეგებთან და პაციენტებთან, მისი პროფესიული ხედვა აფთიაქის სტრუქტურულ

სურათი 1
ფარმაცევტის შეხედულება ჯანდაცვის მომსახურებაზე



ტურაზე, ორგანიზაციასა და ეკონომიკაზე, რაც შემდგომში თვითშეგნების განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

დამსულ შეკითხვაზე: „როგორია თქვენი შეხედულება ჯანდაცვის მომსახურებაზე“ ფარმაცევტების სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ (სურ. 1):


გამოკითხულ ფარმაცევტთა 40% თვლის, რომ ჯანდაცვის მომსახურებას განსაზღვრავს სამუშაო ადგილი, 23%-ის აზრით აუცილებელია სპეციალისტების დასაქმება თავის სფეროში და ინტეგრაცია, ამასთან მხოლოდ 16%-მა აღნიშნა, რომ ფარმაცევტს მნიშვნელოვანი როლი უკავია პირველადი ჯანდაცვის სფეროში.

აშკარაა, რომ პაციენტის ნამლით უზრუნველყოფა არ უნდა იყოს შეხედულები გეოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ორგანიზაციული, ენობრივი ან სხვა სახის ბარიერებით. ფარმაცევტის ამოცანებისა და როლის გაცნობიერებისათვის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ფარმაცევტის მიერ საკუთარი უფქციის ხედვა ჯანდაცვის სისტემაში. ფარმაცევტის როლი აფთიაქში მეტად მრავალფეროვანია და ყველა შემთხვევაში ორიენტირებულია მომხმარებელზე/პაციენტზე (37%).

კვლევის მასალებში მოცემული კრიტიკიუმების გათვალისწინებით, ქალაქის სხვადასხვა უბანში შევარჩიეთ საზოგადოებრივი აფთიაქები. არსებული მონაცემების გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ აფთიაქების 34%-ში ორგანიზაციული სტრუქტურა - კოლექტიურია, თუმცა გამოიკვეთა განსხვავებული შედეგებიც (სურ. 2):

აღსანიშნავია, რომ ფარმაცევტებისათვის უფრო მეტად მისაღებია მართვის კოლექტიური ფორმა, რომელიც ემყარება მესაკუთრეს და აფთიაქში მომუშავე პერსონალს შორის არსებულ თანაბარ ურთულეობაზე. ნამლით მკურნალობა და მისი სწორი შერჩევა უნდა მოხდეს ორგანიზმის ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური მონაცემების გათვალისწინებით. ამასთან, საჭიროა მომხმარებლის ინფორმირება ნამლის თერ-

აპიული ჯგუფის, მისი ფორმის, გამოყენებისა და ფასის შესახებ.




სურათი 2. მართვის ფორმები აფთიაქში

ჩვენი გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა აფთიაქში მომუშავე ფარმაცევტებს საკუთარი შეხედულება აქვს მომხმარებელზე: 65% თვლის, რომ მომხმარებელი აღქმული უნდა იყოს ინდივიდუალურად, მათი მოთხოვნებიდან გამომდინარე, 14%-ის აზრით იგი აქტიური ობიექტია და 10% მიიჩნევს, რომ ის პასუხ ობიექტს წარმოადგენს.

ფარმაცევტის როლის ხედვა კლასიფიცირდება ოთხ ჯგუფად: ტექნიკური, საქმიანი, შეგუებითი, ჰუმანური (ადამიანური). გამოკვლევების პროცესში დადგინდა, რომ ტექნიკური (35%) და საქმიანი (28%) ხედვა შეიძლება დავეუკავშიროთ პროფესიულ და ბიზნესის ორიენტაციის მქონე ფარმაცევტებს. ჰუმანურ ხედვას საფუძველად უდევს ფარმაცევტის ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელსაც იგი იღებს აფთიაქში და პირად ცხოვრებაში, რასაც ფუნქტურად იყენებს ნამლით მკურნალობასა და სამედიცინო მომსახურებაში (3). ჯანმო მიისწრაფვის ფარმაცევტის ჰუმანური ხედვის განვითარებასკენ. ჰუმანური ხედვა ავითარებს ფარმაცევტის ახალ უფუნქციებს. ასეთი ხედვა უნდა განვითარდეს ფარმაციაში, რაც მნიშვნელოვანია პირველადი სამედიცინო დახმარების სისტემაში ფარმაცევტის წინაშე არსებული ამოცანების გადაჭრისათვის (1, 4, 6).

ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აფთიაქში მო-

მუშავე ფარმაცევტები ნაკლებად არიან გათვითცნობიერებული პროფესიული თვითშეგნების საკითხებზე, ამასთან, გამოკითხვის შედეგად პროფესიული ხედვის ოთხი იდეალური ტიპი ჩვენს შემთხვევაში განაწილდა შემდეგნაირად:



ჩატარებული ავთიაქის თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგად გაანალიზებულ იქნა ფარმაცევტის როლი და ამოცანები ჯანდაცვის სისტემაში, მისი პროფესიული თვითშეგნება. დადგინდა იქნა, რომ ავთიაქებში მომუშავე ფარმაცევტთა 55% უპირატესობას ანიჭებს შეგუბებით ხედვას, 27% - ტექნიკურ, 12% - ბიზნისურ და მხოლოდ 6% - ჰუმანურ ხედვას.

ლიტერატურა:

1. გერხმაია, ო. ვასაძე ო, ვესტი დ. — საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი, თბილისი, 2003 გვ. 1-352
2. ერაშვილი ვ. სოციალური ფარმაცია, თბილისი, 2001, გვ. 1-349
3. Исследования по использованию лекарственных средств-Методы и применение. Под редакцией М.Н.Г. Дукеса. Региональные публикации ВОЗ. Европейская серия, 45 Бишкек, 1995, p.35
4. Фокус на Пациента-Программа по фармацевтическим препаратам. ЕРБ/ВОЗ, Копенгаген, 1998, 1-39
5. Health Action International (HAI) – Europe in collaboration with an international NGO working group. 'Developing Essential Drugs Policies – A guide for NGO's 1998.
6. Social Pharmacy. Innovation and Development, The pharmaceutical press, London, 1994, p.1-197

Kvzhinadze N., Eriashvili V.

PROFESSIONAL SELF-CONSCIOUSNESS OF PHARMACIST AND ROLE IN PRIMARY HEALTHCARE SYSTEM

Department of Social and Clinical Pharmacy

The acquaintance the objectives and role of the pharmacist the significant basis is the own view of the function of pharmacist in healthcare system, e.i. pharmacist have to acquaint the significant of his/her profession in medical

service area. Pharmacist have to express the maximum opportunities in healthcare system. Herewith, professional self-consciousness of pharmacist is into closer contact with the organization and functions of pharmacy, which based on new experience after the fulfilling the innovation research studies. Explanation of the professional self-consciousness of pharmacists' is possible with the contact of professional functions of pharmacist with environment.

Existence of four type of the professional view of pharmacist in the pharmaceutical activity make difference between functions, objectives, aims of pharmacists and determines their role in healthcare system. According the data getting from the interview of the pharmacy's employments were analysed the role and aims of the pharmacists, their professional self-consciousness. Were established that 55% of pharmacists prefer the adapted view, 27%-technical, 12%-business and only 6% - humane view.

კიკნაძე თ., კაციტაძე ა., ცქვიტარია ნ., ბერიანიძე ქ.

კანის ეპიკუტანური ტესტების (PATCH TESTS) როლი ალერგიული დერმატოზების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში

თსუს, დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის დეპარტამენტი

ატოპიური დერმატიტი წარმოადგენს ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას მედიცინაში. იგი მთელი დერმატოზების 5%-დან 30%-ს შეადგენს (1), ბავშვთა დერმატოზებს შორის კი 20-დან 60%-მდეა (2). ეს მოწინააღმდეგე განსაკუთრებით გაიზარდა გასული საუკუნის ოთხმოცდამეორე წლების შემდეგ, რაც გამოწვეულია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებით და გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით (3). დაავადებისთვის დამახასიათებელია ადრეულ ასაკში გამოვლინება, ქრონიკული მორეციდივე მიმდინარეობა, კანის პროცესების მხრივ ხშირი გართულებები მეორადი ინფექციებით (პიოდერმა, მიკოზები, პერპესული ინფექციები); ასოცირდება ბრონქულ ასთმასთან, ალერგიულ რინიტთან, კონიუნქტივითან, რასაც საბოლოოდ მიყვავობს ატოპიური დერმატიტის მიმდებარე ფორმების ჩამოყალიბებასთან, შრომისუნარიანობის დაქვეითებასთან. ყოველივე ეს საგრძნობლად ამცირებს პაციენტის ცხოვრების ხარისხს (4). აღსანიშნავია, რომ ატოპიური დერმატიტი, პირველად გამოვლენილი ბავშვთა ასაკში, აგრძელებს განვითარებას მოზრდილთა 40-60% შემთხვევაში და მძიმე კლინიკური და ქრონიკული მორეციდივე მიმდინარეობით ხასიათდება (5).

ატოპიური დერმატიტისთვის დამახასიათებელია მემკვიდრული განწყობა, კანის ქავილი, ბარიერული ფუნქციის დარღვევა, მომატებული მგრძობელობა როგორც სხვადასხვა ალერგენების, ასევე არასპეციფიკური გამაღიზიანებლების მიმართ (6). გამოჩენილი მკვეთრი ნივთიერი ფერისაა, რომლის ფონზეც ვითარდება მკერდი ზომის დაზოლები, აღინიშნება სისვე-

დამოაგური პერსონალი, სასწავლო-მეთოდური მასალები. არ ხორციელდება დასაქმებული საშუალო სამედიცინო კადრების მუშაობის ხარისხის კონტროლი, მათი პროფესიული ცოდნის ამაღლება, ლიგენზირება და სხვ. ამასთან, ქვეყანაში წინა წლებში დაგროვილი გამოცდილება ნაკლებადაა გამოყენებული იმ საორგანიზაციო ღონისძიებების დაგეგმვების პროცესში, რომელთა გატარების გარეშე შეუძლებელია ჯანდაცვის სისტემის სტრატეგიული მიზნების მიღწევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია საექთნო კადრების განვითარების (მომზადება, დასაქმება, გადაზიდვა) ძირითადი ეტაპების კომპლექსური სოციალურ-პოლიტიკური შეფასება და მიღებული შედეგების საფუძველზე მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება.

საბაზო მიზნის განხორციელებისათვის კვლევის პროცესში შესწავლილი და გაანალიზებულია მონაცემები, რომლებიც შეეხება ქ.თბილისში მოქმედი საექთნო სკოლების სტრუქტურა და მოკიდებულება მომავალი პროფესიის მიმართ, საექთნო კადრების განვითარების პრობლემის გადაწყვეტის თავისებურებები განვითარებულ ქვეყნებში. გამოკვლევაში გამოყენებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრის, სამედიცინო და ზღვევის სახელმწიფო კომპანიის საორგანიზაციო-ნორმატიული მასალები.

დამუშავდა სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები, რომლებიც შეეხებოდა საექთნო კადრების განაწილების ანალიზს.

კვლევის პროცესში განხორციელდა საქართველოს საექთნო კადრების განაწილების მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლების შედარებით ანალიზი, მათი შესწავლა დინამიკაში (1970-2005 წწ.).

ცხრილი 1

ზოგიერთი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებული ექიმებისა და ექთნების რიცხვი (ჯანმო-ს 2006 წლის მონაცემები)

ქვეყანა	ექიმები	ექთნები	შეფარდება
სომხეთი	345.89	414.54	1:1.2
ავსტრია	354.22	613.27	1:1.8
აზერბაიჯანი	364.45	724.25	1:0.8
ჩეხეთი	355.49	851.6	1:2.0
ესტონეთი	320.18	657.08	1:2.0
ფინეთი	319.99	836.81	1:2.8
საფრანგეთი	340.29	747.93	1:2.15
საქართველო	465.7	395.9	1:0.85
გერმანია	340.2	708.03	1:2.8
საბერძნეთი	500.33	337.66	1:2.3
ისრაელი	245.77	613.41	1:2.5
